

საგჭოთა სელოვნება



1 9

2

7 4



საგარეო საზოგადოება

საპარტიზო სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალი

2/1974

შინაარსი

საპარტიზო სსრ კომპარტიზოლთა დიდი ფორსაი	2
საპარტიზო სსრ კომპარტიზის პრემიის ახალი ლაურეატები	3
ოთარ თაქაიშვილი — ახალი მწიგნობრობის საკითხი	4
სერგო სანიკიძე — ახალგაზრდა მწიგნობრები მთავრები თაბატაძე	7
მამია აბოხაძე — დაღმრთი და პრესტიჟი	7
ირა კუჭუხიძე — პირველი ციხე და შემადგენლობები	11
გივი ორბელიანი — სიტყვა ახალგაზრდობას	16
კობა იმედაშვილი — ჩვენ უნდა მოვაგზავნოთ ჩვენი ცვლა	30
ნინო მაჭავარიანი — დიდი ზემოქმედების სათავეები	34
რევაზ ლალიძე — ჩემს მანათლებელს	36
ძვენი და მარამ ახალი ხელოვნება (ინტერვიუ)	35
სვეტილა აკიძა — სახალისო მუსიკის წარმატებები და ამოცანები	39
ლილია თაბუკაშვილი — ფიქრი — თქვენი, ჩანაფიქრი, ფორმა	42
ზურაბ კაკაბაძე — ხელოვნება და მისი ადგილი	52
სარგის ციციშვილი — ვაჟური მოტივები	61
ინტერვიუ ნიკოლოზ სლინიანოსთან	65
გიორგი ჩიკვაძე — მხატვრები და სამეცნიერო	67
ივთა გოციშვილი — მხატვრობა ბრძოლაში	72
ნანა ყიფიანი — ბავშვი ფარანი და მისი ალფაბეტი	73
ბაბო მჭედლიძე — ეთერ გალუსტოვა	77
თეატრი და ალფაბეტი პრობლემა	77
ვაჟა მჭედლიძე — როცა სწავლება პატარავთათვის პრობლემაა	83
ლუარსაბ იაშვილი — ცნობილი მუსიკოსისა და ადამიანის წიგნი	88
დისკუსია, თეატრი და მათარბელი (მთარბელი)	93
აქარის ასირ კულტურის მუშაკები: ლამარა ბოლქვაძე, გე- ნადი დლოტი, მთარბე ხინკაძე, ვარლამ ნიკოლაძე, ვლად- იმერ შარაშიძე, ენვერ ჩაიძე თეატრის შესახებ	93
აკაკი ბაქრაძე — მეტი პრინციპულობა	99
ეთერ გუგუშვილი — სასწავლებლებს თეატრის ბეჭედი	102
ქანსულ ლეინკილა — „ხანსულ“, „ძველი კომპოზიციები“ და მათარბელი	105
დავითაძე	105
მონიკა	112

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
პროზა

მთავარი რედაქტორი —
თეატრი
სამხატვრო კოლეგია:
საკაი ბაქრაძე,
მხატვარი მჭედლიძე,
გივი გოციშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნოდარ გავრანი,
პასუხი კიკნაძე,
ნოდარ მგალობლიშვილი,
ზურაბ ნიჭარაძე,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩაიძე,
ანდრე ვულკანიძე,
ნიკო მავთუხაძე.



საკვ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რეზოლუციას, რომ ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა ახალი ძალით დაადასტურებს თავის ერთგულებას ლენინის ანდერძისადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი, დამკერულური შრომითა და ფრიალზე სწავლით აღნიშნავს ხუთწლედის მეთოხე წელს. სამშობლოს სწავმს ახალგაზრდა თაობისა, მისი შრომის-მოყვარეობისა, სიმტკიცისა და თავდღეობისა.

საკვ ცენტრალური კომიტეტის მიმართ-ვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხის-სადმი.

სკსა, როცა ჩვენი დიადი სამშობლო, მთელი საბჭოთა ხალხი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევნ ეკონომიური, სოციალური და კულტურული მშენებლობის ყოველ უბანზე, როცა საკვ ცენტრალური კომიტეტის საპროგრამო მიმართვის — პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი — პასუხად ირახნება და დიდ შრომით ენერგიას ავლენს ყოველი პარტიისანი ადამიანი, რათა წარმატებით დამთავროს მეცხრე ხუთწლედის მეთოხე განმსაზღვრელი წელი, ამ პატრიოტულ მოძრაობაში თავის მძლავრ სიტყვას ამათს ლენინური კომკავშირის, და კერძოდ, საქართველოს კომკავშირელთა მრავალ-ათასიანი არმია.

— ფეხი ვეწყოთ პარტიის ნაბიჯებს, პარტიული მუშაობის რიგმს, ძალებს დაუსოფავად ავრძობლოთ, რათა მოწინავეთა მიღწევა გახდეს თითოეული ახალგაზრდის მუშაობის ნორმა, რათა საქმით ვუპასუხოთ ახალ კარგ თაოსნობას — „კომკავშირულ ორულედს“, ჩვენი წვლილი შევიტანოთ საკვ X XIV ყრილობის, საკვ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების, საკავშირო კომკავშირის XVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი პლენუმებისა და პარტიული აქტივის კრებების გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების საპატიო საქმეში. — აი ამ სულისკვეთებით მოვიდა თავის X X X ყრილობაზე საქართველოს ახალგაზრდა ლენინელების მტკიცე გარდაცვალება, რომელმაც თან მოიტანა პატრიოტული თაოსნობის არაერთი სამავალითი ნიმუში — „ხუთწლედს — ახალგაზრდობის დამკერული შრომა, ოსტატობა და ძიება“, „ხუთდღეობის — თობს დღეში“ და სხვა. ბევრი კომკავშირელი ამ დიდ ფორუმს ხელდამშენებელი შეხება — პირადი ხუთწლედის გეგმა წარმატებით შესარულა.

ყრილობის მაღალი ტრიბუნლიდან ორატორთა მიერ წარმოთქმულ მგზნებარე სიტყვებში ნათლად გაისმოდა პარტიისადმი, სამშობლოსა და ხალხისადმი უნაგარო სიყვარულის, ერთგულებისა და თავდადების გამომხატველი სიტყვები, რაც დღეს სკვ პრაქტიკულ საქმიანობაში — ფაბრიკა-ქარნებში, მშენებლობებში და საკომუნერეო ველ-მინდრებზე პოულობს თავის მაკვირო გამოხატულებას.

დიდა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის შრომითი წვლილი სახალხო მეურნეობის ყოველი დარგის განვითარებაში. ასევე თვალსაჩინო მიღწეებით შეხვედრის ყრილობას შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც — ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. მათ საუკეთესო ქმნილებებს — მაღალიდურ, მაღალმატერულ, მოქალაქეობრივი პათოსით გამსჭვალულ ლიტერატურულ და მუსიკალურ ნაწარმოებებს, თეატრალურ დეკამას, კინოფილმს, აქტიურულ შესრულებას და სხვა, რომლებსაც კონკრეტული წვლილი შეაქვთ მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთით აღზრდაში, მიენიჭათ საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემია.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა შემოქმედთა მოქალაქეობრივი მრწამსის ფორმირებას, მათი შემოქმედებითი უნარისა და ინტერესების შეფრწყმას საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებასთან; მოუწოდებს ახალგაზრდა შემოქმედებით ძალებს უფრო მეტი დაინტერესება გამოიჩინონ რევოლუციური თემატიკაში, ჩვენი საზოგადოებაში მიმდინარე რთული პროცესებისადმი; დამაჯერებლად და მასშტაბურად გადმოხსენს მეცხრე ხუთწლედის ახალგაზრდა გმირების ცხოვრება და საქმიანობა; გამოაქვინოს სწრაფვა — მაღალიდურ დონეზე ასახონ ჩვენი დღეების პერიოდი, კომუნისმის მშენებელი ახალგაზრდის ჯანსაღი სულიერი სამყარო, ნათელი მიზნები, ფიქრები და ოცნებები...

საქართველოს ალკვ X X X ყრილობასთან დაკავშირებით, რუბრიკით — „ჩვენნი შემოქმედებანი“ „სსსრკ-საბჭოთაო“ გაზეტადეთ სტატიებს ახალგაზრდობის შემოქმედებით ცხოვრებაზე.

საქართველოს კომკავშირელი დ ი დ ი შოკრეი

საბჭოთა

საქართველოს

53-ე წლისთავი

საქართველოს

კომკავშირის

პრეზიუმის

ახალი ღაზრეაზები



იმსაშუალოდ კომკავშირული ორგანიზაციის XXX ყრილობის მუშაობის დღეებში ცნობილი გახდა ლიტერატურის, ხელოვნების, ჟურნალისტიკისა და არქიტექტურის დარგში 1972-1973 წლების საქართველოს ლენინური კომკავშირის პრეზიუმის ახალ ღაურეატთა სახელები.

ეს საპატიო წოდება მიენიჭა შემდეგ ამხანაგებსა და კოლექტივებს:

1. გელოვანს მირზა გედევანის ძეს (სიკვდილის შემდეგ) — პოეტს, რომელიც გმირულად დაიღუპა დიდ სამამულო ომში. კომკავშირისადმი, ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი ლექსებისათვის, რომლებიც მოზარდ თაობას უნერგავენ კომუნისტურ იდეალებს, საბჭოთა საშობლოს თავდადებულ სიყვარულსა და ერთგულებას.
2. აზარაშვილს ვაჟა შალვას ძეს — კომპოზიტორს, მაღალმხატვრული მუსიკალური ნაწარმოებების (კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის, კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის № 1), მოქალაქეობრივი სულისკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდული სიმღერების შექმნისათვის.
3. ალექსი-მესხიშვილს ვლადიმერ შალვას ძეს, დუღუშაურს გერმანე ფარნაოზის ძეს — ქალაქ თბილისში ჭადრაკისა და ალპური კლუბის შენობის არქიტექტურისათვის.
4. ქავთარაძეს გიორგი გიორგის ძეს — მსახიობს, თეატრსა და კინოში ჩვენი ახალგაზრდა თანამედროვის იმ სახეების შექმნისათვის, რომლებიც პოპულარული გახდა ახალგაზრდობას შორის.
5. უდენტს სულიკო ილიას ძეს — სცენარის ავტორს; გოგოლაშვილს შოთა მინას ძეს — მხატვარს; მანაგაძეს შოთა ილიას ძეს — დამდგმელ რეჟისორს; მანაგაძეს ოთარ შოთას ძეს — დამდგმელ რეჟისორს; რაქველიშვილს გივი ვიქტორის ძეს — ოპერატორს; ჭიაურელს სოფიო მიხეილის ასულს — მსახიობს, მთავარი როლის შემსრულებელს — სოციალისტური ჰუმანიზმისა და საბჭოთა პარტიოტიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული მაღალმხატვრული ფილმის „წუთი-სოფლის“ შექმნისათვის.
6. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ახალგაზრდულ თვითმოქმედ მოცეკვავეთა ანსამბლ „გორდას“ (მხატვრული ხელმძღვანელი ბ. სვანიძე). (საქინფორმი).





დღეს თბილისში საბჭოთა პარტიის და სამხედრო-სამეცნიერო ფლოცის დღეს

დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ახალგაზრდობის პარმონიული აღზრდის სისტემის ორგანიზაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანი ბავშვობიდანვე უნდა ყალიბდებოდეს მოქალაქეობის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალური სოლიდარობის მაღალი გრძობა. მას უნდა ამოძრავებდეს სიყვარული და ღრმა პატივისცემა როგორც თავისი ხალხის, ასევე სხვა ხალხების კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა ახალგაზრდობაში კულტურის ინტენსიური განვითარება და გაღრმავება. ამ გზაზე კი წმინდა ასაკობრივი და ფსიქოლოგიური წინააღმდეგობები შეიძლება შემოგვხვდეს. ამთვან ერთ-ერთია — ფსევდოკულტურისაგან ახალგაზრდობის დაცვის პრობლემა, რომელიც, ჩემი აზრით, დღეს მთელი მსოფლიოს წინაშე დგას.

ფსევდოკულტურა სახიფათო მუხრუჭია ინტელექტის განვითარების გზაზე. ეს არის ხელოვნებისადმი იაფფასიანი მომხმარებლური დამოკიდებულების შედეგი, და თუ დროულად არ ჩავერევით საქმეში, შესაძლოა, ფსევდოკულტურის მდარე პროდუქციამ ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს გადაუკეტოს გზა ხალხური და პროფესიული მუსიკის, ჭეშმარიტი მხატვრობის თუ კლასიკური ლიტერატურის მწვერვალებისაკენ.

ამ სენისაგან ახალგაზრდობის დაცვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ძალას მასობრივი თვითმომქმედება წარმოადგენს. სწორედ თვითმომქმედების საფუძველზე ჩამოყალიბდა მრავალი მაღალკვალიფიცირებული ეთნოგრაფიული კოლექტივი, რომელიც საბჭოთა ქვეყნის მონაპოვარს, მის სიახლეს შეადგენს. ეს კოლექტივები წარმოადგენენ ნამდვილ სკოლას, სადაც ახალგაზრდობა თვითმომქმედებიდან ჭეშმარიტ პროფესიონალიზმს აღწევს. დღეს ეს უკვე მთელი მოძრაობაა, რომელიც ახალ-ახალ თაობებს აერთიანებს.

ახალგაზრდობა მუდამ მიიღტვის სიახლისაკენ, რაც კაცობრიობის საერთო პროგრესს განაპირობებს, მაგრამ ამ გზაზეც თავს იჩენენ ხოლმე გარკვეული სირთულეები.

კულტურის ახალი მოდელები ვერ წარმოიქმნება ან მხოლოდ ტრადიციულობის საფუძველზე, ან მხოლოდ სხვადასხვა გაველების ზემოქმედებით. ზოგჯერ ახალგაზრდობა სიახლეების ძიებაში გარკვეულ ცალმხრიობას ამჟღავნებს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ თვითმომქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებს, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს. მათ კი არ უნდა გაუნელონ ახალგაზრდებს ინტერესი სიახლეებისადმი, კი არ უნდა დაინახონ ამაში თაობათა დაპირისპირების ტენდენცია, არამედ პირიქით, სწორი გეზი მისცენ ჭაბუკურ გატაცებებსა და ძიებებს, ხელი შეუწყონ ამ პროცესის კანონზომიერ, პარმონიულ განვითარებას, რათა ახალგაზრდობის ენერჯია, ენთუზიაზმი, პათოსი ჩვენი ქვეყნის საერთო პროგრესს მოხმარდეს.

ნოვატრობა, რომელიც მხოლოდ ერთ თაობას უძლებს, ვერ ჩაითვლება დიდ მონაპოვრად. ან განა შეიძლება იმ კულტურის სიღრმეებზე ლაპარაკი, რომელიც მხოლოდ ერთი ასაკით იზომება? კანონზომიერი მემკვიდრეობითობის მოვალეობა მხრებზე აწევს არა მარტო წინამორბედ, არამედ მომავალ თაობებსაც. უფროსი თაობის კვალიფიციურობაზე, პედაგოგიურ აღიარებაზე, ღრმა ცოდნასა და გამოცდილებაზე და მთავრად ახალგაზრდობასთან სულიერი სიახლოვე, მისი მგზურობა. ცხადია, ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ

ახალი მწვერვალებისაკენ

ოთარ თავთაქიშვილი

საერთო იდეურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობით, რომელიც სხვადასხვა თაობას ორგანულად აკავშირებს ერთმანეთთან. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ახალგაზრდობის ნოვატორული მისწრაფებების მართებულად გამოყენება არა მარტო ხელოვნების, არამედ პოლიტიკის ამოცანაა.

დასამაილი როდია, ზოგჯერ ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს სხვათა მონაპოვნების მექანიკური გამდონერგვა მიაჩნია სიახლედ. მაგრამ ამაზე თვით ცხოვრება, დრო იძლევა პასუხს. მით უფრო ჩვენთან, სადაც კულტურისა და ამის შესაბამისად ახალგაზრდობის ფორმირების პროცესი ჯანსაღსა და მყარ საფუძველს ემყარება. იგი ჭეშმარიტად საყოველთაოა, სახალხოა. ამან კი სრულიად სხვა მიზართულება მისცა კულტურის განვითარების მძლავრ დინებას. ამასთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს უაღრესად ინტენსიური იდეოლოგიური მუშაობა, რომელიც არამარტო აერთიანებს თაობებს, არამედ ამ თაობათა მოღვაწეობას მეკვიდრეობითობისა და შეკიბრის, და არა ანტაგონიზმის, სახეს აძლევს. და ბოლოს ეროვნულისა და ინტერნაციონალურის შერწყმა წარმოებს ხალხთა ერთსოლოვნების ატმოსფეროში, ურთიერთგამიდრეობისა და ურთიერთგანახლების გზით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი ვითარდება მშობლიური ენის, ეროვნული კულტურის თავისებურებების, ეროვნული ხელოვნების თვითმყოფადობის დაცვის პირობებში. ყოველივე ამას ეწევა აქტიური პროპაგანდა და მოელი ქვეყნის ფართო სარბიელზე გამოტანილი, რაც ცალკეულ ხალხთა ეროვნულ საუნჯეს ქმნის. ამ გზით, ერთი მხრივ, მიმდინარეობს ამა თუ იმ ერის სულიერი სიმდიდრის პოპულარიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, ამით მდიდრდება მომეხ ხალხების კულტურა და ხელოვნება. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირში და-

მკვიდრდა და განმტკიცდა სხვადასხვა ეროვნული სახელოვნო სკოლა, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოშია აღიარებული და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზოგადკაცობრიულ ხელოვნებაში.

დიდი, მწვეფარ, ზოგჯერ რთული, მაგრამ ყოველთვის გმირული ცხოვრებით ცოცხლობს საბჭოთა ახალგაზრდობა.

მრავალი საამაყო ფურცელი ჩაწერა ქართველმა ახალგაზრდობამ საბჭოთა ქვეყნის მატკინეში. საკმარისია გავისტენოთ, რომ სამამულო ომის ფრონტებზე ნახევარმილიონზე მეტი ახალგაზრდა ქართველი იბრძოდა. მათი გმირული შემაერთება, თავგანწირვა დღესაც ცოცხლობს სიმღერებში ბუნდელიანსა და ბუზაძიძეზე, ლესელიძესა და მოსულიშვილზე, ზოია რუხაძესა და შოთა გამცემლიძეზე. ქართველ მებრძოლთა სოფლაგებს სათუთად იცავენ უნჯრეთსა და იტალიაში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში... მათმა სისხლმა შეადუღა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ძმობა. ადამიანების შეუწელებელი ნაკადი მიედინება ბელორუსიაში სატინისაკენ, ლატვიაში სალასნილისაკენ... არც ერთი დღესასწაული არ ჩატარდება ისე, რომ დაღუპულ მებრძოლთა სხოვნას ხალხმა პატივი არ სცეს. ყოველივე ეს ცხოვრების ნორმად იქცა.

ბრძოლის ველზე გმირულად დაცემული ახალგაზრდობა ნათელი და მაღალი იდეით შთაგონებულმა ხელოვნებამ უკვდავყო და კვლავ დაუბრუნა მათი სახეები მშრომელ ხალხს! ჩვენ კი ამ ახალგაზრდების ცხოვრებას ვბაძავთ ყოველდღიურ საქმიანობაში.

მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები შეიქმნა იმ წლების შთაგონებით. წარმოიქმნა ახალი ხალხური სიმღერები, სტიქურად დაარსდნენ გმირთა სხოვნისადმი მიძღვნილი მუსუეუმები, დაიდგა ქანდაკებები, მემორიალები, შეიქმნა რომანები,

ლექსები, კინოფილმები, სიმფონიები, კანტატები, ორატორიები. მრავალფეროვანი საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის ეს ნიმუშები იმდენად შეიყვარა ხალხმა, რომ თავისი ცხოვრების თანამგზავრად გაიხდა.

ახალგაზრდობის მძლავრი მაქისციმიითა გამსჭვალული საბჭოთა ქვეყნის დიადი სინამდვილე. ჩვენი ჭაბუკები და ქალწულები ამენებენ ახალ ცხოვრებას, თავდადებით იღვწიან ყოველდღიური შრომის დიდ სარბიელზე, მეცნიერებისა თუ ხელოვნების ასპარეზზე.

ახალგაზრდობა მუდამ იქნება შთაგონების წყარო საბჭოთა ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, თეატრისა და კინოს მოღვაწეთათვის. ვინ მოსივლის, რამდენ ფრთოსან სიწერაში, მგზნებარე ლექსში, ფერწერულ ტილოსა და მონუმენტურ სკულპტურულ ნამუშევარში აიასხა საბჭოთა ახალგაზრდობის შემართება, ერთუხაიზში, რწმენა... ეს უშვიკვლო და ძლიერი სახები მუდამ მაღალი მაგალითის მიმცემნი იქნებიან ახალ-ახალი თაობებისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობა ხარბად ეწაფება ყოველივე იმას, რაც ესოდენ მძლავრად ესმინება მის სულსა და გულს. მას არა მარტო მშობლიური ლიტერატურა და ხელოვნება შთააგონებს, არამედ სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი მთელი მსოფლიოს მსატრეული მემკვიდრეობა — ბეოპოეფი და მიქელანჯელო, შექსპირი და გოეთე, ველსკესი და როდენი... გატაცებით ეცნობა იგი ესპანელი გარსია ლორკას, ამერიკელი უოტ უიტმენის, ჩილეელი პაბლო ნერუდასა და სხვათა ნაწარმოებებს.

ყოველივე ეს ჩვენი ახალგაზრდობისათვის ისევე ახლოებელია, როგორც რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას სიბრძნით ნაწრთობი სტრიქონები, გალაკტიონის ლექსთა საოცარი პოეტური სატებანი, მიაიკოვსკის ომხანი ხმა, ესენინის ლირიკული სტროფები...

განუზომად გაფართოვდა ჩვენი რესპუბლიკის — საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობის ინტერესთა სფერო. მისი ცხოვრება აღასვსა წარმატებით. ქართველმა ახალგაზრდობამ გმირული სტრიქონები ჩასწერა სოციალისტური საქართველოს მშენებლობის მატანეში. იგი აშენებდა ამიერკავკასიის პირველ ელექტროსადგურს ზაპესს, მანვე წალკოტად აქცია კოლხეთი, ააგო ინდუსტრიული რუსთავი, აშენებს თბილისის მეტროპოლიტენს, გრანდიოზულ ენგურ-ქესსა და სხვა.

რუსთავის ახალგაზრდა მუშა მოძმე რესპუბლიკების მშრომლებთან მხარდამხარ იღვწის კომუნისმის გიგანტურ ახალშენებზე. ისინი სწავლის, შრომის, გამოცილებათა გაზარების ატმოსფეროში უახლოვდებიან და უმეგობრდებიან ერთმანეთს. ამიტომ მუშათა კლასის, ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობა იცნობს მოძმე ხალხების ცხოვრებას, მის ლიტერატურას, ისტორიას, ხელოვნებისა თუ მეცნიერების დარგში მიმდინარე პროცესებს.

უკანასკნელ წლებში ახალგაზრდა ქართველი სოციალისტები წარმატებით მუშაობენ საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც ისინი დახმარებას უწევენ ინდუსტრიის, მეცნიერებისა და ხელოვნების ამა თუ იმ დარგის განვითარებას. ბუნებრივია, რომ ესეც აფართოვებს საბჭოთა ახალგაზრდობის პორიონტს, უნივთარებს მას ცხოვრების თა-

ვისებურებათა შემიცნების უნარს, სინამდვილის ნაკლებად ნი მხარეებისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. საშობლოში დაბრუნების შემდეგ, ისინი თავის კოლეგებსა და მეგობრებს უზიარებენ შთაბეჭდილებებს, ახალ-ახალი ინფორმაციით ამიღვრებენ ჩვენი საზოგადოების წარმოდგენას იმ ქვეყნების ყოფა-ცხოვრების შესახებ, რომლებიც მანამდე ეგზოტიკური ბურუსით იყვნენ მოცული. დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან კულტურული ურთიერთობის განმტკიცების ეპოქაში, თანდათან ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება კაცობრიობის ცივილიზაციის მრავალი მონაპოვარი.

კარგა ხნია ტრადიციად იქცა ახალგაზრდა საბჭოთა შემსრულებლების მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებზე. მათ შორის არიან ნიჭიერი ქართველი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი მუსიკოსები. საკამარისა აღენიშნოთ ელისო ვირსაძამე, რუნენ აგარონიანი, ფარხად ბადალბეილი, ლიანა ისაკაძე, მედეა აბოიანი, ზურაბ სოტკიავა და მრავალი სხვა. ეს უნიჭიერესი ახალგაზრდები თავისი მაგალითით ხელს უწყობენ კოლეგებისა და მოზარდი მუსიკოსების შემოქმედებითი ძალების მოზილიზებას, მათ წინაშე სრულიად ახალ პორიონტებს ხსნიან, ახალ ამოცანებს სახავენ.

არც ისაა შემთხვევითი, რომ გამოცილილი ოსტატები განსაკუთრებული მღვლავრებით ესწრებიან ახალგაზრდობის სიმპოზიუმებს ხელოვნებისა თუ მეცნიერების სხვადასხვა დარგში, რომლებიც ყოველწლიურად იმართება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში. აქ უფროსი თობის წარმომადგენლები ხშირად ისმენენ მათი მისამართით გამოთქმულ ჯანსაღსა და კეთილმოსურნე კრიტიკას. ამიტომაც, რომ ახალი ნაწარმოებების შესრულება რესპუბლიკურსა თუ საკავშირო მუსიკალურ პლენუმებზე, მონაწილეობა სახვითი ან გამოყენებითი ხელოვნების გამოყენებზე დიდი გამოცდაა, როგორც ახალგაზრდობის, ასევე უფროსებისთვისაც.

საბჭოთა ახალგაზრდობას გზა ხსნილი აქვს კულტურის ახალი მწვერვალებისაკენ!

პარკის ციხე-ქალაქის კომპლექსში აღმოჩენილი თეატრის შენობის ნაგებობები იმაზე მეტყველებს, რომ მესხეთის მიწაზე თეატრალურ ხელოვნებას უძველესი ისტორია აქვს. ასი წლის წინათ ახალციხეში ნაჩვენებები იქნა პირველი ქართული წარმოდგენა.

ახალციხის სახელმწიფო თეატრს კარგად იცნობდნენ ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი არსებობა დიდი სამაშულო ომის დაწყებამდე შეწყდა.

და აი, 1967 წლის 23 სექტემბერს გაიხსნა მესხეთის ახალი სახელმწიფო თეატრი.

სასიქაღულოა, იყო ეროვნული ხელოვნების კიდევ ერთი კერის შექმნის უშუალო მონაწილე და ინიციატორი. ეს მაღალი შეგნება ამოძრავებდათ თეატრალური ინსტიტუტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, როდესაც ნიჭიერი შემოქმედის ნანადუმეტრავილის ხელმძღვანელობით მოეშურებოდნენ მესხეთისკენ, ქართული თეატრის აღსადგენად. მესხეთის სახელმწიფო თეატრის ახალგაზ-

**ჩვენს
შემოქმედებით
ახალგაზრდობა**

რდა კოლექტივმა მაყურებელს პირველ პრემიად უწევია თ. ჩხეიძის დრამა „თედორე“³ ანუ პროფესიონალური ისტაბლით შესრულებული სპექტაკლი, რომელშიც საყურადღებო სახეები შექმნეს თ. გამყრელიძემ, ი. ბაკურაძემ, პ. ქადაგიშვილმა, თ. თუშიშვილმა, გ. პატარაძემ, ლ. სულუაშვილმა, ზ. ილურიძემ და სხვებმა. ეს იყო თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების კარგი დასაწყისი.

თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების სახელით მესხეთის თეატრის ახალგაზრდა მხაზობებს მიულოცა აკაკი ხორავამ:

„ჩემო ძვირფასო, ახალგაზრდა მეგობრებო და ამხანაგებო!

თქვენ დღეს ხსნით სუხონს! ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ან ვინ იქნება ისეთი ქართველი, რომ მისი გული სიხარულით არ აძვრდეს ასეთი დიდი მოვლენის გამი ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებაში. თქვენ იცით და თქვენმა ვაჟაკობამ! გამართლეთ თქვენზე დამყარებული იმედები და მშობლიური ვინ ღრმა მადლობას გეტყვით თქვენი პატრონიჩვისისათვის და თავდადებული შრომისათვის, შეიძლება ბევრი სიძნელე დაგხვდეთ წინ. არ შეშინდეთ, არ შედრეთ, მოუამეთ გული მესხეთის მშრომელებს, ამოუდგით გვერდში პარტიას და ყოველივე კეთილად დაგვიგვირდებოდეს... გილოცავთ სუხონის გახსნას, იყავით სულ მუდამ გამარჯვებულნი...“.



**ახალგაზრდა
ნათაჩხიანტაპი
მესხეთის
თეატრი**

სერგო სანიკიძე

დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა თეატრის შემოქმედებითი დასი. მხაზობთა რამდენიმე წყვილი აქ დაოჯახდა, აქვე აიღვეს ფეხი მათმა შვილებმაც. ბევრი სიძნელის გადალახვა დასჭირდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დაუღალავად შრომობდნენ. სპექტაკლი სპექტაკლს ცვლიდა, პრემიერას — პრემიერა და იზრდებოდა თეატრის მაყურებელთა თუ თავყანისცემელთა რიცხვიც. რესპუბლიკის სხვა რაიონებში საგასტროლო სპექტაკლებით ნათელი წარმოდგენა იქმნებოდა სრულიად ახალგაზრდა თეატრის ახალგაზრდული კოლექტივის უნარსა და შესაძლებლობაზე.


დიდი წარმატება ხვდა წილად თეატრის შემოქმედებით დასს დედაქალაქში გასტროლების დროს. თბილისის თეატრალური საზოგადოება დიდი ინტერესით ესწრებოდა საგასტროლო სპექტაკლებს.

„თითქმის ერთ კვირას გასტანა მესხეთის თეატრის გასტროლებმა თბილისში, — წერდა „ლიტერატურული საქართველო“ 1969 წლის 4 ივლისის ნომერში, — ამ დღეების განმავლობაში თეატრმა თბილისელ მაყურებელთა სიყვარული დაიმსახურა. ამის დამადასტურებელი იყო თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველი სპექტაკლი ხალხით სავსე დარბაზში მიმდინარეობდა“.

საგასტროლო სპექტაკლების მაღალ მხატვრულ დონეზე ჩატარებისათვის მესხეთის სახელ-

ნანა დემეტრავილი.

- გ. პატარაძე.
- პ. ქადაგიშვილი.
- მ. თუშიშვილი.



მწიფო თეატრი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით. აქტიურული მიღწევებით, პროფესიული დაოსტატებით, მსატრეული სახეების მრავალფეროვნებით ხიზლადნენ მესხეთის თეატრის მსახიობები ბათუმის და ზუგდიდის, მახარაძისა და ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და სამტრედიის, წულუკიძისა და მიაიკოვსკის, ცხაკაიასა და წულენკოვის, ონის, ცაგვერის, ლენტეხის თუ რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მაუწყებელს.

საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისთვის აღსანიშნავ სოციალისტური შეკრებებში გამარჯვებისათვის მესხეთის სახელმწიფო თეატრი დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელით. ეს იყო ჩვენი თეატრის ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების საყოველთაო აღიარება. შემდეგ დიდ გამარჯვებას მიაღწია მესხეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა საქართველოს კომკავშირის ნახევარსაკუთროვანი იუბილის დღეებში. მიღწეული წარმატებებისა და ახალგაზრდა თაობის კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის თეატრის კოლექტივი დაჯილდოვდა საქართველოს კომკავშირის სახელობის პრემიით.

ჩვენი ვესაუბრეთ მესხეთის სახელმწიფო თეატრის რამდენიმე ახალგაზრდა მსახიობს. აი როგორ იხსენებს თავის პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებს მესხეთში, თეატრის ერთი წამყვანი მსახიობი ბაქონა პატარაძე, რომელმაც მრავალი დღისამოსწორებელი სახე შექმნა:

„ჩერ კიდევ თეატრალური ინსტრუქციის სტუდენტებს, ჩვენი პედაგოგები გვიჩვენებდნენ საფუძვლიან ჩავეყარა მესხეთში ახალგაზრდათა თეატრისათვის. ეს დღევ დადგა. მთელი ჩვენი კურსი უნდა წასულიყო ახალციხეში. ერთის მხრივ, ძალიან ძვილია და, მეორეს მხრივ, სასიხარულო ამავაი კვლავდა. მიუხედავად ამისა, შიშა მინც შემოიკურ. რაც უნდა იყოს, უცხო ქალაქში ცხოვრება, სასაუფრო, სასული სინდონდებთან იქნებოდა დაკავშირებული. 1967 წლის 21 აპრილს ჩემი მუდღელით და ახლად შეძენილი ბავშვით ჩამოვდიე მესხეთში... დღე დღის მიჰყვებოდა, ბევრი გაიკრებოდა ვნახებ, მაგრამ სამეტიეროდ სიხარულად ბევრი გვეწვდოდა და ბოლოს, ჩვენი ახალგაზრდული მესხეთის სახელმწიფო თეატრის გაიხსნა იგი. ჩვეიძის „ოთღირსი“. სადაც მე ნენის როლს თამაშობდა. იმდენად დიდი იყო განცდა და ივლავა პრემიურამდ და იმდენად დიდი იყო სიხარული პრემიერის შემდეგ, რომ ამის გაფშოცვა შეუძლებელია.“

პირველადი სექტაკლის შემდეგ ვიგრძინე, რომ დღეის შემდეგ კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვკიდებოდი ჩემს საქმეს.

გავიდა რამდენიმე წელი, ამ ხნის განმავლობაში უფრო დაუპოვლოდით ერთმანეთს, შევქმნიდნოდით, ერთი იჩავადა გადაცემების ამ პატარა ოჩასს დიდ სიხარულთან ერთად, დიდი წუხილად აქვს — უფროოდ გამოვეცალა ჩვენი მეგობარი ნუჯარა მკვაპარიანი, ჩვენი სიხარული და ჩვენი დარდი. იგი ჩემი პარტიზორი იყო ბევრ სექტაკლში, მაგრამ მინც ყველა-



ზე ძალიან მიყვარს „შოინა დამე“ და „უიარღობი“ სადაც ნუჯარა თემურისა და როლერის ანსამბლურებდები მე — გულიყოსა და ამალიას ვიამაშობდი. ჩემს საყვარელი როლებია: ნათია „ქეთევანიდან“, ანა „დავიუბნებულო ამიდან“, დორიას „ტარტუოლიდან“, მანა „მანა წყნეთლიდან“, მარგარეტა „პატოსნებისათვის“, ზემფრა „აქაქანი ცაში“. მიყვარს ჩემი მეგობრების მიერ ნათამაშები როლებიც. არ შეიძლება არ აღენიშოო ლია სულუაშვილისა და გულად კობერიძის თამაში „მედიკუმულ კაპალიში“. მთი გამოჩენას ყველგანს მაუტრებლის დიდ ტაშს და სიხარულს იწვევდა.“

ლია სულუაშვილი: „გუმინდელიყო მასოს პირველი დღებო, — იგიწინაა ლია, — რა ჩქარა გაუტრებია დროს, 19 წლისა ჭერ არც კი ვიკუპი, როცა ამ თეატრში მოვედი, მე ხომ თბილისის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლო დავამთავრე ახლა კი მაქვს საუთარი ოჩახიც, მუავს ორი შვილი — კობა და აკა. უკვე შევეჩვიე აქაურობას, მაუტრებლს, არცერთ სექტაკლზე რომ არ დავკავლობა და კოვლდის უფრო და უფრო მეტს რომ მოიხიბლოს ჩვენიან. არ მაგიწუდება ჩემი გამოგზავრება თბილისში, როგორ მაშინვეება და მიმიღებდა ჩვენი პედაგოგი და რეჟისორი ლევან შატერაშვილი, როგორ გვირბოდი და განვიღობდი თბილისთან განშორებას.“

მიყვარს ჩვენი თეატრის პატარა ოჩახი, სადაც ერთად ვტვირთობთ და განვიღობი კარგა თუ ავს. თეატრის ახალ შენობაში ვადასვლა მებ სიბოულს მოგვცემს, ახალ-ახალი როლების უკეთესად განხორციელებომა დავცემარება. საშუალოდა ვეცენება ჩვენს აღმრდლებლს, მოიხიბვს მაუტრებლს ჩემი ძალით ვუჩვევით ჩვენი შესაძლებლობა.

ამირ ქადაგიშვილი: „თეატრალური ინსტრუქციის კურსდამთავრებულთა ჩამოსვლა მესხეთში განამიხიბოა საერთო აზრმა, რომ პირველი ნაბიჯები ხელგონებომა გადავვადგა ახალ და ამავა დროს ახალგაზრდულ თეატრში.“

უცხო პაუტრებულთან პირველი შეხვედრა, თავის თავად ცხავდა, გავკვეულ სინდონების უქმნის აქიორის, არ არის დამარცხებული უშუალო კონტაქტი თეატრალური კოლექტივისა და მაუტრებლს შორის. მსახიობებს ვაგსლით წარმოვდგენების თამაში ვივდებოდა სრულიად მოუწყობელ კლუბებში, რაც თავის თავად დაღს ახავდა სექტაკლის ხარისხს, მაგრამ პირველი წარმატებებით გამოწვეულმა სიხარულმა მიგაჩვია სინდონების ვადახვებას. წარმატებით ჩადარა თეატრმა ვასტროლები საქართველოს მრავალ რაიონში.“

სასიხარულოა, რომ თეატრის ახალი შენობა ტექნიკურად გაუმჯობესებული იქნება და რეჟისორებს საშუალება მიეცემა პრაქტიკულად განახორციელონ ფართო მასშტაბის სექტაკლები.

სიამოვნებით ვიგრძენ ჩემი მუშაობის პირველ პერიოდში შექმნილი სახეებს, ჩემთვის დასამსოვრებელი გიყო ხარფუტხის („უძილო დამეები“), ეისკოპოსის (მანდული („ოღორი“)), გურამ ჭიჭინაძის („შოინა დამე“), მომღველო პერიოდდან კი — ორგონს („ტარტუოში“), გენერალ ანდრონიკაშვილს („დრო 24 საათი“), ალფერდიანს („ქეთევანი“) და სხვა.

ახლო მომავალში ჩემი და ჩემი თემების კავშირებითა — თეატრის ახალ შენობაში ვაგსლით დიდყო მადალაროვებითი სექტაკლები. ჩვენი თეატრი ხომ ჭერ კიდევ ახალგაზრდულია. მოვარა სიამოვნებით ვიგრძენ ჩემს მეგობარებს. ჩვენი თეატრის პირველი ჭერ კიდევ წინაა, საერთო იმედი და რწმენაა — აი, რა აურთიანების ხანის კოლექტივის.“

მესხეთის თეატრი ახალგაზრდულია, ახალგაზრდობას კი უყვარს ძიება, ურთიშობისდაც არ არსებობს ნამდვილი შემოქმედება.

გ. ჭიჭინა.
ი. ბაკურაძე.
ო. რევიანიშვილი.
ც. კობახიძე.

მწარმე და მრავალგვარა ქართველ ხელოვნებამცოდნეთა ოჯახი. მოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რაც თავისთავად სასიამოვნო მოვლენაა. მაგრამ როგორი იქნება მათი ხელისაღწევა, რა დროს დადგება მათი მომავალი?

ჩვენს სწორედ ამ საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ხშირად გაიგონებთ, საჭირო კია ამდენი სპეციალისტი? რა იქნება 10-15 წლის შემდეგ? ამგვარი უსაფუძვლო ეჭვი საქმეს ავნებს და სასიკეთოს კი ვერაფერს შესძენს.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია ისტორიული და მატერიალური კულტურული ძეგლებით. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას 5000-ზე მეტი ძეგლი აქვს აღრიცხული. ყველა მათგანს მზრუნველი ხელი და მოვლა-პატრონობა სჭირდება. მათ მოსაძულად გამოყოფილია უამარვი თანხა, მიიჩნევიან მკაცრ მეთოდებს, მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ ძეგლების მდგომარეობა საგალალოა.

გარდა ამისა, თუ შეხედვითაში არ მივიღებთ რამდენიმე ისტორიულ ძეგლს — სხვაგან ვერსად შეხვდებით სპეციალისტ ხელოვნებამცოდნეს, რომელიც სწორ ინფორმაციას მიაწოდის ჩამოსულ სტუმარს. რატომ არ შეიძლება გელათისა და იყალთოს მაგალითები სხვა ისტორიულ ძეგლებზეც რომ გავრცელდეს? ჯვარი, ატენი, სამთავისი, ქვათახვი, ერთაწმინდა, ყინწისი, ნიკორწმინდა, გრემი, ალავერდი, ზარზამა, საფარი და კიდევ მრავალი და მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლი სპეციალისტ ხელოვნებამცოდნეს სჭირდება. ვინ დაიცავს ძეგლს იმაზე უკეთესად, ვისაც მისი მნიშვნელობა ესმის?

ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში არსებობს კულტურის განყოფილება, რომელსაც ევალება თავისი ქალაქისა თუ მხარის კულტურულ ცხოვრებაზე ზრუნვა. მაგრამ დასამალი არ არის, რომ კულტურის განყოფილებებში ჭარბობს არასპეციალისტი და სათანადოდ მოუმზადებელი მუშაკების რაოდენობა.

ვინ უნდა მუშაობდეს იქ, თუ არა ხელოვნებამცოდნე-ისტორიკოსი, რომელმაც კარგად იცის თავისი ქვეყნისა და კუხის ისტორიული წარსული, იცნობს დღევანდელი კულტურული ცხოვრების მიღწევებს, ფიქრობს წარსულისა და აწმყოს ურთიერთკავშირზე.

ჩვენი რესპუბლიკის რაიონულ და საქალაქო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში ხელოვნების საკითხები ეხებათ არასპეციალისტებს, შემთხვევით ხალხს. ამიტომაც ან სულ არაფერი იბეჭდება ხელოვნებაზე, ანდა თუკი იბეჭდება, იმდენად სუსტი, რომ მის გამოქვეყნებას არავითარი აზრი არა აქვს.

აქაც უსათუოდ ხელოვნებამცოდნეა საჭირო.

ჩვენთან 70-ზე მეტი მხარეთმცოდნეობის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, მუზეუმის ფონდებში კი ხშირად შეხვდებით ადამიანებს, რომელთაც ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვთ.

თბილისის სამხატვრო აკადემია და სახელმწიფო უნივერსიტეტი წელიწადში სულ რაღაც 15-20 სპეციალისტს უშვებენ. ასე რომ, ორივე უმაღლეს სასწავლებელს მრავალი წლის შრომა დასჭირდება იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს ყველა მის მოთხოვნილება, რომელთა შესახებაც აქ გვეჩინდა საუბარი.

არსებობს აზრი, რომლის მიხედვითაც თითქოს ამ ორი უმაღლესი სასწავლებლის დანიშნულება (ვევლისხმობთ ხელოვნებამცოდნეების მომზადებას) ერთი და იგივე იყოს. ნამდვილად კი ორივე უმაღლეს სასწავლებელს აქვს თავისი განსაკუთრებული ამოცანები და პროგრამები, ერთის სწავლება თუ პრაქტიკული თვალსაზრისით წარმართება, მეორისა — ისტორიული და თეორიული ასპექტით.

აღსანიშნავია, რომ არქიტექტურის ფაკულტეტი სამხატვრო აკადემიაში არსებობს და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც, ქიმიის ფაკულტეტი უნივერსიტეტსაც გააჩნია და პოლიტექნიკურ ინსტიტუტსაც, ჯერ არ გავიგია, რომ ვინმეს წამოცდნოდეს რაიმე მათი იდენტურობის შესახებ.

ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრა ნახევარ საუკუნეზე მეტა არსებობს უნივერსიტეტში და ამ კათედრაზე აღზრდილი დღეს საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი არიან.

ამ ორ უმაღლეს სასწავლებელს მართლაც აქვს ერთი საერთო მიზანი, ეს ჩვენი ხალხის მიერ შექმნილი მატერიალური კულტურის ძეგლებზე ზრუნვა! ამისთვის ამზადებენ ისინი საჭირო სპეციალისტებს, რაც დიდი ეროვნული და საშვილიშვილო საქმეა.

თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, ჩვენს რესპუბლიკაში რამდენიმე ასეული დაწყებითი და სრული საშუალო სკოლა არსებობს. საბავშვო ბაღები ხომ ჭარ-

პაღრები

დკ

პერსპექტივა

მამია ანობაძე



ხად გვაქვს, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებიც საკმაოდ მომართულა. თუ იმა-
ხად დადგმატბით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ჩვიდმეტი უმაღლესი თუ ათობით საშუა-
ლო სპეციალური ტექნიკუმი და სასწავლებელია, საკმაოდ დიდ ციფრს მივიღებთ. ამ
შემთხვევაში არც წარმოება-დაწესებულებები და კვლევითი ინსტიტუტები არ უნდა
დაგავიწყდეს — უმრავლესობას, აუცილებლად, სჭირდება მსატკარი. ბევრს უკვე
აქვს კიდევ ასეთი საშტატო ერთეული. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარადია. იქ შემ-
თხვევითი ადამიანები მუშაობენ, რომლებიც ზერეულად გვიდებან ამ საქმეს. თუცა
შემთხვევით ადამიანს სხვა რა მოეთხოვება! ისე ნუ გამოგებთ, თითქოს ჩემი მიზანი ამ
ადამიანთა ლანძღვა იყოს, ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ყოველი ადამიანი
იმ საქმეს უნდა ემსახურებოდეს, რომელიც იცის. ზოგჯერ თვით მსატკარი — სპეცია-
ლისტიც უარს ამბობს იქ მუშაობაზე. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენს მიერ ჩამოთვლი-
ლი დაწესებულებები არ ქმნიან მსატკარისათვის ნორმალურ სამუშაო პირობებს, არ
უტკივებენ დროს თავის თავზე მუშაობისათვის. მსატკარი ვერ მსატკებლობს კანონით
გათვალისწინებული შემოქმედებითი დასვენების დღით.

დღეს მსატკარი-დიხაინერი, წარმოებისათვის მეტად საჭირო პიროვნებაა. პრო-
დუქციის მსატკრულად გაფორმებას დღითიდღე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა,
ჩვენ კი ვერ ვიყენებთ ჩვენს ნიჭიერ მსატკრებს, რომელთა ხელი არავალ წარმოებ-
დაწესებულებას, აშკარად, აკლია.

ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ტერიტორიებზე შესვლებით უამრავ დროებით ნაგებო-
ბას, რომელიც არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ, ხომ შეიძლება ასეთი ნაგებობები
გადაკეთდეს შემოქმედებით სახელისნობად, სადაც მსატკარი შესარულებს ჩანახა-
ტებს, წარმოების მოწინავე ადამიანების პორტრეტებს, შექმნის თემატურ კომპოზიცი-
ებს მათ შრომაზე, მოაწუბოს გამოფენებს, ამავე დროს მსატკრულად გააფორმებს ქარ-
ხნის ტერიტორიას. შეუძლებელია, რომ ასეთ პირობებზე რომელიმე ახალგაზრდა
მსატკარმა უარი თქვას. ეს მათი ოცნება!

ფიქრობთ, ამ საკითხის მოგვარება არ გაუჭირდებათ წარმოება-დაწესებულებათა
ხელმძღვანელებს.

ახალგაზრდა მსატკარი თავს არიდებს სკოლაში მუშაობას. ეს იმიტომ, რომ აქ
მუსიკის მასწავლებლის მსგავსად, აღმზრდელად კი არ მიაჩნიათ, არამედ რაღაც გა-
ურკვეველი მოვალეობის შემსრულებელ პირად. ბავშვების ესთეტიკური გემოვნების გან-
ვითარების მაგიერ, აღსაზრდელთა თვალწინ ყოველგვარი უცემოვნო დაღვალის
შესრულებას ახალგაზრდა მსატკარი სკოლაში მიდენდადა ვადატვირთული სხვა დაავალე-
ბებით, რომ კარგავს ყოველგვარ შემოქმედებით ინტერესს, რაც დამუშავებლად მოქ-
მედებს მის შემოქმედებით ზრდაზე.

იგივე ითქმის საბავშვო ბალებზე ნორჩები ხომ ფეხის ადგმასთან ერთად ფანქარ-
საც აკიდებენ ხელს. ცდილობენ ქალაქზე გადმოიტანონ თავიანთი პირველი შთაბეჭ-
დილებები. რაოდენ საინტერესოა მათთან მუშაობა, მაგრამ ვინ ასწავლის იქ ხატვას?
ამ საქმის აბსოლუტური უცოდინარი. როგორც მუსიკის, ისე ხატვისთვის განკუთვნილი
დრო ბავშვებმა სპეციალისტ-პედაგოგებთან უნდა გაატარონ.

ნორჩების ესთეტიკური გემოვნების განვითარებას საფუძველშივე სჭირდება ყუ-
რადღება და გაფრთხილება. თორემ მისი გამოსწორების შემდგომი ცდა ამაო იქნება.

საყურადღებოა კიდევ ერთი საკითხი. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონ-
ებში მუშაობენ მთავარი არქიტექტორები, მაგრამ არ არიან მთავარი მსატკრები.
მსატკარს კი რაიონებსა და ქალაქების კეთილმოწყობისათვის მრავალი სასარგებლო
საქმის გაკეთება შეუძლია.

ზოგიერთი რაიონის არესთეტიკურ უგემოვნო გაფორმებაზე ხშირად ვლაპარაკობთ
და ვწერთ, ვკიცხავთ კიდევაც მათ ხელმძღვანელებს. ვინ შეძლებს ამ ხარვეზების გა-
მოსწორებას, თუ არა მსატკარი. ამისათვის საჭიროა დაისვას საკითხი, რომ მთავარი
არქიტექტორის გვერდით მუშაობდეს მსატკარიც, რათა ისინი ერთად სწვევებდნენ გა-
ფორმებისა და დაგეგმარების საკითხს.

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი რადიკალური ძვრები, ჩვენი ყო-
ველგვარი საქმიანობისადმი ღრმა მეცნიერული მიდგომა, რაც ასე აუცილებელი იყო და
ჩვენი თვალწინ ხორციელდება, საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მალე ახალ-
გაზრდა სპეციალისტ მსატკრებისა და ხელუნიებთამცოდნეთა განაწილების საკითხი
პრობლემა აღარ იქნება.

შპსსასხმლ წლებში შემდგარმა რამდენიმე დღეებში დაგვანახა, რომ ქართული კინოს დღევანდელი დღე საკმაოდ რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე სინამდვილეა.

როდესაც ახალგაზრდა შემოქმედთა შესახებ ვლაპარაკობთ, აქცენტი, ვფიქრობ, გადატანილი უნდა იყოს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს პირველ ნაწარმოებს თავად ავტორისათვის.

ახალი ავტორის მხატვრულ ნაწარმოებში არსებით ინტერესს იწვევს თვით შემქმნელის ის პიროვნული, ინდივიდუალური თვისებები, რომელიც მას დანარჩენებისაგან განასხვავებს. და თუ ნაწარმოები რამდენადმე მაინც არ ავლენს მხატვრის მიერ სამყაროს გარკვეულ და თავისებურ ხედვას, მაშინ უსათუოდ გაგვიჩნდება ეჭვი, რომ ფილმის მიღმა შემოქმედებითი პიროვნება არ დგას. თუმცა, ხელოვნების განვითარების ისტორიაში ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზოგიერთი უდიდესი მხატვარი თავის შემოქმედებით გზას მიბაძვით იწყებდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი მიბაძვაში გამოკრთოდა ის პიროვნული და განუმეორებელი თვისებები, რომლებიც მხოლოდ ამ მხატვრისათვის იყო დამახასიათებელი.

ამრიგად, ახალ ნაწარმოებში ჩვენ გვსურს დავინახოთ მხატვრის ინდივიდუალობის უშუალო, გულწრფელი გამოვლენა, რომელიც ჯერ არ არის შენიღბული პროფესიული შტამებით.

თუ ახალბედა რეჟისორების ფილმების ნაწილი სავსებით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას და უფრო მეტიც — საკმაოდ დახვეწილ ოსტატობასა და გემოვნებაზე მიგვიანიშნებს, არცთუ ისე ცოტაა ფილმები, რომლებიც შექმნილია არა უშუალო, გულწრფელი და ემოციური აღქმის გზით, არამედ — „გარანტირებულობის“ პრინციპით. ეს „გარანტირებულობა“ კი ნიშნავს იმას, რომ ფილმში თითქმის ყველაფერი თავის ადგილზეა, გამოყენებულია თანამედროვე კინოს საშუალებები, პროფესიონალი მსახიობები, მაგრამ განსახიერება უღიმღამოა, და მისი შემოქმედი — გაბედულებას მოკლებული, ყოველივე ეს კი აშკარა მარცხსაც გამოიქცავს და გამარჯვებასაც.

ხელოვნების განვითარება, ცხადია, მხოლოდ გამარჯვებით არ აღინიშნება. ამ გზაზე მოსალოდნელია ჩავარდნები, უარყოფითი ინერცია, ხელოსნურობა, ექსპერიმენტს კი, შესაძლოა, თან სდევდეს მარცხიც. და მაინც გულწრფელი, უკომპრომისო შემოქმედებითი აქტის უარყოფითი შედეგი (რაც, უდავოდ, გულსატკეპია!) უფრო საინტერესოა, ვიდრე უფერული, ორდინარული „გარანტირებული“ მოვლენა.

ქართული კინორეჟისურის ახალი თაობის ძირითად ტენდენციას თანამედროვეობისადმი გამძაფრებული ინტერესი განსაზღვრავს. მისი საერთო ნიშანია მორალურ-ეთიკური თემატიკით გატაცება. თითქმის ყველა რეჟისორმა თავისი ძალა პირველად მოკლემეტრეაჟიან ფილმში მო-

პირველი ცდაები

ლ კ

შთაბეჭდილებები

ირა კუჭუბინიძე

ისხამ. მაგრამ იმ ფილმების გვერდით, რომლებიც შეიკავენ საინტერესო ფიქრებს ცხოვრებასა და ადამიანებზე, შემქნილია ისეთებიც, სადაც არ არის არც აზრის სიხალე, არც ორიგინალური ფორმა, არც ნათელი პოზიკია. ალბათ ზოგიერთ დრამატურგსა და რეჟისორს „პატარა“ ადამიანის ჩვეულებრივი განცდების მიმართ ინტერესი (რომელიც მოკლე ფილმების ერთ-ერთ ნიშანთვისებას წარმოადგენს) ესმით როგორც უარის თქმა თანამედროვე გმირის მაღალი სულიერი მოთხოვნების ასახვაზე. ამით ისინი დიდ შემოქმედებით ამოცანას აწვრილმანებენ: ცხოვრებაში თამამ და თვითმყოფად ჩაწვდომას, რომელიც ხშირად ავლენს თავისებურ სიტუაციებსა და განუყოფებელ ხასიათებს, სცვლიან შემთხვევითობით, ხასიათებისა და სიუჟეტების უმნიშვნელობით და სტერეოტიპულობით.

დამწყები რეჟისორების ნაწილი მუშაობს კინოსტუდია „ქართულ ფილმი“-ს, დანარჩენმა თავისი ბედი დაუკავშირა საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაში.

რეჟისორ თ. ბაქრაძის პირველ ნამუშევარში — ორნაწილიან სამეცნიერო-პოპულარულ ფილმი „ეკოლიპი ზურაბაშვილი“ — ნათლად და ლაკონურად გამოისახა ავტორისეული ჩანაფიქრი.

სულით დაავადებულია „სამყაროში“ შესვლა, მათი ნდობის მოპოვება მოითხოვდა ხანგრძლივ მოთმინებას, დაკვირვებას და დოკუმენტური გადაღების სხვადასხვაგვარი საშუალებების გამოყენებას. ავტორმა უპირატესობა მისცა „შერეულ“-ი კამერის მეთოდს, რამაც შესაძლებელი გახდა გარემოს და პაციენტების საქციელის ბუნებრიობის შენარჩუნება; ეს ფილმს საჭირო დამაჯერებლობას აძლევს, მაყურებელს კი — ფსიქიატრიული კლინიკის თავისებური ატმოსფეროს შეგრძნების საშუალებას.

აქ ფერი, მონტაჟი, ხედვები და პირობები იორგანულადაა შერწყმული მილიანიანობისთან. რეჟისორ თ. ბაქრაძის მომდევნო მხატვრული ფილმით („მადრეანი“) კი იქნება მთავებდობა, რომ ავტორი ძირითადად ფორმალური ძიებებით არის გატაცებული. ამგვარად, გარეგნული ფორმის ორიგინალობის პრეტენზია ჩნდება ეს პრეტენზია, გარდა იმისა, რომ უსაფუძვლოა, ბადებს უსიამოვნო მრავალმნიშვნელოვნებას, რომლის იქითაც, სამწუხაროდ, არაფერია საყურადღებო და საგულისხმო.

საერთოდ, ასეთი მიდრეკილება, უფრო სწორად, პრეტენზია, რომ ფილმის აზრობრივი მხარე უფრო რთულად და ბევრისმოქმედლად გამოიყურებოდეს — სხვა ახალგაზრდა რეჟისორების ნამუშევრებშიც შეიმჩნევა. მაგრამ, როდესაც პრეტენზია ადეკვატურ განსახიერებას ვერ პოულობს, მაშინ ფილმი მაყურებელს მხოლოდ აღიზიანებს.

ნაწარმოები კუმარითად მხატვრული მაშინ

არის, როდესაც ის მაყურებელში ემოციურ ან ინტელექტუალურ თანაგანცნობას იწვევს. ეს კი მხატვრის გულწრფელობას და სათქმელის ნათელ გამოხატვას ითხოვს.

მით უფრო ბუნებრივია ეს მოთხოვნა, როდესაც საქმე გვაქვს ახალგაზრდა თაობასა და კინონაწარმოების ისეთ სახეობასთან, როგორცაა მრის გულწრფეობა ფილმი, რადგან ის, როგორც წესი, მოგვითხრობს ადამიანის უბრალო გრძნობებსა და დაბოკიდებულებებზე.

რეჟისორმა ი. ასათიანმა თავის ნოვლებში უარი თქვა დიალოგებზე: „შვილობით, ინესა“ და „ჩემი არდადეგები“ უსიტყვო ფილმებია.



სადრი ფილმიდან „წიკერტება“.

ასეთი მაგალითები თანამედროვე კინოში არსებობს, მაგრამ მათ შორის საუკეთესოები მეტყველებენ იმის შესახებ, რომ ხმოვანი კინოს სტაბილურად, დიალოგების შეცნობული უარყოფა, ფილმის სხვა კომპონენტების ამტკიცებლობის შედეგად მიღებული მხატვრული ეფექტით უნდა იყოს გამართლებული.

ძნელია იმის უარყოფა, რომ ფილმის შინაარსისა და იდეის განხილვის სიტყვები ხშირად გადაწყვეტს როლს თამაშობენ. და როდესაც ავტორი უარს ამბობს მათ გამოყენებაზე, მაშინ მან უნდა შესძლოს გააცოცხლოს ყოველი დეტალი, ელემენტი; შესძლოს აზრი და თავისი ხედვა გადმოგვეცეს პლასტიკის, რიტმის, ხედვების და პირობების საშუალებით, პლასტიკური და ხედვითი სახეების მოძრაობით, ფერის და მუსიკის დრამატურგიული დატვირთვით. ესე იგი, ამ შემთხვევაში, ფილმის პოეზიას უნდა შეადგენდეს

ხმა-ხედვითი და პლასტიკურ-რიტმული ეონტრასტუნიტი.

„მშვიდობით, ინესა“ და „ჩემი არდადეგები“ ამ მხრივ მოკლებული არიან რაიმე განსაკუთრებულ ინტერესს. ხოლო რაც შეეხება მათ აზრობრივ მხარეს — შესაძლოა ის, ცალკე, ფილმის კონტექსტის გარეშე გარკვეული ღირსების შემცველიც იყოს, მაგრამ მხატვრული განსახიერება (ორივე შემთხვევაში) და ბუნდობლივი გამოხატვა („ჩემი არდადეგები“) ავტორისეულ აზრებს გაუგებარს ხდინან. უფრო მეტიც: „ჩემი არდადეგები“ საკმაოდ საინტერესო ამბავია (სცენარის ავტორი გ. ბადრიძე) სუსტი მსახიობური განსახიერების და პასიური, გულისეული თბრობის გამო, მოსაწყენი ხდება, ხოლო კეთილშობილი აზრი, რომელიც შინაარსიდან ბუნებრივად უნდა იზადებოდეს — ავტორების გაურკვეველი პოზიციის მეოხებით მნიშვნელობას კარგავს.

ფილმის წარმატებლობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ, აგრეთვე, მეტად უფერული მსახიობური განსახიერება. ეს განსაკუთრებით ფოტოგრაფ მალაქიას რღლის შემსრულებელს ეხება (მსახიობი შ. ხერხეულიძე), რომელმაც საინტერესო, უჩვეულო სახე ერთფეროვანი და უსიმართლო გახადა.

ამასთან დაკავშირებით ვგახსენებდა სხვა ფილმები, რომლებშიც განსხვავებული, არაორდინარული გმირები მსახიობების მიერ შესრულებული იყო მიმოიღველად, მხატვრული დამაჯერებლობით, იგრძნობდა რეჟისორის ნათელი პოზიცია. ერთ-ერთი ასეთი ფილმია „ჩამავალი მზე“ (სცენარის ავტორი ლ. ჭკელიძე, დამდგმელი რეჟისორი თ. ფალავანდიშვილი).

ნოველა მოვითხრობს ყოფილი კაპიტნის, ამჯერად პენსიონერ სადრო ცავარევიშვილის ერთი დღის შესახებ.

ფილმში განუწყვეტლივ ენაცვლებიან ერთმანეთს რეალური სინამდვილე და წარმოსახვები, რასაც რეჟისორი ახორციელებს არა კონტრასტული დაპირისპირებით, არამედ ოდნავ შესამჩნევ ფერითი ნიუანსების ცვალებადობით. ოცნებებში სჭარბობს გამჭვირავალ თეთრი ფერი. ასევე ფერშია გადაწყვეტილი ზღვა — დანახული მეოცნების თვალით და ზღვა — რეალური, იმათვის, ვინც დღეს მის სივრცეებს ეუფლება.

„ჩამავალ მზეში“ ეპიზოდები აგებულია მსუბუქად და მსვილიგონიერად, მაგრამ ამ ფაქტორს კომედიამო შეპარულია სვედანიის ნოტაც.

ასეთივე რბილი იუმორით და ნაღვლიანი განწყობით ასრულებს მეოცნებე კაპიტნის მიმოიღვევლ და მართალ სახეს მსახიობი ვ. ჩხაიძე.

ეს პატარა ფილმი აღსავსაა სიკეთითა და ადამიანის სიყვარულით.

ბევრად ნაკლები მხატვრულობით, მაგრამ ასევე ნათლად გამოიხატა რეჟისორ თ. ფალავანდიშვილის ადამიანური პოზიცია და ლირიკული ბუნება ნოველაში „ქალიშვილი და ჯარისკაცი“.

რომელიც მოვითხრობს ახალგაზრდა შეყვარებულზე, მათ პირველ დამოუკიდებელ ნაბიჯებზე და ცხოვრებაში უშუალოდ მისი არჩევანი.

ორივე ფილმში გამოჩნდა თ. ფალავანდიშვილისათვის ასერივად დამახასიათებელი ნიშანთვისებები: ლირიზმი, სიკეთე, მაგრამ გამოჩნდა ერთგვარი ინფანტილიზმი და ზედმეტი სიმშვიდე.

„ჩამავალ მზეში“ ყურადღება მიიპყრო დებიუტანტმა ოპერატორმა გ. ჩირაძემ. საჭირო განწყობის შექმნა ფილმში ბევრად იყო განპირობებული სწორად შეყვებული გამოსახულებებით.

საკმაო რაოდენობით გამოდის კერანზე ფილმები, სადაც სანახაობით მხარე მინიმუმად დაყვანილი და პრიმატი, აშკარად, ლიტერატურას აქვს მინიჭებული, მათში ყურადღება მთლიანად გამახვილებულია სიტუაციება და მსახიობურ განსახიერებაზე. ეს ცალმხრივი მიმართულება, აცლის რა კინოხელოვნებას სანახაობის სათავეებს, ცხადია, აღარიბებს მის სინთეტურ ბუნებას. ამიტომ, საკვებით კანონზომიერება რეაქცია, რომელიც გამოიხატება კინონაწარმოებში გამომსახველობაზე ყურადღების ძირითადი ან მთლიანი გადატანით. ამგვარი აქცენტირება კი თავისთავად იწვევს ლიტერატურული ელემენტების უსუსტებას.

აღნიშნული სტილისტიკა სწორად მაღალმხატვრულ რეჟურტატს იძლევა. ისეთი შემთხვევებიც ვიცით, როდესაც გამომსახველობითი კომპონენტი შედარებით ორგანულად არის შერწყმული ფილმის სხვა მხარეებთან. ზოგჯერ კი, სამუშაოროდ, თვითიზნურ ხასიათს ატარებს.

ვინაიდან კინემატოგრაფიის სპეციფიკა გულისხმობს ფილმში „ვიზუალური“ სახის შექმნას, შემოქმედთა მიერ გამოსახულების დახვეწის ცდები თუთოდ აუცილებელი და კანონზომიერი მოვლენაა. თუმცა ეს ცდები სწორ შემთხვევაში უსაფუძვლო და ინტერესს მოკლებულია.

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „მონადირე“ და „ცოტნე დადანი“ სწორად მიგვანიშნებს რეჟისორ ალ. ჟღნების მიდრეკილებაზე ხედვითი დაწაწყვისადმი. მათში ყურადღება მთლიანად გადატანილია გამოსახულებაზე, რის გამოც თითქმის უგულებელყოფილია სიუჟეტური ქარაგ. კონკრეტული ამბები, რომლებიც ამ ნაწარმოებებს დაედო საფუძვლად, ავტორისთვის აბსტრაქტული კატეგორიების გამომსახველ საშუალებად იქცა. მისი ინტერესის სფეროში იმყოფებიან არა ცოცხალი ადამიანები და მათი ბედი, არამედ მორალური სქემა. ყოველივე ეს კი ბაღვს გამომსახველობითი სტილის სტატიკურობას.

კადრის კომპოზიცია არასდ არ არის შემთხვევითი. გამორჩეულია მასში რაიმე ზედმეტი დეტალის, მოძრაობის ან თუნდაც ვესტისა და მიმიკის არსებობა. ყოველივე ზუსტად განსაზღვრული და მეტისმეტად მოწყობილია. უმნიშვნე-

ლო დეტალიც კი მხარავალმნიშვნელოვანია, რაც ხშირად გაუმართლებელია და ამიტომ გამადიზიანებელიც ამ მომენტების გვერდით შეეხედებით ისეთ კადრებსაც, რომლებიც მოკლებული არიან აზრობრივ და ემოციურ დატვირთვის. მათ მხოლოდ თავისი მადლიერი „ფაქტურულობით“ მიუძღვით ავტორის ყურადღება.

„ცოტოდ დადიანი“ რეჟისორის მიერ ისტორიული ფაქტის მტკიცე და თავისუფალი მხატვრული გააზრების შედეგია. სცენარის ავტორი და დამდგმელი ალ. ჟღენტი გვაფაზის ერთ „ფურცელს ქართლის ცხოვრებიდან“. ის ავტორს იმ-



კადრი ფილმიდან „მშვენიერი კოსტუმი“.

დენად აინტერესებს, რამდენადაც გარკვეული ცნებების ილუსტრაციის საშუალებას აძლევს. რეჟისორი გულახდილად მიმართავს ბიბლიურ ანალოგიებს და კლასიკური ფერწერის კომპოზიციებს (ასეთია, მაგალითად, „საიდუმლო სერობა“).

გამოსახულების პრიორიტეტი სხვა ახალგაზრდა რეჟისორების ნაშრომებისთვისაც არის დამახასიათებელი.

როდესაც გიორგი შენგელაიამ გადაიღო თავისი პირველი ფილმი „აღავერღობა“, ყურადღება მიიპყრო ოპერატორმა ალ. რეზიაშვილმა. მან იმოთხოვეთ გამოაღონა სტილის, ქანრის, კომპოზიციის, შუქრდილის შესანიშნავი გრძობა, ტაქტი, გემოვნება და ამასთანავე შინაგანი დამაბულობა.

რამდენიმე წლის წინ ნიჭიერმა ოპერატორმა

გადაწყვიტა შემოქმედებითი ამაღლა შეეცადა და კინორეჟისორად მოგვევლინა.

პირველი ფილმის მიხედვით (მ. ჯანაშიაშვილის „ნუცა“ ვერანაზაია), ცხადია, ძველია გადაწყვეტით ვილაპარაკოთ ავტორის ნიჭიერებაზე. მაგრამ მკვეთრად გამოხატული მიდრეკილება შესაძლებელს ხდის აღვნიშნოთ ალ. რეზიაშვილის შემოქმედებითი თავისებურების ნიშნები.

„ნუცაში“ იგრძნობა ხაზგასმული პლასტიკურობა, ყურადღების გამახვილება ხედვით დახასიათებებზე, რაც ჩანაფიქრისათვის ძირითადად ორგანულია. ავტორმა „გვერდი აუხვია“ ფილმის სიტყვიერ კომპონენტს, რომელიც აქ ძუნწი დილოგების სახით არის მოცემული.

ფილმის არსი მდგომარეობს გრძობათა დინამიაში. ემოციურობას გამოსახულება გამოსატყავს. ამიტომ გმირების რეაქციები ლაკონიური და ლაპიდარულია, ხოლო პეიზაჟები უხვი და მეტყველი.

ფილმის გამომსახველობითი მხარე უდავოდ მხატვრულ დონეზეა განსახიერებული და დახვეწილ გემოვნებასა და ოსტატობაზე მეტყველებს (ფილმის რეჟისორიც და ოპერატორიც ალ. რეზიაშვილია), მაგრამ ასეთი აქცენტირება რამდენადმე აღირიბებს და ასუსტებს ხასიათების გამოკვეთას, დრამატურგიულ სვლას ზოგჯერ გარკვეულ ეფექტს უქვემდებარებს, რის გამოც იხადება შეგრძნება, თითქოს ავტორისთვის დადანიშნებიც, ისევე როგორც საცანები და პეიზაჟი, მხოლოდ საინტერესო გამოსახულების მიღების საშუალებას წარმოადგენენ.

არც თუ ისე ხშირია შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა კინორეჟისორების პირველი ნაწარმოებები ყოველმხრივ უნაკლოა და ნათლად გამოხატავს ავტორის პიროვნებას. ისეთი მაგალითებიც ვიცით, როდესაც საშუალო ფილმების საკმაო რაოდენობას მოჰყვება მხატვრის უეცარი და სრული გარდატეხა. ცნობილია საპირისპირო ფაქტებიც — წარმატებულ დასაწყისშივე შემოქმედებითი უნარის გამოღევა. ამიტომ კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ პირველი ფილმები ხელოვანის შემოქმედებითი ინდივიდუალობის უშუალო, მაგრამ შედარებით გამოვლენის საშუალებაა მხოლოდ და არა გადაწყვეტი, ან საბოლოო დასკვნების გამოტანის საგანი. ცალკეული ხარვეზები, დაუსწავლობა ან რომელიმე მხარით მოჭარბებული ვატაცება არ წარმოადგენს იმდენად ამაღლებველ ფაქტს. ბევრად უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია რამდენიმე ეფექტური, მაგრამ არსებითად გაუბედავი, მკრთალი, გულგრილი თხრობა.

ამ მხრივ სასიხარულო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში ახალგაზრდა რეჟისორების მიერ შექმნილი ზოგიერთი ფილმი.

თუ შემოქმედებით გზის დასაწყისში სტუდია ძირითადად მოკლემეტრაჟიან სურათებზე მუშაობდა, ამჟამად აქ უკვე შექმნილია სრულმეტრაჟიანი ნაწარმოებები, რომლებიც ამ სტუდიის შემოქმედებით შესაძლებლობებს უფრო სრულად ავლენენ. და გვინდა ვიფიქროთ, რომ მომავალში რეჟისორები სატელევიზიო ფილმის ისეთ სპეციფიკურ სახეობასაც მიმართავენ, როგორიც მრავალსერიიანი სურათია.

გასულ წელს გადაღებული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები — „ლახარე“ (რეჟ. ბ. ხოტვაიტი), „უსასრულობა“ (რეჟ. ლ. სიხარულიძე), „წიკაურები“ (რეჟ. რ. ესაძე) — სწორედ ისეთი მაგალითებია, რომლებიც, აშკარად შესამჩნევი ნაკლოვანებების მიუხედავად, მხატვრულ ღირებულებას წარმოადგენენ და, ამავე დროს, ნათლად გამოხატავენ სრულიად განსხვავებულ შემოქმედებით ინდივიდუალობებს.

ახალგაზრდა რეჟისორების მიერ ტელეფილმების სტუდიაშივე შექმნილი დოკუმენტური ფილმებიდან ყურადღებას იპყრობს: „ხაბაზები“ (რეჟისორი ბ. რაჭველიშვილი), „სერგო ზაქარაიძე“ (რეჟ. დ. ბათიაშვილი), „ძველი ქართული საგალობლები“ (რეჟ. ს. ჩხაიძე).

რეჟისორმა ზ. თუთბერიძემ თავისი პირველი მხატვრული ფილმი „კოლა და ვანო“ გადაიღო საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ბაზაზე.

ფილმის ეკრანული სამყარო ერთდროულად პირობითი და რეალური სინამდვილის ნიშნებითაცაა აღსავსე. სოფლის განაპირას, ყველასაგან მოშორებით, ურთიმეოროს გვერდით სახლებში ცხოვრობს ორი გლეხი — კოლა და ვანო. მათთვის უერთმანეთოდ ცხოვრება ყოველგვარ აზრს მოკლებული, უინტერესო და წარმოდგენილია. ამავე დროს ისინი მკვეთრად გამოხატული ხასიათის ადამიანები არიან, რაც ხშირად ურთიერთ შორის უთანხმოებას ბადებს.

ეს უბრალო და სადა სიუჟეტი (სცენარის ავტორი ზ. თუთბერიძე) გადმოგვცემს მეტად პუმანურ აზრს იმის შესახებ, რომ ადამიანთა ბედნიერება მათ ერთიანობაში, ურთიერთგაცებასა და მხარდაჭერაშია, რაც არამეტუ არ გამოირცხავს პიროვნული ღირსებების, ინდივიდუალური თავისებურებების შენარჩუნებას, არამედ პირიქით — ბევრად განპირობებულია ამ ფაქტორით. ყოველივე ეს გადაწყვეტილია მხატვრული დამაჯერებლობით, იუმორით, ბუნებრივი სიმსუბუქით, სადად და ნათლად. ამიტომაც პროფესიული ოსტატობის ნაკლებობით გამოწვეული უმნიშვნელო ხარვეზები, ფილმის აღქმის პროცესში გადამწყვეტ როლს არ თამაშობენ.

ასეთი განაცხადი რეჟისორისგან მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს, ამიტომაც გულსატკეპნია ზ. თუთბერიძის მარცხი, რომელიც დაკავშირებულია ფილმთან „გასეირნება“. მომავალი ნამუშევარი, ალბათ, რამდენადმე მაინც, ნათლს

მოპყდეს იმ ორგოფულ აზრს, რომელიც რეჟისორის შესახებ დაბადა ორმა, სრულიად განსხვავებული მხატვრული ღირსების მქონე ფილმების დაახლოებით მსგავსი სიტუაცია შეიქმნა რეჟისორ ლ. ელიავას პირველი ორი ფილმის გამოსვლით.

სადილობო სურათი „ბზინათია“ რეჟისორმა ტელეფილმების სტუდიაში გადაიღო. ამ კინომინიატურაში გამოვლინდა ავტორის ლირიზმი, სიკეთე, ადამიანის სილამაზის დანახვის სურვილი ანა მხოლოდ მის გარეგნობაში, ამიტომაც ფილმის პერსონაჟების მიმართ იგრძნობა დიდი სითბო და სიყვარული. „ბზინათია“ დაგვანახა ლ. ელიავას კიდევ ერთი იშვიათი უნარი — კოლორიტული და მეტყველი ტიპაჟის შერჩევა, რაც მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ საინტერესო მინიატურას მოჰყვა „ესისკოპოსი ნადირობაზე“, რომელიც, სამწუხაროდ, აშკარად ვერ დგას სათანადო სიმალდზე. სასამოვნოა, რომ მომდევნო ფილმმა („მშვენიერი კოსტუმი“) კვლავ დაიბრუნა ის ძირითადი, რაც ლ. ელიავას პირველ ნამუშევარს ასეთ მიმზიდველობას ანიჭებდა.

ამ წერილს პრეტენზია არა აქვს ყოველმხრივ და ამომწურავად განიხილოს ჩვენი ახალგაზრდა კინორეჟისორებისა თუ ოპერატორების შემოქმედება, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია და ჩვენი კინომცოდნეებისაგან გაცილებით მეტ ყურადღებას მოითხოვს.



ვინც მისმა დაუყოლებელ სწრაფობას გამოხატა. მუსიკოსის კვანძს სხვებიც ვახლავს მშვენიერების თანაზარი. რასაკვირველია, ასევე მუსიკოსია, ვინც თავდავიწყებით ეძლევა ამ ხელოვნებას, რომ ექნას არ იქნება მუსიკაში მისი წვლილის სიღრმე.

გამომძიებელი ქალი — მარიკა (ალ. ჩხაიძის „ხიდი“) მარინა ჯანაშიას უკანასკნელი სტუდენტური ნამუშევარი იყო ინსტიტუტში. მას წინ უძღოდა პრ. მერიმეს „შემზავვევითობა“, ა. ჩეხოვის „თოლია“, ედუარდო დე ფილიპოს „ნეაპოლი — მილიონერთა ქალაქი“.

„ჩემი ყველაზე საყვარელი როლი მამა, — ამბობს მარინა, — ჩეხოვის პეისის „თოლიას“ გმირი ქალი. მაგრამ უცნაურია, რომ თავიდანვე ვერაფრით შევძელი მამას სამყაროში ბუნებრივად შეჭრა. ვგრძნობდი რა ამას, ზეპირცივებზე გაღიზიანებული დავდიოდი. მუშა. ბა იწურებოდა. მე კი უკმარობის გრძნობა არ მცილდებოდა. და ერთხელ, მესამე მოქმედებაში, მამას სიმთვრალის სცენაში მივაგენი ჩემს მამას. წარმოთქვამდი მონოლოგს სიყვარულზე. ამქვეყნიურ არსებობაზე, და სიტყვებთან ერთად სულიერად გამიტაცა მამას პიროვნებამ, ბოლოს, როცა გამომშვიდობებისას ტრიგორინს ვუბნებოდი: „გამომიგზავნეთ თქვენი წიგნები, აუცილებლად ავტოგრაფით. მაგრამ არ დაწეროთ „პატკივემულ მარიას“, არამედ, უბრალოდ—, მარიას, მიუსაფარს, რომლისთვისაც გაუგებარია რისთვის ცხოვრობს ამქვეყნად, რისთვის?“, მღელვარებამ შემიპყრო, ცრემლები მომაწვა, მერე წააშობტი, ტრიგორინთან მივედი, თითქოს ვეკითხებოდი, მართლაც რისთვის ვცხოვრობ—მეთქი ამქვეყნად, ეს ხმამალალი პროტესტი გადავიდა ქვითინში და აღელვებულმა დავტოვე სცენა.

ასე მოგვიანებით შევიცანი მამას სულიერი სამყარო, რომელმაც საშუალოდ მომიხილა“.

მარინასთვის ერთნაირად საპასუხისმგებლოა ყოველი როლი, უსიტყუო იქნება იგი, უპირობდური თუ მოთავარი. სპექტაკლში „გუშინდელნი“, მ. ჯანაშია რეჟისორ თ. ჩხეიძის მიერ ჩამატებულ ეპიზოდურ როლს თამაშობს, თუმცა, იგი უფრო რეჟისორის ჩანაფიქრის ხსენის, ვიდრე თამაშობს. მარინას უსიტყუო გამოხვლა (როცა სცენაზე მხოლოდ მასრის უფროსი რჩება), მაგიდის ქვეშ შეძრომა და მორჩილი, ბავშვური თვალუბით ცქერა, მაცურებლის მეტ დანიტკრესებას იწყვედა და რეჟისორის ჩანაფიქრსაც ეტყველად ხსენდა. აქ ჯანაშიამ შესანიშნავად გამოიყენა თავისი აქტიორული მტ. ვალფერონებმა. მან რეჟისორული ჩანაფიქრის კვალდაკვალ აიძულა მაცურებელი თვითონ გაეკეთებინა ანალიზი ამ დრამატული კოლიზიით გამაფრებელი ეპიზოდისათვის.

მ. ჯანაშია ყოველ როლს საკუთარი ინტერპრეტაციით უდგება. ასეთია მისი ეკა („დავიწყებული ამბავი“), უმანკო, პატარა გოგონა, რომელიც ცდილობს გაერკვეს ცხოვრების რთულ ლაბირინთებში, ადამიანთა დამოკიდებულებებ-

ჩხეიძე

გამომავალი

ანალოგური

ში და საერთოდ ყველაფერში, რადგან ჯერ მხოლოდ თერაპეტი წლისაა. მსახიობი დიდ ცნობის-მოყვარეობასთან ერთად ხაზს უსვამს ეკას ბავშვურ სიკრუტეს ნუციკოს („მოულოდნელი სტუმარი“) როლით კი პირიქით, — მეტ დანიტკრეულებს ავლენს ცხოვრებისეული საამოვნებისადმი, სიცოცხლისადმი, აღსავსა სიყვარულით, რაც მის გმირს მიმოიღვდეს ხდის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსახიობი სწრაფად იზრდება. თუ ჯერ კიდევ გუშინ ის ერთგვარი სილაღით ასრულებდა თანამედროვე გოგონების როლებს, ეს უკვე არ ითქმის მის ბოლ ნამუშევარზე: ფედერიკო გარსია ლორკას პეისის „ბერნარდა ალბას სახლის“ ერთ-ერთმა გმირმა — მატრიჩიომ მსახიობისაგან დიდ შრომასა და ენერჯისათან ერთად, გაცილებით რთული აზროვნება მოათხოვა. უნდა ითქვას, რომ მ. ჯანაშიამ ეს როლი წარმატებით დასძლია.

მატრიჩიო სცენაზე დემილია და სიმშვიდის ნიღბით დადიან. მარინას არ უჭირს ამ სიმშვიდის დრამატულად გადმოცემა. მის ალგორითულ გამოთქვამებს შინაგანი მღელვარებაც ასლავს,

ღ ი ღ ი

შემოქმედების

სათავესთან

ნინო მაჭავარიანი



მარინა ჯანაშია

მორჩილების გამოხატველ მის მოძრაობებში არსებითად მისი უფლებამოსილება უფრო იგრძნობა. ჯანაშიას მარტირიომ კარგად იცის, ვინ რას ფიქრობს, ამიტომ გამგმირაიე გამოსხედვა აქვს. ჩვენს თვალწინ თანდათან ნიღაბი ეხსნება ძლიერი ნებისყოფის მქონე მარტირიოს ბოროტ განზრახვებს. ჯანაშიას მარტირიოს უყვარს სიცოცხლე და ბევრი კი არ სურს, ადამიანურ ბედნიერებას ითხოვს, მასაც აქვს ადელასავით სიყვარულზე პრეტენზიის უფლება. მას გულწრფელი ცრემლები სცვივა, როცა უყურებს ადელას არაადამიანურ ტანჯვას, თითქოს ყინულის კედელი ლხვებაო და ურთიერთს გადახვეული ორი ქალი ერთად დასტირის საერთო მწარე ხვედრს. რარიგ ადამიანურია ეს სისუსტე ორივე გმირისთვის, მაგრამ მარტირიო მაინც დაუნდობელია ბრძოლაში. რაც უფრო მწვავედება კონფლიქტი, მით უფრო მეტ ბოროტებას ასხივებს მარტირიო-ჯანაშია.

ჯანაშიას მარტირიო არ არის მხოლოდ უარყოფითი თვისებების მქონე. მსახიობი ცდილობს გმირს ყოველ სცენას გამოუქმნოს თავისებური

გამართლება, მის ყოველ მოქმედებაში გვაგრძობინოს რაღაც ლოგიკა. ამიტომ მარტირიო ერთიანი, ჩამოყალიბებული სახეა. მარინა ჯანაშია თანდათანობით ავლენს მის თვისებებს, ავითარებს ხასიათს და ამდენად მისი არც ერთი მოქმედება სპექტაკლში გაუმართლებელი არ არის.

მარინა ჯანაშია ძალზე მეტყველი ხელები აქვს. ამას უკვე ბევრმა მიაქცია ყურადღება. ხელების მოძრაობით ის ხასიათის პლასტიკურ აკომპანემენტს ქმნის: მისი ხელები თითქოს დამატებით გვიყვებიან რაღაცას, თუნდაც იმას, რაც ტექსტის ავტორს გამოიჩენია.

მარინა ჯანაშია ემოციურია და უშუალო, უყვარს და იცის მუშაობა როლზე. ყოველთვის ცდილობს იპოვოს ის ძირითადი მარცვალი, რომელზეც მთელი მოქმედება უნდა ააგოს.

სამი წელი — ეს ერთი ამოსუნთქვაა თეატრში, დასაწყისია დიდი სცენური შემოქმედებისა, მოლოდინი უკეთესი მერმისასა. ვუსურვოთ ახალგაზრდა მსახიობს, თავისი თეატრალური ბიოგრაფია გაემდიდრებინოს ახალი მალალმსატვრული სცენური სახეებით.

ნასმარსაქმუნებს გადავციდი, მაგრამ როდღე ვერძნობ ამახ. ოღონდ ერთი უცნაური რამ კი დამჩემდა — დღითი დღე მიმძაფრდება ახალ-გაზრდობასთან სიახლოვის მოთხოვნისებ. ალბათ იმიტომ, რომ დღესაც ისევე მიყვარს, მიტაცებს, მაფორიაქებს ცხოვრება. თქვენი თვალებით შევყურებ ყველაფერს — ადამიანებს, მოვლენებს, სამყაროს... თქვენსავეთ ვიცი აღფრთოვანება. თქვენთვის და მხოლოდ თქვენთვის ვწერ მუსიკას. ასე მგონია — ამ ჩემს პანგებს ვერავინ გაიგებს, ვერავინ შეიგრძნობს-მეთქი, ისე მელღვარედ, როგორც თქვენ. იქნებ ვცდები კიდევ, მაგრამ მინც ასეა. აი ახლაც, თქვენთან ვარ და გულახდილად, მეგობრულად გესაუბრებით. ამის უფლება იმიტომაც მაქვს, რომ თქვენს ტოლად ახალგაზრდობის ჯილდომაც გამზადა — თითქოს განგებ, მე მერვო კომპაგშირის ლაურეატის დაბლობი № 1.

იცით რა მახსოვრებს თქვენთან? მწვავე, დაუოკებელი, ლამის მტკივნეული სიყვარული ჩვენი მთა-ბარისა, სამშობლოს რომ ვეძახით და თქვენ რომ აგრერიგად უფრთხილდებით. ამის გარეშე ხომ ფუჭია ჩვენი სუნთქვა, მიუთი სიცოცხლე. როგორ მინდა ხოლმე ადევნოთ: ერთად, ჯგუფ-ჯგუფად რომ შეუყვებით გზას სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, კახეთის, სამეგრელოს, იმერეთის, ფშაბ-ხევსურეთისა თუ გურიისაკენ. არა, „ჩიკუ-ლით“ ჩაქროლება როდღე მქონია აზრად... დამქანცველსა და მათრამბელა ხეტიალს ვგულისხმობ, მშობლიურ ბუნებასთან შეერთების ღვთაებ-

რეკავ ლალიძე

რივ განცდას რომ აღძრავს, ჩვენი მიწის სურნელით, დიდებული ტაძრებითა და უბაღლო სიმღერებით ტკობას რომ განგვაყდევინებს.

თქვენი არ ვიცი და მე კი, სწორედ იმ დროს ამეზლება ხოლმე უცნაური განცდები, მომეძალევა მდინარეებისა და მთების, ტყეებისა და ველუბის მოგუგუნე ხმები... იქნებ, ვინმეს გახსოვთ კიდევ ჩემი სიმღერები: „ტყე შეუნახეთ შვილებსა“, „ვახი“, „მთაწმინდა“, „კარძია“, „ოდა მესხეთს“ ან სულაც „თბილისი“. მათში ხომ ყოველი მხრიდან მოძალებული მშობლიური ხმების არეკვლა ვცადე. ისინი თქვენ მოგიძღვევით, რადგან თქვენსავეთ მშვენიერი, დაიდი და ყოველისმემძლეა ჩვენი სამშობლო.

მჯერა, რომ უკადრისს არაფერს ჩაიდნეთ, მართალი გზიდან არაფერო ავაცდნეთ, რადგან კარგად იცით — ჩვენი ქვეყნის მომავალს თქვენს ხელშია. აბა ასეთი შეგნებით ვინ უღალატებს

ჩვენი

შემაჯავლებითი

ქველი და

პირად ახალი ხელოვნება

ინტერვიუ



ამირან შალიკაშვილი.

მსამამ წელია, რაც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან შეიქმნა პანტომიმის თეატრი და უკვე მოიპოვა პოპულარობა როგორც ჩვენში, ისე რესპუბლიკის გარეთაც.

სალამო-კონცერტებმა თბილისში, პირველმა მოკრძალბებულმა გასტროლებმა რესპუბლიკის ქალაქებსა თუ რაიონებში, რწმენა და იმედი განუშტკიცა ახალფეხადგმულ სტუდიას, ხოლო მის ხელმძღვანელს — ა. შალიკაშვილს შემოქმედებითი ზიძგი მისცა ახალი, უფრო დიდი გვეგების განსახორციელებლად. მის მიერ დადგმულ პირველ სპექტაკლს „ოცნება და სინამდვილე“ ერქვა. ეს იყო პანტომიმური ნოველებისაგან შემდგარი ორნაწილიანი სანახაობა, რომელიც თბილისელების გარდა, ნახეს ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის მაყურებლებმა.

ამ ახალგაზრდულმა კოლექტივმა მეტი შემოქმედებითი პოტენცია გამოავლინა მას შემდეგ, რაც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ იგი შეიკედლა და თავისი მზრუნველი კალთა გადააფარა. მისი მუშაობაც უფრო ნაყოფიერი გახდა. სამი წლის მანძილზე საგრძობლად დაინვეწა და


სიწმინდეს, პატრიონებისა, კეთილშობილებასა და დიდსულოვნებას. თქვენს შორის არაფერს მეგულებათ ასეთი. ამიტომაც აგრერივად მწყურია ხოლმე თქვენი მტკიცე მეგობრობის, ურყევი ერთგულების, რაინდული გამბაობის მონაწილედ ყოფნა.

არა, პურ-მარილზე შეფიცული ძმაცაცობა როდი მქონია აზრად... რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებისეულ ბიოლიკებს ვგულისხმობ, ყოველ წუთს რომ ცდუნებებს გვიმზადებს, გვცდის, გვაწვალებს... თქვენი არ ვიცი და მე კი, განსაცდელის ფაშს, ყველაზე მეტად საქმე მშველის. უცნაურია, მაგრამ სწორედ მაშინ მიათვლებდა ხოლმე მუშაობის ძალა იქ ვეჭვებ შეებასა და კმაყოფილებას. ჯერ კი არ მოვიგონებინათ, მაგრამ სწორედ ასე ვმუშაობდი ჩემს ერთადერთ საოპერო პირმშოზე, რომელსაც „ლელა“ შევარქვი და ისევ და ისევ თქვენ გიძღვნი. რარიგ ბედნიერი ვიქნები, თუ კი ეს მძიმე, დამქანცველი და მაინც მშვენიერი შრომის ნაყოფი თუნდაც ერთი ქართველის სულს ჩასწვდება! მეტი არაფერი მწადაა, გარწმუნებთ.

და კიდევ ერთი რამ საოცრება არსებობს ამ ქვეყანად — სიყვარული, რომლის გამჟღავნებაც მეტად ძნელია. მასზე ხმამალა ლაპარაკს ალბათ იმიტომაც ვერიდებით, რომ იგი ესოდენ საუთუი, ნაზი, უმწიკვლია...

აბა გაეხსენით ჩვენებური ცეკვა „ქართული“ — სიყვარულის ეს ამაღლებული ეროვნული მიმინ!

არა, ჩონა-ახალუბნი როდი მქონია აზრად... მე



რევაზ ლალიძე.

მხოლოდ იმ სპექტაკლსა და ძლიერ სულს ვგულისხმობ, თანამედროვე ტანსაცმელიც ასე მოხდენილად რომ მოირგო და მაინც ქართველი კაცის გულსთქმად დარჩა...

ახალგაზრდობა

გადახალისდა რეპერტუარი, დასი შეივსო თეატრალური ინსტიტუტისა და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულებით, რომლებმაც ჩარიცხვისას გაიარეს სათანადო საკონკურსო გამოცდა. აღსანიშნავია, რომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ხშირად მოდის განცხადებით მოძმე რესპუბლიკებიდანაც.

დღეს პანტომიმის ქართულ თეატრს კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. ამას მოწმობს ის ხანგრძლივი საგასტროლო მოგზაურობა, რომელიც თეატრმა გასულ წელს ჩაატარა რუსეთის ქალაქებში და პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები. თეატრი ახლო მომავალში საგასტროლოდ ეწვევა: ლენინგრადს, ტალინს, რიგას, ვილნიუსს, სიმფეროპოლს, სევასტოპოლს და სხვა.

თეატრმა თავისი გეგმები და ამოცანები მკაფიოდ ჩამოაყალიბა ამას წინათ პრესაში გამოქვეყნებულ მიმართვაში საქართველოს სახელმწიფო და სახალხო თეატრების, სახელმწიფო ანსამბლების, საკონცერტო ჯგუფებისა და კოლექტივების შემოქმედებითი ახალგაზრდებისადმი, კომკავშირელებისადმი. მიმართვაში ვკითხულობთ:

„ჩვენ, ახალგაზრდებმა, რომელთა მთავარ მიზანს შეადგენს ხელოვნებისადმი სამსახური, ჩვენი თავი ხუთწლიანი გამარჯვებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში უნდა ვივალისხმოთ. ჩვენ უნდა შევექმნათ ახალი ნაწარმოებები, რომლებიც ღირსი და საკადრისი იქნება თანამედროვე დიადი ეპოქისა, დღემდე არნახული შრომითი ენთუზიაზმისა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის პანტომიმის თეატრი მოუწოდებს საქართველოს სახალხო თეატრებს, ანსამბლებს, საკონცერტო ჯგუფებსა და კოლექტივების შემოქმედებით ახალგაზრდებს, კომკავშირელებს, კომკავშირული ორწლელი ჩვენი ახალი შემოქმედებითი მიღწევების ორწლელიად ვაქციეთ“.

პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ამირან შალიკავილს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ კორესპონდენტმა მიმართა რამდენიმე კითხვით:

1. თქვენი თეატრი მთლიანად ახალგაზრდულია, ვკითხავთ, რა როლს ასრულებენ კომკავშირელები შემოქმედებითი წარმატებაში?

2. თქვენს მიერ პირადად გამოქვეყნებული მიმართვის პასუხად, მოგკრეტულად რა ვალდებულებებს იძლეოთ კომპაგვირებული ორწლედს წარმატებით დამთავრებისათვის?

3. როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები, რა ადგილს დაიჭერს მასში ქართული თემატიკა?

ამირან შალიკაშვილი: 1. დიას, ჩვენი თეატრი ახალგაზრდულია, მისი ყოველი წევრი კომპაგვირებულია. ეს გარემოება კიდევ უფრო ამაღლებს მსახიობთა პასუხისმგებლობას. ამიტომ, ბუნებრივია, ყველაფერი, რაც კი ჩვენს თეატრში კეთდება, კომპაგვირების მხრებზე გადადის. შემოქმედებითი დატვირთვის გარდა, ხშირად ისინი ადმინისტრაციულ დავალებებსაც ასრულებენ. თეატრს ჯერჯერობით არა ჰყავს მომსახურე პერსონალი, რის გამოც, ხუმრობით რომ ვთქვათ, იძულებული ვართ მაქსიმალურად ვიზარგებლოთ ერთი ქართული ანდავის სიბრძნით — „თუ არა გყავს მოხსლეო, თავი მოიმოახლეო“. ჩვენი დასი ჭეშმარიტად ერთ მეგობრულ ოჯახად შეკრული კოლექტივაა, რომელიც ემყარება ამოსავალ პრინციპს — კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთობა: ერთი ყველაისთვის, ყველა ერთისათვის...

ბოლო დროს ინტენიურად ვმუშაობთ ახალგაზრდების რეგისორულ დაოსტატებაზე. წახალისების მიზნით გვინდა დამოუკიდებელი დადგემები მივანდით იმათ, რომლებიც სამისო უნარს გამოავლენენ. ახლო ნომავალში სარეჟისორო დებიუტით წარსდგებიან მაცურებელთა წინაშე კ. მებუკე და გ. ოსეფაშვილი. ჩვენი მიზანია მიმოსის ხელოვნებას მოვეუშაოდეთ კვალიფიციურ რეჟისორთა პირველი კადრები.


2. ჩვენივე მიმართვის პასუხად ვალდებულებას ვიღებთ კომპაგვირული ორწლედი ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებით და ვამთავროთ. ამ მიზნით სერიოზულ მუშაობას ვეწეით ყოველი სცენარის თუ სიუჟეტის მაღალმატრულ დონეზე დამუშავებისათვის. გვინდა მოვიზიოდოთ და ჩვენს მუშაობაში ჩავაბათ მწერლები, რომლებიც სპეციალურად ჩვენთვის დაწერენ სცენარებს. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგინეთ. ჩაშვებული გვაქვს წარმოებაში პოეტ გ. გოგოლაშვილის სცენარი „მუშუკეტერის სიკვდილი“.

საქართველოს ალკ X X X ყრილობას მივუძღვეთ ახალი სპექტაკლი, რომლის სცენარის ავტორები არიან ჟურნალისტი ი. ნიშვიშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. გოგუა. მისი სახელწოდებაა „ჩილეს ტრაგედია“. იგი ასახავს ჩილეში მოხდენ ტრაგედიას, ჩილეელი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას რეაქციული ძალების წინააღმდეგ. გვინდა სპექტაკლი განსაკუთრებული პოლიტიკური სიმახვილით გადავწყვიტოთ. შევეცდებით, ჩილეელი ხალხის ეროვნული შვილის, სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერი მომავლისათვის თავდადებულ მებრძოლის, პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს გმირული სიკვდილი სცენაზე ავაქვდროთ, რო-

გორც თავისი ხალხის მოლატაკ სუნტისა და მისი დამკავშირების მხეკური მოქმედების განაჩენი.

საფინალი სცენაში მოცემული იქნება პრესიდენტის ცხოვრებისა და ბრძოლის უკანასკნელი წუთები, როცა სამხედრო სუნტის ჯარისკაცებმა შეძლეს სალვადორ ალიენდესა და მისი თანამებრძოლების ფიზიკური განადგურება. მაგრამ ისინი ვერ ანადგურებენ თავისუფლებისმოყვარე ხალხს, რომლის სიმბოლურ სატებად გამოგვყავს პოეტ-მომღერალ ვიქტორ ხარას აწრდილი. ხუნტელები ავტომატის ჯვრით ცხროლენ ხარას აწრდილს, მაგრამ აწრდილი არ ეცემა, იგი სიმღერით მიიწევს წინ. პოეტს ხარა ჩება და მუარცხებელი ხალხის სიმბოლოდ და გამოსატაცს პროგრესული საზოგადოების აზრისა და მისწრაფების უკვდავებას. ვეცდებით ეს ჩანაფიქრი წარმატებით განვახორციელოთ.

3. საქართველოს ალკ X X X ყრილობამ, ახალი საინტერესო ღონისძიებები დაუესანა ჩვენს ახალგაზრდობას. ფაბრიკა-ქარსნეში, საკომუნერნო



ველ-მინდერებზე თუ მშენებლობებზე ახალი ძალით გაიმლტა სოციალისტური შეჯობრებები. სადაც თავის საქმიან სიტყვას იტყვის საქართველოს კომპაგვირულითა სახელოვანი არმია. ამასთან დაკავშირებით, დაგეგმილი გვაქვს გაემართოთ კონცერტები იყალოში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ენკურაჟზე, რესპუბლიკის მრავალ კოლმუერნობასა და საბჭოთა მეურნეობაში, შეგვდებით შრომის მოწინავე ახალგაზრდებს.

რაც შეეხება იმას, თუ რა ადგილს დაიჭერს თეატრის რეპერტუარში ქართული თემატიკა, უნდა მოგასხნით, რომ ამ ხალხით ახლა განსაკუთრებული მონდომებით ვმუშაობთ. გვინდა ჩვენს სპექტაკლებში უფრო სრულად გამოჩნდეს ქართული კაცის ბუნება, სასიათი და მისწრაფება. ამ თვალსაზრისით შევეცდებით მიმოსის ენაზე ავაშეკველოთ შრომისა და სოციალისტური შეჯობრების თემები, ჩვენი ხალხის ისტორიულ-რევოლუციური წარსულის ესა თუ ის მონაკვეთი.

წინ დიდი სამუშაო გველის. ძალასა და ენერგიას არ დავიშვებთ, რათა ჩვენი მოქრძალბებული წვლილი შევიტანოთ ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

აშხაზური პროფესიული მუსიკა დასაბამს იღებს ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან. მის ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი და უკრაინელი კომპოზიტორები. მათ დასახეს ეროვნული პროფესიული მუსიკის განვითარების უწყვეტი და მისი ამოცანები. რაღა თქმა უნდა, ეს გზა აფხაზური ხალხური მუსიკის თვით-მყოფად სამყაროში იდებდა სათავეს.

პირველი მუსიკოსი, რომელმაც ეროვნულ ნიადაგზე სცადა კლასიკური მუსიკალური ფორმებისა და ჟანრების დანერგვა, კონსტანტინე კოვაჩი იყო. საფუძვლიანად შეინარჩუნა აფხაზეთის ისტორია, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, მან დიდი მონაწილე უწინაწარმეტყველა ეროვნულ პროფესიულ ხელოვნებას. კ. კოვაჩმა თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით დიდად შეუწყო ხელი აფხაზური მუსიკალური კულტურის ფორმირებას. მან პირველთაგანმა მოჰკიდა ხელი ხალხური მუსიკის შესწავლას და გამოსცა კიდევ კრებულები: „101 აფხაზური სიმღერა“ და „კოდორელ აფხაზთა 61 სიმღერა“, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ მნიშვნელობას. ამასთან ერთად კ. კოვაჩი მუსიკალური განათლების დაფუძნების საქმესაც ემსახურებოდა. მთავარი კი ისაა, რომ მან შექმნა აფხაზური პროფესიული მუსიკის პირველი ნიმუშები — საორკესტრო პიესები („კეტარჩელი“, „სიმღერა რიწის ტბაზე“, „ორი პარტიზანი“, „შენი გზა“), მინიატურა სიმებიანი კინოტექნისათვის, „იანანა“ ხმისა და ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლისათვის. ამ სიმღერას საფუძვლად დაედო აფხაზეთის სახალხო პოეტის გ. გულიას ლექსები. იმ დროისათვის ესეც მნიშვნელოვანი ფაქტი იყო, რამაც საფუძველი ჩაუყარა აფხაზ პოეტთა და კომპოზიტორთა შემოქმედებით თანამშრომლობას. შესაძლოა, კ. კოვაჩის ნაწარმოებებში ყოველთვის არ ჩანს ოსტატის ხელი, მაგრამ არსებითია ის, რომ მან თავისი შემოქმედებით ცდებით მიიგი მისცა ეროვნული მუსიკის პროფესიონალიზაციის პროცესს.

აფხაზური ხალხური მუსიკის თავისებურებებით დაინტერესდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის ღრმა მცოდნე და დიდი კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი. მან სიცოცხლის უკანასკნელ წლებში აფხაზური მელოდიური მასალის საფუძველზე შექმნა სუიტა სიმებიანი ორკესტრისათვის. ამავე პერიოდში აფხაზური მუსიკა გამოიყენა ი. ფალიაშვილმაც თავის სიმფონიურ მინიატურაში „დათვების ცეკვა“. ეს ტრადიცია განაგრძო გამოჩენილმა ქართველმა სიმფონისტმა შ. მშველიძემ თავის შესანიშნავ საორკესტრო პიესაში „აზარ“. ეს კოლორიტული ნაწარმოები კომპოზიტორის შემოქმედებითი გზის დასაწყისში შეიქმნა და (მის ორ სხვა საორკესტრო მინიატურასთან „ფშაური“ და „სორუმი“ ერთად) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სიმფონიური მუსიკის განვითარებაში.

საორკესტრო მინიატურაში „აზარ“ შ. მშველიძე ტემპირიტი ოსტატისა და ტალანტით მიუღდა აფხაზურ მელოდიურ მასალას, რომლის ინტენსივობითაც განმსჭვალა ამ პიესის მთელი მუსიკალური ქსოვილი. მან მიმართა ხალხური წარმოშობის თემატური მასალის საორკესტრო-პოლიფონიური ვარიანტების პრინციპს და ფოლკლორული სახეების ორიგინალური შემოქმედებითი გადააზრების თვალაჩინო ნაშუში შექმნა.

1939 წელს გამოჩენილი კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე შეუდგა ლირიკულ-კომიკური ოპერის შექმნას ლ. დაკერბაის მოთხოვნის „ბედნიერების“ მიხედვით. იმ იყო საოპერო ჟანრი აფხაზეთის სინამდვილის ასახვის პირველი ცდა. შემდეგ ა. ბალანჩივაძე რამდენჯერმე დაუბრუნდა ამ სიუჟეტს. ამ ორიოდ წლის წინ თბილისის საოპერო თეატრში დაიდგა კიდევ ეს ოპერა ახალი რედაქციით და „ოქროს ქორწილის“ სახელწოდებით.

ა. ბალანჩივაძე მუდამ მზრუნველობას იჩენდა აფხაზეთის მუსიკალური კულტურის მიმართ, განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ეროვნული მუსიკალური კადრების აღზრდაში. მის მოწაფეთა შორის არიან აფხაზეთის მოწინავე კომპოზიტორები — ა. ჩაჩბა და კ. ჩენგელია, რომლებიც დღესაც მჭიდროდ შემოქმედებითი ურთიერთობით არიან დაკავშირებული ამ შესანიშნავ კომპოზიტორთან და პედაგოგთან.

გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორთა გზას გაჰყვა ნ. ნარიმანიძე, რომელმაც ხალხური პოეტური და მუსიკალური წყაროების საფუძველზე შექმნა სიმფონიური პიესა „ორი ძმა“. მასში კომპოზიტორმა გამოიყენა აფხაზური ლეგენდა მონადირე ძმებზე. ბუნებრივია, რომ ეროვნული ხასიათების წარმოსახვა კომპოზიტორმა აფხაზური მუსიკის საშუალებებით სცადა.

აფხაზური პროფესიული მუსიკა მჭიდროდა დაკავშირებული კომპოზიტორ დ.

აფხაზური
მუსიკის
ნაკრებები
ლ კ
კომპანები

სვეტლანა კეკეა

მოდოლის სახელთან. ჯერ კიდევ 1934 წელს აფხაზეთის სასოფლისპროდუქტთა დეპარტამენტი იგი შეუდგა ჩვენი ხალხური სიმღერების შესწავლას და ჩაწერას. ამ მიზნით იგი რამდენჯერმე ესტუმრა აფხაზეთს. შემდეგ კი შექმნა მუსიკალური ნაწარმოებები, რომლებშიც ხალხური მუსიკის ელემენტები გამოიყენა. მანვე აფხაზურ თემასზე დაწერა ოპერა „ალამისი“ (ლიბრეტოს ავტორი მ. ლაკერბაი). მაღალეთიკურია მისი სიუჟეტი. იგი უძღერის მეფობობას, სიყვარულს, გმობობას... ამჟღავნებს ეროვნული ბუნების სპეციფიკურ თვისებებსაც, რაც ოპერის სახელწოდებითაა საზგამსული. „ალამისის“ ცნება გულისხმობს იმ მაღალ სულიერ თვისებებს, რომლებიც აფხაზთა რწმენით ცხოვრების აზრსა და სილამაშეს ქმნიან.

დ. შვედლიის ოპერა „ალამისი“ აფხაზეთის მუსიკალური კულტურისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია. მას მრავალი ღირსება გააჩნია — მკაფიო ეროვნული ხასიათი, მოქმედების დინამიკური განვითარება, ვოკალური პარტიების მშობლიური სახოვანება. ეს განსაკუთრებული სინთეტური ძანრის სახეობით კონკრეტული ნიმუში, რომელმაც არა მარტო გაამდიდრა აფხაზური პროფესიული მუსიკა, არამედ ბიძგი მისცა მის განვითარებასაც.

აფხაზური პროფესიული მუსიკის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი ეთმობა კომპოზიტორ ა. პოზდნევს. მას შექმნილი აქვს სხვადასხვა ძანრის ნაწარმოებები — რამასები აფხაზი პოეტების ლექსებზე („ცხენოსანი“, „მეზაიე ქალი“ — ტექსტი ბ. შინკუბასი), საფორტეპიანო პიესები, საორკესტრო სუიტა „აბრსკალი“, საბავშვო ოპერა „სახიფათო ნაცნობობა“, რომელსაც ხალხური ზღაპარი დეიუ საფუძვლად (ლიბრეტო — ნ. თარბასი).

აფხაზური მუსიკის კამერულ-ვოკალურ ძანრში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ კომპოზიტორები ი. სლონოვი და ს. კაცი. კომპოზიტორმა ი. ილინიმა კი აფხაზეთის სინამდვილე ასახა ოპერეტაში „ქალი მდღოლზე“.

კიდევ შეგვეძლო აღგვენიშნა ის კომპოზიტორები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ეროვნული მუსიკალური კულტურის ჩასახვასა და განვითარებას. სწორედ ქართველი დარუსი კომპოზიტორების დახმარებით შექმნა მყარი მზა, რომელიც აფხაზური პროფესიული მუსიკის მთელი მიმდინარეობა. აფხაზეთში მაღლიერებით იხსნიებენ ამ კომპოზიტორთა სახელებს, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ნაწარმოებებს არცერთ ისე ხშირად ასრულებენ, რაც მიუტევებელი შეცდომაა. ჯერ ეს ერთი, შემენელთა აუდიენციის გარეშე თვით მაღალმხატვრული ნაწარმოები ჭარბავს მისსა და აზრს, ხოლო მეორეც ერთი, აფხაზი კომპოზიტორები, რომლებიც შედარებით გვიან გამოვიდნენ პროფესიულ ასარეზზე, გამოცდილების მიღების მიზნით უნდა სწავლიდნენ უფროსთა თაობის შემოქმედებას. მართალია, ამ კომპოზიტორებისათვის აფხაზური მუსიკა მშობლიური სტიქია არ ყოფილა, მაგრამ ცოდნით, ნიჭითა და გამოცდილებით მათ შესაძლეს ეროვნული მუსიკალური სახეების შერწყმა პროფესიული ხელოვნების ფორმებთან და ძანრებთან.



მშობლიური პროფესიული მუსიკის გზის გაკვლევა წილად ხედათ კომპოზიტორ-მწოდისტებს ი. ლაკერბაისა და ი. ქორთუას. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აფხაზური სასიმღერო ხელოვნების განვითარებაში. რადა თქმა უნდა, მათ შემოქმედების ამოსავალ წერტილად ხალხური სიმღერა იქცა. ამიტომაც შეიყვარა ხალხმა ეს ნაწარმოებები. აფხაზეთში პოპულარობით სარგებლობენ ი. ლაკერბაის სიმღერები „ანტისა“, „მავაჯირული იავანა“, „სიმღერა სამშობლოზე“, ი. ქორთუას „ხოჯანდუ“, „მონადირული“ და სხვა. ასე შემზადდა ნიადაგი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი აფხაზი კომპოზიტორის რ. გუმბას შემოქმედებისათვის, რომელიც ტემპირიტად სახალხო აღიარებით სარგებლობს.

თუ თავიდან აფხაზი კომპოზიტორების შემოქმედება მხოლოდ სოლო-ვოკალური მუსიკით იღვარებოდა. შემდეგში მან საგუნდო ხელოვნების სხვადასხვა ძანრი მოიცვა. ამ დარგში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია კომპოზიტორმა ა. ჩინამ თავისი გუნდებით „აფხიარცა“ და „სამშობლო“.

აფხაზმა კომპოზიტორებმა საინტერესო შედეგებს მიაღწიეს კანტატა-ორატორიული მუსიკის სფეროში. აღსანიშნავია ა. ჩინას ორატორია „ქართლის გმრები“, მისივე კანტატა „აფსნი“, კ ჩენგელიას კანტატა „გმირი ხარაზია“, რ. გუმბას კანტატა „ლენინზე“. დღეს ეს კომპოზიტორები თანდათან ითვისებენ კლასიკური მუსიკის სხვა ძანრებსაც, მაგრამ აფხაზეთში ჯერ კიდევ ნელა ვითარდება სიმფონიური, საოპერო და კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკა.

სიმფონიური მუსიკის განვითარების გასაუკვე უკვე გადაღმულია პირველი ნაბიჯები: კომპოზიტორმა ბ. ბერიკაშვილმა შექმნა ორი სიმფონიური სურათი, ხოლო კომპოზიტორმა ლ. ჩეპელიანსემ „აფხაზური უვერტურა“. მაგრამ ყოველივე ეს ძალზე მცირეა. ამ დარგში აფხაზ კომპოზიტორებს მეტი და უფრო აქტიური მუშაობა მარტობთ.

1971 წელს აფხაზეთში შეიქმნა კომპოზიტორთა კავშირი, რომელმაც გვეს აიძლო მიზანდასახული მუშაობისკენ და უკვე მოახდინა შემოქმედებითი ძალების კოორდინირება. ამან მძლავრი სტიმული მისცა აფხაზ კომპოზიტორებსა და მუსიკოსმცოდნეებს. ისინი აქტიურად ჩაებნენ რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრების ნორმალურიზების პროცესში. დასახეს ფრიად მნიშვნელოვანი და საინტერესო ღონისძიებები. უკვე ჩატარდა აფხაზეთის მშრომელთა ცხოვრების ამსახველი საუკეთესო მასობრივი სიმღერის პირველი კონკურსი, რომელზედაც შესამე პრემია მიენიჭათ ბ. ბაგათელიას, რ. გუმბაძის, ა. ჩიჩხას, ლ. ჩეპელიანსის, მ. ბერიკაშვილის სიმღერებს.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის V ყრილობამ ახალი შემოქმედებითი ამოცანები დაუსახა აფხაზ კომპოზიტორებს. ცხადია, გამოცდილ ქართველ კოლექტივთან სისტემატური პროფესიული ურთიერთობა დიდად დაეხმარება აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის მუშაობის გაუმჯობესებაში, რთული შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრაში.

დღეს აფხაზეთის კომპოზიტორთა წინაშე მრავალი შემოქმედებითი პრობლემა დგას. ამათგან უმთავრესია — საბჭოთა სინამდვილის მრავალმხრივი და რეალისტური ასახვა, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება და საკომპოზიტორო ტექნიკის შენელებული სრულყოფა, საკუთარი შემოქმედებითი სახისა და ხელწერის ჩამოყალიბება, ფოლკლორული ტრადიციებისადმი აქტიური და ჭეშმარიტად შემოქმედებითი მიდგომა, ეროვნული თაერის, ბალეტის, სიმფონიის, ინსტრუმენტული კონცერტებისა თუ კამერული ანსამბლების შექმნა და ა. შ.

ჩვენი მიზანია შექმნათ ცხოველყოფილი ნაწარმოებები გამსჭვალული ექტულური თემატიკით, მოქალაქობრივი ჯღერადობით, ჰუმანური სათვისით, სადა, მკვეერი და მთამბეჭდვი ეროვნული მელოდიური სახეებით... ერთი პიტივით, აფხაზ-კომპოზიტორმა ფართო თვალთახედვა და ოსტატობა უნდა გამოიმუშაონ.

ჩვევე უნდა გადავწყვიტოთ ხალხური მუსიკალური შემოქმედების მეცნიერული შესწავლის პრობლემა. ამ განძს მოვლა-პატრონობა სჭირდება. დღის წესრიგში უნდა დაეყენეთ ავითმოყოფადი აფხაზური სიმღერების შეკრება-ჩაწერა და მათი გამოცემა-გამოკვლევა. დროა ფოლკლორის შესწავლისათვის დავეუფლოთ რაციონალური ანალიზის მეთოდს, რომელიც ჩვენი სიმღერის სიღრმეში შევვიყვანა, მის თავისებურებებს მეცნიერულ დასაბუთებას მისცემს. ყოველივე ეს კი ისევ და ისევ აფხაზური მუსიკის კეთილდღეობას მოხმარდება.

დღითი დღე სულ უფრო და უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი ხდება აფხაზეთის მუსიკალური ცხოვრება. ამას ხელს უწყობს თვითმოქმედების განვითარება, პროფესიული-სანაზაობითი დაწესებულებისა თუ მუსიკალური სკოლა-ტექნიკუმების საქმიანობა, ფილარმონიული კოლექტივების სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისა და საკუნდაკაპელის მოღვაწეობა. ჩვენ უკვე ნსმენელთა საკამოდ მომზადებული აუდიტორიაც აღვსარდეთ, გვყავს ნიჭიერი საემსრულებლო ძალები და პედაგოგიური კადრები... ბუნებრივია, რომ ასეთ ატმოსფეროში სრულიად სხვა ელფერი ეძლევა კომპოზიტორისა და მსმენელის დამოკიდებულებას. თანდათან მყარდება მათ შორის შემოქმედებითი ურთიერთობა.

ყველასათვის ცნობილია, რომ კომპოზიტორის მოღვაწეობა დამოკიდებულია შემსრულებელზე (ერთი ადამიანი ან მთელი კოლექტივი), რომელიც მის ნაწარმოებებს მსმენელამდე მიიტანს. ამიტომაც, კომპოზიტორი სულაც ვერ იქნება გულგრილი სამშემსრულებლო დონის მიმართ. ის გარემოება, რომ აფხაზეთში ამჟამად მოქმედებს სახელმწიფო საკუნდო კაპელა და სიმფონიური ორკესტრი, მოღვაწეობენ მომღერლები და სხვადასხვა პროფილის ინსტრუმენტალისტები, ჩვენი კულტურის შემდგომი განვითარების საწინდარია.



დღი რესპუბლიკური სამხატვრო გამოფანა „დიდება შრომას“, რომელიც ამ ცოტა ხნის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო სურათების სახელოსნოში იყო ექსპონირებული, ჩვენი მხატვრებისათვის მუდამ შთაბეჭებითელი თემას — საბჭოთა ადამიანის შრომით შემართებას მიძღვნა. ფართო შინაარსის მომცველი და მრავალპლანური თვით ეს თემა, რამდენადაც ნაირგვარი კუთხიდან უკავშირდება ხალხის მრავალმხრივი საქმიანობის ჩვენების ამოცანას. ამიტომაც, არა მარტო ქართულ, არამედ მთელ საბჭოთა ხელოვნებაში მრავალი თვალსაჩინო ნაშრომის შექმნას საფუძვლად დაედო იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი, შთაბეჭებითელი ჩვენი ადამიანების გვირუკი შრომითი მოღვაწეობით.

**ფერწერა —
თემა,
ჩანაწიქრი,
ფორმა**

გამოფანა „დიდება შრომას“ მოკლე დროში მომზადდა და ამაღ, ცხადია, გარკვეული გავლენა იქონია მის საერთო მხატვრულ დონეზე და ხარისხზე. ამდენად, იგი სისრულით ვერ ასახავს საქართველოს მხატვრების შემოქმედებითის შესაძლებლობებს. ექსპონატებს შორისაც ყველა როდია ახალი. ზოგიერთი ადრინდელ გამოფენებზეც იყო წარმოდგენილი.

ცხოვრების წინსვლასთან ერთად ფართოვდება და სიხვედრისაკენ ისწრაფვის შემოქმედთა ამოცანები. ეს განპირობებს თვით ცალკეული დარგების სპეციფიკის ერთგვარ გარდასახვასაც. დაზგურმა ფერწერამ, მაგალითად, ბევრი რამ აიღო მინუმეტური ფერწერის სახელით საშუალებებიდან. ხშირად ერთ სურათში მონტაჟურადაა მოქცეული სხვადასხვა ფაბულა, სხვადასხვა დროის მოვლენები. მაგრამ როგორ არის ყოველივე ეს გამართლებული, როგორ მხატვრულ ხარისხშია აყვანილი — ამას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში თავისი შეფასება სჭირდება.

საკვებით ბუნებრივია, რომ როგორც ახალგაზრდობისათვის, ისე გამოცდილი ოსტატებისთვის კვლავაც პირველი რიგის ამოცანაა სახვითი საშუალებების, გამოხატვის ენის ქმედითობა. შერჩეული ზღის სისწორე, თუ სიმცდარე მხატვრული ამოცანის დაყენებასა და გადაჭრაში აისახება, ეს განსაზღვრავს შემოქმედებითის წარმატებასა თუ მარცხს.

ლეილა თაბუკაშვილი

ამ თვალსაზრისით ნაწარმოებთა შეფასებისთვის ფართო მასალას იძლევა ეს უკანასკნელი რესპუბლიკური გამოფანაც. ახალი ექსპოზიცია კვლავ აღვლენს მხატვართა ძიებების სხვადასხვა ხასიათსა და მიმართულებას, რაც წინამორბედი გამოფენებისთვისაც ნიშანდობლივი იყო. ისევე როგორც ადრე, ამ გამოფენაზეც გვხვდება ნიმუშები, რომლებიც მეტყველებენ მხატვართა ცალმხრივ, განყენებულ ფორმისეულ ძიებებზე შინაარსისაგან დამოუკიდებლად.

მრავალი წლის მანძილზე მხატვართა სამართლიანი საყვედურები ისმის ქართული ხელოვნების მცოდნეობისა და კრიტიკის მიმართ: რომ ჩვენს ხელოვნების მცოდნეობასა და კრიტიკაში



თითქმის სრულიად არ აისახება ის პრინციპები, ტიპიზაციები, მიღწევები თუ ნაკლოვნებანი, რაც ქართული მხატვრობის განვითარებას ახლავს; რომ არაშემა ქვეყნდება მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის, დიდიტანტური, ნახტომი სტატეები, მოკლებული ყოველგვარი ანალიზს და, მით უმეტეს, ცხადია, პრიბლემურების; რომ გამოფენების განხილვები (რაც ძალზე იშვიათად ეწყობა), ატარებს ასევე ზურუნდ. არაკლასიფიციურ ხასიათს, ამდენად, არადამაკრებელია და ვერც თვით მხატვართა და ვერც საზოგადოების ინტერესს ვერ იწყებს.

მხატვრული კრიტიკის მისამართით, მხატვართა მხრიდან, საყვედურები გაისმის საკავშირო პრესის ფურცლებზეც. აღინიშნება, რომ არცთუ იშვიათია მოვლენათა შეფასება პირადი გეგმონების მიხედვით და ეს გეგმონება არცთუ მალეღია; რომ ზოგჯერ მეცნიერულ ანალიზს მიმსგავსებულ საერთო ფრასეოლოგიის მიღმა, უბრალოდ, მხატვრულ მოვლენაში გაურკვეველობა გამოსჭვივის. ჩანს, საერთოდ რთული მდგომარეობაა მხატვრულ პრაქტიკასა და მის კრიტიკულ შეფასებას შორის ურთიერთდამკიდებელუბაში და ვინაიდან სუბიექტური მიდგომისა და მცდარი მსჯელობიდან დაზღვეული არავინ არის, ჰემ-მარიტება უთუოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში უნდა ვეძიოთ, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ მოვლენათა მცდარი, ზერულე თუ სუბიექტური შეფასება არა მხოლოდ ხელოვნებისმცოდნეებისა და კრიტიკოსების „ხეიდრია“, არამედ თვით შემოქმედი — მხატვრებისაც. მხატვრები არიან თავიანთი კოლევების ნაშუშევართა პირველი შემფასებელი, საზოგადოებრივი საზგავროს წინაშე ამ ნაშუშევრების წარდგინაზე რგომენდაციის გამწეწენი, ახალგაზრდა კადრების აღმზრდელნი. მათი თეორიული და შემოქმედებით-პრაქტიკული მოღვაწეობა განსაზღვრავს სახეით ხელოვნების იდეურ-მხატვრული მიმართულებას, დინეს, განვითარების ტენდენციებს. და თუ ეს გზა სწორხაზოვანი არ არის და მასზე საკამათო, სადავო, მცდარიც გვხვდება, შედეგის გაანალიზება, ვფიქრობ, მარტოდენ ხელოვნებისმცოდნეობისა და კრიტიკის საქმე როდია. ერთობლიობა, პრინციპულთა და პირდაპირობა, კრიტიკული შეფასების დამაჯერებლობა (შეფასება და არა კრიტიკისა — ამ სიტყვის პირდაპირი და ეწირო მნიშვნელობით) — ეს უთუოდ აკლია დღეს თეორიულ აზრს. და ეს მაშინ, როცა ქართულ სახეით ხელოვნებაში, თუნდაც ამ ბოლო პერიოდში, შექმნა მრავალი უკრადღების ღირსი ნაწარმოები, გაიმართა ბევრი მნიშვნელოვანი გამოფენა, ესოდენ მდიდარი როგორც მხატვრულად საინტერესო ქმნილებებით, ისე სადავო თუ უფერული ნაწარმოებებით.

ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისის სურათების გაღერებაში მოწოდებით ერთ-ერთი რიგიით გამოფენის განხილვა თვით მხატვრებმა ითავეს.

ეს უთუოდ მისასაღმებელი ინიციატივა იყო ცხადია, არანაკლებ საინტერესოა, როცა მხატვრული თავის კოლევების შემოქმედებაზე გამორჩეულ საკუთარ თვალსაზრისს. გამოფენის მიმოხილვით გამოვიდა ერთ-ერთი უკვე აღიარებული შემოქმედი, ნიჭიერი ფერმწერი. ჩემის აზრით, მცდარი იყო მის მიერ ნაწარმი იმთა განალიზების თვით პრინციპი: ფერწერული ნაშუშევრების მხატვრულ ღირებულებას იგი განსაზღვრავდა იმით, თუ როგორ, რამდენად იყო გადაჭრილი ამა თუ იმ რაობში ფერწერული პრობლემა, ფერწერული ამოცანა. ამ კუთხით მიუდგა მომხმნებელი, მაგალითად, რადიმ თორილი აქ ქეპსინირებულ ორ ტილოსაც („მოხუცი მეშუშე“, „ნატურმორტი ვიოლინითი“) და აღნიშნა, რომ სურათში „მოხუცი მეშუშე“ არ არის დასმული არავითარი ფერწერული პრობლემა იგი გადაწყვეტილია ერთ ტონალობაში, რაც იოლი ამოცანაა. სამაგიეროდ, მეორე ტილო — „ნატურმორტი ვიოლინითი“ იმის ნიმუშია, თუ როგორ ეფექტურად შეიძლება აფერდეს ცალკეული ფერადოვანი ლაქა, მონასმი, ფერწერული გამოქმნისგვლობის როგორ სიმალეს შეიძლება მიაღწიოს მხატვარმა.

თითქმის ამ მოთხონებაში არაფერია მოულოდნელი და უჩვეული. ელემენტარულიც კია — ფერწერულ ტილის ფერწერული გამოქმნელობა უნდა გაანდეს. მაგრამ შევხედოთ რადიმ თორიდას ამ ტილოებს სხვაგვარი კუთხიდან, სხვაგვარი მიმოხივებით. „მეშუშე“ უბრალო მშრიბელი კაცის სოგადი სახეა. მხატვარს იგი დიდი სიმპათიითა და გულწრფელობით გამოუსახავს მისთვის ჩვეული საქმიანობის დროს. კეთილშობილება, სულიერი სივაქიუხე, პოეფისის სიყვარული იკითხება ამ ადამიანის პიროვნებაში, მის მიმართაში. ტილო გადაწყვეტილია ერთ ტონალობაში, თბილ, მორუხო კოლორიტში. მხატვრისათვის მთავარი აქ ადამიანია, მისი დამოკიდებულება საქმისადმი, მისი შინაგანი განწყობილება და შესატყვის სახეით ხერხებსაც მიმართავს თავისი ჩანაფიქრის გადმოსაცვლა. იგი უარს ამბობს კომპოზიციის ვარსულებზე, ორიოდ დეტალთა მიანიშნებს სათქმულს. უარს ამბობს ფერადოვან შეპირისპირებებზე, რამდენადაც ეს მხოლოდ ხელს შეშლის ამ უპრეტენზიო ჩანაფიქრის გახსნას. მისადავე და უბრალოება მხატვრული საშუალებების გამოყენებისას განსაზღვრავთ თვით ტილოს იდეურა მინაარსმა — სადა, უბრალო მშრიბელი კაცის მხატვრული ხასის შემქმნის ამოცანამ. ნაწარმოების ფერწერული გამოქმნისხელობა აქ საერთო მხატვრული ამოცანის ნაწილია და ეს გამოქმნისგვლობა, ჩემი აზრით, მიღწეულია საჭირო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა ფერწერული ეფექტების მხრივ „ვიოლინო“ კაბინდა „მეშუშეს“, ეს უკანასკნელი უფრო საყვარადელი იყო თავისი მხატვრული შინაარსით. ტილის ერთ კოლორისტულ განაშენი გადაწყვეტა კი, ვფიქრობ, თავისთავად არანაკ-

ლუბე რთული ფერწერული ამოცანაა. ამ გზით მხატვრული ეფექტისა და გამომსახველობის მიღწევა ნიჭიერი ხელოვანის ძალასა და უნარს იხოვს.

ამ პატარა მაგალითით, ამ შემთხვევაში, გესურს განსჯის საგნად ვაქციოთ თვით მხატვრულ მოვლენათა შეფასების პრინციპი. ხომ არ იქნებოდა ცალმხრივობა ფერწერული ნაწარმოებების შეფასებისას მხოლოდ ფერწერული ამოცანის გადაჭრის საკც ხათა შემოფარგლვა? ჯერ ერთი, ფერწერული ამოცანა დამოუკიდებლად არ არსებობს. იგი საერთო მხატვრული ამოცანის, მხატვრული პრობლემის ნაწილია, ისევე, როგორც ნახატი, კომპოზიცია, პლასტიკა, ხაზის გამომსახველობა და მთელი რიგი სხვა სახვითი საშუალებანი ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილია. სახვითი ხელოვნება, ჭეშმარიტი, მაღალი შემოქმედება, მაღალი ოსტატობა ყველა ამ კომპონენტის ერთობლიობას გულისხმობს. ასე იყო საუკუნეთა მანძილზე და ასეა დღესაც. მაგრამ განა არა გვაქვს დღეს ნიმუშები იმისა (ამჯერად აქ მხედველობაში გვაქვს გამოფენების ექსპონატები, და არა მარტო ამ ბოლო გამოფენისა), როცა მხატვრების მიერ სრულიად იგნორირებულია ნახატი, ცოცხალი ფორმა, კომპოზიცია; განა არ ვხვდებით ნათელ აზრსა და ნათელ იდეურ

შინაარსს მოკლებულ ნამუშევრებს „ფერწერული გამომსახველობის“ მიღწევის ხარჯზე? ვიწრო ფერწერული ამოცანებით გატაცება, ჩვეულებრივ, იმ მხატვრებს სრეკვიათ, ვისაც, უბრალოდ, არ ძალუხს მოეჭიდოს დიდ, ჭეშმარიტ მხატვრულ პრობლემებს. ამიტომაც იოლ გზას არჩევენ და ამ გზაზე მათთვის არც ეპიგონობაა უცხო. საბედნიეროდ, იოლი, ეფექტების გზით მაგალითად რიცხვი მცირეა, მიუხედავად იმისა, რომ (აქ კი — საუბედუროდ) მათი ხელოვნება ფრიად მაღალ შეფასებას იმსახურებს თვით ხელოვნებისმიოდ-შეთა მხრიდან პრესაში თუ ზეპირ გამოხვედებში. მაგრამ რაში მდგომარეობს მხატვრის მიღწევა — ამის დამაჯერებელ დასაბუთებას არავინ ცდილობს. ეს კია, რომ იქნებმა გაუგებობა, პროფესიული უსუსურობა, სქემატიზმი. პრიმიტივიზმი ცხადდება მისაბამ ხელოვნებად და ნაწარმოებში ფერწერულობის წამყვანობის უსაფუძვლო თეორია არასასურველ გავლენას ახდენს, ზოგჯერ არასწორი გზით წარმართავს მხატვართა შემოქმედებით შრომას. ფერწერული გამომსახველობა მაშინ არის ჭეშმარიტი, როდესაც ხსნის ნაწარმოების იდეურ არსს, ავლენს მის ემოციურ შინაარსს, ორგანულად წაწყმის სურათის პლასტიკას, რიტმს. როდესაც სურათში (რომელსაც ავტორი სულ ერთია, რასაც დაარქმევს) ადამიანების მა-

ე. ახვლედიანი.
ორთაქალაქისის მშენებლობა.



გიორად ვხედავთ ადამიანთა გამოსახულებებს მიმსგავსებულ სქემებს, ყალბ სტილიზაციას და საგნების გაუსახურებას. ამის საკომპენსაციოდ კი საღებავთა თამაშს, მონასმების თვითმიზნობრივობას, ვეჭვობ, იგი ნამდვილ ესთეტიკურ შემოქმედებას ახდენდეს თვით მათზე, ვინც მას ოვაციებით ხედემა.

ამგვარი ესთეტიკური თვალსაზრისის არსებობა მით უმეტეს გაუგებარი და ვასაოცარია, როცა ამ აშკარად სუსტ, თუმცა გარეგნულად პრეტენზიულ ნაწარმოებთა გვერდით ბევრად უფრო მრავალრიცხოვანია ნამუშევრები, რომლებსაც ფერწერულ ღირსებებთან ერთად სხვა თვალსაჩინო ღირსებებიც გააჩნიათ. შემოქმედებით-სტილისტური ნაირგვარობა, აზროვნების, ხედვის ორიგინალობა და ინდივიდუალობა — მეთოდისა და პოზის შერწყმასთან ერთად, ჩვენი მხატვრების ჯანსაღ შემოქმედებით ცხოვრებაზე მიუთითებს. მათი შემოქმედება იმის დასტურიცაა, რომ ჭეშმარიტი, ორიგინალური ტალანტის მქონე შემოქმედი მხოლოდ საკუთარი გზით მიდის, ცხოვრებისეული განცდილების, განცდილისა და გააზრებულის საფუძველზე იგი ქმნის ახალ, თავისებურ სახეობრივ სამყაროს, რომელშიც აველენს თავის მოქალაქეობრივ პოზიციას, საკუთარ კრედოს პროფესიული სრულყოფისაკენ მუდმივი



ლ. ჭველიძე.
კვილას ქირღება ზრუნვა.

ნ. ივანატოვი.

მთებში.



სწრაფვა, ძიებანი ყოველი ახალი ამოცანის ას-
ლებურად ხორეშესხმისათვის ნიშანდობლივია
საქართველოს მხატვრების საუკეთესო ნაწილი-
სათვის. მათი შემოქმედება თვალსაჩინო მაგალი-
თია იმისა, თუ რაოდენ ფართო და უსაზღვრო
რეალიზმის შესაძლებლობანი.

გამოფენაზე „დღეობა შრომას“ ექსპონირებუ-
ლი ნაწარმოებები, ცხადია, სხვადასხვა პროფესი-
ულ და მხატვრულ დონეზე იხდა. რიგი ავტორე-
ბისათვის ეს იყო მორიგი წარმატება, მეორეთათ-
ვის — შედარებით უფროი გამოსვლა. იყო აქ
სადღეო, საკამათო და დასაბუთებელი კვლევა თვალ-
ნათლივ ჩანდა ტენდენციები, რომელიც ადრეც
შეინიშნებოდა მხატვართა შემოქმედებაში. მთლი-
ანად გამოფენა, მიუხედავად იმისა, რომ მხატვ-
რულად ძლიერი ნაწარმოებებით არცთუ ისე
მდიდარი იყო, უთუოდ ინტერესს იწვევდა მრავ-
ალფეროვნებით, აიოცანების ასლებური დასმით
და გადაწყვეტით, თანამედროვეობის მაჯისცე-
მით.

გამოფენაზე სამასამდე ნაწარმოები იყო ექს-
პონირებული და მათზე მსჯელობა ფართოდ შე-
იძლება გაიშალოს, მაგრამ აქ ამოცანას შემოე-
ზღუდავთ იმ ნაწარმოებებით, რომლებიც, ასე თუ
ის, სანიშნოდ გამოდგება მხატვართა ძიებების,
მათ მიერ შეჩვენული გამოსახვის ფორმის შესა-
ხებ საუბრის თვალსაზრისით.

მოდური „სიახლის“ მიმდევრებისთვის და პო-
პულარიზატორებისთვის ალბათ ირონიის საგ-
ნად იქნება მიჩნეული აქ წარმოდგენილი მთელი
რიგი ტილოები. არცთუ ძალიან იშვიათია ხოლ-
მე: დამთავლიერებული გარემოებულ დგას ნამუ-
შეების წინ (ასეთი ნამუშევრები, საბედნიეროდ,
მეიორიცხოვანია), მას კი უხსნიან, განუმარტა-
ვენ, რომ ხელოვნება აი, სწორედ ეს არის და
სხვა დანარჩენი კი — ფოტოგრაფიულობა და ნა-
ტურალიზმი. განმარტებამ, ნაძალადეგად (არა
შინაგანად), შესაძლოა, დააჯეროს გულბურჯი-
ლო, მაგრამ როცა საჯაროდ, პრესაში თუ სხვა-
გან, ამგვარი „დიდი ხელოვნების“ თუნდაც ერთ
ნიმუშს რეკლამას უკეთებენ, აზრის სიახლედ-
თავისებურებად, სახიერად და კოლორიტულად
ნათლვენ, ეს უკვე დამთავლიერებულთა დეზორ-
იერიტირების ნიშნავს, ავტორს — მხატვარს კი
უბიძგებს იოლი გზით, ყალბი, მოჩვენებითი
ორიგინალობის გზით განაგრძოს ხელო და გამო-
ფენიდან გამოფენამდე წარმოკვიდგინოს იდეურ-
ემოციური შინაარსისგან ახალი ტილოები, სა-
დაც ფერწერული ლაქებისა და მონასხების თვით-
ნიშნური თამაზიც კი არ მტკიცულებს ავტორის
დიდ პროფესიულ უნარზე. ნაწარმოებების კონკ-
რეტულ აზრზე, შინაარსზე რომ აღარაფერი
ვთქვათ, სახვითი ხელოვნების საფუძველთა სა-
ფუძველის — ნახატის (ცხადია, არა ვიწრო აკა-
დემიური გაგებით) მოცულობითი ფორმის, პლას-
ტიკის გარეშე, როგორც ცნობილია, ჯერ დიდი
ხელოვნება არ შექმნილა. მაგრამ თუკი ამის გა-

რეშე ტურმზე, მხატვარი წარმატებას აღწევს
ახალი, ორიგინალური ხელოვნების შექმნის საქ-
მეში, ამაზე, ვფიქრობთ, ღირს უფრო ფართო
საუბარი.

ფერწერის ახალ საიდუმლოებათა „გამოსწლე-
ბის“ ირონია, უნდა ვივარადუთ, პირველ რიგ-
ში შეეხება ს უ რ ა ბ ს ა მ მ ხ რ ა ძ ი ს ა ქ წ ა რ -
მოდგენილ ახალ ტილოსაც, „მწყემსი“. ამ ნამუ-
შევარს სანიშნოდ ვიღებთ, რათა მგავს თემებ-
ზე შესრულებული ნაწარმოებების მასთან შედა-
რების საფუძველზე გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრე-
ბა მხატვართა მიერ შეჩვენული, გასხვავებული
სახვითი პლასტიკური საშუალებების შესახებ და
იმ შედეგებზე, რასაც საბოლოო ჯამში ვიღებთ.
ზ. სამხარაძის სურათში, თავისთავად, არავითარ
ნიშნად, ორიგინალური გამომსახველი საშუ-
ალებები არ არის გამოყენებული. იგი განხორ-
ცილებულია ჩვეულებრივი, რეალისტური, რო-
გორც ამბობენ ხოლმე, „ტრადიციული“ ხერხე-
ბით, მაგრამ, ჩვენი აზრით, საქმე „ტრადიციუ-
ლობაში“ არ არის. ტრადიციული გზა შეიძლება
იყოს გზა წარმატებისაკენ და მარცხისკენაც, ისე-
ვე როგორც ახალ გზას, ძიებას და ექსპერიმენტს
ყოველთვის არ მოაქვს გამარჯვება. ვფიქრობთ,
საქმე მხატვრის ხედვაშია, სინამდვილის ცოცხა-
ნიშნად შთაბეჭდილების, განცდილების ჭეშმარიტ
მხატვრულ განსახიერებაში, რეალურისა და წარ-
მოსახულის ურთიერთმერწყნაში. ფორმის მოძებ-
ნას შემოქმედის ეს ხედვა, აზრჩენება განაპირო-
ბებს.

ზ. სამხარაძის სურათში იგრძნობა, რომ მხატ-
ვარმა მთელი პოეზია დაინახა მწყემსის ყოფისა
და შრომაში. ამ ადაშიანის ცხოვრებას შეხედა
იმ კუთხიდან, რომელიც მიგვიჩვენებს მის, თუშ-
ცა სიძნელეებით, მაგრამ ამავე დროს პოეზიი-
თაც აღსავსე საქმიანობაზე. სწორედ ეს პოეტური
სურათი გადაშალა მხატვარმა მაყურელების თვალ-
წინ, გადაშალა ისე, რომ არ აჩვენა არც ამწე-
ნებული კორდები და არც ფირუზისფერი ცა თეთ-
რნახტულა დღურელებით. მიწდორზე სანახევროდ
გაწოლილი ახლავარდა მწყემსის ფიგურას გარს
მჭიდროდ ესხვეს ცხვრები გამოსახულებები.
ზ. სამხარაძეს პოეზიის ტაქტიკა, გემოვნება, ფერ-
წერული ალიტი და სახვითი ოსტატობა, რომ სურ-
ათის ეს ორი აზრობრივი და ფერწერულ-პლას-
ტიკური დეტალი ერთ მთლიან ხატვარს სანახა-
ობად აქციოს. ჭაბუკი მწყემსი პირდაპირ, მაყუ-
რებლისკენ იმზირება, მის სახეზე სასაბოთნო
დასვენების წუთებია აღბეჭდილი. მარჯვენა ხელ-
ში მიწდრის პაწაწინა ლურჯი ყვავილი უყურია
— ბუნების შეთვისა და ბუნებასთან შეზრდი-
ლისათვის არც მისი მშვენიერებით ტკობაა უც-
ხო. მხატვარი არ მიმართავს ფერწერაში ამაყ-
მად ხშირად ხმარებულ გარვიკულ საშუა-
ლებებს — არ იმეღლებს ხატვის ფორმათა ერთმა-
ნეთისაგან გამოსაკოფად. მჭიდროდ შეკრული
ცხვრის ფარა დაწერულია ფერწერულად გამო-

სახელად, საინტერესოდ და ამ ნათელ მასაში თვისი მხატვრული ფუნქცია აკისრია ცხვრების რჩების პატარა, მუქ დეტალებს მწყემსის ფიგურის ირგვლივ. ფერადოვანი ლაქების კომპოზიციაში ეს დეტალები ერთგვარი გადრეზილი საფხურებია ადამიანის მზემოკიდებული, მუქი ყავისფერი-შვიდისფერები დაწერილი ფიგურებიდან თითბერევიანი პირუტყვების ამ უკიდვარო ზღვაში. თითქოს იყო საღმრთოება, რომ ეს უმჯობესი, ღია ფერის მასა მოსაწყენი, მონოტონური და მხატვრულად უსუსური გამოსულიყო, მაგრამ ფერწერი მასში ნახულობს ფერადოვან სიმდიდრეს, ლამაზ ელფერებს, ჰაერის, ლაკარის ვარისფერ-ციფერ ანარეკლებს და მსუყე მონასმებით, ფაქტურის გრძნობით ძერწავს ფორმებს.

კომპოზიცია მაშინ არის მყარი და ყოველმხრივ მოფიჭებული, როცა მას ვერც ვერაფერს გამოაკლებ და ვერც ვერაფერს მიუმატებ; როცა ყოველ დეტალს აზრობრივი და პლასტიკურ-მხატვრული დატვირთვა გააჩნია. ამ მხრივაც ზ. სამხარაძის ტილო გარკვეულ სიმაღლეზე დგას. გვახსოვს მისი ადრინდელი ტილოებიც, რომლებიც ასევე გამოირჩეოდნენ მხატვრული სიმართლითა და პოეტური ჩანაწყოებით.

მსგავსი იდეური ჩანაწერიან ხორცშესხმული ნიკოლოზ იგნატოვის ტილოშიც „მთებში“, მაგრამ ხორცშესხმულია სრულიად სხვა ზოთი და სხვა საშუალებებით, კვლავ საინტერესოდ, პოეტურად, შინაგანი განწყობილებით, ახლებური ინტერპრეტაციით. მისი შრომები — მეცხვარეები, მათი ყოფა-გარემო მხატვარის წარმოსახული აქვს ასევე „მრავალსიტყვაობის“ დეტატი, ტიპური უტრისებები, ტიპური სახელების მინიშნებით და ყოველივე ეს ქვეყლია ერთ ხატვან თქმად, რომანტიკით შეფერილ სიმღერად, რაც ე. იგნატოვისთვის საერთოდ არ არის უცხო. კომპოზიცია გადაწყვეტილია ჯგუფური პორტრეტის პრინციპზე — მთავარი პერსონაჟი — ახალგაზრდა, ხანდაზმული და ყვამა მეცხვარე (მათ უკან, მეორე პლანზე სამი ქალი) გამოსახულნი არიან ნახევარი ტანით. ისინი მაყურობის წინაშე როდი არიან წარადგენი, სხვა მიმართულებით იმხრობიან, გამზადებულნი შორეული მოგზაურობისთვის. აქვე, მათ ირვლივ ვხედავთ ცხვრის ფარას, ოჯახის წევრებს — გამოცემლებს, რომელთა სახეებზე სათნოება და შორს მიმავალი ახლობლები — სადმი სიყვარული იხატება. დახვეწილია ნაწარმოების სახებით პლასტიკური ენა: ხაზობრივი და ფერადოვანი რიტმი, რაც საერთოდვე განსაზღვრავს ე. იგნატოვის ნაწარმოებთა მხატვრულ-ემოციურ გამომსახველობას, აქვს არსებით როლს თამაშობს და არა მხოლოდ ფორმალურს. იგი ორგანულად მიმდინარეობს სახეობა მართალი შინაგანი დახასიათების ამოცანიდან. ადამიანთა ფიგურების, მათი სამოსის ხაზების ვერტიკალურ

რიტმს კვეთის კომპოზიის პოროზონტალური ხაზები. გაწონასწორებულია მუქისა და ნათელის, თბილი და ცივი ფერების რიტმიც. სურათის კოლორიტი აგებულია მწიდი, ფლანდისფერ-მოლურჯოსთან შეხამებულ თბილ წაღისფერებზე, რაც კვლავ სურათის იდეურ-ემოციური შინაარსის გახსნის ამოცანას ექვემდებარება. ერთი შეხედვისთანავე შეიცნობთ იგნატოვისეულ ხელწერას, მისეულ სახეებს, რომლებსაც ტიპაჟის, საერთო იერის თავისებურება გამოირჩევს და ამავე დროს ეროვნული, სულიერი დახასიათების სიმართლედ აძლევს გამომსახველობით ძალას. „მთებში“ გამოფენის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო, დასამახსოვრებელ ექსპონატად მიგაჩნინია. ნაწარმოები იმავე მეტყველებს, რომ მხატვრის ტემპარიტი ინდივიდუალობის გამოვლენის საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ რეალიზმია, საკუთარი ესთეტიკური კრედოს ერთგულმა და გულწრფელმა.


შეფხებით მეცხვარის შრომის თემაზე შექმნილი კიდევ ერთ ნაწარმოებს. ეს არის გ. ა. ს. კ. ვ. კ. ს. კ. ტილო. ნამუშევარი გადაწყვეტილია პლაკატურად, როგორც კომპოზიციური წესობით, ისე ფერსა და ხაზებში განხორციელების მხრივაც. სქემატურადაა მოხაზული მეცხვარის ფიგურა, ხაზატის მხრივ სრულიად გაუმართავია პირუტყვების გამოსახულებები. ფერში შესრულებასაც პლაკატური იერი აქვს — ერთნაირად იასამნისფრად შეღებილია მთელი მეორე პლანი. თვით ეს პირობითი ფერი რაზე მიაჩნებოდა — გაურკვეველია. მთლიანად ნაწარმოები ტოვებს ნაქტაოების, სათქმელის დაუსრულებლობის შთაბეჭდილებას და ავტორის მიერ ზურგზე სახეობის ფერწერული ამოცანების შერჩევასზე მეტყველებს.

ამოცანის დასახეისა და გადაწყვეტის არა მარტო განსხვავებულ გზებზე, არამედ მისადმი ნაირობის მიდგომაზე სხვათითვის მსგავსი მასალისა და თემის შემცველი სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებებიც. ეს ბუნებრივია და ასევე უნდა იყოს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა შედგენა — რამდენად და როგორ მიაღწია მხატვარმა თემის მაღალმხატვრულ გახსნას. აქვე გვინდა საინტერესოდ მოვიყვანოთ ზ. ხ. ვ. კ. ვ. კ. ს. კ. — საღამო მთებში“ და ი. მ. ქ. ვ. კ. ა. მ. კ. ს. კ. — „მოწინავეთა დაჯილდოება“. ეს ტილოები განსხვავებული შინაარსის, მაგრამ ორივე ძნარული ხასიათისა და სვანეთის პეიზაჟურ ხედვებს წარმოსახავს. ხოჯელანის სურათში, რომელზეც შენიშნობისას ხალხის დახვეწება-გართობაა გამოსატკლი, წამყვანია თვით პეიზაჟური მოტივი: მხატვარის სწრაფების გადნოსკეს ამ დიდებუთი ბუნების მშვენიერება საღამო ვამს, როცა მინდვრებს ლურჯი-ვერცხლისფერები ეპარება და კომეები და სახელები მუქ ლითონისფრად აქვრდებიან. რიტმულ აქცენტებზე, დინამიკურ, მულერზე ხაზებზე აგებული მთელი კომპოზიცია. მხატვარი შორეულ ვერტიკლიდან დასცქერის მის წინაშე გადაშ-

ლილ ცხოველბატულ პანორამას, ამ მიწის ხალხს, მუქ, მკაფიო სილუეტად რომ შვეკრულა და თვალს აღწევებს ბედაურების შეჯიბრს. ეს სილუეტები ტალღოვან ლაქებადაა ჩაწერილი კომპეებისა და სახლების მოხდენილ ჯგუფებს შორის. თეთრ, მოძრავ ზოლად გაწოლილა გზად მიმავალი ცხვრის ფარაც და ეს ზოლი იკარგება შორს, სადაც ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივებით აელვარებული თოვლიანი მწვერვალები და ლურჯი მთებია. ლ. ხოჯელანი ფაქიზი გემოვნებისა და განცდის, მართალი და გულწრფელი მხატვარია. იგი მუდამ ეყრდნობა საკუთარ შინაგან გრძნობას, საკუთარ აღქმას და სწორედ ეს განაპირობებს იმასაც, რომ თავის სურათებში პოულობს ახლებურ კუთხეს მისთვის ამაღელვებელი მოვლენების შთამბეჭდავად წარმოსახვისათვის. სამისოდ მას არ სჭირდება სტილიზაციის, დეკორატიულობის გარეგნული მოხვედრა, ან გაუმრავლება, გამომიგნვა რეალური პლასტიკური ფორმებისა, მათი გარდასახვა ისე, რომ საგნის ნიშანდობლივი კონკრეტული ხასიათიდან არაფერი დარჩეს. საქმე ხომ თავისთავად არა სტილიზაციაშია (მის უარყოფაში თუ, პირიქით, სა-

ჭიროებაში), არამედ იმაში, თუ რა ამოცანას ემსახურება ესა თუ ის ხერხი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში.

ი. მექვაბინვილიმა უკვე საკმაო ხანია დამკვიდრა ნიჭიერი, საინტერესო მხატვრის სახელი. მრავალ ნამუშევართაგან მოვივიწყლოთ „1921 წელი“ — კომპოზიციურად და პლასტიკურად გამომსახველი პოეტური ტილო. ნამუშევრების სვანურ ციკლში, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მისი ახალი ტილოც — „მოწინავეთა დაჯილდოება“ მხატვარი გეომეტრიულ სტილიზაციას მიმართავს. ისევე როგორც ლ. ხოჯელანი, მხატვარი შორი მანძილიდან უშუერს სცენას. მაყურებლის თვალწინ გაშლილია სვანური სოფელი. უკანა პლანზე უშველებელ, ერთმანეთთან მჭიდროდ მიდგმულ მასივებად აღმართულა კოშკები და სახლები, წინა პლანზე კი სახეიმი ცერემონიალი მიმდინარეობს. ნაგებობათა ეს ჯგუფი, მიუხედავად გარეგნული მასიურობისა, არ ტოვებს სიმძიმის, სიმკვრივის შთაბეჭდილებას, არამედ გაურკვეველი ფერით შეღებილ, მუყაოს დიდი ნაჭრებისაგან აგებულს უფრო წაავსებს. ამგვარი განზოგადება, პირობითობის ამგვარი



წ. დავითია.


ენგურკისის მშენებლები.

სურს, ჩვენი აზრით, ორგანულად არ მომდინარეობს თვით ნატურის ხასიათიდან, მისი ფაქტურული და სილუეტური თავისებურებიდან, კოლორითიდან, ამიტომაც, ეს სახე რეალურის სიმშვენიერეს მოკლებულია და ხელოვნური, ყალბი იფი დაპყრავს. სურათის ამ დეტალმა, რომელიც მაყურებელს თვალში ხვდება, სწორედ გეომეტრიული სიმრტყეების, მოცულობების გარეგნული გრანდიოზულობით, სრულიად დათრგუნა ტილოს მხატვრული შინაარსი, ის, რაც მასში მთავარი უნდა ყოფილიყო.

რეალისტური განზოგადება, ცხადია, გულისხმობს საგნების, მოვლენების ტიპურად თავისებური ნიშნების გამოყოფას, ხაზგასმას, ამ თავისებურებების, კონკრეტული ხასიათის არსიდან ამოვლას. თითოეული შემოქმედი ამ არსებით ნიშნებში განსაკუთრებით გამოყოფს იმას, რაშიც იგი მშვენიერებას ხედავს და რაც მის საკუთარ ემოციურ აღქმას ესადაგება. ასე იქცევა სინამდვილის მშვენიერება ხელოვნების მშვენიერებად — იგი მეორე, ახლებურ და მეტყველ სიცოცხლეს იქნის ტილოებში, ქაღალდზე თუ სკულპტურულ ქმნილებებში.

მაგრამ, როცა განზოგადების გზა მხატვრული სიმართლისაკენ მიმავალი მიმართულებიდან გადაუხვება და ფორმათა გაყენებული შემქნით შემოიფარგლება, თავისთავად იკარგება ხელოვნების მშვენიერებაც. ზედაპირული, მხოლოდ ფორმისეული სახვითი ეფექტები წარმავალი და ასევე ზედაპირული შთაბეჭდილებების განმაპირობებელია (ამ თვალსაზრისით იგი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მნიშვნელობას იძენს).

ხშირად ძსუელად მიხვდები: ამა თუ იმ ნაწარმოების ავტორი ნიჭიერი პროფესიონალია თუ თავის უნიჭობას და პროფესიულ უსუსურობას ფარავს ფორმათა დეფორმირებით ან პრიმიტივიზაციის, სქემატიზაციის ტენდენციით, ფორწურულობის პრეტენზია — ფერთა შეპირისპირება, ურთიერთხმიერების ეფექტი, მსუყე, ფართო მონასმები — ყოველივე ეს თავისთავად, თვითმიზნური, როცა კონკრეტული აზრისა და შინაარსისაკენ იზოლირებულია. სიუჟეტური მოტივი მხოლოდ საბაზად იქცევა ხოლმე ამ გზით მავალი მხატვრებისათვის, რომლებიც არა შინაარსის გახსნისაკენ ისწრაფვიან შესატყვისი სახვითი ხერხებით, არამედ წინასწარ ჩაფიქრებულ ფერ-



მ. ბილუაშვილი. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.



ზ. გოლაგა. მეთევზეები. (ფრაგმენტი)

წერულ წყობას მიუსადაგებენ სურათის შინა-
არსს. ამრიგად, სურათებზე ჩნდება ინდივიდუა-
ლობას, გარგებულ თუ შინაგან სულიერ დახასი-
ათებას მოკლებული გამოსახულებები — სქემე-
ბი, თეატრალიზებული, ყალიბი პოზები და შეს-
ტები, არა დაწვრილი და გამოძვრილი, არამედ
შეღებილი, ბრტყელი ფორმები ცხადია, რაც არ
უნდა ვირტუოზული იყოს ფერმა თამაში და
ცხოველყოფილობა, მაყურებელს ამგვარ ტი-
ლოსთან ვერ შეაჩერებ. იგი გულგრილად ჩაუ-
ვლის მას გვერდით (მით უმეტეს, თუ ამავე გამო-
ფენაზე დიდი გემოვნებით და ოსტატობით შეს-
რულებული მხატვრული ხალჩიბა ექსპონირე-
(აბანდ

ილია პატაშვილის შემოქმედებით
შესაძლებლობანი არცთუ უცნობია ჩვენთვის. მის
ფერწერულ ტილოებში იგრძნობა ხოლმე კარგი
პროფესიონალი, საკუთარი წარმოსახვის მქონე
შემოქმედი. ამ გამოფენაზე მან ორი დიდი თემა-
ტიური ტილო წარმოადგინა: „უხვი მოსავალი“
და „მეჩაივები“. კომპოზიციური ჩანაფიქრით
„უხვი მოსავალი“ პანოს ხასიათს ატარებს: კოლ-
მუნერნათა ფონტატურად განლაგებული ფიგუ-
რები მაყურებლისაკენ მიგზნაობენ, თან მოაქვს
შემოდგომის სვავი და ბარაკა, ხილთი ავსილი
კალათები. სურათი გადაწყვეტილია მუქ, მონო-
ტონურ ფერებში, რაც თავისთავად, ნაკლებ ესთე-
ტურად მოსავლის ზეიმის განწყობილებას. მთავარი
კი ის არის, რომ მხატვარმა თვით ადამიანთა სა-
ხეობში ვერ განასახიერა შრომის უხვი ნაყოფით
განაწილებული სიხარული. პირიქითაა, თითოეულ
პერსონაჟს რატომღაც სევდიანი, ტრაგიკული
იერი დაჰკარავს. ნახატს უსტკია, ფერწერა —
ღუნე. მიუხედავად გაწვეული შრომისა (ტილოს
ზომები კი საკმაოდ სოლიდურია) მხატვარმა ვერ
შეძლო თემის შესატყვისი ამაღლებული განწყო-
ბის აღგზნების შექმნა.

მხატვრული ამოცანა კიდევ უფრო ზერეულ და
განყენებული ფორმისეულია ი. პატაშვილის მეო-
რე სურათში, „მეჩაივები“. აქ მხატვარი სრულიად
აცილებულია ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებებს
და ქმნის ერთგვარად თეატრალიზებულ, ამავე
დროს სტატიკურ სანახაობას, რომელსაც ხელოვ-
ნობის, მანერულუნის აშკარა დადი აზის. აქაც
ეოცნალი ადამიანების ნაცლებთა ვხვდავთ რაიმე
ინდივიდუალურ თუ ეროვნულ ტიპურ ნიშნებს
მოკლებულ, თითქოს ერთი ნიღბიდან აჭრილ მე-
ჩაივ ქალთა სქემატურ გამოსახულებებს, მლოც-
ველურივით ზეაპრობილი ხელებით, გახვევულ
პოზებითა და გაყინული, სევდიანი გამომეტყვე-
ლებით. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს თება, სუ-
რათში მოქმედი ადამიანები მხატვარს არა თა-
ვისთავად აინტერესებს, არამედ იმდენად, რამ-
დენადაც მის მიერ ჩაფიქრებული ფერწერულ-
პლასტიკური ამოცანის გადასაწყვეტად ჭირდებ-
და. როგორი ამოცანაა ეს? მუშავნე, წითელი და
ღრმა შავი ფერების ერთობლივი აქვრება, ნა-

თულ აქცენტებთან მათი შესამება. ამიტომაც აე-
ტორი შეგნებულად მიდის სქემატიზაციისა და
მანერულუნის გზით. სწორედ აქ იჩენს თავს ეს-
თეტიკური პოზიციის მერყეობა, არაგულწრფე-
ლობა, ძიებების სიმცდარე. ისეთ მხატვარს, რომ
გორიც ი. პატაშვირია, ძალა შესწევს შექმნას ნამ-
დვილი მხატვრული ღირსებების მქონე ნაწარმო-
ებები, გადაწყვიტოს ბევრად უფრო ღრმა ამო-
ცანები, რასაც კუმპარიტი რეალისტიკური ხელო-
ვნება აყენებს შემოქმედთა წინაშე. სქემატიზმს,
სტილიზაციას, მანერულუნობას და პრიმიტივიზმს
ახლა ყველა უნიჭო მხატვარი ეფარება, რათა
„ორიგინალურისა“ და „ნოვატორის“ მარკა მი-
იკნას, იოლად გაითქვას სახელი. და ვინაიდან
გრძეთერი გამორჩეული არ არის, კრძელდება
ხელოვნების სახელით იაფფასიანი პროდუქციის
მსვლელობა გამოფენებიდან გამოფენებზე (ანა-
ლოგიური მდგომარეობაა ქანდაკებამაც).

ფერწერული პრობლემების გადაჭრისაკენ
სწრაფვამ რამდენადმე მცდარი მიმართულება მი-
იღო ზოგიერთი, უკვე ფართოდ აღიარებული
მხატვრის შემოქმედებაში, რამაც, ჩვენი აზრით,
წარმატება ვერ მოუტანა მათ.

ზურაბ ნიქარაძის ფერწერული ენა
და სტილი ადვილად შესაცნობია. ნახატის, კომ-
პოზიციის, პლასტიკური ფორმის ოსტატისათვის
მუდამ ერთ-ერთი არსებითი ამოცანა იყო ფერის
ემოციური ძალის გამოვლენისათვის ზრუნვა. შუ-
ქითა და ჩრდილთი, თბილი და ცივი, სუფთა,
მღვრილი ფერებით ძერწავს იგი ფორმებს, გამო-
კვეთს ნახატს. სინათლის, რეფლექსების თამაში
საგნების ზედაპირზე მხატვარს მუდამ კოლორი-
ტის ფაქიზი გრძობით აქვს მოყვანილი მხატვ-
რულ მილიანიზაში. მისი პიუბები ამ მხრივ მრავ-
ალი თვალსაჩინო წარმატებით არის დაკვირ-
ვნიებული და განაპირობებს ნამუშევართა მხატ-
ვრულ-ემოციურ ძალას.

ახალ სურათში „თანამჯავრები“ ზ. ნიქარაძე
კვლავ განაგრძობს ძიებებს ამ მხრივ, მაგრამ ეს
ძიებები რამდენადმე უხვევს სხვა ნიმათრულ
ფორმას — იგი საცოდება ფერის რეალისტური ქმე-
დობითობის ძალას. ფერები, ტონები თითქოს უკ-
ვე თავისთავად არსებობენ ტილოზე და არა ციფ-
ხალი ფორმის გამოსაკვეთად. თვალში მოსახვედ-
რია საღებავის ოპოკალრობა. ფერებმა დეკარ-
გეს სიწინდელ და გამჭვირვალობა, თუმცა შექ-
მნილი კონტრასტების შესაქმნელად კვლავ
არსებითად რჩება ლურჯ-იასამნისფერებისა და
ოქროსფერ-ნარინჯის შეპირისპირება. „თანამ-
ჯავრები“ მოისუსტებს ნახატსაც. მხატვრის
ახალ ექსპერიმენტს, ჩანს, ემსხვერპლა ნიქარა-
ძისეული მკვირი მოყვლიობითი ფორმაც. შე-
დარებით მეტყველი დეტალი სურათში — ეს
არის ვაგონის სარკმელში აღბეჭდილი შორეული
პეიზაჟი, რომელიც ნათელი, პაეროვანი და მქელ-
რი ფერებით მკვირი მოყვლიობითი ფორმაც. შე-
დარებით მეტყველი დეტალი სურათში — ეს
არის ვაგონის სარკმელში აღბეჭდილი შორეული
პეიზაჟი, რომელიც ნათელი, პაეროვანი და მქელ-
რი ფერებით მკვირი მოყვლიობითი ფორმაც. შე-
დარებით მეტყველი დეტალი სურათში — ეს

არაძის შემოქმედებით გზაზე „თანამგზავრები“
დარჩება მხოლოდ ერთ-ერთ რიგით ცდად.

მამია ახობაძეს გამოფენაზე ირი პეი-
ზაჟური ტილო ჰქონდა წარმოდგენილი. ამ მხატ-
ვისთვისაც ასევე ნიშანდობლივია სასკითხი სა-
შუალებების თანმიმდევრული, ბევრით ძიება, ამა-
ვე დროს მკაფიოდ თავისთავადი ხედავ-ხელწერა.
მისი როგორც თემატური კომპოზიციები, ისე
პეიზაჟური ტილოები (რომლებშიც მ. ახობაძე
მეტად საინტერესო, ფაქიზ პეიზაჟისტად გვევ-
ლინება) რეალიტური ცხოველყოფილობით წარ-
მოსახავენ ხოლმე სინამდვილის მოვლენებს. ახალ
ნაშუქვებში კვლავ იგრძნობა, თუ რა არის
არსებითი მხატვრის ძიებებში: კომპოზიციური
სიმწობრე და ხატოვანება, აღებული პეიზაჟური
მოტივისათვის სახასიათო ფერით ელერალობის
სიღამაზის გადმოცემა. უნდა ითქვას, — იგი ამ
მიზანს აღწევს, თუმცა, ჩვენი აზრით, ტიპურის
განზოგადება-გაძლიერებისას ფერებში სიყაღბე
იპარება — არაბუნებრივად ეღერს მიწის ნარინ-
ჯისფერ-წითელი, ხეებისა და ბუჩქნარის ასევე
უფლებად გაძლიერებულ ინტენსიურ ყვითელ-
მწვანესთან. დეკორატიული ელფერის ეს წი-
თელ-მწვანე ლაქები გარეგნულად ეფექტურია,
მაგრამ ბუნებრივ კეთილშობილებას რამდენადმე
მოკლებული. მ. ახობაძის არც ადრინდელ ტი-
ლოებს აკლდათ ფერთა ინტენსიობა, გაბედულე-
ბა ფერწერულ გადაწყვეტაში, მაგრამ ისინი ამ
მხრივ მეტი პარამიოილობით და მთლიანობით,
ამდენად, მეტი ემოციურობით გამოირჩეოდნენ.

აღებული თემის, ჩანაფიქრის მხატვრული ინ-
ტერპრეტაციის თვალსაზრისით შეიძლება შევ-
ხედოთ გამოფენის მთელ რიგ სხვა ექსპონა-
ტებსაც, რომლებიც არანაკლებ მასალას იძლევი-
ან განსახილველად. მაგრამ ამჯერად ჩვენ მხო-
ლოდ რამდენიმე დამატებითელი ნაწარმოები
შევარჩიეთ მხატვართა ძიებების ბა! იათანე ჩვენი
თვალსაზრისის გამოსათქმელად.

გამოფენაზე ექსპონირებული იყო რიგი ტი-
ლოებისა, რომლებიც ნათელყოფდნენ გამოც-
დილ ოსტატთა თუ ახალგაზრდა ფერმწერთა
შთაგონებულ შრომას, მღელვარე, გულწრფელ
დამოკიდებულებას აღებული თემისადმი, ამოცა-
ნებისადმი, მოწმობდნენ გარკვეულ მიღწევებსაც
ამ ამოცანების გადაწყვეტაში.

უთუოდ საინტერესო, მზარდ ფერმწერებად გა-
მოჩნდნენ გამოფენაზე: ზ. დავითაია, თ. ჩუბინი-
ძე, ზ. გოლავა, დ. გრიგოლია, შ. შანიძე, ვ. ბარა-
მიძე, თ. ფიცხელაური, ი. ბეჟანიშვილი, თ. გაბი-
ძაშვილი, ა. ჩაგელიშვილი, ბ. ქელიძე, მ. ჭანი-
შვილი, ა. ფარქოსაძე და სხვები. რა თქმა უნდა,
ბევრი ითქმის მათი ნაშუქვების ავ-კარგზე,
ღირსებებსა და ნაკლზე. მაგრამ მთავარი, რითაც
ამ ავტორების ტილოები სასაიდუმლოა, არის თა-
ნამედროვეობის გრძნობა, მისი განსახილველის
სურვილი მართალ, ემოციურ მხატვრულ სახე-
ებში.



ზ. სამხარაძე.

მწკეში.

ო. ჩუბინიძე.

მუნებლები.





ხელოვნება და მისი აუდიტორია*

ზურაბ კაკაბაძე

სწრაფობა, რომ შემოქმედებითი შთაგონების ქაშის ხელოვანი კაცი განმარტოვებას, თავისთავთან მარტო დარჩენას ეძებს. შემოქმედებით აქტს ხელს უშლის სხვათა უბრალო თანდასწრებაც კი. შემოქმედების გადამწყვეტ მომენტში ხელოვანი მარტოდმარტო დგას თავისი ხილვების წინაშე. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნაწარმოებს იგი თავისთვის ქმნის ისე, რომ არავის სხვას არ გულისხმობს. ნაწარმოები არის მისი სიტყვა, იგი არის მის მიერ რაიმეს თქმა და, როგორც ასეთი, გულისხმობს გაგონებას და გაგებას, გამოწონას და გამგებას. ამ უკანასკნელის გარეშე ეს სიტყვა, ეს თქმა მკვდარია და უსიცოცხლო, რეალობას მოკლებული. მხატვრული ნაწარმოების, როგორც თავისებური სიტყვისა და თქმის რეალობა და სიცოცხლე სხვათა მხრივ მისი „მოსმენა“ და შესმენა, „გაგონება“ და გაგებაა.

ხელოვნების ნაწარმოები მარტოობაში იქმნება, მაგრამ იგი მუდამ გულისხმობს სხვას, სხვებს — მეთხვევლებს, მსმენელებს, მაყურებლებს ანუ, მოკლედ, აუდიტორიას.

ხელოვანი კაცის ჭეშმარიტ ბედნიერება მის მიერ შექმნილი ნაწარმოების სიცოცხლის განცდაა, სიცოცხლისა, რომელიც აუდიტორიის პოზიტიურ რეაქციაში ცხადდება და დასტურდება. ამიტომაც, რომ ხელოვანი მოუთმენლად ელის გამოძახილსა და გამოხმარებას და ჭეშმარიტად ბედნიერი ამ მოლოდინის აღსრულებისას. ჭეშმარიტად ბედნიერია პოეტი, როცა ლექსის კითხვისას ამ ლექსის შუქს წააწყდება მსმენელთა თავაღობი, ჭეშმარიტად ბედნიერია კუსისებსა თუ ლოქის სიღრმეში მიმაღული თეატრალური რეჟისორი, როცა რომელიმე ეპიზოდის დასასრულს ანდა ფარდის დაშვებისას, სულგანაბულ დარბაზს ტანის ვრიალი უსკადება.

ხელოვნება დამოკიდებულია აუდიტორიისგან აგრეთვე სხვა, უფრო „პროზაული“ აზრითაც: ხელოვანსა და მის ხელოვნებას შესატყვისი აუდიტორია როგორც „მომხმარებელი“, აფინანსებს* და ასე ქმნის მათთვის აუცილებელ მატერიალურ ბაზას.

ხელოვნების ნაწარმოები აუდიტორიას გულისხმობს. მაგ-

რამ საქმე ისაა, რომ იგი როგორც თავისებური თქმა, ყოველდღიურ-პრაქტიკული, საყოფაცხოვრებო ერთ მტკცველუბასთან შედარებით, ძნელად აღწევს გაგებას და ამიტომაც ხელოვნების ნაწარმოების მხრივ აუდიტორიის მოპოვება არ არის თავისთავად ცხადი, იმთავითვე უზრუნველყოფილი ვითარება. ხელოვნების ნაწარმოები, მეტად თუ ნაკლებად, ყოველთვის დგას თავდაპირველი გაუგებრობის ხიფათის წინაშე. ხდება ისევე, და არცთუ იშვიათად, რომ ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები თავდაპირველად სრულ გულგრილობასა და დუმობას, ანდა მკვეთრად უარყოფით რეაქციას აწყდება. ასეთ შემთხვევაში ხელოვანი კაცი მომავლის იმედი ასულდგმულებს, თუმცა კი ძნელია აიყდინოს ამასთან მძიმე გულდაწყვეტა და გულისტკივილი. ზოგჯერ არ იმჩნევს ამ გულისტკივილს, ისე იქცევა, ვითომდა აიყვრად ადგენდეს აუდიტორიის „სიყარუეს“. მაგრამ ეს უბრალოდ თავის მოტყუებისა და თვითდამშვიდების აქტია, ანდა წააწყუნებული კაცის საპროტესტო ჟესტი; და, სხვათა შორის, ამ ჟესტისათვის საჭირო ენერჯიასაც იგი მომავალი გამოხმარებისა და გამოძახილის იმედში ჰპოვებს.

სახელობრ, რაში გამოიხატება ხელოვნების ნაწარმოების გაგების, მის მიერ აუდიტორიის მოპოვების სიძნელე? — იმით, რომ იგი არის ყოველდღიური ცხოვრების თვალსაზრისით, ყოველდღიურ-პრაქტიკული, „ბუნებრივი“ პოზიციის მიხედვით რაღაც უჩვეულისა და თანაც, უჩვეულო ერთი თქმა. მაგრამ სახელობრ, რაში გამოიხატება ეს უჩვეულობა?

ადამიანი ცხოვრობს გარკვეულ სოციალურ გარემოში, გარკვეული სოციალური წყობის პირობებში, სადაც საყოველთაოდ და იმთავითვე მიღებული, გავრცელებული სახის ბატონობენ რაღაც გარკვეული ძირითადი საცხოვრებო პრინციპები და შეხედულებები. ყოველდღიურ-პრაქტიკული, „ბუნებრივი“ პოზიციის ნიადაგზე ადამიანი ხელმძღვანელობს ამ გავრცელებული პრინციპებითა და შეხედულებებით, მათგან გამოსული, მიიწვევს წინ მათი მიხედვით დასახული წარმატებისაგან, შესატყვისი მნიშვნელობების ანიჭება და შესატყვისად ექვეყნა ყოველივეს, რაც კი „გზაზე“ შემოხვდება**. იგი იხედება და მიიწვევს წინ, ასე ვთქვათ, „უკანმოუხედავად“, ინერგიით, ანუ, სხვაგვარად, იგი მიცემული, გავრცელებული პრინციპებიდან გამოსული, შესატყვისი მნიშვნელობების ანიჭებს ყოველივეს ისე, რომ არ იხედება უკან, თავად ამ გამოსავალი პრინციპებისაგან, არ არეგებს მათს მნიშვნელობას, მართებულუბა-უმართებუ-

* უკეთესი ტერმინის უქონლობის გამო სიტყვას „აუდიტორია“ ვხმარობთ ზედმეტად გაფართოებულ მნიშვნელობით; იგი ამჟღავნებს აღნიშნულს არა მხოლოდ მსმენელებს, არამედ აგრეთვე მეოფხელებს, მაყურებლებს, ერთი სიტყვით, საერთოდ ხელოვნებასთან ურთიერთობაში მყოფთ.



ლობას, არ არკვევს, თუ რამდენად შეუფერებიათ ისინი ადამიანის ადამიანური ყოფიერების არსებით ტენდენციებს. საკუთარი არსების სიღრმეში მახედა და აქედან მომრეხებულს უკან ყოველდღიური ცხოვრების გამოსავალი პრინციპები-საგან, მათი შეფასება და რამდენიმე მიანიც გადაფასება მოასწავებს „გზაზე დაყოვნებას“, „წარმატებებისაკენ“ მოძრაობის შეფერებას, ამ მოძრაობაში „ტემპის დაკარგვას“. ეს „ტემპი რომ არ დაკარგავს“, ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში საკანგებოდ თავს არიდებს საკუთარი არსების სიღრმეს და აქედან მისი ცხოვრების გამოსავალ პრინციპებს, უნარად ინარჩუნებს მათ შორე დასახულ გეზს ანუ მოძრაობას ინერჯით. ამიტომაც ყოველდღიურ ცხოვრებაში საკანათა და მოვლენათა თაობაზე ამბობენ ხოლმე იმას, რასაც წარმოადგენენ ისინი საყოველთაოდ მიღებული და გავრცელებული პრინციპებისა და შეხედულებების მიხედვით.

ხოლო ხელოვნების ნაწარმოები არის იმის თავისებური თქმა, თუ რაში გამოიხატება ადამიანის საკუთრივ ადამიანური არსება და რას წარმოადგენენ, რა მნიშვნელობებს იმსახურებენ ამის მიხედვით საგნები და მოვლენები. ამიტომაც არის იგი რაღაც უჩვეულის თქმა.

მაგალითად, თანამედროვე კაპიტალისტურ სასოფალოებაში გავრცელებულია და ყოველდღიურ ცხოვრებას განსაზღვრავს, რომ ოფიციალურ სახელმწიფოებრივ სარიცხულ დაწინაურება, ფილისა და ქონების შექმნა, კომფორტის დონის ამაღლება და სხვ. ადამიანის ბედნიერების აბსოლუტური პირობაა და რომ ეს „დაწინაურებები“ და მდიდრულ-კომფორტული ცხოვრება ყოველგვარი დამატების გარეშე არის „ტკბილი ცხოვრება“ პირდაპირი აზრით. როცა ვისძებს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აწუხებს, ამას დაწინაურებისა და კომფორტის უკმაპობით ხსნის და ამიტომაც გამოსავალს ამავე მიმართულებით შემდგომ წინსვლაში ეძებს. ყოველივე ამის საპირისპიროდ ფედერაციული ფილისი ფილმი „ტკბილი ცხოვრება“ იმისი თქმაა, რომ ოფიციალურ დაწინაურებასა და კომფორტულ ორენტირებული ცხოვრება ადამიანის გადაგვარებისა და უბედურების მომასწავებელია და ამდენად „ტკბილი ცხოვრების“ სახელს მხოლოდ ირიონულ-სარკასტული აზრით იმსახურებს. ფილმის მიხედვით ადამიანი საკმაოდ დაწინაურებისა და კომფორტის მიუხედავად უკიდურეს დაუკმაყოფილებლობასა და უწიხლს განიცდის ხოლმე, ეს იმიტომ, რომ მას აკლია ობიექტურად ღირებული შემოქმედებითი საქმე, ამ ნიდაგზე სხვებთან შინაგანი ერთიანობა, არაფერ უყვარს, არც არავის უყვარს და სხვ.

ამიტომაც უჭირთ ხოლმე ფილმის ფილმის „ტკბილი ცხოვრების“ გაგება და მიღება ხელოვნების „ყოველდღიურ მოთმობებში“, რომელიც მოითხოვს ასე იოლად გასაგებება და მისაღება ყოველი მელოდრამა „ქეიპი-ენდით“, სადაც უმაღლეს ბედნიერებად „დაწინაურებული“ და მდიდრულ-კომფორტული ცხოვრება დასახული.

ხელოვნების ნაწარმოები ადარს რაღაც უჩვეულის თქმა — თანაც უჩვეულო ენით.

ენა საერთოდ არის გამოსახულება, რაც გულისხმობს გამოსახულ ვითარებას, როგორც შინაარსს და გამომსახველ ფელსანარო ფორმას. ამ უკანასკნელის მიმართება გამოსახულ ვითარებისადმი სხვადასხვაგვარია ხოლმე და ამის მიხედვით სხვადასხვაგვარია თვით გამოსახულების ხასია-

თიც. ეს მიმართება შეიძლება იყოს, ასე თუ ისე, შეთანხმების, „კონვენციის“ საფუძველზე მიღებული და ამ აზრით პირობითი ხასიათისა. ასეთ შემთხვევაში გამომსახველი ფორმას არის გამოსახული ვითარების საკუთარი „გამომეტყველება“ და „მეტყველება“, არამედ რამდენიმე გარედასრის მასთან მიჩაილი და დაკავშირებული. ძირითადად ასეთი ხასიათისა ყოველდღიურ-პრაქტიკული ენა, პირობითი ხასიათისაა, მაგალითად, რომ სახლს სწორად ბეგრათა ამ კომპლექსით აღვინაოთ, რადაცაც იგივე ვითარება ასეთივე წარმატებით აღინიშნება ბეგრათა სრულიად სხვა კომპლექსებით. ვთქვათ, რუსული „ЛОМ“-ითა და გერმანული „HAYS“-ით. ამისაგან განსხვავებით კი არ მეტყველებს, არამედ, თვითონ ამ რამეს „ამეტყველებს“ თავისი საკუთარი „გამომეტყველებით“. ეს დასალოებით იხვევ, როგორც ვთქვათ, რისთვის გამომსახველი სახე კაცის პირობითად კი არ მივითვითებს იმაზე, რომ ამ კაცს რისხვა დაუფლავია, არამედ ეს თავად რისხვის გამომეტყველებაა, ამ სახით თავად რისხვა მეტყველებს.

ყოველდღიური ცხოვრების დონეზე ადამიანი საყოველთაოდ შეთანხმებული, მიღებული, დასწავლილ-დამასწავლებელი პირობითი ნიშნებით ოპერირებს, ამგვარ ენასაა შეჩვეული და ამგვარი ენა მისთვის ჩვეული ენა; ხოლო ხელოვნების ენა, როგორც თავად საკანათა და მოვლენათა მნიშვნელობების უშუალო „გამოცხადება“, „გამომეტყველება“ და „მეტყველება“, უჩვეულოა მისთვის.

ყოველდღიური ცხოვრების თვალსაზრისით უჩვეულოა ის, რასაც ამბობს ხელოვანი კაცი, მაგრამ არამედ ჭეშმარიტად, რაგანაც იგი ამბობს იმას, რაც თქმის ენა უნარად მიღებული და გავრცელებული პრინციპებისა და შეხედულებების, არამედ ადამიანის საკუთრივ ადამიანური ყოფიერების არსებითი ტენდენციების მიხედვით. უჩვეულოა ენა, რითაც ამბობს ხელოვანი თავის სათქმელს, მაგრამ ეს ენა ჭეშმარიტი ენაა, რამდენადაც პირობითად კი არ მიუთითებს ჭეშმარიტებაზე, არამედ თავად არის ჭეშმარიტების უშუალო „გამოცხადება“, „გამომეტყველება“ და „მეტყველება“.

მაშ, ხელოვნების ნაწარმოების როგორც თავისებური თქმის გაგების სიძნელე, მის მიერ აღმტკობის მოპოვების სიძნელე იმითაა გაპირობებული, რომ იგი არის ყოველდღიურ-პრაქტიკული, „ბუნებრივი“ პოზიციის ნიდაგზე ადამიანისათვის რაღაც უჩვეულის, თანაც უჩვეულოდ, უჩვეულო ენით თქმა. ამიტომაც ხელოვნების ნაწარმოების განგება გულისხმობს „ბუნებრივი“ პოზიციის შეცვლას, ანუ გულისხმობს ყოველდღიური ცხოვრების ინერჯისადმი წინაღობასა და მის დაძლევას, რაც საკუთარი თავისადმი თავისებურ „ძალდატანებას“ მოასწავებს და ამდენად, გარკვეულ ძალას მოითხოვს.

ხელოვნების ნაწარმოების, როგორც თავისებური თქმის უჩვეულობასა და აქედან მისი გაგების სიძნელეზე რომ ვლაპარაკობთ, ეს, ცხადია, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ გე უჩვეულოა აბსოლუტურად რაღაცადაც ხასიათისა და რომ, მისი გაგების სიძნელე პრინციპულად გადაუღასველია. საქ-

მე ისა, რომ ადამიანი, ყოველივე სხვა არსებულისაგან განსაკვეთით, არასოდეს არაა მთლად ინერტული, იგი, თუმცა კი მუდამ რაღაცგვარად, ჩართულია ყოველდღიური ცხოვრების დინებაში და მუდამ რაღაცგვარად მიდევს ამ ცხოვრების გამოსავალ პრინციპებს, მაგრამ ამასთან, იგი ყოველთვის რამდენადმე მაინც მზერას მივამყობს და კითხვის ქვეშ აყენებს თავის თავს, საკუთარ ადამიანურ არსებას, აქედან მისი ცხოვრების პრინციპებს, შესატყვის მიმართულებასა და წესს. სწორად ყოველდღიური ცხოვრების ინერტული იმ წინამძღვეფულება ადამიანს, რომ მასში ზედმეტად მიჩქმალული, ჩამოშული და „მიძინებულა“ ეგ „უკუშვრება“. მაგრამ არასოდეს არა იმგვარად მიძინებულნი, რომ არ შეიძებოდეს მისი „გაღვიძება“. და ხელოვნების ნაწარმოების გაგების შანსს სწორედ ეგ შესაძლებლობა შეადგენს.

ჩვეულებრივ, ხელოვნების ნაწარმოების გაგებას ნაწარმოების „ზემოქმედებას“ უწოდებენ. ეს არაა შეუხებელი. „ზემოქმედება“ გულისხმობს „ძალის მიყენების“, „ძალდატანების“ თავისებურ მიმენჭს. ცხადია, იგულისხმება არა ფიზიკური „ძალის მიყენება“ და „ძალადობა“. ხელოვნების ნაწარმოების ზემოქმედება ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედებაა. ამ მხრივ იგი ჰგავს ჰიპნოტურ შთავგონებას. მაგრამ აშკარაა, რომ იგი ამ უკანასკნელისაგანაც, არსებითად, განსხვავდება. რაში გამოიხატება ეგ განსხვავება? ჰიპნოტური შთავგონება ცნობიერებაზე ზემოქმედება და თავისებური „ძალის მიყენება“ და „ძალდატანება“, მაგრამ ეგ ძალდატანება არსებითად არის სწორედ „ძალადობა“, „ძალმომხრება“ იმ აზრით, რომ ჰიპნოტიზირირი აძინებს ჰიპნოტიზირებულის ყურადღებასა და მზერას, სწორად აგრეთვე მის საკუთარ შინაგან მისწრაფებას, იმპულსებს, ინტენციებს და თავს ახვევს მისთვის უცხოსა და გარეგანს. ამისაგან განსხვავებით ხელოვნების ნაწარმოების ზემოქმედება არის „ძალდატანება“ არა „მიძინების“, არამედ სწორედ „გამოფიხილების“ და „ფიქლის ახლოს“ მიმართულებით. იგი არის სწორედ ადამიანის მიძინებელი სიღრმისეული, საკუთრივ ადამიანური მზერისა და მისწრაფებების „გამომაფიხილებელი ძალდატანება“. ხოლო რამდენადაც ეგ „გამოფიხილება“ უცხო გავლენებისაგან შინაგანი და საკუთრივ მზერისა და მისწრაფებების ჩაზნაშნობელი და მიკაძინებელი უცხო, გარეგანი იმპულსებისაგან განთავისუფლებას, „განწმენდას“ გულისხმობს, ამდენად, ხელოვნების ნაწარმოების ზემოქმედება არის „განწმენდა“, „განწმენდილი ძალდატანება“. ყოველივე ამის მიხედვით, გასაგებია უნდა იყოს, რომ ხელოვნების ნაწარმოების ზემოქმედება ჰიპნოტიზირების ნაცვლად სწორედ „დეჰიპნოტიზირებას“ მოასწავებს; ყოველდღიური ცხოვრების დინებაში რამდენადმე ჰიპნოტიზირებულა ყოველდღიურად დაფიქნებით განმეორებული და განმეორებული გავრცელებული შეხედულებებით; იგი ბრძადა მიჰყვება მათ, მიჰყვება ისე, რომ კითხვის ქვეშ არ აყენებს და არ აცნობიერებს თვითონ მათ, მათს მართებულება-უმართებულებას. ხოლო ხელოვნების ნაწარმოები არის თქმა სწორედ ამ გავრცელებული შეხედულებებს მართებულება-უმართებულობის თითაზე ანუ არის მათი გაცნობიერება. ამდენად მისი ზემოქმედება, მისი გაგება ამ შესხედულებებისადმი ბრძადა მიდევნების ინერციის გადალახვასა და მათი ჰიპნოტიზირირ შთავგონებისაგან განთავისუფლებაში გამოიხატება.

ყოველივე ჩვენს მიერ აქამდე ნათქვამი მოითხოვს ერთ არსებითი სასიათის დაზუსტებას: როგორც ვიჭყვით, ხელოვნების ნაწარმოების გაგება, მის მიერ აუდიტორიის „მიმოხილვა“ და დაკვირვებულა გარეგნულ სინდელსთან; ამ სინდელის საფუძველი ისაა, რომ ხელოვნების ნაწარმოები ყოველთვის რაღაც ურვეულოს თქმაა; ხოლო ეგ ურვეულობა იმაში გამოიხატება, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანს სჯერად და გაგებას საგანთა და მოვლენათა იმ მნიშვნელობებისა, რომლებიც ენებებათ მათ მოცემულ სოციალურ გარემოში, მოცემული სოციალური წყობის პირობებში მიღებულ ძირითადი საცხოვრებო პრინციპების მიხედვით, მაშინ როდესაც ხელოვნების ნაწარმოები, საბოლოო ანგარიშით, არის საგანთა და მოვლენათა იმ მნიშვნელობების თქმა, რომელსაც იმსახურებენ ისინი ადამიანის საკუთრივ ადამიანური არსებით. მისი საკუთრივ ადამიანური მისწრაფებების მიხედვით. მაგრამ სხვადასხვაგვარა სოციალური წყობა — არსებობს რეაქციულ წყობა და არსებობს პროგრესული წყობა. რეაქციულ-სოციალური წყობის პირობებში მიღებულა ისეთი საცხოვრებო პრინციპები, რომლებიც რადიკალურად უპირისპირდებათ ადამიანის ადამიანურ არსებას, მის საკუთრივ ადამიანურ მისწრაფებებს. ამიტომაც გასაგებია, რომ ამ პირობებში იმისი თქმა, თუ რაც რას ნიშნავს ადამიანის ადამიანური არსების მიხედვით, რადიკალურად უპირისპირდება იმას, თუ რაც უწერათ, რასაც ფიქრობენ და ამბობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ანუ, სხვაგვარად, გასაგებია, რომ ამ პირობებში ხელოვნების ნაწარმოები არის რადიკალურად ურვეულოს თქმა. მაგრამ პროგრესული სოციალური წყობის პროგრესულობა ხომ სწორდ იმაში გამოიხატება, რომ მისი შესატყვისი და მის პირობებში მიღებულ საცხოვრებო პრინციპები არათუ არ უპირისპირდებათ, არამედ შეესაბამებიან ადამიანის ადამიანურ არსებას. ამიტომაც ამ პირობებში ადამიანის ადამიანური არსების მიხედვით თქმა არ უპირისპირდება, არამედ თანახმაა იმას, რაც თქმის მიღებული და გავრცელებული საცხოვრებო პრინციპების მიხედვით. გამოსის, რომ პროგრესული სოციალური წყობის პირობებში ხელოვნების ნაწარმოები არ არის რამე ურვეულოს თქმა, არამედ არის იმავეს თქმა, რასაც ყოველდღიური ცხოვრების დინებაც ფიქრობენ და ამბობენ.

რა თქმა უნდა, რამდენადმე ეს მართლაც ასეა — პროგრესული სოციალური წყობის პირობებში ხელოვნების ნაწარმოები ნაკლებად რადიკალურად ურვეულოს თქმაა და ნაკლებად დგას გაუგებრობის სიფათის წინაშე; სოციალური წყობა, სანამდე პროგრესულია, ნაკლებად ბადებს ხელოვნებას და აუდიტორიას შორის კონფლიქტს. დამახასიათებელია, რომ ბურჟუაზიული ეპოქის აღმავლობის პერიოდში, რენესანსის ხანაში, ხელოვნებას ნაკლებად უჭირდა „აუდიტორიის მოწა“, ვინც ამას ადგილი აქვს დღევანდელ დასავლეთში. მაგრამ მართლაც არ იქნება, ვიფიქროთ, რომ ოდესმე ხელოვნების ნაწარმოები იყო და არ იქნება საესპეციო იმისი და იმგვარი თქმა, რასაც და როგორაც ფიქრობენ ამ ამბობენ ყოველდღიური ცხოვრების დინებუ. ხელოვნების ნაწარმოები ყველანა და ყოველთვის არის ყოველდღიური ცხოვრების თვალსაზრისით რაღაც მეტისა და ურვეულოს თქმა. საქმე ისაა, რომ ყოველდღიური ცხოვრება პროგრესული წყობის პირობებშიც არის, ასე თუ ისე, „უკანმხოხე-



დავით, ინერტიული მოძრაობა. ყოველდღიურობის დონეზე აღმაინა, რაღაც ძირითადი საცხოვრებელი პრინციპების მიხედვით რომ მოძრაობს, ამასთან ნაკლებად იხედება თავისი ადამიანური არსების სიღრმეში და აქედან უკან, ამ ძირითადი მამძრავებელი საცხოვრებელი პრინციპებისაკენ. იგი ყოველთვის ანიჭებს მნიშვნელობებს ძირითადი „ოფიციალური“ საცხოვრებელი პრინციპების მიხედვით, მაგრამ რამდენადაც არ იხედება საკუთარი ადამიანური ბუნების სიღრმეში, ამ მნიშვნელობების აკლიათ „სიღრმე“, აკლიათ „გაშუქება“ სიღრმეში. ხოლო ხელოვნების ნაწარმოები არის სწორედ ეგ „გაშუქება“ და ამიტომაც ურწევლობა თქმა. ამასთან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პროგრესული სოციალური წყობა კი არ გამოირცხავს, არამედ გულისხმობს ცხოვრების ფორმათა ცვლას, ცხოვრების განვითარებას ადამიანის არსების შესატყვისი მიმართულებით; ხოლო ადამიანს ყოველდღიურობის დონეზე მხედველობაში აქვს ცხოვრების დამყარებელი ფორმები, ცხოვრების მოძრაობა ამ ფორმებში და, როგორც წესი, არ იხედება მათს იქით, განვითარების მიმართულებით. ყოველდღიურობის დონეზე ადამიანს მხედველობაში არა აქვს ცხოვრება ისტორიული განვითარების პერსპექტივაში. ხოლო ხელოვნების ნაწარმოები არის სწორედ ამ პერსპექტივის თქმა, ამასთან, იგი არის ურწევლო ერთი თქმა, არის თქმა-ჩვენება. ამიტომაც გასაკვირად უნდა ჩნდეს, რომ ყველგან და ყოველთვის ხელოვნების ნაწარმოები არის ურწევლის ურწევლოდ, ურწევლო ერთი თქმა და, ამ-სიღრმად, არსად და არასოდეს მისი გაგება, მის მიერ აუდიტორიის მოპოვება არ არის იმთავით და თავისთავად უზედუნეფყოფილი რამ.

თუმცა კი, მეორეს მხრივ, ცხადი უნდა იყოს, რომ ხელოვნებას და აუდიტორიის ურთიერთობა პრინციპული და რადიკალური კონფლიქტის სახეს მხოლოდ რეაქციული სოციალური წყობის პირობებში იღებს და მხოლოდ ამ პირობებში დგება ხელოვნება კატასტროფის წინაშე. რეაქციული წყობის პირობებში ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები არის რადიკალურად ურწევლის, რაღაც „გაუგონარის“ და გაუგებარის თქმა. ადამიანის გადაგვარების, მისი „გაუცხოების“ პროცესი არსებითად ემთხვევა მისი როგორც ხელოვნების „მომხმარებლის“, აუდიტორიის გადაგვარების პროცესს.

თანამედროვე დასავლეთში ძალიან ბევრს წერენ ადამიანს ტოტალური გაუცხოების თოხაზე და ამის პარალელურად ძალიან ბევრს წერენ აგრეთვე, ხელოვნების კატასტროფიულ მდგომარეობაზე, იმის თაობაზე, რომ ჭეშმარიტმა ხელოვნებამ აუდიტორია დაჰკარგა. იგი იქცა „ანტიკულტორიად“, რომელიც ყრუა ხელოვნებისათვის და რომელიც ხელოვნების ნაცვლად „ანტიხელოვნებას“ მოითხოვს. „ანტიკულტორიის“ მოთხოვნით არეზანუც გამოვიდა „ანტიხელოვნება“, რომელიც თანდათან უფრო და უფრო ავიწროებს და დევნის ხელოვნებას.

ადამიანის გაუცხოების ფაქტი დიდ შემოფოთებას იწვევს თანამედროვე დასავლეთის მოაზროვნეთა შორის. დღის წესრიგში დადგა ადამიანის გადაჩრჩინის, „კვლავადადამიანების“ საკითხი. ხოლო რამდენადაც ხელოვნებასა და აუდიტორიას შორის რადიკალური კონფლიქტი, ხელოვნების მხრივ აუდიტორიის დაკარგვა, აუდიტორიის გადაგვარება „ანტიკულტორიად“ ადამიანის გაუცხოების ფენომენის ორგანული ნაწილი და ასპექტია, დღის წესრიგში დადგა ხელოვნების გა-

დაჩრჩინის საკითხი. დიაბოდა და არაჩვეულებრივი ტემპით-ვი თარღება ასახლი დარგი „ხელოვნების სოციოლოგია“, რეაქციული ტრადიციული ესთეტიკის ადგილს იკავებს. აღარ წყვეტა რეაქციული ესთეტიკური ფენომენის და ხელოვნების არსის განყენებელი დიქტი კლვეისათვის, საქმე ეხება ესთეტიკური ფენომენისა და ხელოვნების ელემენტარული სიციცლები— აუდიტორიის უზრუნველყოფას. იკვლევენ ხელოვნებისა და საზოგადოების ურთიერთობებს, იკვლევენ იმ სოციალურ ფაქტორებს, რომელთა ძალთაც ხელოვნება კარგავს „მომხმარებელს“. ეძებენ გზებს ამ ფაქტორების ნეიტრალიზებისათვის, ეძებენ გზებს ადამიანის „კვლავადადამიანების“ და ამგვარად აუდიტორიის აღდგენისათვის; ფიქრობენ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა „მოიქცეს“ თვითონ ხელოვნება, რათა ადამიანის გაადამიანებისა და აღკვეცტური აუდიტორიის აღდგენის ამ მხელ პროცესში ფექტური მიზნაწილობა მიიღოს.

ადამიანის რადიკალური გაუცხოება-გადაგვარებისა და, მას, ადამიანის როგორც ხელოვნების აღკვეცტური აუდიტორიის გადაგვარების ფაქტორები, რომელთაც ჩვეულებრივ ასახელებენ თანამედროვე დასავლეთის მოაზროვნეები, თავს იყრიან და ერთიანდებიან ერთ ძირითად ცნებაში — ესაა „კაპიტალისტური ინდუსტრიული ცივილიზაცია“.

ადამიანს და კაპიტალისტური ინდუსტრიული ცივილიზაცია, ადამიანის, როგორც პიროვნების, გაუცხოება კაპიტალისტური ინდუსტრიული ცივილიზაციის პირობებში შეადგენს თანამედროვე დასავლეთის წამყვან თემას და უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ბევრი სანდუქტეესო, ზოგჯერ, მიულოღნილი შედეგია მიღებული.

ინდუსტრია არის კომფორტის ნივთებისა და მათი დამზადების საშუალებების წარმოება ანუ მრეწველობა. ექვსგარეშეა, რომ ადამიანს სჭირდება კომფორტის გარკვეული დონე და, მას, ექვსგარეშეა კომფორტის ნივთების წარმოების ანუ ინდუსტრიის განვითარების პოზიტორი ნივთიელობაც. ეს არავის ესმოდა ისე კარგად, როგორც მარქსს, მაგრამ მარქსი ამასთან იმ უდავო ჭეშმარიტებასაც მიუთითებდა, რომ კომფორტის მაღალი დონე, ანუ ბუნებასთან ნივთიერებათა ცვლის პროცესის მაღალ დონეზე რეგულირება უმაღლესად და საზოლოდ მიზანს, თვითმიზანი კი არაა ადამიანისათვის, არამედ მხოლოდ „აუცილებელ ბაზას“ შეადგენს საკუთრივ „ადამიანური ძალების განვითარებისათვის“. კომფორტი თავისთავად არაა საკუთრივ „ადამიანური ძალების განვითარება“, ანუ ადამიანური არსების რგალიზაცია, რაც ადამიანის ბუნებრივებას შეადგენს, არამედ მხოლოდ საამისო პირობაა. ამიტომაც, თუკი კომფორტის ნივთების წარმოების ანუ ინდუსტრიის განვითარებისა და კომფორტის დონის მაღლების პროცესი ანგარონს არ უწევს სხვა მხრივ ადამიანის განვითარებას, მისი საკუთრივ „ადამიანური ძალების განვითარების“ ანუ საკუთრივ ადამიანური არსების რგალიზაციის ამოცანა, მაშინ ვე პროცესი ადამიანის გადაგვარებისა და მის მიერ ბუნებრივების დაკარგვის ხარჯზე ხორციელდება. და, როგორც ფიქრობენ, თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში სწორედ ამას აქვს ადგილი.

თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება წარმოადგენს ერთ მთლიან ორგანიზაციას, შედგენილს დაკვეცილებად რებული დაწესებულებებისაგან. ეგ დაწესებულებები და

მათი მომცველი მოლიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია იმოთავსება „დაპროგრამებულა“ ინდუსტრიის განვითარების ამოცანით; იგულისხმება, რომ ყოველივე სხვა, რაც სჭირდება ადამიანს, თავისთავად მოგვარდება ინდუსტრიის განვითარების მეშვეობით. ნამდვილად კი ეს ასე არაა, ადამიანს „ადამიანურ ძალთა განვითარება“ დამოუკიდებელი და უმაღლესი ამოცანაა, რომელიც თუკი პირველ რიგში არაა გათვალისწინებული ან პროგრამით და თუკი, მაშ, ინდუსტრიის განვითარების ამოცანა მასზე ზრუნვის თვალსაზრისით კონტროლს არ ექვემდებარება, მაშინ ინდუსტრიის ვე უკონტროლო განვითარება, საბოლოო ანგარიშით, ადამიანის „ადამიანურ ძალთა განვითარების“ და შესატყვისად მისი ჭეშმარიტად ადამიანური ბედნიერების წინააღმდეგ მიიმართება.

ჩასან თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ოფიციალური დაწესებულებები უკლებლივ ინდუსტრიის განვითარების ცალმხრივ ამოცანას ემსახურებიან და რასაც ან ცალმხრივი ამოცანის განხორციელება საბოლოო ანგარიშით ადამიანის ადამიანური არსების, მისი ბედნიერების წინააღმდეგაა მიმართული, ამიტომ ამ დაწესებულებებში მასშაბური საკუთარი ადამიანური არსებისა და ბედნიერების წინააღმდეგ მოღვაწეობას მოასწავებს. ხოლო ადამიანი, ცხადია, ისე ვერ იარსებებს, რომ რომელიღაც დაწესებულებაში არ იმსახუროს. ამიტომაც ამ საზოგადოებაში არსებობს საკუთარი ადამიანური ბუნებისა და ბედნიერების წინააღმდეგ მოღვაწეობას მოასწავებს. ამაში გამოიხატება, თანამედროვე დასავლეთის მოახორფეთა მიხედვით, ადამიანის გაუცხოება კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ინდუსტრიის განვითარებას სჭირდება ადამიანი, როგორც მწარმოებელი და როგორც მიმომარებელი; ამიტომაც ინდუსტრიის განვითარებაზე ზრუნვა ადამიანზე თავისებურ ზრუნვას გულისხმობს. ხოლო ამ ზრუნვის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ იგი მიმართულია ადამიანის „ინდუსტრიის ჯარისკაცად“ ანუ სანიმუშო მწარმოებელ-მიმომარებელად გარდაქმნისაკენ. ინდუსტრიული დაწესებულებაში, ინდუსტრიის განვითარებაზე რომ ზრუნავენ, ამასთან ზრუნავენ ადამიანზე, მის გარდაქმნაზე, სპეციალურ ღონისძიებებს სახავენ და ახორციელებენ ამ მიმართულებით. რამდენადაც ადამიანზე, როგორც „ინდუსტრიის ჯარისკაცზე“ ზრუნვა გარკვეულ ნაწილში ემთხვევა ზოგად დადამიანზე ზრუნვას, ამდენად ინდუსტრიული დაწესებულებების ღონისძიებები ერთის შეხედვით გამოიყურებიან როგორც ადამიანზე უანგარო ზრუნვა. ხოლო სათანადო ანალიზის შედეგად აშკარა ხდება ამ ღონისძიებთა ანგარიშის ხასიათი — ისინი მოასწავებენ ადამიანზე ზრუნვას მხოლოდ იმ ზომითა და იმ მიმართულებით, როგორც ეს სჭირდება ინდუსტრიის განუზრუნველ განვითარებას. ხოლო რამდენადაც ინდუსტრიის განვითარებას, როცა იგი დაქვემდებარებული არაა ადამიანის ადამიანური ინტერესებისადმი, საბოლოო ანგარიშით, ხელს აძლევს ადამიანის გადაგვარება, მის მიერ ჭეშმარიტი ბედნიერების დაკარგვა, ამდენად, ინდუსტრიულ დაწესებულებათა ზრუნვა ადამიანზე იმ ზომისა და მიმართულებისაა, რასაც ადამიანი გადაგვარებისაკენ მიჰყავს.

ლისტრატო კაციოლიზაციამ მოიტანა, ინდუსტრიული დაწესებულებათა სწორედ ამგვარ ფარულ ანგარიშთან მიწვევებებს გამოხატავენ და ახორციელებენ. ამ მხრივ ბევრ-საინტერესო ანალიზი ჩატარებული თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას და სოციოლოგიაში. სინტრეტისაა მაგალითად, ისეთი ერთის შეხედვით უწყინარი ღონისძიებისა და სიახლის ანალიზი, როგორცაა სტრიატიზმი.

სტრიატიზმი არის თავისებური ცეკვა, როცა ქალი სავეზბით შიშვლდება მამაკაცებით სავეზ დარბაზის წინაშე, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოაფენს სექსუალურად აღმზრუნულ ნაწილებს და ამასთან სექსუალურად აღმზრუნულ მონარობებს ასრულებს — სექსუალური აქტის ინიციატორებს ახდენს. სტრიატიზმის მაყურებელი მამაკაცი თავისებურ სექსუალურ ურთიერთობაშია ქალთან და თავისებურად იკვლევს სექსუალურ ენის ისე, რომ ამასთან გამოირცხვოს სიყვარული, გამოირცხვოს ურთიერთობა სიყვარულის, „ეროსის“ დონეზე. რატომაა გამოირცხული? იმიტომ, რომ სიყვარული, როგორც სხეულთან ერთად მისგან განუყოფელი სახით მასში გათმასხულ პიროვნებასთან ურთიერთობა, სხეულბერივი ურთიერთობის წინასწარ დისტანცირებას მოითხოვს, რასაც, ცხადია, ადგილი არა აქვს სტრიატიზმის შემთხვევაში. სტრიატიზმი ეს არის აბსოლუტურად „დეფორტიზირებული“ სხეულბერივი-სექსუალური ურთიერთობა. სტრიატიზმის რეგულარული მაყურებელი ეწვევა ამგვარ სექსუალურ ურთიერთობას და თანდათან ჰკარგავს სიყვარულის ნიჭსა და უნარს.

მეარამ რა კავშირი აქვს ყოველივე ამასთან ინდუსტრიის განვითარების ამოცანას და მის განხორციელებას ადამიანის გადაგვარების, მის მიერ ბედნიერების დაკარგვის საჩუქზე? საქმე ისაა, რომ სიყვარულის გრძნობა ფრადს სასიყვარლო კონტრეტინია ინდუსტრიისათვის — შეეჯერებულს არად უღირს კომფორტი, მან ნაკლებად იცის ფუფუნების ნივთების ფასი, იგი ამ მხრივ ცოტას სჯერდება, და, მამასა-დამე, ცუდი მიმომარებელია; ამიტომაც მას არ შეუძლია განზრუნვის სტიმულირება. შეეჯერებულს კაცი არ შეიძლება იყოს „ინდუსტრიის ჯარისკაცი“. სამაგიეროდ, იგი ჭეშმარიტად ბედნიერია — ბედნიერება პიროვნების სიღრმეში შიშვლდება, მისი მომცველი და გამსჭვალავი სიამონებაა, როგორცაა სწორედ ქალ-ვაჟს შორის ურთიერთობა სიყვარულის დონეზე „სტრიატიზმი“ და საერთოდ „დეფორტიზირებული“ სექსუალური ურთიერთობებისაგან განსხვავებით.

ამკარა, რომ სტრიატიზმის „უწყინარი ღონისძიებაში“ ინდუსტრიის ვერავი განზრახვა იმალება — სიყვარულის ნიჭი და შესატყვისი ბედნიერება წარართვას ადამიანს, ამგვარად გამოანთავისუფლოს მისი ყურადღება და ენერჯია და აქცეოს იგი „ინდუსტრიის სანიმუშო ჯარისკაცად“.

ახეივთვ სახათისაა, სხვათა შორის, თანამედროვე ინდუსტრიული ცივილიზაციის ის, ერთის შეხედვით სრულიად უწყინარი სიახლე, რომელიც „ულტრა-მინი-მოდელი“ გამოიხატება. ერთის შეხედვით ეს უბრალოდ ტანსაცმლის მოდაა, რთმელსა, როგორც ასეთს, სხვა არავითარ არ განსაზღვრავს და ამომრავლებს, თუ არა თავისი საკუთარი შინაგანი მოტივი — გარეგნობის შელამაშების მოტივი.



ადამიანთათვის საერთოდ, და კერძოდ, ტანსაცმლის სვე-როშიც დამახასიათებელია, ცვალებადობისა და მრავალფეროვნებისაკენ მიწრაფება; მას მოსწონებდა ხილმე ტანსაცმლის ერთი და იგივე ფორმები და ახალ ფორმებს გამოიყენებს. თითქოს ანე მოხდა ახლაც — ადრე გრძელი და ფართო კაბები მოსწონდათ, მაგრამ ბოლოს ეს ერთფეროვნება იქცა, მოსწონდათ და ამიტომაც ახალი ფორმა მოიფიქრეს და შემოიტანეს — მოკლე და ვიწრო კაბები. გამრავალფეროვნებისა და შელამაზების ძიება ბოლოს იმ „ამოიჩინა“ მივიდა, რომ ახალგაზრდა ქალის შიშველი ტანი ამ მხრივ ყოველგვარ კაბას ადევნებდა. ამგვარად შემოვიდა მოდაში თითქმის სრული სიმშველი. ვითორცდა ეს უბრალოდ ქალის გარეგნობის შელამაზების მოდაა, ვითომდა ამას სხვა არაფერი განასაზღვრავს, თუ არა ესეთ-ტკუერი მოტივი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ტანსაცმლის დამოკლება-დავიწროებას ბიოლოგიურად სრულიად გარკვეული საზღვრები უდევს, რომელთა გადალახვისას მთავრდება გარეგნობის შელამაზების „ეთეტკური ღონისძიება“ და იწყება თავისებური „დეგროტიზირებული“ სექსუალური ორენება.

სტრუქტურითა და „ულტრა-მინი-მოდით“ არ ამოიწურება „ინდუსტრიის ღონისძიებები“, რომელთა მეშვეობითაც ინდუსტრიულ ცივილიზაციას იერიში მიჰქვს სიყვარულზე; მან სექსის სრული ემანსიპაცია, ანუ სექსუალური ურთიერთობის შემზღვეველი ყოველგვარი პირობითობებისა და აკრძალვის მოხსნის ღონისძიება წამოაყენა და ამგვარად „სექსუალური რევოლუცია“ წამოიწყო. ერთის შესხედით ეს „რევოლუცია“ სახვებით გამაჩრდილებული ჩანს — იგი სექსუალური ურთიერთობის უცხო ფაქტორებისაგან განმარტავისუფლებ მოძრაობას ჰგავს. ამგვარი ფაქტორების მოქმედება წარსულში სრულიად უღაგო ფაქტორია. სექსუალური ურთიერთობას ზღუდავდა და ამახინჯებდა წოდებრივი, ეროვნული, სარწმუნოებრივი და სხვ. განსაზღვებანი, მას ზღუდავდა და ამახინჯებდა ურთიერთობის ზედმეტად გარუხლებული ოფიციალური გაფორმების ნორმებიც. ეს შემზღვეველი პირობითობანი პირველ რიგში აფერხებდნენ სწორედ ინდივიდუალურ-პიროვნულ სიყვარულს, სექსუალურ ურთიერთობას სიყვარულის დონეზე და ამდენად მათგან განთავისუფლება სახვებით გამართლებულია; მაგრამ თუკი დაკვირვდებით, მიხვდებით, რომ თანამედროვე „სექსუალური ემანსიპაცია“ და „სექსუალური რევოლუცია“ არა არსებითად ამისი საპირისპიროა — იგი მოასწავებს სექსის განთავისუფლებას არა მისადმი უცხო ფაქტორები-საგან, არამედ სწორედ საკუთარი სიღრმისაგან — სიყვარულსაგან. თანამედროვე ემანსიპაცია, უბრალოდ ყოვლისა, მხედველობაში აქვს სექსუალური ურთიერთობის განთავისუფლება წინასწარი დისტანცირების ვალდებულებებისაგან, ხოლო წინასწარი დისტანცირება სექსუალური ურთიერთობის სიყვარულის დონემდე ამაღლების, ეროტიზირების აუცილებელი პირობაა. ამგვარად, თანამედროვე ემანსიპაციის, „სექსუალური რევოლუციის“ ძირითადი აზრი სექსუალური ურთიერთობის დეგროტიზირებაა. ხოლო დეგროტიზირების ფარული, „ინდუსტრიული დანიშნულება“ კიდევ უფრო ნათელი გახდება, როცა იმ გაფორმებასაც გავითვალისწინებთ, რომ დაკარგული ეროსის ადგილს სექსუალური ურთიერთობისათვის სრულიად უცხო ფაქტორი

იკავებს და ამგვარად ვე ურთიერთობა ახალ, ყველაზე მეტად უხემ კაბალაში ექცევა; საქმე ისაა, რომ უბრალოდ ფორმულური მითითებების საგნის დონემდე ჩამოკვეთით ბული სხეული ქალისა საკომფორტო ნითვის ხასიათის და გასაცვლელ საქონლად იქცევა. ამიერიდან სექსუალური ურთიერთობა „დამშვეულია“ მხოლოდ ფულის გადახდის, საბოლოო ანგარიშით, კომფორტის ნითვის გარკვეული რაოდენობით გაგების პირობით. ამგვარად, ადრინდელ პირობითობათა ნაცვლად ძალაში შედის ყველაზე მეტად უხეში და უცხო პირობითობა — ფული, კომფორტი და ამგვარად ამ ახალი პირობითობის აზრი: მისი წყალობით სექსი საკომფორტო ნითვის წარმოების, ინდუსტრიის განვითარების დამატებით ტვიმულად იქცევა.

კაპიტალისტურ ინდუსტრიულ ორგანიზაციას იერიში მიჰქვს ადამიანზე არა მხოლოდ სექსის ასპექტში, მისი განზრახვა ყოველმხრივ გარდაქმნას ადამიანი იმგვარად, რომ ადამიანის ყურადღება, დრო და ენერჯია მასქიმალურად, უკონტროლნოდ ხმარდებოდეს ინდუსტრიის ამოყენას. ამასათვის საჭიროა, რომ კომფორტის ღონის ამაღლების ინტერესი, სამომხმარებლო ინტერესი განთავისუფლდეს საერთოდ „ადამიანური ძალების განვითარების“ ტენდენციასა მხრივ კონკურენციასგან, თავი დააღწიოს მისადმი დევნიდებარებას და „უცილებელი ბაზის“ ნაცვლად „თვითმოზნად“ იქცეს, ანუ საჭიროა ადამიანში საკუთრივ ადამიანური ინტერესების, თვისებების, მიმართებების აღკვეთა და ჩახშობა. ინდუსტრიული ცივილიზაცია გაშლილი ფორტებით უტევს ადამიანს, განუზრვლად სახასხვად აზორციელებს მისი გადაგვარების, დეჰუმანიზაციის ღონისძიებებს, ცდილობს „მოკციოს“ ადამიანი „ინდუსტრიის ჯარისკაცად“. და უნდა ითქვას, რომ მას ამ მხრივ საგრძნობი რეზულტატები აქვს კიდევ მიღებული. ერთი სიციოლოგიის თქმით. თანამედროვე ცივილიზებული ადამიანის ოცნებაა მთელი ცხოვრება უზარმაზარ უნივერსალში ძვირფას ნივთების შექმნის ოპერაციად იქცეს, ხოლო მისი ერთადერთი დამატებითი სურვილი ისაა, რომ ამ უნივერსალში მას მეზობლებზე მეტი ნივით ერგოს და ამგვარად მაპირატესობის ყინი მოიკლას.

ინდუსტრიული ორგანიზაცია არანეულებრივად მძლავრ ტექნიკურ საშუალებებს ფლობს იმისათვის, რომ აკტივია გაუწიოს მის მიერ დასახულ ღონისძიებებსა და ცხოვრებაში დანერგილ შესატყვის სიახლეს. პრესა, რადიო, ტელევიზია, ქუჩის რეკლამა და სხვ. დაეხმებთ შთაავრებებენ მოქალაქეებს, რომ ყოველი სიახლე უბრალოდ სიახლე კი არაა, არამედ ცხოვრების წინსვლასა და პროგრესს მოასწავებს. თანამედროვე ევროპულ-ამერიკელი არანეულებრივად ჰიპნოტიზირებული ამგვარი შთაგონებებით; მას წაჰმს, რომ ყოველი ოფიციალური სიახლისადმი ზიარება პროგრესულობის საწინდარია და ყველაზე მეტად იმისი ეშინია, არ გამოჩნეს რამე ამ სიახლეთაგან, არ ჩამორჩეს „ახალ მოდას“. თანამედროვე ევროპულ-ამერიკელს ყველაზე მეტად ამ „ჩამორჩენილობის“ ეშინია. ხოლო რამდენადც კაპიტალისტური ინდუსტრიული დასესულებები სიახლეთა დანერგვისა და მოღის ცვალებადობის მხრივ თავბრუდამსხვე ტემპს ავითარებენ, მოქალაქეთა ვე შინა ჩამორჩენილობის წინაშე პანიკის ხასიათს იქნის. მოქალაქენი გვიანად უთვალთვალენ და ზერევენ ერთმანეთს — ვაი-

თუ, რამე გამოეპარათ და მოდის ჩამორჩენ, ვაითუ, სხვას უხალხესი „კულტურმოღერი“ მანქანა შეუქვნიდა და თვითონ კი „ჩამორჩენილ“ მანქანაში ზის, ამ იქნებ უახლესი ავეჯი დაუდგანს სახლში, თვითონ კი „ჩამორჩენილ“ სა-გარძმლო განისვენებს, ვაითუ, მუშობლის ქალს უსანას-წარღი მოდა მასზე ადრე შეუტყვიდა და კაბის კალთა და-რჩენილი სუთიოდე სანტიმეტრიდან ერთი სანტიმეტრით კი-დედუ დაუმოკლებია „პროგრესის“ მიმართულებით, და სხვა-დასხვა.

თანამედროვე ევროპულ-ამერიკელი ცივილიზებული მოქა-ლაქის სიახაის საფუძველს ის შეადგენს, „თანამედრო-ვე“ რომ გრძობს თავს. ხოლო „თანამედროვეობაში“ ინ-დუსტრიული ცივილიზაციის სიახლეებისადმი ზიარების გუ-ლინობის; მისთვის არაფერია იმაზე მეტად შეურაცხველი, „ჩამორჩენილობა“ რომ დაბრალდეს, ხოლო „ჩა-მორჩენილობა“ ყოველივე ის, რაც ინდუსტრიულ ცივი-ლიზაციამდეღე ჩვეულებებს მოაგონებს და ასეთი „ჩვეუ-ლებება“, მაგალითად, სიყვარული, „მეოცე საუკუნეა, რაღ-დროს სიყვარულია!“ — ამაყად ამბობს ხოლმე იგი.

სხვათა შორის, ხელოვნებისადმი ინტერესიც თანდათან „ჩამორჩენილობა“ მომასწავებელი, „ქვემოღიღერი“ ჩვე-ულებების გამოშვებების იქმნის თანამედროვე ცივილიზ-ებული ევროპულ-ამერიკელის თვალში.

ხელოვნების გაუფასურება ერთ-ერთი სპეციალური ღო-ნისძებნა ინდუსტრიული ორგანიზაციისა, რადგანაც ხე-ლოვნებისადმი ინტერესი ინდუსტრიის განვიჯარების ინ-ტერესის მეტად სახიფათო კონკურენტია; ხელოვნების ნა-წარმოები ხომ იმისი თქმაა, თუ რა მიიშვნელობა ენიჭე-ბა სახეებსა და მთელუნებს ადამიანის საკუთრივ ადამიან-ური არსების მიხედვით, ხოლო საკუთრივ ადამიანური ბე-ნების მიხედვით კომოტორტი არ ნიშნავს უმალდეს ღი-რებულებას და კომოტორტის მალადღე დონე არ მოასწავებს უმალდეს ბედნიერებას. ინდუსტრიული ორგანიზაცია რე-კლამას უკეთებს „ანტიხელოვნებას“ — „პოკუს-პოკუს“, უაზრო სათვალისვირო სანახაობებს, ცარიელ თავგადასა-ვალს, დღეატქვის, მელოდრამას, დაბოლოს სპორტს, რო-გორც უხიფათო, უწყინარ გასართობს. ინდუსტრიული ორ-განიზაცია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ხელოვნების და-კარგვით წარმოქმნილი თავისებური ვაკუუმი უხიფათო გარ-თობის საშუალებებით შეავსოს.

როგორც ვთქვით, ხელოვნების გაუფასურება კაპიტალის-ტური ინდუსტრიული ორგანიზაციის ერთ-ერთი სპეციალურ-ი ღონისძიებაა. მაგრამ ამის გარეშე ინდუსტრიული ორ-განიზაციის სხვა ღონისძიებათა წყალბოთი ხელოვნება თა-ვისისავედ ჰკარგავს აუდიტორიას. ამ ღონისძიებათა წყა-ლობით ადამიანი მოძრაობს საკუთარი ადამიანური არსე-ბის საწინააღმდეგო მიმართულებით და ამიტომაც მისთვის ხელოვნების ნაწარმოები, როგორც თქმა ადამიანის ადამი-ანური არსების მიხედვით, რაღაც სრულიად „გაუგონარი-სა“ და გაუგებარის თქმის მოასწავებს.

თანამედროვე კაპიტალისტურ ინდუსტრიულ სასოგა-დობაში ხელოვნება კატასტროფულიად კარგავს აუდი-ტორიას, აუდიტორია „ანტიკულტორია“ იქცევა, თუმცა, ცხადია, ეს არ იქმნის მთელ სასოგადობაზე. სასოგადობე-ბა ამ მხრივ იყოფა განსხვავებულ ფენებად. უკიდურეს ფე-ნას შეადგენს „ანტიკულტორია“, რომელიც დაუფარავად

უარყოფს ხელოვნებას და საწავლოდ მითობებს „ანტი-ხელოვნებას“. ამგვარ გადაგვირებულ აუდიტორიას უმარჩა-პირდება „განდობილითა“ უმეცრეობა; ესენი არიან თვითონ ხელოვნების წარმომადგენლები და ისინი, ვინც ნაკლებად დამორჩილებიან და აყლირიან კაპიტალისტური ინდუს-ტრიული ცივილიზაციის ღონისძიებებსა და სიახლეებს და თავიანთი პოზიციით ხელოვნების კაცის პოზიციას უახლოვდებიან — ხელოვნების ნაწარმოები არის იმავე მიმართულებით თქმა, რა მიმართულებით ფეიქრიც შეად-გენს მათს ჩვევას. ამ ორ სპირისპირო ფენას შორის გან-ლაგებულია გარდამავალი ფენები. ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა, ევრეთუღებელი, „სნობისტური აუდიტო-რიის“ ფენა.

„სნობისტური აუდიტორია“ ჰყოფნის იმისი ალღო, რომ ხელოვნება მალადი ადამიანური ღირებულებაა. მას იმისი ალღოც ჰყოფნის, მიანის „განდობილით“; მათ მიევედლოს და მათი დახმარებით გამოარჩოს ხელოვნება „ანტიხელო-ვნებისაგან“. ამასთან იგი, მეორეს მხრივ, ზედმეტად მყარად დგას კაპიტალისტური ინდუსტრიული ცივილიზაციის სა-ცხოვრებო პოზიციას, ინდუსტრიული ორგანიზაციის აგი-ტაციის მიერ ზედმეტად ჰაინტელზირებულია სიახლეთა თაობაზე, ზედმეტად გატაცებულია ამ სიახლებით და, სხვა-თა შორის, ახალ ხელოვნებასაც განიხილავს როგორც ერთ-ერთ ამგვარ სიახლეს. ამ ახალ ხელოვნებას რომ არ იცნობ-დეს, ამას ჩამორჩენილობა მიიჩნევს. იგი გატაცებულია ახალი ხელოვნებით ისევე, როგორც ყოველივე „ახალი მო-დილით“. იგი გატაცებული და ადფრთოვნებელია აგრეთვე, ყოველივე იმ „ინდუსტრიული“ სიახლეს, რაც ამ ხელოვნე-ბაში ნაჩვენებია როგორც ადამიანის გადაგვიარებისა და უზე-დურების მომასწავებელი. სნობი ვერ ამჩნევს ამ შესაბა-მობას, ვერ ამჩნევს იმიტომ, რომ მას ნამდვილად არ ესმის ის, რისი იმპორტავ ხელოვნების ნაწარმოები — თუცა კი ხშირად თქვამის „განდობილითაგან“ განაგონ ფრახებს: ამა და ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია მეოცე საუკუნის ადა-მიანის „სულიერი კრიზისი, გამოცარეილებლობა, არაკომუ-ნიკაბელობა“, ერთი სიტყვით, რადიკალური უზედურება. იგი, ვთქვით, შეეცაში მოგზაურობიდან დაბრუნებული, იქა-ური ცხოვრებისა და ბედნიერების უმალდესი ღონისა და ხა-რისხით, ფეიქრებელი ავტომანქანებითა და „სექსუალური რევილუციით“ აღტაცების ვერ ფარავს და ამასთან ასეთი-ვე აღტაცებით ჰყვება ბერგმანის ფილმებზე, სადაც, მისივე თქმით, არაფერეილები რა ძალითა და დამაჯერებლობითაა ნაჩვენები თანამედროვე შეედებისა და საერთოდ ადამიან-თა „არაკომუნიკაბელობა“ და სხვა.

„სნობისტური აუდიტორია“ ისევე უკრიტიკოდ გატაცე-ბულია ინდუსტრიული ცივილიზაციის სიახლებითა და მო-დლებით, ისევე დაცილებულია ხელოვნების პოზიციას, რო-გორც გულწრფელი „ანტიკულტორია“, ოღონდ იმ განსხ-ვავებით, რომ მას ამ სიახლეებში ჩართული აქვს ახალი ხე-ლოვნება და ამგვარად ინარჩუნებს მასთან „ურთიერთო-ბას“. სნობების სახით ხელოვნებას საგრძნობი რადიკალიზის აუდიტორია ჰყავს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს აუდიტორია არსებითად ყოფა იმის მიმართ, რისი თქმაცაა ხელოვნების ნაწარმოები. ხელოვნება ერთი მუჰა „განდობილითა“ ანა-ბარა და დარჩენილი.

კაპიტალისტური ინდუსტრიული ცივილიზაციის პირო-



ზემო სასოფარდობის სულ მეტი და მეტი ნაწილი განიცადის გადაკარგებას, რის გამოც ხელოვნება სულ უფრო და უფრო გარავს აუდიტორიას, ხელოვნება კატასტროფის წინაშე დგას; რაშია მისი სხნა? ხელოვნების სხნა სხვა არაფერი არ შეიძლება იყოს, თუ არა ადამიანის „კვლავადამიანება“. ცხადია, ადამიანის „კვლავადამიანების“ ამოცანას მართო ხელოვნება ვერ იკისრებს, იგი მის ძალებს აღემატება. მაგრამ, მეორეს მხრივ, მანაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ ამოცანის გადაწყვეტაში. როგორ, რა გზით? ხელოვნებას ამ მიზნის სხვა გზა არა აქვს, თუ არა ის, რომ არ უღალატოს თავის თავს და დარჩეს ტექნიკურ ხელოვნებად: მან უნდა უჩვენოს ადამიანს მისი სახე, როგორც იგი არის, ოღონდ საკუთარ ადამიანურ არსებასთან მიმართებაში, მასთან დაპირისპირებასა და წინააღმდეგობაში; მან დაუფარავად უნდა უჩვენოს ადამიანს საკუთარი გადაკარგება, თავზარად დასცეს, შეაშფოთოს, შეაძრწუნოს საკუთარი სახის ხილვით და ამით „კვლავადამიანების“ პათოსი აღუძრას. ხელოვნებამ უნდა უჩვენოს ადამიანს მისი ფაქტური ყოფიერების მკვეთრი შეუსაბამობა მისივე პრეტენზიისადმი, რომ არის ადამიანი და თანაც „პროგრესული“.

როცა ნაწილებია ადამიანის მდგომარეობა თუ მოქმედება, რომელიც თავისი ნამდვილი მნიშვნელობითა და შედეგებით იმისადმი მკვეთრად შეუსაბამოა, რაზედაც პრეტენზიას იჩენებს და ამტკიცებს, ამას კომიკური ეფექტი ასღავს. მაგრამ როცა ეს შეუსაბამობა ამავე დროს თავზარდამცემი, შეამშფოთებელი და შემაძრწუნებელია, მაშინ კომიკურ ეფექტს ტრაგიკული ეფექტი ეერთვის და საქმე გვაქვს ტრაგიკომედიათან ანუ გროტესკთან. კომიკურია ის, რომ თანამედროვე ევროპულ-ამერიკელი ბიურგერი პროგრესის, წინსვლისა და აღმასვლის პრეტენზიით საკუთარი ადამიანური არსებისა და ბედნიერების საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს, გადაკარგებისა და დაცემის გაზუსტებას და საბოლოო ანგარიშით აგრეთვე ფიზიკური განადგურებისაკენ მიექანება; კომიკურია, რამდენადაც პრეტენზიასა და სინამდვილეს შორის მკვეთრი შეუსაბამობას მოასწავებს. მაგრამ ეს იმავე დროს ტრაგიკულია. თანამედროვე ევროპულ-ამერიკელი ბიურგერის ფიგურა ამგვარად ტრაგიკომიკური ანუ გროტესკულია; და შემთხვევითი არაა, რომ თანამედროვე დასავლეთის ხელოვნებაში აბსოლუტურად ბატონობს გროტესკი. გროტესკის ხერხით თანამედროვე ხელოვნება თავზარს სცემს, შეამშფოთებს ადამიანს და ამგვარად ლაბობს აღუძრას მას „კვლავადამიანების“ პათოსი.

მაგრამ უპირატეს ყოვლისა ხელოვნებას დაკარგული აუდიტორიის მოზიდვა, „მომოტყუება“ სჭირდება, რაც არაა იოლი საქმე. „ანტიკულტორია“ გაუზრბის ხელოვნებას, მით უფრო თავზარდამცემსა და შეამშფოთებელს. იგი უაზრო, უწყინარი სანახაობის „მომტარია“. ამიტომაც ხელოვნებამ აუდიტორიის მოზიდვისათვის საგანგებო ხერხს უნდა მიმართოს.

თანამედროვე დასავლეთის ხელოვნება აუდიტორიის მოზიდვისათვის სწორად თავს იკავებებს, გაიფხვლად ისეთ გამომიქვეყნებას იღებს, ვითომდა, სწორად ისაა, რასაც ეძებს „ანტიკულტორია“ — სიაფლიანური სანახაობა, ციკრი, თავგადასავალი, დეტექტივი. გროტესკი, როგორც მკვეთრი, გადაჭარბებულ შეუსაბამობათა ჩვენება გარეგნულად

სადა ხშირად ჰკავს უაზრო, გადაჭარბებულ შეცდომა-შეუსაბამობათა დემონსტრაციას, რაც კარგად ეგუება „ანტიკულტორიის“ მოთხოვნებს. გროტესკი თავს აჩვენებს ამგვარ სანახაობად. ასე მოიხიზდაც, შემოიტყუებს აუდიტორიას და მერე ერთბაშად წილიან იხდის, გაამიწვლებს დაფარულ ტრაგეზმს, თავზარს დასცემს და შეაშფოთებს „მოტყუებულ“ აუდიტორიას.

ხელოვნების მხრივ გადაკვარცხელი აუდიტორიის მოზიდვის მცდელობას გარკვეული ხმავთი ახლავს — ესაა თავად ხელოვნების გადაკვარცხის ხედავით. საქმე ისაა, რომ ექმცდელობა „ანტიხელოვნებისული“ პოზიციისადმი გარეგნული შეგუების აქტს მოასწავებს, ხოლო დიდი გამძლეობა სჭირდება იმას, რომ ექმცდელობა შეგუება შინაგანში არ გადაიხარდოს. მით უფრო, რომ ხელოვანი მატერიალურად „მომხმარებლისგანაა“ დამოკიდებული და ამიტომაც ხანგრძლივად მის ვარგშე დარჩენა არ შეუძლია. ძნელია აუდიტორიის მოტყუება, მოზიდვა და ეს ძნელად მისი პოზიციისადმი სულ უფრო და უფრო მეტი დათმობის ტენდენციას ზადებს. ამიტომაც იწვიათი არაა შემთხვევები, როცა ხელოვანი უხედმატად ეგუება გადაკვარცხელი „მომხმარებლის“ პოზიციას და ხელოვნების ნაცვლად „ანტიხელოვნებას“ ქმნის.

თანამედროვე დასავლეთში ხელოვნების ნორმალური სიყოცხლეა და განვითარებას კიდევ სხვა დაბრკოლება ეღობება; საქმე ისაა, რომ კაპიტალისტური ინდუსტრიული ცივილიზაციის პირობებში ადამიანის გადაკვარცხის ფაქტი ზოგჯერ იმგვარად ამინებს და თავზარს სცემს თვითონ ხელოვნებს, რომ ეს უკანასკნელი საყვირთა ჰკარგავს ხსნის იმედს, ნათლ პერსპექტივას და „სასოწარკვეთილების ორცის ელევია“; ასეთ შემთხვევებში ხელოვნების ნაწარმოები არის სრული, უპერსპექტივო სასოწარკვეთილების თქმა, და გასაკვირი არაა, რომ ადამიანს უჭირს ამგვარი უპერსპექტივო ხელოვნების მიღება; ხელოვნება ამ გზითაც ჰკარგავს აუდიტორიას.

ასეთია ხელოვნების ბედი, ხელოვნებისა და აუდიტორიის ურთიერთობა თანამედროვე დასავლეთში.

რაც შეეხება ხელოვნებისა და აუდიტორიის ურთიერთობას ჩვენში და საერთოდ სოციალისტურ ქვეყნებში, აქ, რა თქმა უნდა, სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე. აქ ადამიანის ცხოვრების მიმართულება, მისი საცხოვრებო პოზიცია იმგვარად არ უპირისპირდება და არ უწინააღმდეგება ხელოვანის პოზიციას, როგორც ამას ადვილი აქვს კაპიტალისტურ სამყაროში. ამიტომაც ჩვენში ხელოვნება ნაკლებად დგას აუდიტორიის დაკარგვის კატასტროფული საფრთხის წინაშე. ხელოვნების ტექნიკური ნაწარმოები საბოლოო ანგარიშით შესატყვის გამომხარება-დაფასებას ჰპოვებს.

მაგრამ, მეორეს მხრივ, სწორი არ იქნება ხელოვნებისა და აუდიტორიის ურთიერთობა ჩვენში უხედმატად გაგამარცხვით და სრული პარამიონის სახით წარმოვიდგინოთ. საქმე ისაა, რომ ხელოვნების ტექნიკური ნაწარმოები ყველგან და ყოველთვის არის ყოველდღიური საცხოვრებო განწყობის თვალსაზრისით რაღაც უჩვეულის უჩვეულოდ. უჩვეულო ნიით თქმა და ამიტომაც შედარებით ძნელია მისი ერთბაშად და სრული გაგება ფართო აუდიტორიის მხრივ. ყველგან და ყოველთვის ხელოვნების ტექნიკური ნაწარმოების გაგება და მიღება მოითხოვს ყოველდღიურობის ინერციის

გადალახსა და დაძლევა, ანუ ნაწარმოების მხრივ თავი-სებურ „კალდატანებას“. ყველგან და ყოველთვის ხელოვნე-ბის აუდიტორია ხელოვნებისეულ პოზიციასთან სახელობისა და სიზრვის მხრივ იყოფა განსხვავებულ ფენებად, ყველგან და ყოველთვის ხელოვნება ფართო საზოგადოებაში შექვე-ვისათვის რამდენადმე მანინ საკურორებს „განდობლითა“ მხრივ დახმარებას თავისებური განმარტებელი ავტაციის სახით.

ამიტომაც, შეცდომა იქნება, ყველგან და ყოველთვის, ხე-ლოვნების ნაწარმოების ხარისხის შეფასების იმითი ვი-ხეობმდევნელი, თუ რამდენად ფართო „მომხმარებელი“ ჰყავს მას, ყველგან და ყოველთვის ანგარიში უნდა გაე-წიოს ადეკვატური აუდიტორიის, ე. წ. „სექსტეტის“ აზრს. შეედომა იქნება, მაგალითად, ინდური და არაბული კინოთე-ლოდრამების დამოხსტრიტიების კინოთეატრებთან უსაშე-ლოდ გაჭიმულ რიგებს რომ დავინახავთ, აქედან ამ ნაწარ-მოებების მაღალ ხარისხსა და ღირსებებზე დავსკვნათ. შეედომა იქნება, ვიქვით, თეატრში ნაქანები გროტესკული და უბრალოდ გადაჭარბებული, უყინარი შეუსაბამობების გამოხსაველი სექტეტების აუდიტორიათა რაოდენობრივი აღრიცხვისა და შედარებისას უპირატესობას ამ უკანასკნელ სამექტალს თუ მივაწერთ და, აქედან მის ჭეშმარიტ მხატვ-რულ-თეოსობრივ უპირატესობაზე დავსკვნით.

გროტესკის სხენებასთან დაკავშირებით უნდა გავითვა-ლისწინოთ შედეგი: გროტესკი გამოსახავს ადამიანს აბ-სურდულ სიტუაციაში, გამოსახავს მკვეთრ შეუსაბამობას ადამიანის მდგომარეობა-მოქმედების პროტეინებსა და მისი ნამდვილი შედეგებისა და მნიშვნელობის არაადამიანურ ხა-სიათს შორის. ჩვენში ადამიანი ნაკლებადაა მოქცეული ამგვარ აბსურდულ სიტუაციაში, ამიტომაც ადამიანის ყო-ფიერების გამოსახვა ჩვენში შედარებით ნაკლებად მოითხოვს გროტესკის ხერხს. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ ვართ მსოფლიოს ნაწილი, მსოფლიოთი, რომელიც თავ-ის მთლიანობაში მრავალი ჯერჯერობით გადუქვებული და მოუგვარებელი საბედისწერი პრობლემის წინაშე დგას; ასე მაგალითად, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომლის დამსწრე და მონაწილე ვართ ჩვენ, ერთის მხრივ ადა-მიანის ცხოვრების დონის ამაღლებასა და წინსვლას, პროგ-რესს რომ მოასწავებს, მეორეს მხრივ სხვადასხვა სახისა და ხასიათის კატასტროფიულ ხიფათთანა დაკავშირებული. ხომ ფაქტია, რომ დღესდღეობით საბოლოოდ მიღწეული არა ჩანს ქვეყანათა შორის, ხალხებს შორის ისეთი ურ-თიერთობა, რომელიც გამოირცხვება მეცნიერებისა და ტექ-ნიკის თანამედროვე მიღწევების გამანადრურებელ შედეგებს (ბიოსფეროს მონობა, ატომისა და წყალბადის მოძვების საომარი გამოყენება და სხვ.). შეუსაბამობა, რომელიც მეც-ნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამ საბედისწერი ხასიათში გამოიხატება, მთელ დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად ჩვენც გვეხება და თანაც უთუოდ გროტესკის მასშტაბისა და მისი გამოსახვა ხელოვნებაში გროტესკის ჟანრსა და ხერხს იმა-სურებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასახლებული ხიფათი არაა გარდუვალი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეც ხიფათი ნეიტრალი-ზებული იქნება სოციალისტური ბანკის ქვეყნების ინიციატი-ვით; მაგრამ ფაქტია, რომ იგი ჯერჯერობით ნეიტრალი-ზებული არაა და ისიც ფაქტია, რომ ამ ხიფათის, ისევე როგორც საერთოდ ყოველგვარი ხიფათის, აცილება სხვა-

გვარად არ შეიძლება, თუკი წინასწარ თვალში არ გავხ-წორებ მას, მიუღი სიგრძე-სიგანით არ მიიღო მხედველობაში და არ განიცადე, ანუ თუკი წინასწარ სერიოზულად მარტმე-ფიდიდი. ამიტომაც ხელოვნებამ აღნიშნული შეუსაბამობა მტყენიერებისა და ტექნიკის თანამედროვე პროგრესისა და მის მოსალოდნელ კატასტროფულ შედეგებს შორის უნდა გამო-სახოს სწორედ როგორც შემამოთხლებელი ვითარება.

ამიტომაც ჩვენი ხელოვნება, თავისი ოპტიმისტური სუ-ლისკვეთების მიუხედავად, სრულიადაც არ გამოირცხვავს გრო-ტესკის ჟანრსა და ხერხს.

ნათქვამთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე შემ-დეგი ვარაუზობაც: ჩვენს სოციალისტური წყობა ინარჩუნებს აც-ლად ადამიანის მოძრაობას სახიფათო გადაცვრებისა და გაუცხების მიმართულებით, როგორც ამას ადგილი აქვს თა-ნამედროვე კაპიტალისტური ცივილიზაციის პირობებში, მაგრამ არასოდეს არ უნდა დავცავიწყდეს, რომ ილით არაა შესატყვისი ფაქტორების საბოლოო ამოკვეთა ადამიანის ფსიქიკიდან. ილით არაა იმ ფსიქიკური ფაქტორების სა-ბოლოო უნებელყოფა, წერილობრტუაზიულ ფსიქოლოგიას, მაცვრილოგიას და შესატყვის პრაქტიკას რომ ბადებენ. არა-სოფდს არ უნდა დავცავიწყდეს, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების სინფილუმთან შეხვედრისას და, რაც მთავა-რია, კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული გარემოცვის გავლენის წყალობით ყოველთვის მოსალოდნელია სხენებული ფაქ-ტორების გამოცოცხლება საზოგადოების გარკვეულ ნაწილ-ში, არ უნდა დავცავიწყდეს, რომ ჩვენ ამისი მოწინავე ვი-ყავით. ხე, მით უმეტეს, არ უნდა დაივიწყოს ხელოვნე-ბამ — მან ულმობელი პირდაპირობით უნდა უჩვენოს ის შეუსაბამობა, შესაკუთრე და მხეჭქელი, პატივმოყვარე და კარიერისტი, ობიგატელი თანამოქალაქის ფიგურაში რომ გამოიხატება.

სხვათა შორის, ხელოვნებას უფლება არა აქვს უგულუ-ბელყოს ჩვენი საზოგადოების გადაცვრებული, ობიგატე-ლური ფენის გროტესკული სახე თუნდაც იმიტომ, რომ სწო-რედ იგი, ეს ფენა, შეადგენს ხელოვნების „ანტიადიტიო-რისა“. სწორედ ობიგატელია ის კაცი, ვინც საგანგებოდ გაუბრის ადამიანის საკუთრივ ადამიანური, ცხოველის-გან განმასხვავებელი არსების თაობაზე საუბარს, იმის თაობაზე საუბარს, თუ რა შეაფერის და არ შეაფერის ადა-მიანს — ანუ სწორედ ობიგატელია ის, ვინც გაუბრის მის მოსმენასა და „შესმენას“, რისი თქმაცაა ხელოვნების ჭეშ-მარიტი ნაწარმოები; გაუბრის იმიტომ, რომ ემინება თვალ-გაუსწოროს საკუთარ სახეს — ცხოველის დარსა და არა-ადამიანურს.

ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენი ხელოვნება, დასაძლევის ხელოვნების მსგავსად, მხოლოდ და მხოლოდ ანდა მომეტებულად გროტესკული უნდა იყოს, არამედ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გროტესკიც გვჭირდება; ხოლო ამის ხაზგასმის ის აზრი აქვს, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს ხელოვნებაში გროტესკის ჟანრი დღემდე არ არის საკმარისად ათვისებული და გამოყენებული.

იქაუ არ იყო ღამაზი, არც მოხდენილი, იყო ახლავანი, მთელი ფიგურა — არქაული, იგი კი არ დადიოდა — იზღაწნებოდა, როგორც მერალდიური ნადირი. და ფსევდონიმი კი ცოტას ამბობს? — ვ ა უ ა ფ შ ა ვ ე ლ ა — ამ მაკარ სიტყვაში და უფრო ანთ დაბოლოებაში სჩანს დ ე დ ა მ ი წ ი ს ქ ა ლ ა...“

პახტანგ კომპოზიცილი.

სარგის ცაიშვილი

ხშირად ხდება ხოლმე, როცა ერთი ძირითადი თემა წლების მანძილზე თან სდევს შთაგონებულ ხელოვანს. იგი გამუდმებით ატარებს მას ყოველდღიური ზრუნვით აღვსილ ჩვეულებრივ ყოფაში თუ სხვა, ზოგჯერ გადაამკვეთ თემაზე მუშაობის დროსაც. განზორციელებამდე ეს თემა იღვის სახით მწიფდება მასში. ჭეშმარიტი შემოქმედი თითქოს აყოფნებს ამ პროცესს, უფროსხის და ელოლიავება მას, რადგან ოდნავი აჩქარებაც კი ასეთ დროს კატასტროფას უდრის.

„არსად ქმნის“ ეს ერთი უმცარესი კანონი მე უნებლიეთ გამახსენა გიორგი ოჩიაურის გატაცებამ ვაჟას იღუმალი პიროვნებით. ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ თემას მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

მხატვრის შინაგან მიდრეკილებებთან ერთად ალბათ სხვა ფაქტორებზეც ითამაშეს ამაში გადამწყვეტი როლი. გიორგი ოჩიაური თავისი ცხოვრებით, ბიოგრაფიით სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ფშავ-სვესურეთის მაღლიან მიწასთან, რომელმაც მისცა დასაბამი ვაჟა-ფშაველას საოცრებებით აღსავსე შთაგონებას.

ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყაროც იმთავითვე მისთვის ნაცნობი და ახლობელი შეიქმნა. ამიტომაც არის მხატვრის ქმნილებები თავისუფალი ყოველგვარი ეგზოტიზმისაგან, რაც არც ისე იშვიათია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასა თუ პიროვნების შეფასების დროს. გიორგი ოჩიაური თავისი პროფესიით, უწინარეს, მოქანდაკეა, მაგრამ საგულისხმოა, რომ მან ვაჟასადმი თავისი დამოკიდებულების გამჟღავნება პირველად სხვა თანრში სცადა. მე ვკვლისხმობ მის გრაფიკულ ნახატებს, ვარიაციებს ვაჟას თემებზე. მართლაც, ეს თითქოს ერთგვარი შემზადება იყო უმთავრესი ამოცანის გადაწყვეტის გზაზე.

* * *

გიორგი ოჩიაურის ეს ნახატები ყურადღებას იქცევს არამარტო შესრულების მანერით (მკვეთი, მხატვრული ფუნქციით დატვირთული ლაკონიური შტრიხები, რაც ასე ესადაგება ვაჟას პოეზიის სადა ფორმებს), არამედ ჩანაფიქრის ორიგინალობითაც: ვაჟას პოეტური ბუნება, სამყაროს მრავალფეროვან მოლიანობაში აღქმის ჭეშმარიტად წარმართული უნარი მათში საინტერესო მხატვრულ დაკვირვებათა საგანდაა ქცეული. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნახატების თემა ვაჟას ლირიკული ლექსებია და ამდენად, მათივე გმირიც უშუალოდ თვითონ პოეტია.

მე მინდა აქ ორიოდ სიტყვით შევიჩრდე ზოგიერთ მათგანზე. ვაჟას მსოფლანცდამში, რომელიც წარმართულისა და ახალ საუკუნეებში აღმოცენებული დიკალების იშვიათი შერწყმის ნიმუშია, ასეთი საფანელი ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ნათელი და ჯანსაღი რწმენისათვის. ვაჟას აზრით (ეს უფრო მის ლირიკულ ლექსებშია იფხვს თავს), ადამიანი ბუნების ღვიძლი შვილია, როგორც ყველაფერი, რასაც ჩვენი თვითი უშუერს და გონება სწვდება. ადამიანის ბედნიერების წყაროც ის არის, რომ მან ამ ერთი მთლიანობის ორგანულ ნაწილად იგრძნოს თავი. ბუნებაში არ არსებობს დიდი და პატარა და ყოველ მათგანს თანაბარი უფლება აქვს (ან უნდა ჰქონდეს) დატკბეს „უთვალავი ფერთ“ შემკობილ სამყაროში.

ადამიანისა და ბუნების განუყოფელ მოლიანობად განცდის ეს დიდი სიხარული შთამოდგდავად არის გაცოცხლებული გიორგი ოჩიაურის ერთ ძალზე დამახასიათებელ გრაფიკულ ნამუშევარში, რომელიც მას ჯერ კიდევ 1960 წელს შეუსრულებია.

შვით განათებულ, მრავალსახოვან პეიზაჟში, რომელიც ერთიანად აღიქმება (აქ





გ. თიაური.
ვაჟა-ფშაველა.

შეგნებულად არც არის მინიშნება კომპოზიციურ ცენტრზე), ჩასატულია თვით პოეტის ფიგურა. აქ სწორედ იგივე აზრია გატარებული: ადამიანი, ამ შემთხვევაში პოეტი, ისეთივე დვიძლი შვილია ბუნებისა (შორს გაწვდილი ხელი და სხეულის ძალდაუტანებელი შემართება სილაღეს უსვამს ხაზს), როგორც მის მიერვე ათასჯერ ამღერებულ ნაკადული და მთის ქუჩი, ცამდე აწვდილი კლდე თუ ხმელი წიფელი:

„უსულო საგნებს სული ჩაბერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა
და, როგორც მეფე, გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა“.

ნიშნობლივია ისიც, რომ მხატვრის მიერ ცალკეულ საგანთა კონტრუბო ისტრუქციებისა შესრულებული, რომ ყოველი მათგანი რადიკით ერთმანეთს ჰკავს, როგორც თვით პოეტის მისავე სათაყვანებელ ბუნების შვილებს.

დიდი ღირებულებაა შესრულებული გიორგი ოჩიაურის მიერ ნახატი. პირბოთიად მას შეიძლება ია ეწოდოს. მასში აღბეჭდილია ბუნების იდუმალებაში ღრმად ჩანთქმული პოეტის სახე. მსუყე შტრიხებით შესრულებულ კომპოზიციაში, მეჭე, ტანადი ტყის ფონზე, რომელსაც სიღრმიდან ანათებს „მზეა სიმართლისა“, გამორჩეულია ლურჯ-თვალა იასიან თადახარბილი პოეტი. ზურგიდან მონათებული მზის სხივები ვერ აღწევენ პოეტის მწუხარე, ფერმკრთალ სახემდე. მე ვფიქრობ, რომ ეს შვენიერი, ემოციურად დატვირთული კომპოზიცია შთაგონებულია ვაჟას ერთი, ძალზე დამახასიათებელი ლექსში: „იას უთხარით ტურფასა“, რომელშიც პოეტი მარადისობიდან „სამზე-ოში“ მოსწრაფე იის გარდუვალ ხვედრზე ჰკოდებს. თითქოს ჩურჩულით ნათქვამ სიტყვებში: „უე მიხვალ, მიწას ფვარე, მოსვლაში არა ჰყრიათ“ — ეკლესიასტეს მარადიული მოტივი ჩაგვმისი. მართლაც, ერთი რიგის ლექსებში ეს განწყობილებებია ხაზგასმული, რაც ვაჟას მრავალფეროვან პოეტურ პალიტრაზე მეტყველებს. ბუნების მარადიულობის განცდის სიხარულს სიკვდილ-სიცოცხლის მეტოქეობის უღმიებელ კანონებზე დაფიქრება ცვლის. ასეთ დროს ვაჟას მკაცრ, გმირული შემართებით აღსაცხე ხმაში თავისთავად იჭრება თბილი და მგრძობიარე ინტონაციები.

* * *

წარმართული შრეებიდან დაძრული ნაკადი პირველად გამჟღავნდა ვაჟას ერთ ადრულ ლექსში, რომლის სათაურია „დევთა ქორწილი“ (იგი დაიწერა 1886 წელს, როცა ვაჟა 25 წლის ჭაბუკი იყო). გაოცებას იწვევს მამინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტის ხედვის სიღრმე და იდუმალება. ეს ხილვა, მართლაც, ფანტასტიკურია და ძალზე დამახასიათებელი პოეტის მხატვრული აზროვნების შინაგანი მიდრეკილებებისათვის, რომლებიც თავის სრულყოფას მოვიანებით შექმნილ კლასიკურ პოემაში აღწევენ.

ბუნების გრანდიოზული მდელვარების ფონზე ლექსში შემდეგი სურათია წარმოსახული: დევები ქორწილზე მიპატიებულს კაცის ხორცს თავაზობენ. აქ თითქმის ყოველ დეტალში მითოლოგიური აზრი გამოსჭვივის... დევები ადამიანური საწყისის ხელყოფას ცდილობენ, რაც მხოლოდ გადატანით უნდა გავიგოთ. ადამიანმა უნდა დამლიოს ყოველგვარი ცთუნება, ან როგორც რუსთველი იტყვდა:

მინდონი საწურთოსანი მისთა ნივთთაგან რჩებთან,
იხვებენ, მაგრამ უმხოლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებთან;
ვაქებ ჰკუასა ბრძენთასა, რომელნი ეურჩებთან...

დეგური (გმზური) და ადამიანური საწყისების მეტოქეობა, რომელიც „დევთა ქორწილის“ ფანტასტიკურ ხილვებშია წარმოდგენილი, ერთ უმთავრეს მოტივად გასდევს ვაჟა-ფშაველას მთელს შემოქმედებას, რომლის გადაწყვეტაში თავს იჩენს ვაჟას მაღალი ჰუმანიზმი.

მხატვრის გუმანზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გიორგი ოჩიაურმა ერთმა პირველთაგანმა მიაკეთა ყურადღება ვაჟას შემოქმედებისათვის ამ ძალზე ნიშნობლივ ლექსს. მის ერთ ნახატში ეს თემა ახალი დეტალებითაა გამომდრებული. ადამიანური მასშტაბებიც აქ თითქმის დარღვეულია. შთამბეჭდავია ნახატის ცენტრში მოთავსებული სტუმრის, ამ შემთხვევაში თვით პოეტის, შედრწუნებული, მაგრამ მაინც ბრძნული სიღრმით აღბეჭდილი სახე. წინა პლანზეა გამოტანილი ახალგაზრდა დევის უხამი ფიგურა, რომელსაც ფიალით ხელში იერიში მიჰქვს სტუმარზე, ხოლო მიორე მხარეს ცბიერი, მომლოდინე მზერით გარინდებული დევია გამოსახული, რომელიც წინასწარ ტყდება თითქმის ამ „ძირმწარე“ ფიალის დაცლით გამოწვეული შედეგით. ასევე საუბრისხმო და დამახასიათებელია რენესანსული შტრიხებით შესრულებული სახე დევთა ქორწილის პატარძლისა, რითაც ხაზგასმულია აქ დატრიალებულ ცთუნებათა მხაკვრული ხასიათი.

* * *

და აი, ბოლო გრაფიკული ნახატი, რომელიც, ჩემის აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ფაქტურად იგი დაედო საფუძვლად იმ მონუმენტს, რომლის განხორციელებისკენ წლების მანძილზე ილტვოდა მხატვარი. კოსმიურ ფონზე დმრთაკაცივით აღმართული ვეებერთელა ფიგურა ფხვნიშველა მოაბოტებს ჩვენკენ. სქელი ნაბადი თითქოს ხელს უშლის, მისგან ვანთავისუფლება სწადია (ეს ძალზე მრავალმეტყველი მინიშნებაა), რათა კიდევ ერთხელ განამტკიცოს დიადი რწმენა:



„მთა ვიყავ, მწვერვალზე ვიჯდებო.
 თვალწინ მეფინა ჰყვავანა,
 ვულზედ მესვენა მზე-მოთარე,
 ველაპარაკობდი ღმერთთანა“.



ვაჭა-ფშაველა მთელი თავისი არსებით ღრმად ეროვნული პოეტიკა. ეროვნულის განცდა მას ყველგან და ყველაფერში უნათებდა გზას: „ხარს ვეგვიარ ნიალაღარს, რქით მიწას ვიხვევრ, ვებუნიცა...“ მაგრამ ჭეშმარიტად ეროვნული და მაღალი ჰუმანიზმი მის შემოქმედებაში არასოდეს არ ქმნის გადაშვებულ წერტილებს. ყოველგვარი ეროვნულ შეზღუდულობა ისევე უცხო იყო მისთვის, როგორც მის მიერ წარმოსახულ გმირთათვის ჩამორჩენილი და ყალბი ზნეობრივი არტახები. ამ თვალსაზრისით ვაჭასთან ზოგადკაცობრიული ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული.

საკუენთა სიღრმიდან თათქოს დაიძრნენ კლდესაკით უდრეკი, მარადისობით დაღდასმული გმირთა სახეები, რათა კიდევ ერთხელ გვეგვრძნო დაღ დადამიანურ ვენებათა უკვდავება. ვაჭას შემოქმედებაში ახალი ძალით იფეთქა ქართველი ხალხის დიდმა სულიერმა ენერგიამ, რაც ეროვნული მასშტაბით საკუთარ ძალეში ურყევ რწმენას განამტკიცებდა. ამის გამო შეიყვარა იგი თავისმა ხალხმა და უკვდავთა შორის შერაცხა.

* * *

სულ ახლახან, თბილისში, ვაჭას სახელობის პროსპექტზე აღიმართა პოეტის დიდებული მონუმენტი. ეს იყო, მართლაც, სიხარულის მომგვრელი დღეები. დაგვიანებით, მაგრამ მაინც განხორციელდა სანუკვარი ოცნება. ვაჭა-ფშაველა თითქმის საბოლოოდ დამკვიდრდა იმ ქალაქში, საითქებაც იგი ყოველთვის ისწრაფვოდა, რათა დიდი შთაბრძნადა ასე უხვად გაენაწილებინა მშობელი ხალხისათვის.

ყოველი ჩვენთაგანი მოუთმენლად ელოდა საბურველის ჩამოსხმას. მაინც როგორი სახით უნდა წარმომდგარიყო ჩვენს წინაშე ბრინჯაოში განსახიერებული დიდი პოეტი?

ამ კითხვაზე ერთგვაროვანი პასუხის გაცემა ალბათ ძალიან გაჭირდებოდა. მოქანდაკის ამოცანას ართულებდა ისიც, რომ რამდენიმე სურათში აღბეჭდილი ვაჭას სახე ყველაფრის კარგად არის ცნობილი. გიორგი ოჩიაურს ზომიერების დაცვა მძარბობდა და ეს მან შესძლო კიდევ. ვაჭა კიდევაც ჰგავს ჩვენთვის ცნობილ სახეს და ამასთან ახალი შერჩებებითაა იგი გაძლიერებული. ხაზგასმულია მთავარი და ყველაზე დამახასიათებელი, როგორც სახის ნაკეთებში, ისე მთლიანი ფიგურის წარმოსახვაში.

ვაჭას ანტიკოსივით მშობლიურ წიაღში ღრმად აქვს გაღვრული ფესვები. ბრინჯაოში განხორციელებული, მარადისობად ქცეული სახე პოეტისა სიბრძნესა და დაუოკებელ ენერგიას გამოსცემს. ვაჭას სახე, რომელიც თანდათან იხვეწებოდა მხატვრის გრაფიკულ ნახატებში, აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვაგვარი პლასტიკური ხერხებითაა ამტკიცებული. შეგნებულად დაშვებული ასიმეტრიულობა (განსაკუთრებით გვერდზე გასროლილი უზარმაზარი ხელი, გულმკერდის სხვადასხვა პროპორციებით წარმოდგენილი ტუბილი ხაზები), რაღაც გოლიათურ ძალას ანიჭებს მთელ ფიგურას, ხოლო ოღნავ შვინიდან შეზნეილი მუხლები ქმნიან შთაბეჭდილობას, თითქმის ფიგურა მიწიდან არის ამოზრდილი. მონუმენტის ასეთი გადაწყვეტილი სიმკაცრე და შეუპოვრობა სუფამს ხაზს, მიგვანიშნებენ ვაჭას სისხლბორცველ კავშირზე მშობლიურ წიაღთან, საიდანაც ისრუტავდა იგი მაკოცლებელ ძალას: „თქვენი მიწოვაც მეც ძუძუ, ღალიან-ბარაქიანი“.

სახის ნაკეთები დამუშავებულია მაკარი და ტუნწი პლასტიკური ხერხებით. წინ წამოწეული ყვრიმალები, გამზადარი სახე და ღრმად ჩამჯადარი თვალები სიბრძნესთან ერთად ლოტის უღრვ ბუნებაზე მიგვანიშნებენ. ათასნაირ ასოციაციებს ბადებს ფორებივით წამოსხმული ნაბადი, არწივივით ოღნავ წინ გადადრეკილი ქედი... კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრებს ზღვასაკით უკიდვანო შემოქმედების სივრცეებზე, „ღაჭრილი არწივის“ ტრაგიკულ ხვედრზე...

* * *

რასაკვირველია, ჩემი ეს მოსახრებები მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილებებია. გიორგი ოჩიაურის მიერ შექმნილი ვაჭას მონუმენტი ღრმა და პროფესიულ ანალიზს მოითხოვს, რაც ალბათ მომავლის საქმეა. ამჯერად კი მთავარი იმის აღიარება იყო, რომ მოქანდაკის თვალსაზრისი სწორი და თანამედროვეა. გამარჯვების საიდუმლოებაც, პირველ რიგში, აქ უნდა ვეძიოთ.





კი, „ველის ქალიშვილი“, „ქორწილი ბოშათა ბანაკში“ და სხვა. ამ სპექტაკლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ისინი მომზაბარე ბოშებს ბინადარი ცხოვრებისაკენ, შრომის, სწავლისა და საერთოდ კულტურული არსებობისაკენ მოუწოდებდნენ. ამ დიდი პროპაგანდისტული მისიის შესრულების მიზნით თეატრი ხედვებდა საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაქაასულ ბოშათა ბანაკებს და დიდ ზემოქმედებას ახდენდა მათზე. ეფექტი იმდენად დიდი იყო, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, ბოშები ბანაკიდან პირდაპირ თეატრში მოდიოდნენ სამუშაოდ.

დროთა განმავლობაში თეატრის რეპერტუარი გაფართოვდა. რაღა თქმა უნდა, იმ კლასიკური ნაწარმოებებით, რომლებშიც, ასე თუ ისე, ბოშებიც მონაწილეობდნენ. სხვადასხვა დროს ჩვენს თეატრში იდგებოდა მერიმეს „კარმენი“, პუშკინის „ბოშები“, გორკის „მაკარ ჩუდრა“, კუპრინის „ოლესია“, ვ. ჯიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, სერვანტიესა და გარსია ლორკას ნაწარმოებები და სხვა.

კ ი თ ხ ვ ა : რა ჰქმნის თქვენი თეატრის შემოქმედებით ინდივიდუალობას, მის ეროვნულ სპეციფიკას?

პ ა ს უ ხ ი : უპირველეს ყოვლისა ე. წ. ბოშური ტემპერამენტი, განცდათა ზეაწეულობა და მხურვალეობა, ეგზალტაციამდე მისული გნებათა დღევა, ცეკვადობით გამსჭვალული რიტმულობა და უაღრესად თავისებური პლასტიკურობა. თავისებურია ჩვენი თავგება და ურჩი გმირების სახეებიც. გარდა ამისა, ბოშათა სამყაროში ძალზე კოლორიტული გარდატეხა ჰპოვა გმირულ-პატრიოტულმა თემმა, სიყვარულისა და ღალატის მოტივებმა, რომლებსაც ბოშები, თავისი უაღრესად ემოციური ბუნების წყალობით, მელოდრამატულ გააზრებას აძლევენ, რაც აგრეთვე ეროვნულ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ.

კ ი თ ხ ვ ა : ცნობილია, თეატრი „რომენი“ ბოშათა მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფოლკლორისა და რუსული კლასიკური თეატრის ტრადიციების შერწყმის საფუძველზე განვითარდა რა თავისებურებანი ახლად თეატრალური პროფესიონალიზმის ამ პროცესს?

პ ა ს უ ხ ი : სინთეზირების ეს ძალიან საინტერესო პროცესი დღესაც ვითარდება და კვლავაც ძირითად სარსებო უწაროდ დარჩება ჩვენი თეატრისათვის. აქვე ერთი თავისებურება მინდა აღვნიშნო: წარსულში მომთაბარე ბოშები ადვილად ითვისებდნენ რუსულ მელოდიებს, უმაღლე აიტაცებდნენ მათ და თავისებურად, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი მანერით აძღვრებდნენ, შესრულების დროს იმდენად უცვლილდნენ სახეს პირველწყაროს, რომ იგი ბოშათა კუთვნილება ხდებოდა. ამას მოწმობს ის დიდი შინაგანი ნათესაობა, რომელიც რუსულ-ბოშურ სიმღერებს შორის არსებობს მელოდიკის, ინტონაციის, პარამონიის სფეროში.

ინტერვიუ

ნიკოლოზ სლიენკოსთან

კ ი თ ხ ვ ა : ჩვენი ჟურნალის მკითხველებს აინტერესებთ შეიტყონ ზოგი რამ თქვენი თეატრის ისტორიიდან. როდის ჩამოყალიბდა იგი და ვინ არიან მისი ფუძემდებლები?

პ ა ს უ ხ ი : ჩვენი თეატრი 1931 წლის 24 იანვარს დაარსდა. მაშინ მას „ინდო-რომენული თეატრი-სტუდია“ ეწოდებოდა. ფუძემდებლები კი იყვნენ შემდგომი ჩვენი გამორჩენილი მსახიობები: ა. ანდრევი, ა. გერმანო, გ. ლებედევი, ი. რომ-ლებედევი, ი. ხრუსტალიოვი, რეჟისორი გახლდათ მ. გოლდბლატი, კომპოზიტორი — ს. ბუგაჩევსკი. დიდათ თეატრ „რომენის“ განვითარების საქმეში სსრ კავშირის სახალხო არტისტის იანშინის დამსახურება. 1931 წლის 30 აპრილს შედგა ბოშათა თეატრ-სტუდიის პირველი კონცერტი-სპექტაკლი.

ამავე წლის 16 დეკემბერს კი „რომენი“ (რომენ ნიშნავს ბოშებს) პროფესიულ თეატრად გამოცხადდა, იმ დღეს ნაჩვენები იყო გერმანოს პიესა „ცხოვრება ბორბლებზე“ (რეჟისორი — გოლდბლატი, მსატყარი — ტ. მლერი).

პირველ ხანებში თეატრის რეპერტუარში მხოლოდ ბოშათა ცხოვრების ამსახველი სპექტაკლები შედიოდა. ასეთი იყო გერმანოს „ორცეცხლ-შუა“, რომ-ლებედევის „ველად გაჭირლი ბანა-

ერთი სიტყვით, საერთო მათი ძირი. სხვათა შორის, ამგვარი მიდრეკილების მიწ'ე დღესაც ხშირად ვყოფილვარ. მეგობრთა ვიწრო წრეში რომელიმე ჩვენგანი თავისებურად წაიღიონებს ხოლმე რომელიმე პოპულარულ რუსულ სიმღერას. ეს თავისებური დღიანი იმდენად ორიგინალური და სპეციფიკურია, რომ იქვე, სახელდასხლოდ, თვისობრივად ახალ სიმღერას ბადებს.

განა ანაზევე არ მეტყველებს ე.წ. ბოშური რომანსები, რომლებიც მიოვლს მოლოდინო გავერცელდნენ. რომანსა ხომ პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჟანრია. მისი სტრუქტურა, დრამატურგია, ფორმა საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და სრულყოფილი სახე კლასიკოსთა შემოქმედებაში მოიპოვა. რაღა თქმა უნდა, ყოველგვარ პროფესიულ განათლებას მოკლებული ბოშები ვერ შექმნიდნენ ესოდნ სრულყოფილ მუსიკალურ სქემას. მამასადაძემ, აქაც რუსული რომანსის ასმიღიერების პროცესთან გვაქვს საქმე. ბოშებმა ამგვარად იმდენად გარდაქმნეს პირველწყარო, რომ რუსული რომანსი ეროვნულ კუთვნილებადაც აქციეს. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავ ლ. ტოლსტოის გამოთქმას: „ბოშათა სიმღერები ყოველთვის იქნება ჩვენთვის ახლობელი, რადგან მათი ფეხები ხალხურია“.

ყოველივე ამაზე იმით მომეხრდი, რომ აღმნიშნა რუსულ-ბოშური ხალხური შემოქმედების საწყისთა ერთიანობა. ამიტომაც ჩვენი თეატრის პროფესიონალების პროცესი, რომელიც რუსული თეატრის საფუძველზე განვითარდა, თავიდანვე ბუნებრივად დაიწყო. აქ არ წამოჭრილა სხვადასხვა კულტურების შეჯვარების პრობლემა. ჩვენთვის ყოველთვის ამოცნობილი იყო რუსული სამყარო, რომლის ეროვნული თავისებურებები თვითგანვე შევისისხლობორცთ, თუმცა საკუთარ ობიექტყოფადობასაც უმღამ ვინარჩუნებდით.

კ ი თ ხ ვ ა : ბოშური სიმღერები საყოველთაო პოპულარობით სარგებლობენ. ეპიკონებიც საკმაოდ მომრავლდნენ, ხომ არ ამახინჯებენ ისინი ამ სიმღერებსა და მათ სამეხსურებლო ტრადიციებს?

პ ა ს უ ხ ი : ეს ძალიან მტიკინველი საკითხია. სწორედაც რომ ასეა. ეპიკონებმა წარმოშვეს ე. წ. „ცივანშინი“, რომელიც თავისი იაფფასიანი მიმბაძველობით, ვითომ და ბოშური სპეციფიკის უტრირებით, აყალბებს და ამახინჯებს ჩვენი სიმღერების სულსა და გულს. მის პირველქმნილ სიწმინდეს. ხალხში შობილ პანგებს ფრთხილი და სათუთი დამოკიდებულება ჭირდება. მე არც სტილიზების მიმხრე ვარ. ბოშურ სიმღერებს სრულიად არ ესაჭიროებათ ესტრადული ან ჯაზური ინტერპრეტაცია. ჩვენი ერთადერთი სიმდიდრეა — სიმღერა და ცეკვა. მათ თვალისჩინივით ვუფრთხილდებით, ვესიყვარულებით. ამ ჩვენს ერთადერთ გაწმს კი ხშირად, ძალიან ხშირად, უსერიო „მომღერლები“ ეტანებიან

და მათი საშუალებით სახეების მოხვეჭას ლამობენ. კიდევ კარგია, რომ არსებობს პიროვნული, ობიექტური შემფასებელი — მსმენელი, ხალხი, რომელიც საოცარი გუქმანით ანსხვავებს ჭეშმარიტ სელოფანებს მიმბაძველობისაგან.

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბოშური სიმღერების ჩინებული შესრულებლებიც არსებობენ. ასეთი იყო თქვენი თამარ წერეთელი. მან შექმნა მთელი ეპოქა, რომელიც შესასწავლია. მართალია, იგი ბოშათა პანგებს თავისებურად მღეროდა, მაგრამ როგორი გემოვნებით, ტაქტით, კულტურით...

კ ი თ ხ ვ ა : თეატრი „რომენი“ მუსიკალური თეატრია თუ სინთეზური, რომელშიც თეატრალური გამოხატულების ყველა კომპონენტი ტოლფასოვან ფუნქციას ასრულებს?

პ ა ს უ ხ ი : დღეს „რომენი“ მუსიკალურ-რომანტიკული თეატრია. თუმცა თავისი ბუნებით სინთეზურია. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ თანდაყოლილ რთულ მონაცემს — სინთეზურობას გამოვლინება, განვითარება, სრულყოფა სჭირდება. ამისათვის ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ მზად. დიდი მუშაობა გვმართებს. ხალხურ წყაროებიდან მომდინარე სახეები თანამედროვეობას უნდა შევეფარდოთ. სხვა მხრივ ჩვენი თეატრი მუზეუმს დაემსგავსება. უნდა ვეძებოთ ახალი ფორმები, თემები, სახეები...

ჩემი ოცნებაა, თეატრი „რომენი“ მიუზიკალად ვაქციო. ვუეკობო, ასეთია ჩვენი თეატრის ჯერ კიდევ გამოუვლინებელი პოტენცია. შერედა, რაირც საინტერესო იქნება ბოშათა „მიუზიკლი“! საშუაბაროდ, ეს ჯერ მხოლოდ ოცნებაა!

კ ი თ ხ ვ ა : ჩვენი საუბრის დასასრულს ერთი ტრადიციული შეკითხვით მოგმართავთ: როგორია პირადად თქვენი გეგმები, ამოცანები, სურვილები?

პ ა ს უ ხ ი : ახალ პროფესიას ვეუფლები. სულ ახლახანს დავაბოვარე უმაღლესი სარეჟისორო კურსები, ჩემი სადბოლომო საქტაკალი გახლავთ „გრუმენკა“, რომელიც შევსავე თეატრში დავდგი. მას საფუძვლად დუვებს ლესკოვის მოთხრობა „მოჯადოებელი მზგავნი“. იმდენად გატაცებული ვარ რეჟისურით, რომ სხვა ყველაფერი დამავიწყდა.

გეგმაში მაქვს ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეშის“ დადგმა. ვეებო პიუას სამამულო ომის თემაზე, რადგან ეს ტკივილი ჯერაც არ გაუქმებულა. ვოცნებობ შექსაირზე. ამ გენიალური დრამატურგის პიუესები ბოშებისთვისაც ახლობელი იქნება. რაღა თქმა უნდა, თეატრი „რომენი“ მართლად შექსაირისებურ სამყაროს გრენველ ფორმაში წარმოსახავს. ვნახოთ, რა გამოვა.

დასასრულს ვუნდა „სატჰოთა ხელოვნების“ საშუალებით მინდა მხურვალე მადლობა გადაუკადო გულისხმიერ ქართველ მსმენელსა და მაცურებელს.

თეატრის
მხატვრების
გამოყვანაზე

ქართული თეატრის დღეს, 14 იანვარს დილისში აკაკი ხორავას სახელობის მხატვრების სახლში გაიხსნა საქართველოს თეატრის მხატვართა გამოფენა. მას შეიძლება პირობითად „სეზონის შედეგებიც“ ვუწოდოთ, რადგან რესპუბლიკის 28 მხატვრის ასოცდაათამდე ნამუშევრის ძირითად ნაწილს 1972-73 წლების დადგმების დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები თუ მაკეტები შეადგენდა.

* * *

მხატვრები და საქეტიკლები

გიორგი ჩიკვაიძე

მთავრი დრამატიზმითაა გამსჭვალული რესპუბლიკის სახალხო მხატვრის ფანაოშ ლაპიანიშვილის ესკიზი „მაკეტისათვის“ (მარჯანიშვილის სახელობის თეატრი). შავი-მუწაშფერი ფონი, ტეხილი, კუთხოვანი სათამაშო დაზუბა, ჩაკეტილ წრედს რომ მოგვგაგონებს; მძიმე პაჭკვებზე დაკიდებული და თავადაც პაჭკვებით დახუნძლული (ეს პაჭკვები უნებურად წამების იარაღების ასოციაციას იწვევენ; ალბათ მხატვრის მიზანიც ეს იყო), შეზოლილი, უხეში მორების ცხაურიანი კონსტრუქცია, ცხაურების შორის სისხლისფერი ცა, ორი მძიმე, ტლანქი სავარძელი — ასე წარმოიდგინა მხატვარმა მაკეტის ციხე-დარბაზი. ყველა ეს აქსესუარი ფერწერულ გადაწყვეტასთან ერთად ქმნის სულის შემხუთველი გამოუვალობის, ავბედითობის გარდუვალ შვერწნებას.

ფ. ლაპიანიშვილის ეკუთვნის მესხეთის თეატრში დადგმული მუსტაი კარიმის „მთვარის დაბნელების დამის“ დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები. (ამ ნამუშევრისთვის მხატვარს საბჭოთა კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური კონკურსის პრემია მიეკუთვნა.). კოსტიუმების გადაწყვეტაში ნათლად იგრძნობა მხატვრის ოსტატობა, მალაღი გემოვნება. ეგზოტიკურ, მაგრამ არა მყვირალა ტანისამოსი შენარჩუნებული აქვს ეროვნული იერი, ფუნქციონალური დანიშნულება, ამავე დროს იგი ფერწერულად და თეატრალურად ზეაწვეულიცაა.


ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ევგენიანოვიცაა „ბრალდების მოწმის“ ესკიზებით (გრიბოედოვის სახ. თეატრი). პირველი სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტა, ერთგვარ უკმარისობის გრძნობას იწვევს, უპირველეს ყოვლისა ჩეხოვის პიესებისათვის შემუშავებული ტრადიციული გადაწყვეტისა და სინათლის წყაროს ნაცვლად თხელი ქსოვილის გამოყენების გამო. ნათქვამია, სინათლე სცენაზე სიციცხლეათ. მაშ, რაღა საჭიროა მის მაგივრად ქსოვილის არჩევა, მით უმეტეს, რომ დღეს ვაქვს სინათლის გამოყენების დიდი გამოცდილება და საამისო ტექნიკური შესაძლებლობებიც არსებობს.

ა. კრისტის „ბრალდების მოწმის“ დეკორა-


ციულ ესკიზებში იგრძნობა დახვეწილი ხელი, ნახატი უფრო გრაფიკულია, მკაცრი, შერეული, ძუნწი.

ხელოვნების დამასხურებელი მოღვაწის დიმიტრი თაყაიშვილის ესკიზები ე. მაიაკოვსკის „აბანოსათვის“ კონსტრუქციებითაა გადაწყვეტილი (რუსთავის თეატრი. ამ ნამუშევრისთვის მხატვარს საბჭოთა კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი რეს-

პუბლიკური კონკურსის პრემია მიეკუთვნა. ცენტრში აღმართულ მოძრავ კოშკურს სხვადასხვა სიმაღლეზე ჰკვეთს ორი ასევე მოძრავი ბრტყე-ბაქანი. კონსტრუქციების გამოყენების მეთოდი, სიღრმეში, სცენის მთელ სიგანეზე გამოკიდებული ორი უზარმაზარი აალეუბული ლოზუნგი, მოქმედი გმირების სილუეტების კომპოზიციური განლაგება, თვით მაიაკოვსკის მხატვრობის პრინციპების შემოქმედებითი გააზრება ეპო-




1.



3.

2.



1. შ. ლაპიაშვილი. დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისათვის „მაკბეტი“.
2. ი. ასკერავა. დეკორაციის ესკიზი ბალეტისათვის „ლონ კისოტი“.
3. შ. ხუციშვილი. დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისათვის „თეთრი სენი“.
4. მ. მალაზონია. დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისათვის „მეფე ბაგრატ მეშვიდე“.
5. ტ. გუნია. კოსტუმების ესკიზები სპექტაკლისათვის „მთა სიავა“.

ქის სულისკვეთებასა და შთამბეჭდავ სცენური გარემოს ქმნის.

რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის გივი ცერაძის მიერ გაფორმებული „ციხის ხევის საიდუმლოებისა“ (თბილისის მიწარდ მაყურებელთა რუსული თეატრი) და „მე ვებედავ მუსეს“ (რიგის მიწარდ მაყურებელთა თეატრი) ესკიზები უფრო დახვეწილ ფერწერის ნიმუშებს მოგვაგონებს. რასაკვირველია, თეატრალური ეს-



4.



კიზი ფერწერულ ტილოს უნდა ჰკავდეს, თუკი სპექტაკლის გახიზება მოითხოვს, ეს საღმრთოა და ლიკა და აუცილებელიც, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ესკიზში უნდა იგრძნობოდეს სასცენო სპეციფიკა. ამის ნათელი დადასტურებაა ამავე მხატვრის ესკიზი „ქვის სტუმრისათვის“ (თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლი), სადაც ფერწერულობასთან ერთად ჩანს სცენური პირობითობაც.

რესპუბლიკის სახალხო მხატვარს დიმიტრი თავაძეს ბაქოს სახელმწიფო თეატრში დადგმული სპექტაკლის „ნუ გეშინია, დედას“ ოთხი ესკიზი გამოუფენია. ესკიზები ძირითადად ლურჯ-იასამნისფერ გამაშია გადაწყვეტილი. სამ მათგანს ერთი საერთო უკანა ხედი — გორიონი მეოთხე თარემოცული ხეობა აკავშირებს. წინა პლანზე ხან „მალაღი საზოგადოების“ ახალგაზრდათა სალონი, ხან — მესაზღვრეთა კიხური, ხან თვით ეს ხეობა იღებს ფუნქციონალურ დატვირთვის და მესაზღვრეთა ხიფათით აღსაქვც ცხოვრებაზე მიგვიანიშნებს. ეს ნამუშევარი დახვეწილი და ლაკონიურია.

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გვანუცა კუკუა ნაყოფიერად მოღვაწეობს ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. მხატვარმა გამოუწვინა ამ თეატრისათვის გაფორმებული სპექტაკლების დეკორაციების ესკიზები წარმოადგინა: გ. თორაძის ბალეტი „ქედურხლნი“, ს. ცინცაძის ოპერა „განდევნილი“ და მიწკუსის ბალეტი „დონ კიხოტი“. ეს ორი უკანასკნელი სპექტაკლის ესკიზი შექმნილია შესრულებული. თუ „განდევნილის“ ესკიზებში ჩანს კავკასიონის გორიონი ბუნება, გამოქვამულში მცხოვრები, ჯვარცმითა და ხატებით გარემოცული ადამიანის სიმართლევ და მომავალი კრახის წინათგრძნობა (რასაც კიდევ უფრო ამლიერებს სინათლის სუსტი წყაროს მოწითალო რეფლექსები), „დონ კიხოტიში“ — მიძიმე, ესპანური სქელეკლება სახლის ფონზე გაშლილი მხიარულების აღქმას ვერც ბნელი სამხრეთული ღამე უშლის და ვერც სინათლის სუსტი წყარო. პირიქით, ღამის სიღურჯეში აელვარებული მოცეკვავე ქალის სისხლივით წითელი კაბა კიდევ უფრო ნათლად უსვამს ხაზს მხატვრის განწყობილებას.

5.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის შოთა სუციშვილის მიერ გაფორმებული კარელ ჩაპკის „თეთრი სენი“ (გორის თეატრი). მოყვითალო-თეთრ გამაში გააზრებული ნამუშევრები საინტერესოაა გადაწყვეტილი. ერთი უფრო ყოფითი ხასიათისაა. სცენაზე ორი ფიგურაა გამოსახული, მათ უკან მოვლს სივრცე-სიმაღლეზე ალუმიანის მოძრავი ჯალუზებია, რომელთა კომბინაციითაც მრავალი საინტერესო ეფექტის მიღწევა შეიძლება. მეორე ესკიზი კი უფრო პლა-

კატორია, როგორც ჩანს, ეს თვისი პიისის თქმას და მის რეკონსტრუქციულ გადაწყვეტას შეესაბამება.

საინტერესო სცენური ფორმა მონახავეს ჯეი რან ფაჩუაშვილი ქუთაისის თეატრში დადგმულ „პარაკუნე ჭიმჭიმელებისათვის“. მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიცია კონსტრუქციული, მრავალსიბრტყიანობით, ესკაზში იგრძნობა კოლორიტი. უსვადა გამოყენებული ყოფითი დეტალები.

ზღაბრულ, არარეალურ სამყაროში გადაყვართ აფხაზეთის დამსახურებული მოღვაწის ევგენი კოტლიაშვილის მიერ სოხუმის ჭანბას სახელობის თეატრში დადგმული „ტყის სიმღერის“ დეკორაციულ ესკიზებს, რომლის ფერადოვანი პალიტრა ლესია უკრაინკას პოეტურ ხილვებს შეესატყვისება.

ამ გამოფენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის ასალგაზრდები, რომლებიც ამ ათი-თორმეტი წლის წინ გამოვიდნენ შემოქმედებით ასპარეზზე, სულ უფრო და უფრო წყვეან პოზიციებს იკავებენ ჩვენს თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაში. თანამედროვე ქართული თეატრი უკვე წარმოუდგენელია მამია მალაზონისა, ვიოლეტი გუნაის, კოკა ინგატავის, ოლეგ ქოჩიკის, ალექსანდრე სლონიანის, იური ჩიკვაძისა და სხვათა სახელების გარეშე. სწორედ მათ და მათ მომდევნო თაობებს ეკუთვნის ჩვენი თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ხელოვნური დღე. გასული თეატრალური სეზონი მათთვის ერთობ ნაყოფიერი იყო.

შეჯავშნული კვლავი, ნარები, მაგიდა და ცხაბრებიანი სარკმელი... რუსთავის თეატრის სპექტაკლის „საბრალდებო დასკვნის“ მხატვრული გაფორმების ძირითადი ელემენტებია. მამია მალაზონი ამ უბრალოებითა და ლაბორირობით ხელი შეუწყო სათანადო განწყობილების შექმნას. განსაკუთრებით კარგად აქვს მიგნებული მხატვარს საჩუქრის ტრანსფორმაციის დეტალი.

ოსტატობითა და გემოვნებით შეუქმნია მ. მალაზონისა კოსტიუმების ესკიზები ვიოლის „ქორწინებისათვის“ (მარჯანიშვილის თეატრი) და თ. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდისათვის“ (კვიციანი). აპლოკაციის ტექნიკა გროტესკულობას ანიჭებს „ქორწინების“ კოსტიუმებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად რეალურნი, ყოველგვარ პიპერბოლიზაციას მოუღებულნი არიან. მათი ძირითადი ნაწილი მოყვითალო-თამბაქოსფერ გამამაა შესრულებული. მხოლოდ ერთის — სამხედრო პირის ტანსაცმლის ფერთა შესამებაა მკვირალა (მწვანე, ლურჯი, წითელ-ყვითელი), თუმცა, ავტორი ამით საჭირო ეფექტს აღწევს, ლოგიკურ მახვილს ხვამს. სულ სხვაგვარად მიუდგა მხატვარი „მინდისა“ პერსონაჟთა ჩაცმულობას: ლევა — ოღანე მოქრული ტონის კოსტიუმები თითქოს ხელის ერთი მოსმით, ერთი ამოსუნთქვითაა შექმნილი. ამ ნამუშევარში მთავარი

ვარია ლაკა და არა ხაზი. მხატვარი თავს იკავებს ზედმეტი დეტალიზაციისაგან, თითქოს ინტუიციურ საწყისს უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს და უკრაინულ მსახიობს არა მარტო კოსტიუმს სთავაზობს, არამედ ქართული კაცის ხასიათსაც.

თოჯინების თეატრის დადგმაში „ნანინა“ ლალი, პასტელური ფერებით გადმოყვია მხატვარს ბავშვის გულუბრყვილო თვლით დანახული სამყარო.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გამოფენებზე თითქმის არ არის ხომლეკი წარმოდგენილი თოჯინების თეატრის სპექტაკლების მხატვრული გაფორმების ესკიზები. თუმცა, პატარების თეატრის სპექციფიკა დიდ გასაქანს და შესაძლებლობას აძლევს მხატვარს და მათი ნამუშევრების ხშირად გამოტანა საჯაროდ, უთუოდ, საინტერესო იქნება.

გიორგი გუნიას ნამუშევრები არ გამოირჩევიან ფერადობებით, მაგრამ მხატვარი ცდილობს გარეგნული ეფექტების გარეშე ჩასწვდეს ნაწარმოების აზრს, ერთი ან ორი მთავარი დეტალით თქვას თავისი სათქმელი. ამის ნათელი დადასტურებაა მის მიერ გაფორმებული „მეფე ლირის“ (რუსთავის თეატრი) ესკიზები. ფაქტიურად, მხატვარი ერთი, ბავარებზე ჩამოკიდებული უხანძარი ტყავით აღწევს რთულ, მრავალპლანოვანი სპექტაკლის მხატვრულ გადაწყვეტას. ეს ტყავი ხან რუკაა, ხან კარავი, ხან დაბლა ეშვება და თელავს ყველას და ყველაფერს. ქარიშხლის სცენაში იგი ზღვასავით ღელავს და ბობოქრობს. ამავე დროს მოქმედ პირთა სულოვრ მდგომარეობასაც გამოხატავს.

ნ. ლორთქიფანიძის „ვამთა სიავის“ (მარჯანიშვილის თეატრი) მხატვრული გადაწყვეტისას იგი თითქოს ანვიტარებს თავისი სადებიუტო სპექტაკლის „ჟანა დარკის“ მიგნებებს. იგივე ხის კონსტრუქციული უფრო დარჩაბუნებული, უხეშად დამუშავებული და დანაწევრებულია, მხატვარი აქ უფრო დაუნდობელია. იგი არაფერს არ იშურებს, რათა ვამათარხოს მამობის გამყიდველები, ბოროტი, უსულგულო, სიძვასა და მრუშობას გადაყოლილი ხალხი.

ზეაწეული, სახეობი გრძობა ეუფლება მხატვალს ბალეტ „ბერიკაობის“ (ბ. კვერცხაძე. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი) კოკა იგნატოვი სულ ესკიზის ნახვისას. მიუხედავად იმისა, რომ მსვალს ხერხი მან უკვე გამოიყენა „სიბრძნე-სიცოცხლის“ გაფორმებისას, მხატვრის უშრეტეი ფანტაზია და დიდი გემოვნება კვლავაც აღაფრთოვანებს მხატვალს.

სულ სხვა კუთხით წარმოგვიდგება მხატვარი ბალეტ „ორესტეს“ გაფორმებისას. პანოს მახორულ ფერადობებებს ცვლის ცისფერი, ლურჯი და თეთრი ფერების მონაცვლეობით შესრულებული ესკიზის მოჩვენებითი სიმშველე-მორჩენებითი, ვამპობა, რადგან მოცულობითი გადა-

წყვეტიას გამოყენებულ სვეტებს მსატკარი დიდ დრამატულ ფუნქციას აკისრებს. კომპოზიციას კიდევ უფრო ჰკრავს ეგიპტური სვეტების ფონზე შეჯგუფებული ხალხის სილუეტები.

საინტერესო ნამუშევრებით (როგორც ტენიკური შესრულების თვალსაზრისით, ისე გადაწყვეტილი) წარსდგა გამოფენაზე თეიმურაზ სუმბათაშვილი. ბუნებრივია, რომ პირველი რიგში აქ ყურადღებას იპყრობს საარბრუკენში დადგმული „დაისის“ ესკიზები. მსატკარის ორიგინალურად და ლაკონურად გადაწყვეტია ამოცანა. იგი ერთი არქიტექტურული დეტალის, კერძოდ, ცკლესიის გამოყენებით შემოიფარგლა. ამ ცკლესიას დიდი აზრობრივი დეტალითა აქვს. პირველ მოქმედებაში იგი შორს, კონტა ბექობზეა შემდგარი და მის კალთებზე შეფენილი ჩარდახიანი ურმებით დაშველებული. მხოლოდ მოქმედებაში ცკლესია უკვე შუა პლანზე დგას. სენამაც დაკარგა ფერადი ფენა, მხოლოდ ცკლესიის ღია კარგებში გამოსჭვივის სინათლის წყაროს რეფლექსები. შესაბამე მოქმედებაში, წინა პლანზე გამოწვეული ცკლესია ავებიდით, ფატალურ მნიშვნელობას იძენს. სინათლის ის მცირე წყაროდ მის დაგმანულ კარებს დაუბნობს.

დიდი ეუმორი, გემოვნება და მახვილგონიერება ჩაუკსოვიათ საქართველოს სსრ დამასახურებელ მსატკრებს ო. ქიარაძეს, ა. სლოენსკის, ი. ჩიკაიძეს ჯ. ფლექტჩერის პიესის „მოთვინიერებლის მოთვინიერების“ მსატკრულ გაფორმებაში. ფერწერული თვალსაზრისით უწყალოდ შესრულებული ესკიზები აღსახვას სულიერი მხეობით, სიცოცხლის სიყვარულით. სტილის ფაქიზი გრანძობა გმირთა კოსტიუმებში: საინტერესოა დეკორაციების კომპოზიციური გადაწყვეტა. სხვადასხვა ზომის კუბებით ნავევ, უპროპორციო სახლს ორივე მხრიდან ერთვის სიმადლეზე განლაგებული კონსტრუქციები. ამგვარად, სპექტაკლის საერთო ატმოსფეროს, ზეაწვეული ტონის, მხიარულების გამოიყრებას ხელს უწყობს სხვადასხვა სიმადლეზე გათამამებული სცენები.

სამუშაო გასულ სეზონში ორი სპექტაკლი გააფორმა მოსკოვის თეატრებში. ერთია ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ (გოგოლის სახ. თეატრში), სცენის შუაგული უჭირავს ასწლოვან, მრავალქარიშხალგადატანილ და ნამეწარ ხეს, რომლის გარშემოც ვითარდება მოქმედება დამატებითი აქუსუარების წყალობით (ჭა, ბუსარი და სხვ.) მოძრავ სცენაზე ხან გლეხეაყის სახლის ოთახია, ხან გამრჯე მარჯვენით აყვავებული კარნიდამო.

მალია ბრონინაის თეატრისათვის გაფორმებულ „ნუ გემინია დედას“ ესკიზში სამულისთვის დამახასიათებელი ნათელი, მკდერი ფერებითაა გადმოცემული თბილისური კოლორიტი.

მერაბ მერჯანიძის მიერ ძირითადად შავ-თეთრ ფერში გადაწყვეტილი სპექტაკ-

ლის „უცხო კაცის“ ესკიზი (რუსთაველის თეატრი) მინუენტურ შობაგმედლებას სტოვებს. ამავე სხელს უწყობს სხვადასხვა რაკურსებით მოცემული უამრავი საპროექციო ვერანი.

„ამაღლესი“ (ოქვის) და ბალეტის თეატრი) კოსტიუმების შავი-მოფერცხლისფერო გამა, დახვეწილი, თავშეკავებული ხაზები ზუსტად გამომგვემს სპექტაკლის განწყობილებას. საინტერესოაა გადაწყვეტილი ამავე სპექტაკლის ფეკონაციის ესკიზი. შავი ფონი, ამ ფონზე გლუვიცივი კედლის ლაკონური კონსტრუქცია აბსოლუტური სისუსებით განგაცედვივნებს დახვეწულ ატმოსფეროს. ამას კიდევ უფრო ამაძფრებს კედლის მოოქრისფერო შეფერილობა. გალია, თუნდაც ოქროსი, მაინც გალიაა.

თამაზ ხუსტიშვილის ლდი, ეუმორით აღსავსე კოსტიუმების ესკიზები ბათუმის აკატრში დადგმული „ყვარყვარე თუთაბერისათვის“ მიგვანიშნებს მსატკრის გემოვნებაზე, ზრისა და მასალის სწორად შერჩევაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი რეჟისორს სთავაზობს ნეტად კოლორიტულ ტიპასაც.

ევექტური ფერწერული გადაწყვეტით გამოირჩევა ბ. ხუციშვილისავე „ნაცარქეპის“ გაფორმების ესკიზი (რუსთავეის თეატრი). მაგრამ ამ ორ ნამუშევარში შემინევა მსატკრული გადაწყვეტის ერთფეროვნება. „ნაცარქეპიში“, ისევე როგორც „ყვარყვარეში“, ერთი პრინციპის კონსტრუქციაა, ისეთივე მანკენება.

გამოფენაზე წარმოდგენილია შმაგი შეცლაშვილი ს მიერ მსატკრულად გაფორმებული ჭიათურის თეატრის სპექტაკლის „ჯერ დაიხონენ, მერე ეიორწინეს“ ესკიზი და ამავე სპექტაკლის მაკეტი, მაგრამ მაკეტში დაკარგულია ის განწყობილება, რითაც გამოირჩევა ესკიზი. ალბათ მის აღსადგენად სასწეუ უზარმაზარი აბლაბუდა დაუკიდათ. ჩვენის აზრით, ასეთი, ესკიზთან შედარებით სწორსაზოვანი გადაწყვეტა არ არის მართებული.

აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევართა საკმაოდ დიდი ნაწილი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს მიღმა დადგმული ქართული სპექტაკლების ესკიზებია.

გამოფენამ წარმოაჩინა ჩვენი თეატრალური ცხოვრების მთელი რიგი მტკავნული და საჭირობოტო საკითხები. მათგან ყველაზე მთავარია— დღევანდელი ამსახველი სპექტაკლების სიმცირე. რასაკვირველია, ამაში მსატკრებს ყველაზე ნაკლებად მიუძღვით ბრალი.

აქვე გვინდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი გამოთქვით: კარგი იქნებოდა, რომ ყველა ესკიზს თან ხელბოდა ფოტო, თუ როგორ გადაწყდა იგი სცენადა. ესკიზების წარწერებზე მითითებული უნდა ყოფილიყო დრამატურგისა და დამდგმელი რეჟისორების გვარებიც.



ბლკონმხრადის თეატრის გასტროლებმა ბათუმში 1973 წლის გაზაფხულზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აჭარის მშრომელებზე. ბულგარეთში საპასუხო ვიზიტით ბათუმის თეატრის ჩასვლა, რა თქმა უნდა, დიდად საპასუხისმგებლო იყო.

ბათუმელებმა ბლაგოვეგრადში ორი სპექტაკლი ჩაიტანეს — „ქართული კლასიკის საღამო“, რომელშიც ნაჩვენებია იყო ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, რეჟისორ გ. ქავთარაძის დადგმით და დ. კლდიაშვილის „დარისაზნის გასაჭირი“ (რეჟისორი ვარლამ ნიკოლაძე).

ბი — ფილმებით, დადგმებით, თარგმანებით. სპექტაკლი, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ორჯერ იქნა ნაჩვენები ბლაგოვეგრადში, თითოჯერ ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში და ბლაგოვეგრადის ოლქის ქალაქ რაზლოვში. გმირების გულთბილი იუმორით სავსე ადამიანური ურთიერთობის სიხარული იგრძნო მაყურებელმა ბათუმელი მსახიობების ოსტატური და უშუალო შესრულებით.

10 ნოემბერს ბლაგოვეგრადის თეატრში ადგილობრივმა დასამ აღვესანდრე ჩხაიძის ცნობილი პიესა „სიღის“ პრემიერა უჩვენა. მთავარი რო-

მეგობრობა ბრძელდება

ივეტა გოცირიძე



მეორე სპექტაკლი იყო ნოდარ დუმბაძისა და გიგა ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, დამდგმელი რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე.

პირველი სპექტაკლი ორჯერ წარმოადგინეს ბლაგოვეგრადში და მას დიდი წარმატება ხვდა წილად. როგორც მაყურებელთა რეაქცია, ისე პრესის გამომხატურება, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ თეატრმა შესძლო ბულგარელებისათვის ეგრძნობინებინა გენიალური ვაჟას ნაწარმოების დიდი ჭუმანისმი და მისი დრამატიზმის სიღრმე. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ჯოყოლას, აღაზას და ზვიადურის როლების შემსრულებლებმა, აჭარის დანსახუბრებულმა არტისტებმა ამირან ტაკიძემ, ლამარა ყარასაშვილმა და მსახიობმა სერგო კუჭუღლიამ.

ბათუმის თეატრის მსახიობებმა ბულგარულ მაყურებელამდე მიიტანეს აგრეთვე დ. კლდიაშვილის იუმორის მიეღი სიუჟეტიც. ამ სპექტაკლში სცენის გამოცდილ ოსტატებს კარგად აუბეს მხარი ახალგაზრდა, ნიჭიერმა მსახიობებმა.

ცნობილ ქართველ მწერალს ნოდარ დუმბაძეს უკვე კარგად იცნობდნენ ბულგარელი მაყურებლები

ლის შემსრულებელმა, ბულგარელმა მსახიობმა ქალმა მეორე მოქმედების სველელობისას დარბაზიდან სცენაზე მიიხმო თავისი კოლეგა, აჭარის დამსახურებული არტისტი ნინო საკანდელიძე, რომელმაც ქართულ ენაზე განაგრძო თამაში. ამაზ მაყურებელთა საერთო აღტაცება გამოიწვია.

ბულგარული მეგობრები, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, აღმოჩნდნენ არა მარტო ხელოვნების კარგი შემფასებლები, არამედ გულთბილი მასპინძლებიც.

ბულგარეთის საოლქო ქალაქ ბლაგოვეგრადში მშრომელთა საშვიდნოემბრო დემონსტრაციას, მასპინძელთა სურვილით, წინ მიუძღოდნენ ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობები ი. ჭაჭავაძის დიდი პორტრეტით.

9 ნოემბერს სოფიაში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ტოდორ ვიკოვმა ხუთ ქართველ სტუმარს: საქართველოს სახალხო არტისტებს — ნუნუ თეთრაძეს, იუსუპ კობალაძეს, მურად ხინიკაძეს, აკაკი მგელაძეს და აჭარის კულტურის მინისტრს ლამარა ბოლქვაძეს — დიმიტრეის სახელობის მედლები გადასცა.

მოსამრჩის ბუშისას სახელობის სახითი. ხელოვნების მუზეუმში გამოფენილი იყო 50 ნეკილევი ფარაონ ტუტანამონის უმიდირესი აკლდამრჩისადმი ნიშნის შესაჩერებლად, დაბრკოლებები შეეჭმნა და ბილეთები მხოლოდ სიებით, განაცხადებით, მივიღებინა ბარათებითა თუ სხვა ცნობებით გაეცა.

დაუსრულებელ ნაკადად მიდიოდნენ მხახველები საკვირველ, უცხო ნივთებთან. ცნობისმოყვარეობით სავსე თვალგზში გამოკრთოდა რაღაც არაჩვეულებრივის, ზებუნებრივის, განსაკუთრებული მოლოდინი: ხუმრობა ხომ არაა — ეს ნივთები სამი ათასი წლის წინათ იყო შეგმნილი ძველ ეგვიპტეში, რომლის თვითონ სახელიც კი იდუმალების შარავანდედითაა მოსილი.

ნანა ყიფიანი

ორმოცდაათზე ცოტა მეტი წლის წინ კი ასეთივე ცნობისმოყვარეობამ მთელი მსოფლიო მოიცვა.

1922 წლის 4 ნოემბერს სახელგანთქმულ მეფეთა ველზე მხატვარი და არქეოლოგი ჰოვარდ კარტერი წააწყდა კლდეში ამოკვეთილ საუესურს. დაუყოვნებლივ დაიწყო გათხრები და მალე აღმოჩნდა ტუტანამონის სამეფო ბეჭდით დალუქული აკლდამა. ეს აღმოჩენა კულტურის ძეგლების ცნობილი მკვლევარის ლორდ კარნარვონის კონცესიის ათწლიანი კვლევა-ძიების ბრწყინვალე დაგვირგვინება იყო.

პ. კარტერმა და სახვითი ხელოვნების ამერიკული მუზეუმის ექსპედიციის მეთაურმა ა. მისმა, რომელიც აგრეთვე მონაწილეობდა გათხრებში, დაწერილებით აღწერეს კვლევა-ძიების მთელი ისტორია საინტერესო წიგნში „ტუტანამონი“. აკლდამას მართლაც ბედი ეწია — იგი მოხდა შესანიშნავ მკვლევართა ხელში, რომელთაც ნამდვილად ესმოდათ აღმოჩენილის ისტორიულ-მხატვრული ღირებულება. მთელი სამუშაო აუჩქარებლად, უმაღლეს დონეზე, საუკეთესო სპეციალისტების მონაწილეობით იქნა ჩატარებული.

კარტერი ასე აღწერს აკლდამის გახსნის პირველ წუთებს:

„აკანკალებული ხელით გავაკეთე პატარა ნახრეტი მარცხენა ზედა კუთხეში. წინასწარ შევამოწმე, იყო თუ არა მომწამლაგი გაზები, გავაფართოვე ნახრეტი, სანთელი შევკვიდი და შევიხედე. ამ დროს კარნარვონი, მისი ქალიშვილი და კალენდერი ჩემს უკან იდგნენ და მოუთმენლად ელოდნენ განაჩენს.

პირველად ვერაფერს ვხედავდი, რადგან ოთახიდან ამოვარდნილი ცხელი ჰაერი სანთლის ალს ათრთოლებდა, მაგრამ როცა ჩემი თვალი სინელებს შევჩვიე, ბურუსით მოსილი ოთახის სიღრმეში შევჭელი გამჩერია საგნები: უცნაური ცხოველები, ქანდაკებები, ოქრო!...

უეჭველია, გათხრების მთელი ისტორიის მანძილზე არავის უნახავს აქამდე ასეთი საოცრება,

„პოი, ეგვიპტეო, ეგვიპტეო! შეწყდება შენი არსებობა და მომავალ თაობებს შენგან მხოლოდ დაუჩერებელი ზღაპრები შეჩრება და არაფერი დარჩება შენი საგანძურადან, გარდა ქვაბი ამოკვეთილი სიტყვებისა“.

ძველი ეგვიპტური ოქმულება.

ჩვენს თვალწინ რომ გადაიხალა — ნივთებით
საკვებ მთელი მუხუცი...“

ამას მოჰყვება იმ ნივთების ჩამოთვლა, რომლებიც
მაშინვე თვალში გვა არქეოლოგებს: ნატურა-
ლური სიდიდის ორი შავი ქანდაკება, ოქროს წინ-
საფრითა და სანდლებით, წმინდა გველით ---
ურთი შულზე; ოქროთი და ინკრუსტაციებით
გაწყობილი ეტლები; ალუბასტონის კოლოფები და
შავი სკივრები, სავარძლები; სამი დიდი მოჭრო-
ვილი საწოლი, რომელთა გვერდები ურჩხულების
სახით იყო გამოჭრილი. ოქროთი დაფარული,
ქაშანურითა და ფერადი ლილაქებით მდიდრულად
მორთული სამეფო ტახტი.

წინ კიდევ ორი ოთახი იყო, შესანიშნავი და
მდიდარი ნაკეთობებით სასვე, და ბოლოს ფარა-
ონის განსაცვენებით სავანე.

დიდი ვავივალხით ახადეს თავი ხის უზარმა-
ზარ ყუთს, რომელიც ოქროთი იყო მოჭვდილი და
ცისფერი ქაშანურით მოპირკეთებული. მასში აღ-
მოჩნდა მეორე ასეთივე ყუთი, ოღონდ მას, მკვლე-
ვარებისდა სასისარულოდ, კლიტე ელო — ეს ნიშ-
ნავდა, რომ საფლავის ქურდებს, რომლებიც აკ-
ლდამაში იყვნენ ფარაონის დაკრძალვის სულ
ცოტა ხნის შემდეგ, სარკოფაგისათვის ხელი არ
უხლიათ. მართალია, მათ დანაშაულზე წაასწრეს
და ნაქურდალიც დაატოვებინეს, მაგრამ ავაზა-
კებს ბევრი რამის დაზიანება მოესწრათ და, სარ-
კოფაგამდე რომ მიეღწიათ, უარეს იზამდნენ. კი-
დევი ორი ყუთის გახსნა გახდა საჭირო, სანამ მი-
ადგებოდნენ პირველ შინაგან ქვის სარკოფაგს,
რომელსაც მუშიის მსგავსი ფორმა ჰქონდა.

გახსნეს ისიც — და ისევე მუშიის ფორმის სარ-
კოფაგი დახვდათ, ოქროს ფურცლებით დაფარუ-
ლი, მასიური ოქროს ხელებითა და სახით. მას-
ში მესამე და უკანასკნელი სარკოფაგი იყო,
მთლიანი ოქროსი. იგი გამოხატავდა ზეგულე-
დაკრეფილ ტუტანამონს ოზირისის სახით. ზემო-
და ქვემო ეგვიპტის ქალღმერთების ნებებებსა და
ბუტოს ფრთები გაქმალათ ხელებზე, ხოლო მის
მუხლებს ეხვეოდნენ იზიდა და ნუფტიდა. როგორც
პროფესორი ნ. ფლიტენერი წერს, ეს სარკოფაგი
ოქრომჭვდილი ხელოვნების სასწაულია. იგი შე-
სრულებულია ტინურული მინანქრის ტექნიკით,
რომელიც ფრიად განვითარებული იყო ეგვიპტე-
ში.

ამ მესამე სარკოფაგში ესვენა ჭაბუკი ფარაონის
შეღებობით კარგად შენახული ნეშტი. მუშიის
თავს ფარავდა ოქრომჭვდილობის კიდევი ერთი
შეღვერი — ოქროს ნიღაბი, რომელიც ზუსტად
გამოსახავდა ტუტანამონის სახის ნაკვეთს.

ამ ნიღაბს მოსკოვის გამოფენის პირველი სა-
ექსპოზიციო დარბაზის ყველაზე თვალსაჩინო
ადგილი ჰქონდა დათმობილი.

ამვე კედელზე გვითხრობდა კარნარფონის, მისი ქა-
ლიშივილის და კარტერის ფოტოსურათი. მათი სა-
ხელები ამიერიდან განუყრელად დაუკავშირდა

ნიღბის პატრონის მარადიულ სახელს. და, მით
უმეტეს, პოულოდნელად ვლდრეს კარტერის ნაიქ-
ვამი ჭაბუკი ფარაონზე: „დარწმუნებით შეგვიძლია
ვთქვათ: მის ცხოვრებაში ერთადერთი შესანიშნა-
ვი ის იყო, რომ იგი მოკვდა და დაკრძალეს.“

უნდა ვიფიქროთ, რომ აქ კარტერი თავად სიკ-
ვდილის დიდ მნიშვნელობაზე ვი არ დაპარაკობს,
სიკვდილისა, რომელიც ეგვიპტელებს ახალი ცხო-
ვრების დასასრულად მიანიშნავდა, არამედ იმის თქმა
უნდა, რომ თვითონ ტუტანამონის ცხოვრება უმ-



ტუტანამონის ნიღაბი.

ნიშნელო იყო და მარტო მისი აკლდამაა ღირს-
შესანიშნავიო.

ტუტანამონის მფეობის ხანა, მართლაც, არ
გამოირჩევა რაიმე მნიშვნელოვანი ამბებით. ამ
ღრთის მზატერული შემოქმედებაც მხოლოდ ნაკ-
ლებად დიდებული გაგრძელება მფეურეტიკო-
სის ეხნატონის ეპოქის ხელოვნებისა. მაგრამ კარ-
ტერის აზრი მაინც შეკამათების სურვილს იწ-
ვევს.

ჭაბუკის დიდ თვლებში, რომელთა აულღვეე-
ბული მზერა უცხო, გამოუცნობ სივრცეებზეა მი-
პყრობილი, დიდი შინაგანი სიმშვიდე გამოკრთის;
ბაგეებისა და ნიკაპის რბილი ბავშური ნაკეთე-
ბის შეხამება ამ შინაგან სიმშვიდედთან არაჩვე-
ულებრივ მომხიზვობის აძლევს მფვის სახეს. 12
წლისა ავიდა იგი ტახტზე და 18 წლისა დატო-
ვა სიცოცხლესთან ერთად. ამ წლებში ჩვენ პირ-

გვე ნაბიჯებს ყვამო ცხოვრების გაცნობიერების გზაზე, მის სახეზე კი სიბრძნე ამოიკითხება — თავდაჭერილი, გონებისა და სულის დამამშვიდებელი სიბრძნე. იქნებ ეს მხოლოდ შთაბეჭდილება?

ვათვალეოვებ „საოცარ ნივთებს“, რომლებმაც ასეთი დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიწვიეს (ამ ცნობისმოყვარეობაში თითქოს კარტრის სიტყვების გამოთხალი იგონებაა). ალექსატრის გამჭვირვალე ვაზა, რომელიც ერთი ღეროთი შეკრულ ლოტოსის სამ ყვევალ გამოსახვას, ღამაზო კოლოფები და სკივრები, ოქროსა და ლურჯის ელფერი შესანიშნავი გამით შესრულებული სამკაულები, ტუტანამონის ალბასტრის ბიუსტი, სათამაშოსავით პატარა სასკოფაგი, ქანდაკებები, ავეჯი... ყველაფერი ოქროსია, სპილის ძვლისა, ძვირფასი ქვებისა, შავი ხისა. მაგრამ მასალას მხოლოდ მაშინ ამჩნევ, როცა წარწერებს კითხულობ, თვითონ ნივთებში იგი მაქსიმალურად მიჩქმალულია, აშკარაა მხოლოდ მშენებრივ ფორმას, ფერთა უხადო შესამება. ამ ნაკეთობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეგვიპტელი ყოველწინა, გორბონი და ამპარტავანი არ ყოფილა, მას დახვეწილი გემოვნება ჰქონია. ფორმის სრულყოფისაკენ მისწრაფება იცავდა მას პომპეუსურობისაგან. სწორედ პომპეუსურად მოგვეჩვენებოდათ ლტოლივი XIV ოსტატურად ნაკეთები ტახტი ტუტანამონის სადა ტახტთან შედარებით, რომლის ზურგზეც გამოსახულია თვითონ ფარაონი და მისი მუდღე ამქანაატონი. ფრაგმენტი შესრულებულია ეგვიპტელებისათვის ჩვეული ოსტატობით. მაგრამ გვაოცებს სულ სხვა რამ. გადმოცემულია ამ ორი ახალგაზრდას ურთიერთობის სიბოთ და სიფაქიზე. სიყვარული, რომელიც ინსტინქტს პიროვნეობისაღნი პატივისცემის გრძობა სძლევა. რა ბრწყინვალე დახასიათებაა ეს როგორც გამოსახული წვეილისა, ასევე თავად მხატვრისაც.

მედიდური სისადავითა ადებედილი ყველაფერი... ტუტანამონი ყოველდღიურბოზაშიც ვერ იტნდა ვერაფერს ისეთს, რაც მის მზერას შეურაცხყოფდა. ასეთივე მედიდური სისადავით გარემოსილი გაემგზავრა იგი საიქიო მოგზაურობაში. ბრძნული მზერის პატრონ ფარაონს ჰქონდა არა უბრალოდ ფაქიზი, არამედ მაღალი ზნეობრივი იღრებების გამომვლენი გემოვნება.

ეს ვარაუდი ნებისმიერია, ისევე როგორც ყოველი აზრი, რომელიც ფაქტური მასალის ზუსტი შესწავლის საფუძველზე არაა გამოთქმული, მაგრამ არცთუ მთლად ნებისმიერი. ხლო თუ იგი ტუმარიტია, მაშინ შეიძლება შემდგომი დასკვნების გაკეთებაც. სიბრძნეს, რომელიც ტუტანამონის სახეზეა აღბეჭდილი, მან ზნეობრივ ღირებულებათა წყდომით მიადწია. შეიძლებადა კი ასეთი ღრმა პიროვნებისეული მოვლენა ძველ ეგვიპტეში?

ტუტანამონი ეგვიპტელია და, მამასადამე,

მასში ნაყოფი გამოიღო საუკუნეებით ნაზრდმა მისწრაფება მარადიულის, თავდაპირველის წყდომისა. მრავალმერობიანობა ამ მისწრაფების გამოვლენის ფორმაა მხოლოდ. მარადიულის მოაზრება კი შეუძლებელია საკუთარი თავის შეცნობის გარეშე. სახელგანთქმული გიჟების სფინქსი, რომელშიც თათაოს ჩანარულია ადამიანის გამოცანა, ჯერ კიდევ არსებობდა, სანამ ნილოსი თავის დელტას შექმნიდა.

IV დინასტიის ერთ-ერთ წარწერაში ნათქვამია, რომ ნაბოჟნია სფინქსი, რომელიც მრავალ და მრავალი თაობის მანძილზე სილში იყო ნაფლული. მისი წარმოშობა, ნათქვამია წარწერაში, დროთა სიბნელეში იკარგებათ. IV დინასტიის ჩვენ გვაშორებს ექვსი ათასი წელი. რა გონების-დამაბნელებელ წარსულში უნდა შექმნილიყო სფინქსი? ე. ი. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების განთიადზევე დასვა ეგვიპტემ საკითხები: ვინ არის ადამიანი, რა არის მისი დანიშნულება? ალბათ დაეკეთიანებებოდა, რომ ამ საკითხის დასმა (როგორც მცდარად და არასწორადაც არ უნდა ყუოლიყო იგი გადაწყვეტილი), უკვე თავისთავად იყო ადამიანის აზროვნების დიდი მონაბოგარი. მარადიულის ძიებამ ძველი ეგვიპტელი მიიყვანა ღმერთის შესახებ აზრამდე. ამაში არაფერია არაბუნებრივი და გასაკვირი. გასაკვირი სხვა რამაა — თავისი თავის გააზრება მარადიულის ნაწილად.

ცდებოდა თუ არა ამაში ეგვიპტელი? ცხადია, არა. განა ჩვენ დღეს არ ვიცით, რომ ადამიანი გონების ძალით, სილამზის, სიკეთის, სიყვარულისადმი ლტოლივით წარმავალზე მაღლა დგას, განა უკვდავი არაა კაცობრიობის საუკეთესო შეილების სახელები? განა მარადიულისა არ გვაზიარებენ დიდი კომპოზიტორების, მხატვრების, მწერლების უკვდავი წარწომებები? და რაც უფრო ძლიერაა მათში ნაწილში სიყვე და სილამაზე, მით უფრო მეტია მათი ზემოქმედება ჩვენზე, უფრო მაღალია მათი შემოქმედი...

უნდა ვიფიქროთ, რომ თვით გაცნობიერების სურვილმა მისცა საშუალება ეგვიპტელებს აღმოეჩინათ გონება — არა ის, რომელიც ხელს უწყობს უხეში ინსტინქტების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, არამედ ის, რომელიც ქმნის სიბრძნეს, ნებისყოფის ყოვლისშემძლე ძალას.

ჩვენ კარგად ვიცნობთ ეგვიპტის ჩრდილოვან, მაზიჩე მათრებს, მაგრამ განა მათში იყო ძალა ქვეყნისა, რომელმაც 5 ათას წელს იარსება? სწორედ სიბრძნეს ემყარებოდა ეგვიპტის რკინისებური დიდიციპლინისა და ურთულეი მმართველური იერარქიის სახელმწიფო წყობილება, ამ სიბრძნენ შეაძლებინა ქაოსისა და სიბნელის ოკეანით გარემოცულ ეგვიპტეს, დაეცვა თავისი ცივილიზაცია, მცენიერების, ტექნიკისა და ხელოვნების ბურჯი ყოფილიყო.

ასეთი ქვეყნის ფარაონი ვერ იქნებოდა უციო.

...ადამიანთა ნაკადი დარბაზშიან დარბაზში მიედინება, იმლება ქანდაკებებიან, დიდ ვაჟებთან და ავეჯთან და გროვდება მცირე მოცულობის ნაკეთობებთან.

ეს უკანასკნელი, უმრავლეს შემთხვევაში, ნაპოვინი სარკოფაგების კედლებს შორის და ზედ მუმიანზე, ასეობია, მაკალითად, მოხდენილი საკიდები, ოქროს ყელსაბამი, მართ ტელში მჯადარი ტუტანჩამონის გამოსახულები, მიდერულად მოკაშული ოქროს სახაჯაი, რომლის ქარქაშზედაც ოქროს მარცვლის შოლენი ფერადი შუშის ზოლებით იცვლება, საილოს ძეგლის ინკრუსტირებული კოლოფი, ამონ-რასა და პტაჰის სახელობის ლეგიონების ვერცხლის სამხედრო საყვირი. აქვე, მეორე შინაგან სარკოფაგზე იპოვეს ცინფერი ლოტოსის ყვავილების ვერცხლის პატარა გვირგვინი, რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული ფერი და ფორმა, და რომელმაც არქეოლოგებს გულები აუჩუყა. როგორც ჩანს, ეს იყო ფარაონის ახალგაზრდა ქვირის ანჰესპატონის უკანასკნელი საჩუქარი.

ეს გვირგვინი თითქოს ერთადერთი ცოცხალი ასუა ამგამად სამუშეუშო ფარაონსა და ცოცხალ ადამიანებს შორის, რომელიც იცნობდნენ მას და უყვარდათ იგი.

შევეცადით წარმოვიდგინოთ ის დრო, ის დღე, როდესაც მოხდა ნაღვივალად „შესანიშნავი“ ამბავი ტუტანჩამონის ცხოვრებაში — ფარაონად კურთხევა.

უსსოვარი დროიდან, ფარაონ მენასედან, რომლის სახელიც ყველაზე ძველ პირამიდაზე ძველია, სწავლა-განათლება ქურუმთა უმაღლესი სამჭოს საქმეა, მართლმწავლება — ქვედა საბჭოსი, სახელმწიფოს მართვა კი — ორივესი. მეფის ხელისუფლება მათ გმყარება და მათ კონტროლს ექვემდებარება. ამ წესწყობილებამ, რომელიც ყველა მეცნიერების სინთეზს წარმოადგენს და ცნობილია სახელით „ო-ზირ-ის“ (გონების მეფე), მისა საშუალება ეგვიპტეს დაცვა თავისი ხელნუხეზობლია და სიცოცხლე ყველა უმძიმეს განსაცდელში. მაგრამ ტუტანჩამონის მამამ, ერეტიკოსმა ენხატონმა, დაარაჯა წმინდა გვიპტის დიად ტრადიციები, განუღვა ქურუმებს, დიდ ამონ-რას და ქვეყანას უბედურება უბედურებაზე დაატყდა. უფლისწულმა უნდა გამოსციკილოს მამის დანაშაული, დაუბრუნოს ეგვიპტეს ადრინდელი ძლიერება. ენხატონის სიკვდილის შემდეგ ამონ-რას ქურუმებმა წამოიყვანეს იგი და დღითი დღე ასწავლიდნენ ფარაონობას.

ეგვიპტის მეფე, ამბობდნენ ისინი, ასირიელი ან ნინევიელი სისხლანსმელი უფიცი კი არ არის, რომელიც ღმერთებს შურაგაცხოფს თავისი გონების სირღულით და საქციელთა სიმახიანით. ფარაონობა — განმტკობება წმინდა მეცნიერებისა, რომელიც ქურუმებს ღმერთებმა გადაცეს. უნდა განერიდო მდაბალს, უნდა აშენო მარადიულის

საკურთხეველის უნს სულში, უნდა შეიძინო ცოდნა... პაპირუსის მწიგნობლებთან ამოკითხა პატარა უფლისწულმა მისი გონებისათვის მისაწვდომი ფორმით გადმოცემული მინერალებისა და მცენარეების, ადამიანისა და ხალხების, მედიცინისა და არტიტექტურის მეცნიერებათა ანბანი. ქურუმები ჩქარობდნენ, ამკარებდნენ ბიჭს, მოითხოვდნენ მისგან მთელი ნებისყოფის დაძაბვას და აი, დაღვა ეს წუთი.

თუმცა ტაძრის საკურთხეველში ქურუმებმა უფლისწულის ხელთდასხმის საიდუმლო და შიშის მომგვრელი წესი შეასრულეს. იდუმალებით მოთხილ საკურთხეველთან გამოვიდა იგი ხალხთან, ავიდა დიდ ფარზე და თორმეტმა მარას მატარებულმა წაიყვანა იმ გზით, რომელზეც ქურუმი წაურძღვა...

ასე იყო ეს? ალბათ. სხვანაირად არც შეიძლება, რომ ყოფილიყო. ტუტანჩამონი არ იყო არც პირველი და არც უკანასკნელი ფარაონი, ყველა ისინი კი მაღალდისციპლინირებული სახელმწიფოს ერთიან წესს ემორჩილებოდნენ.

ვარაუდი ენხატონისა და ტუტანჩამონის სისხლის ნათესაობის შესახებ მათი თავის ქალათა მსგავსებამ დაბადა. ეს მსგავსება კი გაზომვამ დაადგინა. გამოითქვა აზრი, რომ ნეფერტიტის გარდა, ენხატონს სხვა ცოლებიც ჰყავდა, და რომ ტუტანჩამონი ერთ-ერთი მათგანის შვილი იყო. ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, ტუტანჩამონი იხიარებდა ენხატონის მსოფლმხედველობას. ენხატონის მიერ შეიღებულ ატონის კულტზე მან მხოლოდ შექმნილი სიტუაციის გამო ოფიციალურად თქვა უარი, სულის სიღრმეში კი ატონის ერთგული დარჩა. არქეოლოგები გაოცდნენ, როცა მუმის თაყზე აღმოაჩინეს ქუდი ამ მზიური ღვთაების გამოსახულებით.

ამრიგად, ტუტანჩამონი მნიშვნელოვანია უკვე იმიო, რომ განათლებული, დახვეწილი ეგვიპტელი იყო, რომ მას მოვალეობისა და პასუხისმგებლობის დიდი შეგნება ჰქონდა. იგი ცდილობდა პასიურად კი არ აღექვა ნაკარანსხევი ჭეშმარიტება, არამედ თვითონ გაეაზრებინა იგი. ხოლო იმ ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც აქტიურად ეძებს ჭეშმარიტებას, თუნდაც კი არასწორი გასაქონდეს არჩეული, ყველაფერი არსებითია, გარდა სიკვდილისა, რომელიც სიცოცხლის მიჯნის იქითაა.

...სიკვრები, სამკაულები, ქანდაკებები, მხატვრულად შესრულებული სახმარი ნივთები... გასათვარი, მომჯადოებელი სილამაზისა — ისინი მხოლოდ „დაუკრებელი ზღაპრებია“, ეგვიპტელის სულის ნამდვილი „საკანძურის“ მერთალი ანარეკლია, სულისა, რომელმაც შესძლო ყოველდღიურზე ამაღლებულიყო და მარადიულის ძიებისკენ მიმართულიყო.

თეატრი და აღზრდის პრობლემა

(„სალა ხარ, სოფიკო?“ მოზარდ
მაყურებელთა კართულ თეატრში)

მნიშვნელოვანია, რომ საბავშვო თეატრის აუდიტორია განსაკუთრებულია. სპექტაკლით აღძრული ბავშვის უშუალო რეაქცია განსხვავდება მოზარდის დინჯი და თავმჯდომარეული განცდებისაგან. სიყმაწვილის ასაკი მეტად ფაქიზი და მგრძობიარეა ყოველი მნიშვნელოვანი ფაქტისადმი. მნიშვნელოვანი ფაქტი კი ჩვეს სინანდელის უამრავი და ესოდენ მოზღვავებული, მრავალფეროვანი, საინტერესო ინფორმაციები სწორად თავბრუდამხვევად მოქმედებს ყმაწვილის ცნობისმოყვარე ბუნებაზე. ამ შემთხვევაში უთუოდ საჭიროა დასმარება, უპირველეს ყოვლისა კი — ოჯახის, სკოლის, ამხანაგების კოლექტივის; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურასა და ხელოვნებას!

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მთავარი ამოცანაც ისაა, რომ მჭიდროდ იყოს დაკავშირებული მოსწავლე-ახალგაზრდობასთან. თანამედროვეობა სცენაზე როდი გამოიხატება თანამედროვე თეატრის მშრალი ილუსტრირებითა და დღევანდელი დღის ზედაპირული ჩვენებით. თანამედროვეობა გმირთა ხასიათებში უნდა გამოვლინდეს. მაყურებელი თეატრს აპატივებს ყოველგვარ პირობითობას, მაგრამ ხასიათების პირობითობას, აზრის უქონლობას კი — არა. მოზარდ მაყურებელთა თეატრი ყოველი სპექტაკლის დადგმის დროს მიზნად უნდა ისახავდეს ნორმა მაყურებლის გემოვნების აღზრდას, უნდა ეცადოს სწორად გაიგოს, შეის-

წავლოს მისი სულისკვეთება, ხასიათის მისწრაზება...

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მოზარდ მაყურებელთა კართული თეატრის სპექტაკლის „სალა ხარ, სოფიკო?“ შესახებ (პიესის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი — თენგიზ მაღალაშვილი).

მთელი ამ ორმოქმედებანი სპექტაკლის ძირითადი შინაარსის გადმოცემა ორი სიტყვით შეძლება: უქნარა და ზარმაცი მოსწავლეები უპასუხისმგებლოდ ტოვებენ გაკვეთილს, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „შატალოზე“ მიდიან. მათი ერთ-ერთი თანაკლასელი — სოფიკო კი თავგამოდებით ცდილობს ჩამალოს მეგობრების განზრახვა. „შატალოს“ მესვეური და ორგანიზატორები არიან გია და გურამი — საკმაოდ ღონიერი, განებივრებული და ამავე დროს რაღაც გაურკვეველი დარდით შემპრობილი ბიჭები — ორი ცენტრალური ფიგურა იმ წრისა, რომელიც მათ ირგვლივ შეუკრავთ მოსწავლე გოგონებს, თავსაბნეულები რომ დაფარვატებენ სცენაზე, ერთმანეთთან ჩხუბში, კინკლაობაში, ჭორიკანობით თუ ერთმანეთის გამოჯაგრებით რომ „არკვევენ“ ფრიად „ძნელ“ საკითხს: აპყენენ თუ არა გურამისა და გიას ინიციატივას, წავიდნენ თუ არა „შატალოზე“... აი, რა გადაუჭრელი ამოცანა დგას მე-9 კლასის მოსწავლეთა წინაშე — გ. ი. მოსწავლეებით გაჭედილი დარბაზის წინაშე!

სპექტაკლის ერთ-ერთი მთავარი სცენა წარმო-

ადგენს „ველს მივირინო დამეში“. ეს სცენა იმით არის საყურადღებო, რომ სწორედ აქ ავლენენ ვმირები თავიანთ დამოკიდებულებას სკოლის მიმართ. აბა, ერთი წუთით მოვეყმინით გურამია მონოლოგს:

„...სკოლის წარი, რომელიც გვაუწყებს, რომ დაღვაჯა უამი ტუხალობისა, ტყვეობისა ჩნ წუთით... და შენ ვაგარა ჩიტს, რომელიც ვალაშია გამომწვავდელული, უყრიან საყენს ვანურჩულებს — მოსწონს თუ არა, — ზრუნავენ, აღამიანურ ლაპარაკსაც ასწავლიან, მაგარამ... გვალა ჩაეკტლია...“

და სხვ... და ეს „სიბრძნე“ ფენინება მოზარდ მაცურებელთა დარბაზს.

ამ მონოლოგს წინ უძღვის იგივე გურამის დიალოგი სოფიკოსთან:

გ უ რ ა მ ი: „იციო, სოფიკო, შე ვიცოდი, უფრო სწორად, შე ვერძნობდი, რომ ჩვენი შეხვედრა ასეთ დაბაბულ ვითარებაში მოხდებოდა. ვერც კი წარმოადგენთ, რა შევებას მგვარის თქვენთან საუბარი, ხშირად მომიკრავს თვალი თქვენთვის, სურვილი მკლავდა ვაცნობისა, მაგარამ უმალ ვაშმაგებული მორვეი ვაგაკანებდათ ხან მუფეტისაკენ სოსისის ან ქაღელულობის საქმელად და ხან ვინ იცის, რომელ მხარეს... და შეშეშედა... და შეშეშედა... ზარის წყრაილი და სხვა და სხვა...“

(ტექსტის ლიტერატურულ დირსებას მე აქ არ შევეხები, ეს მკითხველისთვის მიმინდვია).

აბა ამ „ველამაჩქენილ“ აღიარებას სოფიკომ რა არგუმენტები უნდა დაუპირისპიროს, მაგარამ

მაინც მონახავს მას ასეთივე ნალველმწიფე ბათონით წარმოთქვამს:

„გაკვეთილის მოხმენა ხომ ჩვეულებრივი ხვედრია ყველა მოსწავლისათვის!“

და აი, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთი სახის ტრავმირებული სანახაობების, მოულოდნელად გამოჩნდება გურამის მეტოქე გია და იწყება სურათი შერყინებისა ორ მიჯნურს შორის — ორი ჯანდონით სავსე ჭაბუკი ეძებრება ერთმანეთს და დაიწყება თავანწირული „დღეული“, მუშტეებით, ხლო იქვე დგას ობიექტი — მიზეზი ყოველივე ამისა — სოფიკო!

ეს სპექტაკლი ნაწილები იყო ტელეგვარანსეც. იქვე გაიხრთა მისი გარჩევაც, რაშიაც მონაწილეობდნენ მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და თვით მწერალიც. ამ სოლიდურმა შემადგენლობამ სოფიკო დაღმბით გმირად გამოაცხადა. ყოველ შემთხვევაში, სხვა აზრი იქ არ გამოთქმულა.

გასაგებია, რომ დაღმბითი გმირი, საერთოდ, პიესის ავტორის მიზანდასახულებას, მის პრინციპს, მის დელოლოგიას ატარებს. საკითხავია: არის თუ არა სოფიკო რაიმე იდეის, ან თუ გრად რაიმე აზრის მატარებელი? ამის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ მისი დიალოგი მშობლებთან:

დ ე დ ა: რატომ არ მიღიხარ სკოლასში?
ს ო ფ ი კ ო: არ ვიცი, მხოლოდ ის...
დ ე დ ა: განუყინა ვინმემ?
ს ო ფ ი კ ო: არა.

ორი აზრი ერთი სავაქტაკლზე

ამ სემპტაკლს საინტერესო ბედი ხვდა. პიესა მოზარდ მაცურებელთა ქართული თეატრის მივირინო რეჟისორმა დაწერა და მანვე დადგა. თავის ორიგინალურ პიესას თენგიზ მალაღაშვილმა დაარქვა „სადა ხარ, სოფიკო?“ ამით მან თავიდანვე ყურადღების ცენტრში მოაქცია დამაფიქრებელი კითხვა, ჭეშმარიტად რა იმალეოდა ამ მიმართავში, ვის ესებოდა იგი: პიესის ერთ-ერთ ცენტრალურ პერსონაჟს, საერთოდ ახალგაზრდებს თუ... იქნებ უფრო მეტად მათ აღმზრდელებს?

პიესაში აღძრულ ამ და სხვა მრავალ საკითხზე დაფიქრდნენ მოსწავლეები, მათი პედაგოგ-მასწავლებლები და მშობლებიც. სადაც არ უნდა გამართლიეყო კამათი — იქვე, წარმოდგენის დამთავრებისთანავე, მოზარდ მაცურებელთა თეატრის რეპერტუარის განხილვისას თუ სატელევიზიო დისპუტზე, სპექტაკლის შესახებ ყველგან ურთიერთსაწინააღმდეგო, ურთიერთ გამომორცხავი აზრები გამოითქ-

მოდა ხოლმე. მაქებართა შორის უმთავრესად ახალგაზრდები იყვნენ, მათ ასარგბდათ თანატოლებთან შეხვედრა, სასკოლო ცხოვრების დანახვა მაცურების თვალთ. სპექტაკლის მათებურ აღქმაში უფრო მეტად თანამედროვე სასკოლო ცხოვრების პრობლემათა გახსნა-გაშუქების წყურვილი იგრძნობოდა. მათ ეწადათ, სასწავლო პროცესი ფსიქოლოგიური და წყნობრივი ასპექტით დავანახათ და ამ პროცესის ძირითადი მონაწილეების — მასწავლებლებისა და მოწაფეების ურთიერთდამოკიდებულება ვაგრავიათ.

რაც შეეხება უფროსებს, ისინი უფრო კატეგორიულად მსჯელობდნენ, ზოგიერთს თავისი სიმართლე არც აეჭვებდა, კიცხავდა და გმობდა ავტორის ასეთი პიესის დაწერისთვის, თეატრს კი — დადგმისთვის. ადვილად შეიშინებოდა, რომ ზოგი მათგანი კრიტიკულად განაწყობ შელასული თავმოყვარეობის დაცვის გრძნობამ. ამიტომაც ისინი მკაცრად და დაუნდობლად იწყებდნენ და მსჯელობდნენ.

დე და: თუ არავის უწყინებია, მით უშუბტეს, უნდა წახვიდე სკოლაში (?!...)

მე მამა: თუ სხვები არ წაუდენ, არც ეს წავა, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაუწიოს ამხანაგებს (?!...)

დე და: იქნებ რომელიმე ბავშვს უსამართლოდ მოჰქცნებ?

სოფიკო: არა, არ ვიცი, ამჭერაღ ვგონებ არა...

დე და: სკოლიდან ვინმე ხომ არ გაუჩივებო? იქნებ ვინმემ დაუშახურებლად ორი მიიღო? იქნებ კლასს და უმსახურებლად შეუტაცებოდა ან მოაყენებ? იქნებ მასწავლებლებს რაღაც დეარძლი აქვთ (ზაზი ყველგან ჩემია — ბ. მ.) მოსწავლეებისადმი?

და ყოველივე ამ შეკითხვაზე სოფიკოს პასუხი ერთია: — არა!

ეს დიალოგი ასე ვრცლად იმიტომ მოვიტანე, რომ აქ ნათლად ჩანს მშობლების პოზიცია ბავშვს აღზრდის საქმეში, ე. ი. მათი აზრით, ყოველგვარი მცირედი დაბრკოლების შემთხვევაში მოსწავლეებს აქვთ უფლება დატოვონ გაკვეთილები და აძიონ, რასაკვირ? თავიანთი აღმზრდელები. ზოგჯერ ამ პოზიციებიდან იბრძეა, მაგრამ რა უდევს საფუძვლად მის აღვზნებას, რომელიც ტრაგიკულად დამთავრდა!

ეს საფუძველია მასწავლებელი ანა, უკეთ „ანადარკა“, რომელსაც განურზახებს სკოლიდან წასვლა. ვინ არის სოფიკოსა და მწერლის მიერაც იდეალურ მასწავლებლად აღიარებული ეს „ანადარკი?“ ვერაფერს ვიტყვი იმაზე, თუ რას წარ-

მოადგენს იგი, როგორც აღმზრდელი, როგორც მასწავლებელი, რადგან ეს სამეტიკალი არა ჩანს სხვა მხრივ — ანა გიორგენსს, ე. ი. „ანა მასწავლებელი“ კი? პედაგოგიური პასაჟი, ადამიანური ბუნება მიუღებელია: იგი საცოდავად, უღიმიამოდ გამოიყურება, გულს გიწუხებს მისი მონოტონური საუბარი, — თუმცა მაინც უნდა დაძიბო ყურადღება, რადგან ეს საუბარი ხომ მისი საკუთარი პედაგოგიური აზროვნების გამოხმატტელია:

სოფიკო: (მოპართავს ანას) რაც უნდა გავაკეთო, ჩვენ ბავშვებმა, ყველაფერს გვაპატიებო?

ანა: ალბათ ყველაფერს!

სოფიკო: რატომ?

ანა: იმიტომ, რომ სიბოროტებს არ ჩაიღწიო, — ცუდლუტობა კი გვაპატიებო (?!...)

სოფიკო: მეც ასე მგონია, ანა მასწავლებელი, ბავშვობა რა ბავშვობაა, თუ არ იცელები არა?

ანა: რა თქმა უნდა, ბავშვმა უნდა იცელები...“

ზედმეტია სცენაზე განსახიერებელი ანას განვლილი ცხოვრების ეპიზოდი, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს სამეტიკალის სიუჟეტურ განვითარებასთან. ეს ალბათ მწერალს დამჭირდა მეტად ღარიბი სცენური სახის შესაქმნებად, მაგრამ „ამოდ დაშვრა“.

მისცა თუ არა რაიმე სასიკეთო ამ სამეტიკალში მოზარდ მაყურებელს?

ჩემი აზრით — არაფერი!

ბაბო მვალნიძე,

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

გავიდა წელიწადზე მეტი „სადა ხარ, სოფიკოს?“ პრემიერიდან და სამეტიკალი კვლავ აქტიურად აგრძელებს სცენურ სიცოცხლეს, თავის მაყურებელსაც კვლავინდებურად აღსურავს აღზრდის თემაზე საუბრის სურვილს.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის ამ სამეტიკალზე ასლა უკვე რეცენზიის დაწერა, მე მგონია, დაგვიანებულია და არც-თუ ისე საინტერესო უნდა იყოს, მაგრამ ის კი ნამდვილად აუკილებელია, რომ მაყურებელთა შეხედულება-შეფასებანი ავწონ-დავწონით და გაავრკვიოთ მათი სისწორე. სხვადას ხომ გამოჩნდება სხვა დრამატურგი და დაწერს პიესას სასკოლო ცხოვრებაზე!

თენგიზ მაღალაშვილის პიესაში მოქმედებენ მეცხრეკლასელები, მათი მასწავლებლები და მშობლები, აქტიურია მრავალი საკითხი, კერძოდ: სკოლის ხელმძღვანელობის, პედაგოგიური ეთიკის, აღზრდის მეთოდების, იმ ახალგაზრდების ურთიერთდამოკიდებულებისა, მალე სკოლის

მერხები რომ უნდა დატოვონ. თანაც, ავტორი სამავალითო, საჩვენებელ სკოლას როდი გვაცნობს, არამედ ისეთს, სადაც პედაგოგები მაინცაინფის სასურველ კოლეგიალობას ვერ იჩენენ, ხოლო ერთ-ერთ მეცხრეკლასელს მიანჩნია, რომ გაკვეთილი „ტყვეობის 45 წუთია“ და ყოველგვარ საშუალებას ხმართობს, რათა თანაკლასელები გაკვეთილების კოლექტიურ გაცდენაზე შეავლიანოს. მაგრამ ამავე სკოლაში სოფიკოც სწავლობს, ცნობისმოყვარე, ემოციური გონიანი, რომელსაც სურვილი აქვს და ძალაც შესწევს, თავის კლასის დამრიგებელს უსიამოვნება ააშროს, თანაკლასელთა სურვილს წინ აღუდგეს და გაკვეთილების „დაგვემოი“ გაცდენა ჩაშალოს, თუნდაც ეს მრავალი საყვედურის, უსამართლო გაიკცხვის და სულერი ტრავმის ფასად დაუჯდეს...

პიესის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი პრემიერის დამთავრებისთანავე, მაყურებელთა ურთიერთსაწინააღმდეგო კრიტიკული აზრების ცეცხლში მოჰყვა. რას აღარ საყვე-

დროზდენი: ვაითუ ამ წარმოდგენის ნახვის შემდეგ გაკვეთილების კოლექტიური გაცდნა გახშირდეს; აი, სოფიკო რომ გადენის ინიციატივებთან მთელი დამე ქუჩაში დახეტიალობდა, მათთვის განზრახვის გადათქმევიანების მიზნით, ეს ბავშვებისათვის მისაბამ მავალიდნ ხომ არ იქცევა და ისინი დამის გასათევად სახლიდან სხვაგან ხომ არ გაიქცევიან? განა შეიძლება ცნაწაზე ასეთი დირექტორის გამოყვანა? ეს დირექტორი ერთობ სუსტა ხასიათისაა, უნებისყოფო, გარეგნული კეთილდღეობის მომხრე. ანდა, რა მოადგელოტ ჰქვამს? უხეში, მოუზმენელი, ფიციხი, ბავშვებს არ ენდობა. ასე, ბავშვები ხომ არ დაკარგავენ პატივისცემას თავისი აღმზრდელუბისადმი?...

იმანაც კი, პიესის პედაგოგთა შორის რომ ურევია გულისხმობრივ და კეთილი მასწავლებელი — ანა გიორგენვა, ბავშვების მიერ ანა-ადრეკად მონათლული, ვერ შეანდლა და ვერ გააწონასწორა პედაგოგთა ვარკვეული ნაწილის გაღიზიანებული დამოკიდებულება მათი პროფესიის არასაუკეთესო წარმომადგენლების სენაზე გამოყვანის მიმართ.

საყვედურებს ვერ გადაურჩნენ სოფიკის შობბობეც, ქალიშვილი დამოკიდებლობას, სამართლიანობას და სიკეთეს რომ ჩაავიწყებდნენ, ზედმეტ სთავისუფლებას ხომ არ აძლევენ ისინი გოგონას? ან სითამამით ხომ შეიძლება, უმედურებასაც შევყაროსო?..

რა ჩამოთვლის ყველაფერს, რასაც ამბობდნენ ამ საექტაკლზე. არც ერთი სცენა, პერსონაჟი, ესა თუ ის რეპლიკა უსურადალდობს არ დაჩრჩილა. ერთი ნაწილი ყოველ საექციელს, სიტყვას, დრამატურული სიტუაციას ცხოვრებისეული სიმართლის სასწორზე წონდა, სხვები — იდეალურის პოზიციით, მისაბამი მავალითის თვალსაზრისით აფასებდნენ. პირველმა ჯგუფმა წარმოდგენა შეფასა, როგორც დამაფრთხილებელი, დადებითი მხატვრული შედეგი, მეორე ჯგუფმა იგი მიწის პირისაგან ყველაფრის აღმგველი გრეკადებისებური კრიტიკისათვის გამოიყენა.

აი, ჩემს წინ დევს ორი წერილი, სხვადასხვა ქალაქში მცხოვრებთა ორი მასწავლებლისა. ეს წერილები ერთმანეთის იოტისოდენადაც არაფერში ემთხვევიან, ამიტომ ჩვენი კამათისთვის განსაკუთრებულად საინტერესო არიან. ერთს ხელს აწერს ბეჟან შ., მეორეს — ქსენია კ. პირველი წერილის სათაურია — „დასაგმიობა“; მეორესი — „რამ ჩამაფიქრა?“. მათი სხვადასხვა პოზიცია სათაურებშივე იმდენად ნაოლადაა გამოხატავებული, შესაძლოა წერილებების შინაარსი არც გადმოვიტყოს, მაგრამ აქ სხვა აუცილებლობა ისახება. საინტერესო ისაა, თუ რამ ააგულანდა ერთი, ასეთი კატეგორიული დასკვნის გამოსატანად, ხოლო მეორე კი ასე ძალიან რამ ჩამაფიქრა?

ბატონი ბეჟანი მართოდვე პედაგოგიურ მოდელუბობას არ ეწევა, მას თავის სკოლაში აღმზინსტრაციული თანამდებობაც უჭირავს — დირექტორის მოადგილეა. მისი წერილის ტონი აღვზნებულ-იმპერატიულია.

„შეუთავსებელია „შატალო“ თანამედროვე სკოლისათვის და იგი სასტიკად უნდა იქნას დაგმოზილი. მკაცრად უნდა დაისაჯოს „შატალოს“ მოთავს. რა პიონერი, ან კომკავშირელია ის, ვინც „შატალოში“ მიიღებს მონაწილეობას? სასტიკად უნდა ვეზრძოლოთ ამ მათე გადმონათლებს, მაგრამ არ გამოვადგებთ ასეთიანი სურათების ჩვენება ბრძოლის მეოთ-

დად, პირქით, ხელს შევივიშოს ამ საქმეში... „შატალო“ უქნარების გამოგონილია და ყოველთვის უქნარები უნებგვემოსმისწავლებებს ამ საზიზღრობისაკენ. ასეთი სოფიკობებიცაა გურამები ბევრი გვეყვს სკოლებში, რომლებიც სულს უსუთავენ მასწავლებლებს თავიანთი მოქმედებით. ასეთი წურბელები წლობით ჰკიდიათ კისერზე პატიოსან მასწავლებლებს და ატყარებენ მინამ, სანამ მასწავლებელის განათლების ატესტატს არ აწებებენ და ნებადართულ წურბელებად არ აკურთხებენ. როგორ იჯახს და რომელ სკოლას არაგებს ბავშვებისა და „წურბელების“ ჰკუაზე ხაარული?“

განა ბატონ ბეჟანს ვინმე შეედეგება, რომ ეგრეთ წოდებული „შატალო“ ცუდი და მანიკიური მოვლენაა, პიონერის თუ კომკავშირელს არ ეკადრება მასში მონაწილეობის მიღება, მით უმეტეს მოთავებო? არსად გვეუბლება ადამიანი, ამის საწინამდებგო მტკიცებას რომ დაიწყებს. ყველაფერში ცაძელ მართალი ბრძანდებით, პატივცემული მასწავლებელი! მაგრამ თქვენ სხვა რამში არა ხართ მართალი. პიესა კოლექტიურ გაცდნათა პრობლემაზე არ არის დაწერილი! ავტორისათვის (და, აი, აქ შეიძლება მას შეედეგოს) „შატალო“ განსაკუთრებული, სავაგებო შემთხვევაა, რომლის დროსაც უკეთ შედარდნება მოსწავლის ბუნება-ხასიათი, მისი ზნეობრივი სახე ამის საშუალებით ვეცნობით ჩვენ პიესის გმირებს, „შატალოსთან“ დამოკიდებულებით იკვეთება დრამატურების მიერ შემთავსებული მცხრეკლასელების ხასიათები. იგი პიესის მოვლენათა საფუძველია და არა — მისი იდეური შინაარსი.

მაგრამ რაკი პატივცემულმა ბეჟანმა უარყოფითი აზრი გამოთქვა საერთოდ, დამის ისიც უნდა ელიარებინა: ჩვენს სკოლებში გაკვეთილების კოლექტიური გაცდენის ფაქტები ჯერჯერობით მოვეპოვებოთ (ამაზე მოვეწერეს პედაგოგებმა და მოწაფეებმა); მაგრამ „შატალოს“ მანიკიური პრაქტიკის აღმოსაფხვრელად რა ვიღობთ? დამნაშავენი დასჯაოთ? და, როგორც ბეჟანი გვიჩვენებს, დასჯაოთ მამინაც კი, თუ „შატალოს“ მოთავსაჯაროდ მოინანიებს? აი, როგორ წერს პატივცემული მასწავლებელი: „დანაშაულის გულწრფელად აღიარებისათვის დანაშავეს მილიანად არ ათავისუფლებს კანონი სასჯელისაგან“.

თითქოს მას ეპასუხებოთ, ქალბატონი ქსენია წერს: „სამეულის განსჯა დირექციამო. დამნაშავეებს შეეხიენენ, შეუტყოს, თავს დაესხნენ, მიზეზის გამოკითხვა არავის სურს, გარდა ანა მასწავლებლისა... „არ გეტყვით, თავი დამანებეთ, არც ვარ გაჩუქმდებით, გიკებნო! თქვენმა შიშმა დამაკეთებინა ყველაფერი!“ — ეგონის გაწიწკვებილი სოფიკო. ანა მასწავლებლის დასჯის შიშმა, მართლაც აძულა სოფიკო, მთელი დამე ქუჩაში გაეტარებინა, რომ როგორმე ჩაეშალა „შატალო“. ვფიქრობ, არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ „შატალოში“ ჩაშლის ეს გზა მანიკიზმის გაშართლებული არ არის, მაგრამ ერთი რამ ცხადია, როგორც ბავშვები თავგამოდებით ამტკიცებენ, იქ მათ ცუდი არაფერი გაუკეთებიათ... არ შემოიძლია, ჩემს კოლეგებს არ მივმართო კითხვით, რამ შეაძულა ასე ძლიერ ბავშვებს გაკვეთილი, რამ აძულათ მისთვის „ტყვეობის 45 წუთი“ შევრებიანო? „ტყვეობის 45 წუთი“ მწარედ ჩააფიქრებს ყველა პედაგოგს და მათ შორის მეც...“



როგორც მოყვანილი ციტატადან ვხედავთ, ქალბატონი ქსენია, ვიდრე დანაშაულის სხვას ვადასტურებდეს, პედაგოგებისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ მიზეზებს მოიხვედრებოდა და დანაშაულებს განაგრძებდა, საკითხის არსში აწვდომისა და კოლექტიური გაკვეთების მიზეზს განსაზღვრა-გარკვევას ცდილობს. მსჯელობის ლოგიკურ ძაფს მიყვარით გაკვეთილთან, მის ხარისხთან, დანაშაულებასა და ფასულობასთან. საინტერესო, შინაარსიანი გაკვეთილებიდან ბავშვები არ გარბიან, ასეთია მისი დასვენების ქვეტექსტი... და მართლაც, ზოგჯერ ბავშვები ავად არიან (როგორც ისინი თვითონ გვაცხობინებენ წერილებით) და მისცე მითინ სკოლაში, საყვარელი მასწავლებლის გაკვეთილი რომ არ გაცდინონ, რადგან ასე იწყალებ, რომ სხვაგან ვერსად იპოვებინა ახალი ცოდნის ასეთ ხელნაწესს, არსად აღძვრება ამდენი ნათელი და მშვენიერი ემოცია, ვერსად გამდიდრდებიან ამდენი კეთილსმოყვარი ხუმრობები მავალითების შთაბეჭდილებებით. ეტყობა, სწორედ ამგვარი გაკვეთილების დროს ყალიბდება მოწაფის პიროვნება. აი, გადავთავალეროთ ბავშვების წერილები. ისინი უდიდესი მადლიერებით იფიქრებენ საყვარელ პედაგოგებს. წერილებში ნახსენები არიან ხაზვის, ფიჭულტურის და სიმღერის მასწავლებლები. ასე რომ, თუ ქ. ს. სტანისაშვილის სიტყვის პრიორიტეტობას მოვახდენთ, სკოლაში არ არსებობს მთავარი და მეორეხარისხოვანი საგნები, არიან მხოლოდ კარგი და ცუდი პედაგოგ-აღმზრდებლები. ჩვენ, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ვფიქრობთ, ბრალი დავდით მხოლოდ მასწავლებლებს ან სკოლას ყველაფერში და მთლიანად ავუპოროთ ვერდი ოჯახს, „გარემოს“ გავლენას, „ქუჩას“, მოწაფის პირად თვისებებს. მაგრამ კიდევ უფრო არასწორი იქნებოდა, ჩვენ, ყველას, პასუხისმგებლობისათვის თავი ავგვირდივინა და მთელი დანაშაულის სიმძიმე ბავშვების სუსტ მხრებზე გადაგვეკვიდა. შეძლებენ კი ისინი ამ ტვირთის ზიფას, გაუძლებენ? არიან კი ისინი ისე დამოუკიდებელი, მტკიცენი და გარე გავლენებისაგან დაჯავშნილი?

თუმცა ეს სხვა საკითხია. დაუბრუნდეთ სპექტაკლს. ვინ არის სოფიკო, პიესის ყველაზე ქმედითი სახე, მისი სიუჟეტისა და დედაპარის ღერძი? პატივცემული ბეჟანს წერს: „სოფიკომ, იპოვა რა მფარველი, კლასის სტუმრმცხადნელის ან გიორგვენას სახით, ამჟღავნებს შეუპოვრობას. როგორ სასწრაფოდ ეუბნება დირექტორის მოადგილეს, მამის ტოლკაცს: „ახლა თუ არ გაჩუქდები, გიკენო“. ეს არის ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ იქცევიან მოსწავლეები ყალბზე შედგომას, მოუთმენლობას, პატივცემლობას... მასწავლებლები და ადმინისტრაცია კი ეწევიან უზომო მოთმენას, უკან დახევას, ვკუთხიან თავაშეფარულთაგან თავზე დაჯდომას. ეს არის აშკარა უსუსურობა ახალგაზრდა თაობის აღზრდაში“.

ღიბს, წერილის ავტორმა სოფიკომი დაინახა მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი, თანაც ცუდად აღზრდილი, თავებში მოწყვე. პედაგოგი ამაზე ლაპარაკობს ზოხდით, კატეგორიულ ტონით. იგი ოდნავადაც არ ცდილობს, გაუგოს სოფიკოს, უბრალოდ ზურგს აქცევს. სამაგიეროდ, რა დიდ ადამიანურ გულისხმიერებას და პედაგოგიურ ტაქტს ავლენს სოფიკოსთან დამოუკიდებელმა ქალბატონი ქსენია (იხ. ზემოთ მოყვანილი ციტატა). ამიტომაც დაინახა მან სოფიკომი ის, რაც პატივცემულ ბეჟანს, და არა მარტო მას,

და არა შეუმჩვენელი. კერძოდ, ქალბატონის ქსენიამ კარგად დაინახა სოფიკოს თვისებები: მაგალითის გრძნობა, რადღებინაობა, მასლობლებისადმი ზრუნვა. განა ამ ახალგაზრდებში ამგვარი ხუმრობები სწრაფვა თუ აღტკინება ისე ხშირად იჩენს თავს, რომ ამ მიყვანაში მას და ჩვენი უკრადლება არ შეგარბო? აქსელერაციის საუკუნეში, როდესაც ბავშვთა ხუმრობები აღზრდა მათ ფიზიკურ განვითარებას ჩამორჩება, მცხგრველსდელი სოფიკო თანატოლებს სიკეთისა და შეგნებული თავგანწირვის სამაგალითო გაკვეთილს აძლევს. მერე რა უკუთო, თუ მან ყველაფერი ვერ გათავალისწინა და წინდაუსებდავი დაუდევრობით შეცდომა ან მარცხი ვერ აიკეთა. ნუთუ მაკურნებლობა სამსჯავრობო იგი უნდა დასაკოს კეთილშობილური გრძნობებისათვის (ამაში კი ძნელია დაჭკვდეთ) მხოლოდ იმიტომ, რომ მისი საქციელი ჩვეულებრივ სტერეოტიპურ ხუმრობებ ჩარჩოში ვერ თავსდება? ნუთუ ასე დეტალურადაა შესწავლილი სასკოლო ცხოვრების პირობებში ჩადენილი გმირობის ბუნება, დადგენილია მისი საზღვრები და ასე ხელდავებით შეგვიძლია ურყევით სოფიკოს თავისებური ხუმრობები გმირობა? ნუთუ მოსწავლეებს გმირობა ჩადენა შეუძლია მხოლოდ ჩაის პლანტაციებში, ფერმაში, იალალებზე, რკინიგზის ლინადგის მოშლის შემწენით და ასე შემდეგ, როგორც ამაზე წერენ ქ. ჭილაშვილი და ვ. ცერცვაძე? თუ ეს ასე არაა, მაშინ ისინი კამათის აკრძალულ ილეთს იყენებენ, რადგან მაღალაშვილის პიესა დაწერილია სასკოლო ცხოვრებაზე, ქ. ჭილაშვილი და ვ. ცერცვაძე კი მოსწავლეთა არასასკოლო ცხოვრების მაგალითების მოშველიებით მას გმირობის თავიანთ გაგებას სთავაზობენ.

დაინახოს ყოველივე კარგი, რაც მის მოწაფეშია, გაუღვიძოს სიკეთისაგან ღლოღვის სტიმული, მოშვენიერების შეგრძნების უნარი, გაუღვიძოს ინტელექტუალური ინტერესები და საუკეთესო მისწრაფებანი — განა ეს არ არის მასწავლებლის მოწოდება და ვალდებულება? რატომ ვერ შეამჩნიეს სპექტაკლის „სადა ხარ, სოფიკო?!“ მთავარი გმირის ადამიანური აქტივობა, ამ სახის ხუმრობები შინაარსი, როგორც ყურადღებისა და დაფიქრების ღირსი მაგალითი?

ანდა, გავისხნეთ პიესის მეორე გმირი, გურამი. ის ხომ უფროსებმა ერთხმად მონათლეს უარყოფით პერსონაჟად? გურამს, ისევე, როგორც სოფიკოს, სურს მკვეთრად გამოავლინოს თავისი პიროვნული მეობა. მას, თუმცა უნადავო ნიპოლიზმის მუქი სანთებით შეფერვებულმა, მაგრამ თავისი მუხებულებებით ატეს, ადამიანებში თუ მოვლენებს თავისებურადა აფასებს. ნაკითხია, მაგრამ არის კი განათლებული? გურამი, „შატალის“ ორგანიზაციისას გარკვეულ დამოკიდებულებას იჩენს, ძლიერ ადამიანად გამოჩნდა სწავლია, რათა მთელი კლასი მის ნება-სურვილს ემორჩილებოდეს. მაგრამ როგორც კი მარცხი განიცადა, უმაღლე კარგავს სიტყვის მანერულობას, საუბრის გულგრილ ტონს, პოზიტივობას და გულწრფელად აღიარებს დანაშაულს. ვითომ ასე ცუდი ბიჭია გურამი? ისმის კითხვა: აქსელერაციის დანაშაურებთან ხომ არა გვაქვს საქმე, როდესაც ახალგაზრდას ჭარბი ენერჯია აწუხებს? შეიძლება თუ არა იგი სრულყოფილ ადამიანად იქცეს მხოლოდ დასჯით? ბატონო ბეჟან ალბათ, არა!

ვათავალერებთ რა „სადა ხარ, სოფიკო?!“ თაობაზე შე-

დაგოგ-მაყურებელთა წერილ-რეცენზიებს, უმაღლესი გარემოება გვეგდება თვალში: ამ ავტორების უმეტესობა წარმოადგენს გმირებს რეალურ ადამიანებად აღიქვამს (განა ამაში არ ვლინდება ხელოწმების ძალა?). ეს პედაგოგები ისე მსჯელობენ, თითქმის ისინი მათი სკოლის მოწაფეები იყვნენ. ასე რომ, პედაგოგთა წერილები უმაღლე ამახელდნენ მათსავე აღმზრდელიობით ვითოდებს, მათ პედაგოგიურ მსოფლმხედველობას და მოქალაქეობრივ პოზიციებსაც. მართალია, არიან ისეთებიც, არავითარ კითხვას რომ არ სვამენ, ავტორის არ ეკამათებინან მის პიესას მის დასასველებელ მოსწავლეთა თუ მასწავლებელთა სახეების რაობაზე, ისინი მხოლოდ აღწერენ მაღალადმედიის საექტაკლის ყველა სცენას თავიდან ბოლომდე, ისე, როგორც დაინახეს, მაგრამ წარმოადგენს აღწერა შეუძლიათ იმათაც, ვისაც იგი მოეწონა და იგივე სცენების მათებური გახსნა, მათებური განსხვავება სრულიად სხვაგვარად აღიქმება. პირველი საექტოდ მიიჩნევენ ასეთი საექტაკლების აუცილებლობას, მეორე — გულმხურვალედ იცავენ. ამ მხრივ, ზემოთ მოტანილი წერილების ციტატები ტიპურია, ისინი გამოხატავენ ორ აზრს ერთ სიმართლეზე. აქ აზრთა ჭიდილია, სხვადასხვა თვალთა, უფრო სწორად, ორნარიად დანახული ერთი სიმართლეა, სხვადასხვაგვარად აღქმული ერთი საექტაკლი.

ბატონი ბეჟანის წერილის რეზიუმედ ვღერძ:

„...წარმოები „სადა ხარ, სოფიკო?!“ მილიანად დასაგმობია და აღარ უნდა გამოურდეს...“

ქალბატონი ქსენია კი ბარათით ვგვთხოვს, გადავცეთ „გულითათი მადლობა ყველას: დრამატურს, დამფრეზს, ყველა მონაწილეს სასკოლო ცხოვრების ასე დამაფიქრებელი და ამაღლებელი საექტაკლისათვის“.

ორი აზრი, ორი სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასება! რომელს უნდა დაუჯეროს თეატრმა. ჩვენი აზრით, ქ-ნ ქსენიას წერილი უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს, უფრო მნიშვნელოვანი გვეზენება, არა იმიტომ, რომ თითქმის მაღალადმედიის საექტაკლი მხატვრულად სრულყოფილი იყოს და არაფერი იწვევდეს აქ დავას. სხვათა შორის, იგივე ქ-ნი ქსენიაც ბევრ რამეში ედავება თეატრს და იგი აქაც მართალია. საქმე ის არის, რომ ქ-ნ ქსენიას პოზიცია კეთილშობილურია. იგი არ უჩივის თავმოყვარეობის შეზღუდვას, აქაოდა, ჩემი პროფესიული სამყაროს ერთი ნაწილი უარყოფითად რომ წარმოვიდგინეს, ამით ყველას შეურაცხყოფა მოგაკაყენესო. არა, იგი ამას არ უკადრისობს. როგორც ფიზიკელი რეალისტი, ფსიქოლოგი, იგი თავის თავს უყენებს მოთხოვნებს, რომ დღევანდელი ახალგაზრდების აღზრდის რთულ საკითხებში უკეთ გაერკვეს. მას ერთხელაც კი არ დაუდანაშაულებია სხვები, რათა ეს დანაშაული თვითონ აეცილებინა თავიდან. მისთვის უცხოა სულმოკლე ადამიანების დევნი — „ეს მე არ მესებაო“. ყოველთვის, როცა იგი მოსწავლეში პიროვნების აღზრდის სიძნელეებს ეხება, უპირველეს ყოვლისა, თავის თავს ეკითხება: ვაძლევ კი ბავშვებს ყველაფერს, რისი გადაცემაც შემიძლია? ვინაობ ჩემ მოწაფეებს? ვცხოვრობ მათი ცხოვრებით?.. ეს უკვე მართლაც გონიერი მასწავლებლის პასუხისმგებელი აღსარებაა, რასაც სხვებიც უნდა ჩაუფიქრდნენ.

ამასთან დაკავშირებით მაგონდება „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნებული ნარკვევი „ვაშლი ვაშლის ხი-

საგან“, რომლის ავტორია მწერალი არკადი როსაზოვი. აქ მოთხრობლია ამავე მასწავლებელი ქალისა, რომელმაც სცხათა დაუხმარებლად, მარტოდმარტომ, მოახერხა შვილის აღზრდაც და პარალელურად უმაღლესი სასწავლებლის წარმატებით დამთავრებაც. იგი ღირსეულად ამაყობდა თავისი კეთილი, ყურადღებიანი შვილით, მაგრამ მოულოდნელად გაიგო, რომ შვილმა მძიმე დანაშაული ჩადინა. შვილისათვის განაჩენის გამოტანას დაუცადა და განცხადება დაწერა — სკოლიდან გამათავისუფლოთ. თავისი წახვლა მან ასე გაამართლა: ვინც თავისი შვილის აღზრდას ვერ შესძლებს, სხვების აღზრდის უფლება არა აქვსო. სკოლის საუკეთესო მასწავლებელს ამ ნაბიჯის გადადგმა ვერ გადააოყენებინეს და მან ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. ზნეობითი თვითგამართლების, თვითკრიტიკის საოცარი მაგალითია! ვის შეუძლია ასე მოიქცეს? საჭიროა ყოველთვის საკუთარ თავს უხვხამდეთ კითხვას: გაგვიჩინა კი ჩვენი მიდრეკილება და დიდსულოვნება, რომ ერთნაირად შევიძულოთ და დავგმოდოთ როგორც ჩვენი, ასევე სხვების მანკიერებანი და ვებრძოდეთ მათ? შეგიძლია ვეიყვარდეს ის, ვისაც ვაპირებებთ?

როგორ უნდა მოვიკიდოთ კალამს ხელი და შევავსოთ საექტაკლის დამდგომლი კოლექტივის ნამუშევარი, თუ ჩვენ არ გავგანჩინა იმის უნარი, რომ ღრმად ჩავწვდეთ ამ ნამუშომ-ნაღვაწის იდუარი დედანაზრის მიუღწეველად მის მხატვრულ ღირსებებს?

კრიტიკას მხოლოდ კრიტიკისათვის არასოდეს არ მოაქვს სარგებლობა, მით უმეტეს, თუ იგი არაპროფესიულია.

ეთერ ბალუხიძე.

მ. შანგიჩიძის რომანი „თვალის პატროსანი“ სცენაზე იღბლიანი გამოდგა. ყველა ბილეთი ერთი თვით აღრეა გაყიდული, რაც დღეს ჩვენთვის სასიამოვნო მოულოდნელობად ეტყვნა. მაყურებელი უჩვეულო ინტერესს იჩენს სპექტაკლის მიმართ; დიდია სურვილი სცენაზე იხილო უკვე შესისხლხორცებული, ნაცნობი, მთელი სიგრძე-სიგანით „შესწავილი“ რომანის გმირები.

შესძლეს კი მწერალმა და მარჯანიშვილის თეატრის შემოქმედებებში კოლექტივმა მოლოდინი გამართლება? მოახერხეს თუ არა დამაყოფილებინათ თანამედროვე მაყურებლის გაზრდილი მოთხოვნილებები? გადაჭრეს თუ არა წარმატებით სცენურ სირთულეებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები? ამ წერილში შევეცდებით, სწორედ ამ კითხვებს ვუპასუხოთ.

ქართულ თეატრს ამა თუ იმ პროზაული ნაწარმოების სცენაზე გამოტანის უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. და, როგორც წესი, სცენური ვარიანტი ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. ანალოგიურ მოვლენასთან გააქვს საქმე გურამ ფანჯიკიძის რომანის გასცენურებასთან დაკავშირებით. თუმცა, მწერალმა თეატრისთვის შექმნა სასუსებო დამოუკიდებელი ორნაწილიანი პიესა და შეეცადა რომანიდან „ამოეკრიბა“ ის ძირითადი და მამოძრავებელი, რითაც ნაწარმოებმა მკითხველის ყურადღება მიიპყრო, თუმცა ძირითადად შექმნილი კიდეც ხორცი შეესხა გამიზნული გემისათვის, მაგრამ პიესა, რომანთან შედარებით, მაინც სქემატურად გამოიყურება.

თანამედროვე პიესების ძირითად ნაკლად ხშირ შემთხვევაში იმას მიიჩნევენ, რომ მათი დადებითი გმირები მოკლებულნი არიან ცხოვრებისეულობასა და დამაჯერებლობას; ისინი ყალბი პათოსითა და სქემატურობით გამოირჩევიან, რის გამოც ვერ ეხმარებიან ჩვენი დიდი ეპოქის მწვავე პრობლემებს, მაშინ, როდესაც იმავე პიესებში სიხლსა-სავსედ, ცოცხლად, ხასიათის სიღრმეებში წვდომითა და მხატვრული ღირსებებით გამოირჩევიან უარყოფითი პერსონაჟები. თანამედროვე დრამატურგიის მიმართ წაყენებული ეს ბრალდება საყოველთაო როდია მოკლებული — დადებითი გმირის პრობლემა კვლავ მწვავედ დგას და თავის გადაჭრას ელის! გ. ფანჯიკიძის, როგორც დრამატურგის, უმთავრეს ღირებებად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მან კარგად აღწონა-დასწონა დღისთვის შექმნილი ვითარება და თავის პიესაში განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა, მხატვრული სიღრმე და სიმახვილე არ დააკლო დადებით გმირებს: ოთარ ნიჭარაძესა და თამაზ იაშვილს, მოგვცა მათი ხასიათების თანმიმდევრული ზრდა და განვითარება, ფსიქოლოგიური სიმართლით დატვირთა ყოველი მათი მოქმედება და დავიხატა არა განყენებულად, თეორიულად მოაზროვნე ადამიანები, არამედ სიკეთისათვის, სა-

როცა სცენაზე

აქცუალური პრობლემა

მ. შანგიჩიძის „თვალის პატროსანი“ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო-სო პაპაძემიურ თეატრში

ვაჟა ძივაჯა

ნართლიანობისათვის მებრძოლი გმირები, ადამიანები, რომელთაც სწავში მომავლისა და არსებული სინდლებიდან თავდასალწვე გზებს ეძიებენ.

სამაგიეროდ, გ. ფანჯიკიძე მეორე უკიდურესობაში აღმოჩნდა — თავი კარგად გაართვა დადებითი გმირების „გადწვევების“ რთულ საკითხს, უარყოფითი პერსონაჟების ხასიათებს კი აშკარად დააკლო საღებავები, მაშინ, როდესაც რომანში უარყოფითი გმირები არანაკლებ მხატვრული სიძლიერით არიან გამოქაჩილნი. ამ გაგრძობებან ერთგვარი ზღარი შეიტანა ოთარ ნიჭარაძისა და თამაზ იაშვილის ხასიათების მონოლოტურობაში, მათი ქცევების სრულყოფილად გამოვლენაში,

ვინიდან მათი მოქმედებები ლოგიკურად იზადე-
ბიან სწორედ უარყოფით მოვლენებთან ჭიდილსა
და ბრძოლაში. სინდისშებდალულ მყენიერთა და
საქმოსანთა წრის წარმომადგენლები მთავარ გმი-
რთა ღირსეულ პარტნიორებად უნდა გვევლინე-
ბოდნენ, მაგრამ პიესაში და სპექტაკლშიც მა-
თი გაველენის არე მეტად ვიწრო აღმოჩნდა. მწე-
რალს იმის შესაძლებლობაც გაჩანდა, რომ ამ
ორი ცენტრალური გმირის წინ წამოწყვის ხარჯზე
სქემატურობის „აბათიით“ არ გაეთანაგა როგორც
უარყოფითი, ასევე სხვა დადებითი გმირებიც.
დამდგმულმა რეჟისორმა ნ. გაჩავამ ვერ მი-
აგნო პიესის სქემატური მხარეების დაძლევის

თავისი გმირის ხასიათის გამოძერწვისას
თ. არჩვაძე მინარტავეს რეალისტურ, ცხოვრები-
სეულ, ფსიქოლოგიური სიღრმითა და სიმართ-
ლით დატვირთულ გამოხსენებლობით საშუალე-
ბებს. თთარ ნიჟარაძე თავიდანვე ახერხებს მყუ-
რებლის შინაგან სამყაროში შეჭრას, მისი გრძნი-
ბებისა და განცდების დატყვევებას. თთარ ნიჟა-
რაძეს სასვენით განსხვავებულ სიტუაციებში უხ-
დება სცენაზე ყოფნა. იგი ხან დამცველის, ხან კი
ბრალმდებლის როლში გვევლინება და თენგიზ
არჩვაძე ყველა შემთხვევაში ახერხებს დამაჯერებ-
ლად წარმოგვისსახის თავისი გმირის ხასიათის
ეს ცვალებადობა. თ. არჩვაძის პერსონაჟი სული-



საშუალებებს, ხოლო ის, რაც დრამატურგიულად
მიღწეულია, რეჟისორულადაც უფრო მეტ სიღრ-
მესა და სცენურ გადაწყვეტას მოითხოვდა სპექ-
ტაკლში.
აღნიშნული ვითარების გამო სცენაზე მხოლოდ
ორი ბოლომდე ჩამოყალიბებული პერსონაჟი
ცოცხლობს თავისი მრავალფეროვანი, წინააღმ-
დეგობრივი, ინტენსიური ცხოვრებით: თამაზ იაშ-
ვილი და თთარ ნიჟარაძე. მათ შორის, ხასიათის
მთლიანობის თვალსაზრისით, პრიორიტეტი მა-
ინც ამ უკანასკნელს უნდა მივაკუთვნოთ. თთარ
ნიჟარაძის როლის განსახიერებით თენგიზ არჩვა-
ძემ სერიოზულ შემოქმედებითი წარმატება მოი-
პოვა; ეს არის ინტენსიური ძიებისა და შრომის,
აქტიურიული ნიჭისა და ოსტატობის პარმონიული
ნაწავი.

ერად და ფიზიკურად ძლიერია. მასხიობი თავის
შესრულებაში განსაკუთრებულად გამოყოფს მე-
გობრობისა და თავდადების გამახვილებულ
გრძნიობას, ხაზს უსვამს თთარ ნიჟარაძის მაღალ
მოქალაქეობრივ ღირსებებს. საილუსტრაციოდ
მოვიყვანოთ მეორე სურათის სცენა პრიოდ. ნიკო
კაკაბაძის ბინაზე. რამდენი ზიზნო და ირონია,
ფარული რისხვა და აღმუთოება ჩაქსოვილი
თ. არჩვაძის თითოეულ ფრაზაში, უბრალო გამო-
ხედვაშიც კი. გარეგნულად მასხიობი მეტად მშვი-
დია, აუღლევებელი; საუბრის ტონიც ერთფერო-
ვან და მონოტონურ იერს ატარებს, თითქოს ტკეპ-
ნისო სათქმულს, ამბიბებს მოვლენებს, მაგრამ ეს
მხოლოდ გარეგნულად მოჩანს ასე, ერთი შეხედ-
ვით. სინამდვილეში კი თ. არჩვაძის თთარ ნიჟა-
რაძე შემზადებულია ნახტომისათვის და საკმარი-

სია პროფესორის ძლიერი პროტესტი, რათა ეს ნახტომი საბედისწერო გამოდგეს მისთვის. ამას გრძნობს ნ. კაკაბაძე და ამიტომაც იძულებულია დაეთანხმოს დაუბატოებული სტუმრის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას. ნიჟარაძე აღწევს საწადელს — თ. არჩვაძე წვლში იმართება და გესლიანი, დამცინავი ღიმილით ემშვიდობება პროფესორს.

ირონიითა და ერთგვარი ფარული სევდით მიჰყავს თ. არჩვაძეს ექსპერიმენტული ფილმების სტუდიის სასცენარო განყოფილების მთავარ რედაქტორთან (გ. ტატიშვილი) გათამაშებულ სცენა. თ. არჩვაძე დაუნდობლად დასცინის გო-

ურთიერთობის ამსახველ სცენებს. თამაზის უბრალო გამოჩენაც კი ხალისითა და ბავშვური ალტკინებით მოიცავს თ. არჩვაძე-ნიჟარაძის მთელ არსებას. ლეანარაძე მეგობრობის გაწვევა შეუძლია თთარ ნიჟარაძეს და ეს საქმიოაც დაამტკიცა მან, თუნდაც მაშინ, როდესაც თამაზის ცოლთან — მედეასთან მივიდა კატეგორიული განცხადებით, გზიდან ჩამოშორებულა მის მეგობარს: როგორი შკაკური და დაუნდობელია ამ დროს თ. არჩვაძის თთარი, როგორი მომაკვინებელი და ბასრია მისი განაჩენი მედეას მიმართ! შარამ ამ მსხვერპლს ხომ მისი მეგობრის კეთილდღეობა მოითხოვს!... ამ სცენაში თ. არჩვაძემ კიდევ ერთი სახიერ

სცენები სპექტაკლიდან „თელი პატისანი“. თთარ ნიჟარაძე — თენგიზ არჩვაძე, მედეა — მედეა ბიბილეიშვილი.



ფოტოება შ. ბაბოვიას.

თთარ ნიჟარაძე — თენგიზ არჩვაძე, თამაზ იაშვილი — ჯემალ მონიავა.

ნებაშეზღუდულ ხელმძღვანელს, ირონიის ქარცეცხლში ატარებს აგრეთვე უფროსის ირველიე შემოკრებელ ასეთსავე „ჰკვიან“ თანამშრომლებს. ოშინავანი ძალა, სიმტკიცე და ნებისყოფა, ვაჟკაციური შემართება — აი, რა თვისებებს იძენს თ. არჩვაძის გმირი საქმოსნების ღრეობის სცენაში. თთარმა დის „ყოვლისშემკლე“ საქმოსნების ყდრი და ფასი, იგი მათთან ქეიფობს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მათი თანამშრომლებია, იგი უბრალოდ აკვირდება ამ ფენის წარმომადგენელთა ზნე-ჩვეულებებს, როგორც მწერალი, სწავლის მათ ქცევებს და მანერებს — ასე შევიცანით თ. არჩვაძის თთარ ნიჟარაძე ამ წრესთან ურთიერთამოკიდებულებაში. ✓

რამდენი სიბოთ, ღირიზში, სიწრფეველ და სინათლე ჩააქოვა თ. არჩვაძემ თამაზ იაშვილთან

შტრიხი შესძინა თავისი გმირის რთულ ფსიქოლოგიურ სამყაროს.

✓ თთარ ნიჟარაძეს უყვარს ნატა და სწორედ აქ, მსახიობი თენგიზ არჩვაძე ავლენს გასაოცარ სიუფაქიზეს, რაინდულ ღირსებებს და ჩვენც გვეყვარა, რომ მისი ურთიერთობა ნატასთან ამაღლებული და წმინდაა. ✓

✓ დრამატულ სიღრმეებს წვდება თ. არჩვაძის თთარ ნიჟარაძე მაშინ, როდესაც შეიტყობს, რომ იგი უკურნებელ სენს შეუპყრია, თუმცა ეს მძაფრი განცდები ოდნავადაც არ არის შეფერილი მელანქოლიზმითა და უსასოობით, განწირულების შფერძნებით. მისი დრამატიზმი ბედის უკუღმართობაში დარწმუნებული ადამიანის მწარე ირონიითაა გაჭედნილი. თ. არჩვაძის თ. ნიჟარაძე ამაყად შეეგება მოახლოებულ კატასტროფას, წა-

რბივ არ შეუხრია, მხოლოდ ღიმილმა იცვალა
 ოდნავ იერი — სვედილი შეიფერა. მსახიობი საო-
 ცარი კომპაქტურობით ნიღბავს იმ შინაგან მელ-
 ვარებას, რაც ამ საბედისწერო ამბის შეტყობამ
 განაცდევინა ოთარს.

და აი, კიდევ ერთი სცენა — თ. ნივარაძის ბუ-
 ნებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი შტრი-
 ხის გამომწეურება: ოთარი დროს ატარებს, მისი-
 ყვ სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაწვევებ მსუბუქე-
 ყფაჟაქცევის ქალღმთვლიანს“ — მაგასთან; ჩვეუ-
 ლისაშემბრ ოხუნჯობს, ენაქილოკობს, გამომწე-
 ვევად იცინის და შუუძღვებელია ირწუნეთ, რომ ამ
 ენერჯითა და ხალისით სასვე ახალგაზრდა ცაც-
 ხა იცის თავისი სიცოცხლის ხანმოკლეობის გარ-
 დეულობა. ოთარი მარტო რჩება, მის გამომეტყ-
 ველებს ეუფლება მუცნობელი სვედა და ხალვე-
 ლი. განწყობილებათა ამ ცვლას დიდი სიძარბო-
 თით გადმოგვეცნს მსახიობი.

ოთარ ნივარაძის პიროვნების, მისი ცხოვრე-
 ბისეული ნაწილმზადდებლობის დაკონკრეტებაში
 მისიშელოფანი როლი ენიჭება გავაშელის ცოლ-
 თან მისი ინტიმური ურთიერთობის ხაზის აღმო-
 ცენებისა და განვითარების პროცესს. რომანში ამ
 ხაზთან დაკავშირებული სულიერი ძვრები და
 ემოციები საკმაოდ დამაჯერებლობითაა წარმოდგე-
 ნილი, სპექტაკლში კი ამ საყურადღებო მომენტ-
 მა დაგარვა თავისი ძირითადი ფუნქცია, განიღ-
 ღვითა შინაგანი სიღრმისა და დინამიკისაგან და-
 მხოლოდ შერეულ ილუსტრაციად მოგვეცინა. ამ
 ფაქტორმა განაპირობა უთუოდ, რომ ამ სცენაში
 ვერ შევიცანით ოთარ ნივარაძის სულიერი წინა-
 აღმდგობანი, ვერ შევიტყობინო სიმრავლე შინაგა-
 ნი ბრძოლისა, რომელიც ოთარს თავისივე მორა-
 ლურ და მოქალაქეობრივ მრწამსთან გაუმართავს,
 სწორედ ამიტომაც მკაცრებული გულგრილად გვე-
 ბება მანაა გავაშელის ქალურ შურისძიებას —
 ოთარის სასმასურიდან დათხოვნას. საერთოდ უნ-
 და ითქვას, რომ ეს ხაზი მწერლისგან და რეჟისო-
 რისგან შეტ სიღრმეს მოითხოვდა. მანაა გავაშე-
 ლის სახე არ ერწყმის დადგმის მთლიანობას, იქ-
 მნება შთაბეჭდილება, თითქოს, ეს პერსონაჟი და-
 ნამატია სპექტაკლისა, რომელიც შემთხვევით მო-
 ხვდა სცენაზე და რაც შეიძლება სწრაფად უნდა
 დასტოვოს მისთვის ეს „უცხო“ ასპარეზი. ამ შემ-
 თხვევაშიც უნდა ვუსაყვედუროთ სპექტაკლის ავ-
 ტორებს, რომლებმაც ასეთ, მე ვიტყვდი, უხერ-
 ხულ მდგომარეობაში ჩააყენეს მ. გავაშელის რო-
 ლის შემსრულებელი, მშვენიერი მსახიობი ლია
 კაპანაძე.

ამ სპექტაკლში ახალ ამბულაში წარმოგვიდგა
 ჯამალ მონიავა. მართალია, მას ამავე თეატრის
 სცენაზე ადრეც შეუქმნია მონათესავე ხასიათის
 როლები, მაგრამ თამაზ იაშვილის განსახიერებო
 მსახიობმა დაგვარწმუნა, რომ მისი აქტიორული
 დიაპაზონი უფრო ვრცელია, ვიდრე ეს ჩვენ დღემ-
 დე გვეგონა.

თამაზ იაშვილი, მეტად ფაქიზი განცდებისა და

ემოციების მატარებელი, ადამიანების მოყვარუ-
 ლი, ბავშვებით უშუაოდ და მიმდობია. ჯემალ მო-
 ნიავა შინაგანი გარდასახვის უნართ, ჩინებუ-
 ლად ახერხებს თავისი გმირის ამ თვისებების
 წარწივნას. გაეხსენოთ თ. არაგვისა და ჯ. მო-
 ნიავას ერთობლივი სცენები — როგორია ადამია-
 ნური, წრფელი და იდეალური მათი მეგობრობა,
 როგორი ღრმაა ამ მეგობრობის არსი (საერთოდ,
 მეგობრობისა და ურთიერთგაგების მტკივნეული
 და ურთულესი პრობლემა კარგადაა ამოსწილი
 და წამოწეული სპექტაკლში, რაც რეჟისორ ნ. გა-
 ჩავას უდავო დანახაურება).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯ. მონიავას შესრუ-
 ლებაში ზოგჯერ თავს იჩენს ხოლმე გადაჭარბებული
 სენტიმენტალიზმი, განწირული და გათული-
 ი ადამიანისთვის ნიშნული შინაგანი შემოფო-
 თება და უიმედობა, რაც ნაწილობრივ ახასიათებს
 თამაზ იაშვილს, მაგრამ მსახიობს ეს თვისებები
 ზედმეტად მკვეთრად აქვს წარმოდგენილი, რაც
 მის შესრულებაში მელოდრამატუბის ელემენტე-
 ბის მომძლავრების საშიშროებას ქმნის.

კიდევ ერთი შტრიხი თ. იაშვილის ბუნებისა:
 გ. ფანჯიკიძეს რომანში ხაზგასმითა აქვს მითი-
 თებული, რომ თამაზი განსაკუთრებული მათემა-
 ტიკური ნიჭით დადგეულობითაა ბუნებას, რომ
 ყველას ანიჭიერებს მისი საოცარი უნარი — მა-
 თემატიკური ციფრების გამოთვლისა და განაგ-
 რიშებისა. ვერც პიესით, ვერც რეჟისორული გა-
 დაწყვეტითა და აქედან, ჯემალ მონიავას შესრუ-
 ლებაშიც ჩვენ ვერ შევიტყობინოთ თამაზ იაშვილის
 ეს ფენომენალური ნიჭი; უფრო მეტიც, სპექტაკლ-
 ში საერთოდ უგულებლყოფილია რაიმე დამახა-
 სიათებელი მინიშნეავე კი თ. იაშვილის მათემა-
 ტიკურ ტალანტზე, მაშინ, როდესაც, რომანში
 თამაზ იაშვილის ხასიათის მამოძრავებელ მარ-
 ცველს სწორედ მისი ნიჭიერება წარმოადგენს.

რომანში ერთ-ერთი გამოკვეთილი და მსატე-
 რული თვალსაზრისით საინტერესო ეპიზოდია,
 როცა თამაზ იაშვილი ბოლოს და ბოლოს, მედეა
 ზამბახიძის თანხმობას ნიაღვევას. ეს დღე ყველა-
 ზე დიდი ბედნიერების მინიჭებული გახდა თამა-
 ზის ცხოვრებაში. მწერალმა ამ მომენტს დაუკავ-
 შირა ისიც, რომ თ. იაშვილმა სწორედ იმ დღეს
 მიაგნო ურთულესი მათემატიკური პრობლემის
 გადაწყვეტის გზას. ამით მწერალმა ის ფაქტი აღ-
 ნიშნა, რომ თ. იაშვილისთვის სიყვარული სიცოც-
 ხლისა და შემოქმედების სტიმულია.

პიესის სერიოზულ ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ,
 რომ ეს მნიშვნელოვანი მომენტი — გმირის არსე-
 ბაში მომხდარი ფსიქოლოგიური ძვრა, სულიერი
 აღტკინება და ენებათა დღეა, სასყვითი გამო-
 რიცხვლია და იგნორირებული. სპექტაკლში უბ-
 რალოდ მინიშნებულია, რომ თ. იაშვილმა ცო-
 ლად შეირთო მ. ზამბახიძე, მაგრამ რა გარდატე-
 ზა შემოიტანა ამ ფაქტმა, რითი იყო იგი მნიშე-
 ნელოვანი და განსაკუთრებით აღსანიშნავი ახალ-



გასრულა მეცნიერების ცხოვრებაში — სრულიად ბუნ-
დოვანია მკურნალობისთვის. ამ მოვლენების გა-
მიფრისა და დაკონტრირების გარეშე დამაჯერებ-
ლობასა მოკლებული თამაშის თვითმკვლელობის
ცდა. მართალია, იაშვილისმავარი უსტი ნების
ყოფისა და ფაქიზი სულის ადამიანს ყოველთვის
შეძლო ასეთი უკადრესი გადაწყვეტილება მიე-
ღო, მაგრამ შედეგს დალტაკის შეტყობის შემდეგ
მის ქვევებას და მიღებულ გადაწყვეტილებებს
უფრო მეტი შინაგანი გამართლება ექნებოდა,
მწერალსა და რეჟისორს სცენაზედაც რომ შენარ-
ჩუნებინათ ამ ეპიზოდთან გამომდინარე ის ლო-
გიკური კვანძი, რაზედაც შემოთ გვექონდა საუ-
ბარი.

საქეტაკლში იდევ ორი დადებითი პერსონაჟია
გამოყვანილი — თათარის საცოლუ ნატა (ნ. ჩიქ-
ვინიძე) და ექიმი (გ. კოსტავა). უნდა აღვნიშ-
ნოთ, რომ მსახიობების დიდი მონდობება — ხორ-
ცი შეესხათ თავიანთი გმირებისათვის — ამაო აღ-
მორიდა. ამის მიზნუკი, უპირველეს ყოვლისა,
პიესის დრამატურგიაში უნდა ვხედავთ. მაგრამ
ყველაფერი რომ პიესას დაავარაულოთ, არც ეს ექ-
ნება სწორი.

თითქმის უსიტყვო ეპიზოდი აქვს თამაშ გამ-
ყრედიქს (სტუდენტი), მაგრამ როგორი ზუსტი
ცხოვრებისეული საღებავებით გაამდიდრა ეს სა-
ხე მსახიობმა! როგორ ნაოლად წარმოგვიდგინა
ყალბთანდი და ზვას აცდენილი ახალგაზრდის
პორტრეტი!

ასეთივე სიმკვეთით წარმოგვიდგინა ბ. გო-
გინაევამ ოფიციატის უმნიშვნელო როლი. ნაძა-
ლაღვად მოციმიციმე თვალები, ყალბი ღიმილი,
ხელოვნურად შექმნილი საქმიანი თერა და ნაბი-
ჯები — აი, ასეთი სატირული ფერებით შემოსა
მსახიობმა ოფიციატრი.

საქეტაკლში ჯეროვნად არ არის გახსნილი საქ-
მოსანთა წრის წარმომადგენელთა სოციალური
ბუნება. რეჟისორმა ნ. გაჩავამ ვერ შესძლო შე-
ნარჩუნებინა სახათების ის სიმართლე და ზუს-
ტი კოლორიტი, რითაც მწერალმა დააჟილოვო-
თითოეული მათგანი. ამ გათვობებამ მეტ-ნაკლე-
ბად თავი იჩინა მსახიობთა შესრულებაში.

სწორსაზოვნად წარმოგვიდგინეს თავიანთი რო-
ლები ვ. კეტიაშვილმა (მიშა), პ. ინჟირველმა
(არჩილი), ვ. თანდილაშვილმა (გიჟო ხელაძე)
და ა. ბუაქამ (თენგიზი), თუმცა აქვე უნდა აღი-
ნიშნოს, რომ ცალკეული დეტალები მსახიობებს
მსხვილონიერულად აქვთ მიგნებული.

გ. გელოვანი თავის გმირს გვიხასიათებს, რო-
გორც ზედმეტად თავდაჯერებულს, რომელიც „ზე-
მოდას“ დაჭურებს ყველას და ყველაფერს, ცო-
ნიკურად, ირონიულად აფასებს მოვლენებს. პ.
ინჟირველის არჩილი უფრო „დინჯია“, „ტაქ-
ტიანი“ და ცხოვრებისეული ალღოს მქონე. გიჟო
ხელაძე ვ. თანდილაშვილის შესრულებით გრძო-
ბებსა და ემოციებს ადვილად ამყლით „ძველი

ბიჭია“, წერვილი და აგრეპიული. ა. ბუაქამის თე-
გის კი საკუთარი „მა“ დაკარგული აქვს, მგერ-
თავისი „მხაკაცების“ იმედით სულდგმულობს.
უმნიშვნელო ფუნქცია შეუნარჩუნეს საქეტაკ-
ლის ავტორებმა შედეგა ზამახიძემ. მიუხედავად
ანისა, მსახიობმა მ. ბიბილივილიმა შესძლო შე-
ვემნა თვალმიმტეი, მაცდური და ცხოვრების გე-
ზის თავის სასარგებლოდ წარმართული ახალ-
გაზრდა ქალის დამაჯერებელი სახე.

მუდამ თავადერილი, თვითმკაყოფილებით აღ-
სასვე სახე, სიამაყისაგან მიზნდელი თვალმეტი,
მკაცრი ტონი, საქმიანი ნაბიჯები — აი, გამო-
სახვის ის საშუალებები, რითაც გონებაშეზღუ-
დული მთავარი რედაქტორის მიზრონ ალაგვის
პორტრეტი გამოძერწა გ. ტატიშვილმა.

ლ. ცხვარიაშვილმა პირო. ნიკო კაკაბაძის რო-
ლში გამოკვეთა უსულგულო ვაიმეცნიერის გეო-
ზში. თ. ნივარაძესთან პრინციპული საუბრის
სცენაში მსახიობს უნდა ვერჩიოთ მეტი ემოციისა
და შინაგანი მუღალბაების გამოხატვა, რათა ლო-
გიკური გამართლება ჰქონდეს მის იძულებით
თანხმობას.

განმასხვავებელი და კოლორიტული შტრიხები
მოუძებნეს თავიანთ გმირებს ა. კობალაძემ
(პროფ. დავით თაგვიანიშვილი) და ვ. ოსაძემ
(პროფ. იაკვ დიდიძე), თუმცა მათ შესრულებაში
ნაკლებად მოჩანს ის ძირითადი ხაზი, რითაც
ისინი უშუალოდ უპირისპირდებიან დადებით პე-
როსონაჟებს.

მაშია მალაზონია საქეტაკლიდან საქეტაკლში
იზრდება, როგორც მხატვარი — შემოქმედი. მის
ასალ ნამუშევარში, პირველ ყოვლისა, გვიხიდავს
ეპოქისა და სტილის შეგრძნების უნარი, უაღრე-
ვად თანამედროვე თვალთვალს, სცენის მეტად
„მომჭირნედა“ გამოყენება. თუმცა, ზოგჯერ ეს
„მომჭირნეობა“ მეტისმეტად ძარცვავს და აღარი-
ბებს სცენურ ატმოსფეროს.

ჩვენი აზრით, კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძეს
უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ღრმად ჩასუ-
ვდომოდა მთავარ მოქმედ გმირთა სულიერ ხვე-
ვლებს, რითაც ხელს შეეწყობდა საქეტაკლის
საკვანძო და პრობლემატური ადგილების სახგას-
მასა და გამოკვეთას.

პიესა „თვალი პატოსისში“ წამოჭრილი უაღ-
რესად ცხოვრებისეული, მტკიცეული და დამა-
ფიქრებელი პირობებები ჩვენი თეატრის ერთ-
ერთი დიდმნიშვნელოვანი საზრუნავიკია. დღეს,
როდესაც ჩვენი რესპუბლიკის ყველა პატოსისანი
მშრომელი ესწრაფის დაუზოგავად ებრძოლას
საზოგადოებაში ჯერ კიდევ შემორჩენილ მანკიე-
რებებს, „თვალი პატოსისის“ იდეური საჯანსაღე
და პუბლიცისტური შემართება კიდევ უფრო თვა-
ლსაჩინო გახდა. ამიტომ თეატრის კოლექტივმა
უნდა გამოიხიოს გზები საქეტაკლის სრულყო-
ფილი სახის მისაღწევად, რადგან, ჩვენი დღე-
რწმენით, ის მეტად დროულად და საჭირო საქე-
ტაკლია.

გ. თაქთაქიშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობას უკვე კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი. მან ქართულ მუსიკალურ კულტურას შესძინა შესანიშნავი მონოგრაფია „ვეგენი მიქელაძე“, რომელიც გასულ წელს ხელმოწერდ გამოიცა მოსკოვში. ამ წიგნმა საბჭოთა მკითხველებს წარუდგინა და გააცნო უნიჭიერესი ქართველი დირიჟორი — ე. მიქელაძე.

თვით გ. თაქთაქიშვილი უადრესად საინტერესო პიროვნება და მრავალმხრივი მუსიკოსია. იგი ათეული წლების მანძილზე დაუღალავად იღვწის ქართული მუსიკალური კულტურის სხვადასხვა უბანზე. ეს დიდად ნიჭიერი ვიოლონჩელისტი თვითონაც ნერვავდა სამემსრულებლო ხელოვნების მაღალ ტრადიციებს, როგორც საკუთარი არტისტული შემოქმედებით, ისე უადრესად ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით. მართლაც, გ. თაქთაქიშვილის სახელთან დაკავშირებულია ქართული მუსიკალური კულტურის მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელთა შესწავლა და შეფასება მომავლის საქმეა.

გ. თაქთაქიშვილი წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო კვანტეტის ფორმირებასა და განვითარების პროცესში. ამის გამო ეს გამოკვლევა განსაკუთრებით ფასეულია: იგი შექმნის ქართული კამერული ანსამბლების დარგში მიმდინარე იმ რთულსა და თავისებურ პროცესებს, რომელთა უშუალო მონაწილე თვითონვე იყო ავტორი. მაგრამ გ. თაქთაქიშვილი მხოლოდ ამ პერიოდით როდი შემოიფარგლა, მან საფუძვლიანად შეისწავლა ის მნიშვნელოვანი ისტორიული წინამძღვრები, რომლებმაც ნიადაგი შეუმზადეს ჩვენში კამერული შემსრულებლობის აღმოცენებასა და განვითარებას.

მკითხველის წინაშე იშლება მე-19 საუკუნის I ნახევრის მუსიკალური ცხოვრების საინტერესო პანორამა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიოდაა, რადგან სწორედ მაშინ ევროპაში დაიწყო საფუძველი საშინაო მუსიკირების შესანიშნავ ტრადიციას, რომელმაც სხვადასხვა ტიპის კამერული ანსამბლები (ინსტრუმენტული და ვოკალური) წარმოშვა. ანსამბლური მუსიკირების ძირითადი კერები შეიქმნა გამომჩენილი ქართველი მოღვაწეების ოჯახებში.

გ. თაქთაქიშვილი ღრმა მოწიწებით იხსენიებს მუსიკალური კულტურის ნამდვილ პროპაგანდისტებსა და მეცენატებს — ალექსანდრე ჭავჭავაძეს, სოლომონ დოდაშვილს, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს, რომან ბაგრატიონს, მანანა ორბელიანს და სხვებს, რომელთა ლიტერატურულ საღამოებში მუსიკას დიდი ადგილი ეთმობოდა. სწორედ აქედან იწყებს გ. თაქთაქიშვილი ქართული კამერული შემსრულებლობის ისტორიას.

წიგნში განხილულია პირველი ქართველი პროფესიონალი მუსიკოსების, პეტერბურგის კონსერვატორიის კურსდამთავრებულების საფუძველზე საგანებისა და ალიოზ მიხანდარის მოღვაწეობა, რომლებიც მთელი შეპირებებით ემსახურებოდნენ მუსიკალური განათლების დაფუძნებას, ეროვნული კადრების აღზრდას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა და უკავშირდებოდა კამერულ-ინსტრუმენტული შემსრულებლობის წინსვლას.

აქვე გ. თაქთაქიშვილი მადლიერებით იხსენიებს იმ არაქართველ მუსიკოსებს, რომლებიც თავდებობდნენ ნერვადნენ პროფესიულ მუსიკალურ ტრადიციებს, როგორც თბილისში,

ცნობილი პუსიკოსისა

ღ კ

პელაგოპის ნიბნი

ლუარსაბ იაშვილი

ასლასნს გამოცა ცნობილი მუსიკოსის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ გიორგი თაქთაქიშვილის წიგნი „საქართველოს სიმებიანი კვანტეტის და საფორტეპიანო ტროის ისტორიისათვის“ (რუსულ ენაზე, გამომცემლობა „განათლება“, 1973 წ.) ამ მნიშვნელოვანსა და ფრიად სერიოზულმა გამოკვლევამ მთელი ქართული მუსიკალური საზოგადოების კმაყოფილება და მადლიერება დაიმსახურა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ავტორმა სკრუპულოზური სიზუსტით გააცოცხლა კამერული შემსრულებლობის ისტორია, რომელიც საქართველოში გასული საუკუნიდან იღებს დასაბამს. ეს ნაშრომი სარგებლობას მოუტანს ეროვნული მუსიკალური კულტურის მკვლევარებს და ყველა იმ სპეციალისტს, რომელიც მუსიკალური ხელოვნების ამ რთულსა და სპეციფიკურ სფეროს ემსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ გ. თაქ-

დედაეკლესიის, სადაც ნაყოფიერ საშემსრულებლო თუ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. ავტორი აღწერს აგრეთვე გახული საუკუნის დამღვევ ჩვენს დედაქალაქში საცაბატოლო ჩამოსხმის გამოჩინილი კომპოზიტორებისა და შემსრულებლების (ჩაიკოვსკი, ა. რუბინშტეინი, იპოლიტოვ-ივანოვი, შალიაპინი, ესპიოვა, დავიდოვი, გუზიკოვი და სხვ.) კონცერტებს, მუსიკალურ პროგრამებს, მათ მონაწილეობას კამერული მუსიკის საღამოებში და ა. შ.

გზადავა გ. თაქთაქიშვილი მკითხველს აცნობს ნიჭიერ ქართველ ინსტრუმენტალისტებს, რომელთა შორის არიან — პირველი ქართველი მევიოლინე ა. ყარაშვილი, ვიოლონჩელისტი ი. სარაჯიშვილი, პირველი ქართველი მევიოლინე ქალი — თ. ძნელაძე, ვიოლონჩელისტი ი. აბაშიძე და სხვები. ამ შესანიშნავმა მუსიკოსებმა, გამოჩინულ ქართველ კომპოზიტორებთან (ზ. ფალიაშვილი, დ. არაქიშვილი, მ. ბალანჩივაძე) ერთად, ბევრი რამ გააკეთეს საქართველოში ინსტრუმენტული ანსამბლების (ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი) ფორმირებისათვის.

ქრონოლოგიურად მიჰყვება რა ავტორი კამერული ინსტრუმენტალისტების განვითარებას, ვრცლად იხილავს 1922 წელს „ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ დარსების ფაქტს. მკითხველი ეცნობს ამ საზოგადოების მრავალმხრივ მოღვაწეობას, სახელდობრ, სიმებიანი ორკესტრის ჩამოყალიბებას. ეს ახალგაზრდული კოლექტივი თანდათან გადაიზარდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ი. ფალიაშვილი, შემდეგ კი ე. მიქელაძე. ამასთან ერთად, სწორედ ამ საზოგადოებამ ჩაყარა საფუძველი პირველ ქართულ პროფესიულ სიმებიან კვარტეტსა და საფორტეპიანო ტრიოს. ავტორი არა მარტო აღნიშნავს ამ კოლექტივების პირველ შემოქმედებით ნაბიჯებს, არამედ იმ დიდ ღვაწლსაც, რომელიც მათ დასდეს თვით ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის განვითარებასაც. სწორედ ამ კოლექტივებმა მისცეს შემოქმედებითი საფუძვი ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების პირველ ოპუსებს: შ. თაქთაქიშვილის I სიმებიანი კვარტეტი, შ. აზმაფთარაშვილის სუიტა კვარტეტისათვის, ი. ტუსიკაის „ჩელა“, შ. ასლანიშვილის „ნანა“ და სხვა. სწორედ ამ ავტორებმა, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტთან ერთად, დასახეს ქართული კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის განვითარების გზა.

გ. თაქთაქიშვილი დაწერილებით აღწერს პირველი ქართული კვარტეტის მთელ შემოქმედებით ცხოვრებას — რეპერტუარს, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა და მდიდრდებოდა დასავლეთის, რუსული და ქართული მუსიკის ნიმუშებით, რეპერტივებს, საკონცერტო გამოხატვებს, გასტროლებს... (როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. თაქთაქიშვილი თვით შედიოდა ამ კვარტეტის შემადგენლობაში, ამ სტრიქონების ავტორთან ერთად), იგი მკითხველს აცნობს თავის კოლექტს — ყველა იმ მუსიკოსს, რომელიც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა, ან უკვავდა ამ კოლექტივში.

ავტორი, მისთვის ჩვეული კეთილი იუმორით, აღწერს სხვადასხვა თავგადასავლებს, გულთბილად იგონებს მეგობრებს, სავანეებოდ აღნიშნავს იმ მაღალედიან უროტიერთობას, რომელიც ანსამბლისტებს შორის იყო დამყარებული.

წიგნში თანმიმდევრული სისუსტიითაა განხილული ქართველი კვარტეტისტების თაობათა ცვლის პროცესი, რამაც წარმოაჩინა კამერული შემსრულებლობის დარგში ეროვნული ტრადიციების განვითარების თვალსაჩინო სურათი. ამ პრო-

ცესში დიდი წვლილი შეიტანა სახელმწიფო კვარტეტმა ცნობილი ინსტრუმენტალისტების — ბ. ჭიკაურის, გ. ხატაგაიშვილის, ა. ბეგალიშვილისა და გ. ბარნაბიშვილის შემადგენლობაში. ამ ნიჭიერმა კოლექტივმა ფართოდ გაითავა სახელი და პრადოს საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება მოიპოვა. ამავე დროს ეს ანსამბლი მჭიდროდ შემოქმედებით კავშირში იყო ქართულ კომპოზიტორებთან, რომლებიც სხვაგვარად მისთვის ქმნიდნენ ნაწარმოებებს. ასე შეიქმნა ს. ცინცაძის მინიატურები და კვარტეტები, ნ. გულიაშვილის, რ. ვაგნაძის, ა. შავერაშვილის, ს. ნასიძის, ნ. ვაჭაძის და სხვათა ნაწარმოებები.

მიუხედავად იმისა, რომ გ. თაქთაქიშვილი მთელ რიგ სპეციფიკურ საკითხებს განიხილავს, ეს წიგნი ფართო მკითხველისთვის მაინც ხელმისაწვდომია. ავტორმა მაგონ პროფესიულ საკითხებზე პოპულარულად მსჯელობის ფორმას, რაც ამ ნაშრომის კიდევ ერთ ღირსებას შეადგენს. ინტერესს აღძრავს ფოტომასალა, რომელიც წარმოგვიდგენს გამოჩინულ ქართველ მუსიკოსებს, კვარტეტისა და ტრიოს სხვადასხვა შემადგენლობებს.

აღნიშნული წიგნი საქმის იმდენად ღრმა ცოდნითა და სიყვარულითაა დაწერილი, რომ იქნებ ცოტადენ ხარკვებზე აღარც კი ღირდეს აპაზარაგი. ვიტყვი მხოლოდ, რომ კარგი იქნებოდა ავტორის უფრო დაწერილებით მოეთხრო შესანიშნავი კომპოზიტორის, პირველი ქართველი მევიოლინისა და პედაგოგის ანდრია ყარაშვილის პიროვნებაზე. მართალია, გ. თაქთაქიშვილი აღნიშნავს მის დიდ დამახსურებას, მაგრამ უფრო მის შემოქმედებაზე, სახელდობრ ა. ყარაშვილის სიმებიან კვარტეტზე, ამახილებს ყურადღებას. მისი პედაგოგიური დამახსურება კი შედარებით ნაკლებად არის გაშუქებული, მაშინ, როდესაც ა. ყარაშვილმა მრავალი მუსიკოსი აღზარდა: რ. ჩხიკავაძე, ლ. დინაძე, ლ. ფალიაშვილი, შ. ასლანიშვილი, გრ. კილაძე, ი. ტუსიკაი, ა. ანდრიაშვილი, მ. ძიძიშვილი და სხვები.

დასაბნიათ, რომ ამ წიგნში არ არის მოხსენებული საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის ახალი შემადგენლობა, რომელშიც შესანიშნავი ინსტრუმენტალისტი — კ. ვარდლავი, თ. ბათიაშვილი, ნ. ჭვანი და თ. ჩუბინიშვილი — გაერთიანდნენ გამოჩინული მუსიკოსის, პროფესორ გ. ბარნაბიშვილის ხელმძღვანელობით. გამოკვებულია აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ტრიოს — მ. მღვიანი, ნ. იაშვილი, თ. გაბრიაშვილი — არსებობის ფაქტიც.

მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ყოველდღე ეს ხელმოწვევა მოცემისას შეგახსნის ამ ისედაც ფასეულ წიგნს, რომელიც მომავალში ქართულ ენაზე უნდა გამოქვეყნდეს და ტექნიკურად გაიცელებით უკეთ იქნას დასტამბული.

დისკუსია

თეატრი

ლ ე

მაცურებელი

ღრმა და სერიოზული პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლის მძაფრ ვითარებაში დაიწყო ახალი, 1973-74 წლების თეატრალური სეზონი. ბუნებრივია, რომ თეატრი განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან ძვრებთან. იგი, როგორც ადამიანის გრძნობებსა და გონებაზე ზემოქმედების უდიდესი ძალა, როგორც ესთეტიკური აღზრდის მძლავრი საშუალება, ცხადია, არ უნდა ჩამორჩეს ეპოქალურ მოვლენებს. არათუ არ უნდა ჩამორჩეს, შთამაგონებლად უნდა სახავედეს კიდევ ახალი საზოგადოებრივი იდეალების რეალური განხორციელების შესაძლებლობებსაც.

ამასთან დაკავშირებით, დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას თეატრისა და მაცურებლის ურთიერთობის პრობლემა. შემთხვევითი როდია, რომ ამას წინათ გაზეთმა „პრავდა“ სწორედ ამის შესახებ გაამახვილა ყურადღება თავის მიწინავეში — „თეატრი და მაცურებელი“ („პრავდა“, 24 ნოემბერი, 1973 წ.), სადაც საზგამსით იყო აღნიშნული, რომ სცენური ხელოვნებისაღმი მაცურებლის მოთხოვნილება მრავალი ფაქტორით განისაზღვრება, რომ ყოველი შემოქმედებითი კოლექტივი თავისი ქალაქის, ოლქის, რესპუბლიკის ცხოვრების კონკრეტულ ვითარებასთანაა დაკავშირებული.

კიდევ უფრო ადრე, „პრავდა“ მოგვითხრობდა ლიტვაში პანევეჟსკის, ლატვიაში ვალმიერის, ხოლო ესტონეთში ტარტუს თეატრების შემოქმედებით გამოცდილებაზე. იქ მათი წარმატებების ერთ არსებით მიზეზად მითითებული იყო თავიანთი მაცურებლის მოთხოვნილების საუკეთესო გაგება, საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კავშირისათვის აუცილებელი მრავალფეროვანი ფორმის გამოიანჯის უნარი.

პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებზე დაყრდნობილი საბჭოთა თეატრისთვის უცხოა ყოველგვარი ფორმალისტური იდეოლოგია, თვითმზნუნრი ექსპერიმენტები. მისი იდეურ-ესთეტიკური პროგრამა ყოველთვის გათვალისწინებულია ფართო დემოკრატიული აუდიტორიისთვის. ჩვენს ქვეყანაში უკვე 550-ზე მეტი დრამატული და მუსიკალური თეატრი ემსახურება მშრომელ მასებს და ეს კიდევ უფრო მეტად ზრდის პასუხისმგებლობას — თითოეულმა მტკიცედ შეინარჩუნოს ესოდენ „ყველასათვის მისაწვდომი“ ხელოვნების ავტორიტეტი.

ახალი სამყაროს მშენებელმა ად.მიანმა დიდი ხანია გამოავლინა თავისი ძლიერი ხასიათი, მაღალი ჰუმანური სულისკვეთება და დაუოკებელი სწრაფვა ნათელი მომავლისა-



კენ. ამავე მიზნით მკურნალები — ეს იგივე ახალი სამკურნალო მშენებელი — სულ უფრო მეტი დანიტყვებით მიიღობის ხელოვნების იმ „ჭეშმარიტი ტაძრისაკენ“, რომლის მიზანია წარმოვიდინოს ჩვენი თანამედროვე მშრომელი ადამიანების საქმიანობა, ცხოვრება. ქართული თეატრის კორიფეიჯი ხომ არაფრე შენიშნავდნენ ახალს.

— თანამედროვეობის გარეშე თეატრი არ არსებობს, — ამბობდა კოტი მარჯანიშვილი.

— მე ყოველდღიურ საქმიანობაში ვხედავ უდიდესი აზრების მატარებელ გიგანტებს, მინდა, რომ სცენაზე ვიხილოთ გმირები. დიდი აზრების თეატრის გარეშე ჩვენ შუამობა არ შეუძლია, — წყვედა სანდრო ახმეტელი. სწორედ ახლა არსებობს ყველა საფუძველი ამ დიდებულ წინაპართა სურვილებისა და მოწოდებების განსახორციელებლად. არის კიდევ ამის სერიოზული ცდილი. დღეს უკვე საგრძნობლად მიღწევები გაგვიანია სარეჟისორო თუ მასახიობო ხელოვნებასა და თეატრალურ მხატვრობაშიც. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არიან ცნობილი ჩვენი ქართველი რეჟისორები, ძველი და ახალი თაობის ნიჭური მსახიობები, თეატრალური მხატვრები, კომპოზიტორები, რომლებიც საგრძნობლად გაამდიდრეს ქართული თეატრალური ხელოვნება.

კანონიერად ვემაყობთ რა თანამედროვე ქართული, მოძველებული რესპუბლიკებისა თუ კლასიკური დრამატურგიის საფუძველზე შექმნილი იმ ნათელი და თვალსაჩინო სპექტაკლებით, რომლებმაც თავისი ორიგინალური განხორციელება ჰპოვეს სკკ XXIV ყროლობის ისტორიული დადგენილების შემდეგ, ისიც უნდა გაიღაროთ, რომ თითქმის რამდენიმე თვითმყოფილებსაც ვეძღვეთ და ნაკლებად ვსჯავლობთ იმ არსებითი მიზეზების შესახებ, რომლებიც დამატრკოლებულ ჯეზირებადაა აღმართული ჩვენს ყოველდღიურ თეატრალურ ცხოვრებაში.

1 ჩვენს ხალხს უყვარს თეატრი. მით უმეტეს, როცა იგი სცენაზე ხდავს თავის თანამედროვე სამავალით გმირს. იგი მოითხოვს, რომ სიჩუქება და სპექტაკლებმა დაინტერესოს და ააღვლოს, სისარული მინიჭოს მკურნებელს, ღირსეულად ემსახურებოდეს მასების ესთეტიკური აღზრდის საქმეს. ჩვენი მკურნებლის კულტურული მოთხოვნილებები განუზომლად მაღალდა. იგი კანონიერად მოულის, რომ ყოველი ახალი სპექტაკლი დამატრეხელი ფაქტი იყოს ჩვენი მსახიობებისა და რეჟისორების ზრდისა, სცენური კულტურის სრულყოფისა.

განა ყოველთვის სრულდება ეს სამართლიანი მოთხოვნები ხალხისა? თავის მოტყუება იქნებოდა, სრული თანხმობით გვეპასუხა ამ კიბივასზე. ცალკეული წარმატებების გვერდით, ისიც აშკარად შეიმჩნევა, რომ ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა თეატრის მკურნებელთა დარბაზი არცთუ ისე ხშირად იყვება, თუმცა, როგორც ვთქვით, თითქმის საგრძნობლად რაოდენობით გაგვიანია ისეთი პიესები და სპექტაკლები, რომლებმაც ფართო აღიარება პოივეს. მაშასადამე, უფრო ღრმანალოში სჭირდება იმის გაგებას, თუ რა უდევს საფუძვლად ჩვენი თეატრალური ცხოვრების ნაკლოვანებებს.

ახალი თეატრალური სეზონის დასაწყისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დიდი საუბარი გაიმართა თეატრის აქტუალურ პრობლემებზე. მხილებული იქნა ბევრი სერიოზული ნაკლოვანება, რომლის აღმოსაფხვრელადაც დაიასხა ახალი პერსპექტივები.

რესპუბლიკის თეატრების ხელმძღვანელობას უდავოდ

ჩვენი საგულისხმო მკალონის შთავაზონებს გასული წლის 23 სექტემბერს გაუთ „პრავდაში“ (№ 266) კვლადიერ გომდრე ფედლის მიერ გამოქვეყნებული წერილი „ალიარება, მორუდბაცა“, რომელიც ლატვის ე. ვალმიერის სახელოვან თეატრის ებება. ეს წერილი და მასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც უშუალო კავშირი აქვთ თეატრისა და მკურნებლის ურთიერთობასა თუ პროვინციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას საჭირობოტო პრობლემასთან, ფართო განხილვას იმსახურებს ჩვენი რაიონული თეატრების ხელმძღვანელების მიერ.

ბევრს გამოადგებოდა შესწავლა იმისა, თუ როგორ მოიპოვა კილოდენი პოპულარობა ლატვისი დედაკოლაქიან დასეულო ეთლომერი დავილეუბ პატარა ქალაქ კალიმორში (რომელიც ფაქტურად იმის შემდგომ ხელახლა იქნა აღდგენილი) არსებულმა „პატარა“ თეატრმა. ახლა უკვე მას შესანიშნავი ახალი შენობა გააჩნია, მაგრამ ის ფართო აღიარება, რომელიც მან მოიპოვა, ამ შენობასთან როდია დაკავშირებული. შეძლება ითქვას, რომ ეს აღიარება ამ თეატრის მიერ განვლილი გმირული გზის ჭეშმარიტი შედეგია. ხალხმა თავიდანვე შეუყვარა იგი, უპირველესად, შემდეგი არსებითი მიზეზების გამო:

1. თეატრმა იმთავითვე მიიპყრო ურადლება საინტერესო რეპერტუარის შერჩევით. კლასიკური დრამატურგიისაღმე მუდმივ ურადლება შეუთავსა თანამედროვე ცხოველყოფილ თმატურ ინტერესებს, ხოლო ლატური დრამატურგიისა და ხალხური მოქმედებებისაღმე ფაქტში დამოკიდებულება — მოძმე რესპუბლიკების დრამატურგიის ფართო ათვისებას.

2. საინტერესო რეპერტუარის განხორციელებამ თავისთავად განაპირობა საინტერესო რეჟისურა და საერთოდ ერთიანი შემოქმედებითი იღეთი შემოქმედებითი მხატვრული კოლექტივის არსებობა. დასში სულ ორმოცდახუთი წევრია.

3. ვალმიერის თეატრის კოლექტივი მეგობრულად გაერთიანებული სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებისაგან შედგება, რომელთაგან, მიუხედავად განვლილი რთული პირობებისა, თეატრი არავის არ მიუტოვებია. პირობები კი, როგორც ეს საერთოდ ახასიათებთ რაიონულ თეატრებს, ახლაც საკმაოდ რთული აქვთ: მუდმივი გასტროლები არა მარტო ახლობულ ცენტრებში, არამედ შორეულ და თეატრალური დადგენბისათვის ნაკლებად კეთილმოწყობილ სოფლებშიც. წელიწადში ხუთასი სპექტაკლიდან მხოლოდ ას სპექტაკლის ურეგულბად თავიანი თეატრბ, დანარჩენ ოთხასს კი ორასამდე სხვადასხვა სცენაზე წარმოადგენენ. მუდმივად დღეში სამი სპექტაკლის ჩვენება უხდებათ. სწორია შემთხვევა, როცა თეატრი დღია ცისქვეშა მართავს სპექტაკლებს. პარტიული ხელმძღვანელობა ყოველთვის დიდი გულისხმირებით ეპყრობა ვალმიერის თეატრს, სისტემატურად ესწრება მის სპექტაკლებს, რაც თავის მხრე კიდევ უფრო ამაღლებს ამ კოლექტივის შემოქმედებითი პასუხისმგებლობის ვარძობას.

მაღალი პროფესიული დონე, თეატრისა და მკურნებლის ფანატური სიყვარული და გმირული ამტანიანობა — აი საფუძველი ვალმიერელთა წარმატებისა.

საბედნიეროდ, მსგავსი მაგალითი ჩვენს რესპუბლიკასაც გააჩნია მესხეთის ახალგაზრდა თეატრის სახით. მისი პოპულარობის არსებითი მიზეზიც ყველა ზემოთ აღნიშნული საფუძველია. მაგრამ განა ასეთივე მაღალი შენეებით მოქმედებს ბევრი ჩვენი რაიონული თეატრი, სადაც გამუდმებით იცვლებიან რეჟისორები, ვლინდება კონფლიქტი თაობათა შორის,

დღიანსა ვერ სძლებენ მსახიობნი და ნაკვალად მაღალი პროფესიონალიზმისა, სცენაზე ადგილი დამუკვიდრებია პროვინციალიზმს? ამის შესახებ არავითარსეულ თქმულა პრესაშიც, მაგრამ შედეგი მაინც არა სჩანს. მთელ რიგ რაიონულ თეატრებს ისევ გულწრფელად ეყრბობა ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელობა, რის გამოც საგრძნობლად ქვეითდება შემოქმედებითი პასუხისმგებლობის გრძნობაც. თეატრში სახარული ადგილებლობად უნდა იქცეს! ეს კი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ რაიონულმა ხელმძღვანელობამ უნდა ითავოს.

ქართული დრამატურგები ვერ ისევ ვალში არიან ჩვენი თეატრის წინაშე, რომელიც მწვავედ განიცდის ეპოქალური ხასიათის დიდი მოქალაქეობრივი ძვლადობის პიესების ნაკვლებობას. გასათვალისწინებელია ირენენ ჩვენი დრამატურგების მიმართ ჩვენი ლიტერატურული ჟურნალები და გამომცემლობები, თითქმის დრამატურგია ლიტერატურის დარგი არ იყოს. მწერალთა კავშირსა და თეატრალურ საზოგადოებაში იზიარება ეჭვითა და დისკუსიებით თანამედროვე დრამატურგის პრობლემებს.

განსაკუთრებული კვლევის საგანს უნდა წარმოადგინდეს ახალგაზრდა თეატრალური კადრების აღზრდის საკითხი. არადაამაყყოფილებლად მუშაობს თეატრული ახალგაზრდა მსახიობებთან. ბოლო ხანს, შეიზინვეა დუბლირების სისტემის მოშლაც და ამასთან დაკავშირებით ისიც, რომ ახალგაზრდა მსახიობების იზიარება ან სავსებით არ ეძლევათ წამყვანი როლები წარმოდგენებში.

თუ მივიჩნევ სეზონის რეპერტუარის მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ მრავალფეროვანია. ხასში არის კლასიკურიც და თანამედროვე ქართულიც და მოძმე რესპუბლიკების დრამატურგიაც, არის იხსენიებული და გამომკეთებული პიესები... ახლა საზრუნავი ისაა, რომ ეს საინტერესო მრავალფეროვნება მხოლოდ გარეგნული არ აღმოჩნდეს. მთავარია, რომ არა გვაქვს ნაძვლივად მიიშენილოვანი ქართული ორიგინალური საწარმოებები დღევანდელ დღეს.

ჩვენი დედაქალაქის თეატრალურ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მიზეზი გამოიხატება შემოქმედებით კავშირებთან, უპირველესად კი საქართველოს სსრ მწვერალთა კავშირთან თეატრების საქმიანი თანამშრომლობის შესუსტებაში. ნაკლებად იდგმება წარმოდგენები უმცროსი და პირენული ასაკის ბავშვებისათვის, ხოლო უფროსკლასელთათვის გათვალისწინებული აპეტეტალების მხატვრული დონე ზოგჯერ ვერ აკმაყოფილებს მათ ასაკობრივ მოთხოვნებს.

არადაამაყყოფილებლად მუშაობენ პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ შექმნილი კომისიები ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის გაძლიერებისათვის. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქმის თეატრებს ყურადღებით არ განუხილავთ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის 1971 წლის 30 ივნისის შესაბამე უბნურების გადაწყვეტილებანი „ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში ინტელიგენციის როლის გაძლიერების მიზანრეული“.

საკმაო დრომ განვლო მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“. იქ აღნიშნულია, რომ საერთოდ კრიტიკის მდგომარეობა ვერ კიდევ არ შეესაბამება მთლიან მოთხოვნებს, რომლებსაც განსაზღვრავს კომუნისტურ მშე-

ნებლობაში მხატვრული კულტურის სულ უფრო მხარდასრული. ამასთან დაკავშირებით პრესის ფურცლებიდან ვერ ვხედავთ კრიტიკის მხოლოდ დაპირებები გვესმის. სახეობის ისევ ისე გასაკეთებელი ვერჩება. კრიტიკა კვლავ გვერდს უშლის ახალ დადგმებს, ნაკლებად იბეჭდება რეცენზიები და რაც იბეჭდება, ისიც ხშირად შედაპირული და შეტანილი დაგებული ხასიათისაა. პირდაპირ რომ ვთქვათ, დაბალ დონეზე დგას. თითქმის სრულიად ყურადღებოდ არიან მიტოვებული საართონ თეატრები, არ იბეჭდება რეცენზიები, შემაჯამებელი სტატიები, ასეთი ვითარება კი უკვე მოუთმენელია.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციაში ხშირად შემოდის კრიტიკული წერილები როგორც დედაქალაქის, ასევე რაიონული ცენტრების მაცურებლებისაგან. ისინი გულისტკივილს გამოთქამენ იმის გამო, რომ ჩვენს თეატრებში ვერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი პროვინციალიზმის ნიშნები, ეს ყველაფე საშინო მტერი ჩვენი ხელოვნებისა, რომ აუცილებელია რეისორული და მსახიობური ხელოვნების წრთობა, რომ რაც თეატრებში ჩამოყალიბდება არ არის შემოქმედებითი კულტურების საშემოდო პრინციპები.

ერთიანი შემოქმედებითი იდეით შემჭიდროებული და საკუთარი სარეპერტუარო მხატვრული ხასის მქონე თეატრების დამკვიდრებისათვის ბრძოლა, თეატრის იდეოლოგიური როლი თანამედროვე ცხოვრებაში, თეატრი და მაცურებელი, თეატრი და პროგრესის გზები თანამედროვე საზოგადოებაში, თეატრის ადგილი იმ ხელოვნებათა გვერდით, რომლებიც გაცილებით გვიან წარმოიშვნენ (მაგალითად, კინო, ტელევიზია...) სცენური ასახვის ახალი ხერხები, პროფესიული სტატობის სიმწიფე და მაღალი მოქალაქეობრიობა, თეატრალური კადრების აღზრდის თანამედროვე დონე, დრამატურგის, რეჟისურის, სამსახიობო ხელოვნებისა და სპექტაკლის მხატვრულ-მუსიკალური გაფორმების განვითარების პერსპექტივები და სხვ. აი, ჩვენი თეატრალური ცხოვრების აქტუალური საკითხები, რომლებიც კონკრეტულ გადაჭრას საჭიროებენ.

ჟურნალის ამ ნომრიდან ვიწყებთ დისკუსიას თანამედროვე თეატრალური ხელოვნების იმ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომლებიც წარმოიქმნენ ქართული თეატრალური ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია თხოვნით მიმართოს ყველას, ვისაც კი ჩვენი თეატრის ბედი აინტერესებს, მიიღოს ყველაწლები ამ დისკუსიამ.



არქივული
მიწოდება

დისკუსიის მონაწილეები: მარცხნიდან: გენალი ლონტო, გურამ თურმანიძე, ანტონ ფალიაოვი, ვლადიმერ შარაშიძე, მამულ ბოლქვაძე, ვარლამ ნიკოლაძე, მერაბ ხინიკაძე, ენვერ ჩაიძე.

დისკუსიასთან დაკავშირებით, ჩვენს ჟურნალის კორესპონდენტი ესაუბრა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროსა და ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის წარმომადგენლებს.

ლამარა ბოლქვაძე

აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი

მსსსი წლის 23 სექტემბერს გაზეთ „პრავდა-ში“ დაბეჭდილ წერილში „აღიარებაც, მოწოდებაც“ (ავტორი ვლადიმერ გოლდფელდი), ბევრი რამ არის საგულისხმო.

ვალმიერის თეატრის დასის შემადგენლობაც როდენობით თითქმის იმდენივეა, რამდენიც ბათუმის თეატრისა (იქ ორმოცდახუთია, ჩვენთან კი ორმოცდაორი). ოლიონდ განსხვავება იმაშია, რომ მისი შემადგენლობა ყოველთვის უცვლელია და ამ სამი ათეული წლის წინ ერთ მტკიცე შემოქმედებით მთლიანობად ჩამოყალიბებული და-სი დღესაც კვლავ ერთსულოვნად განაგრძობს მუშაობას. დიახ, ბევრი რამ აქვს საამაყო ვალმიერის თეატრს და იგი სამაგალითო უნდა იყოს არა ერთი თეატრისთვის...

ბევრი რამ აქვს საამაყო ბათუმის თეატრსაც, მაგრამ ეს უფრო მის ისტორიას ეხება, ვიდრე დღევანდელობას. როგორც ყოველ თეატრს, ბათუმის თეატრსაც ბევრჯერ უგემნია შემოქმედებითი წარმატებით აღძრული სიხარული და მარცხით გამოწვეული გულსტკივილიც. საყურადღებო უფრო ის არის, რომ ვინც კი ხელმძღვანელობდა ამ თეატრს, ან მუშაობდა ცალკეულ დადგმებზე — ვასო ყუბიტაშვილი იყო ეს, გაბო ლეინაშვილი,

არჩილ ჩხარტიშვილი, გიზო ჟორდანია, გიგა ლორთქიფანიძე, თუმო აბაშიძე თუ გოგი ქავთარაძე... მაინც დროებით იყო ამ თეატრში და არა-ვის მოსვლია აზრად ვალმიერის თეატრის მთავარი რეჟისორის პეტერ ლუცისის მსგავსად უსრუნა მისი ერთიანი მხატვრული სახის ჩამოყალიბებაზე.

ბათუმის სახელმწიფო თეატრი საფინანსო სავარშო გეგმებს ასრულებს და რეპერტუარიც ძირითადად აქტუალური აქვს, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ მას სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია. გასულ სეზონში თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი შეიცვალა, რამაც თან-რისა გავლენა იქონია თეატრის საქმიანობაზე. იმ ხანებში წარმოებულ ჩამწეველი სამი პიესიდან სცენაზე არც ერთი არ დაიდგა.

ამასთანავე, დადგმული სპექტაკლებიდან ყველა როდი შესაბამებდა დღევანდლობის მოთხოვნილებებს. შესაძლებლობაზე უფრო დაბალ დონეზე იქნა განხორციელებული ა. სამსონიას „ქოლგა“, მიტროფანოვის „მკვლელობა სადგურში“ და სხვ. იშვიათი როდია, როცა თეატრი სუსტ პიესას იღებს დასადგმელად. პიესების მიღებისა და განხილვის დროს სამხატვრო საბჭო ვერ იჩენს ზრინცულობას. ხდება ხოლმე, როცა სამხატვრო საბჭოს უმრავლესობისთვის ნაწინაობი, ან აბოღობელია ამა თუ იმ სუსტი პიესის ავტორი და, რომ არ აწყენინონ, უკრიტიკოდ იღებენ მთა ნაწარმოებს. სა ობიექტურობაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ სამხატვრო საბჭოს უარი ეთქვას რომელიმე დრამატურგის სუსტ პიესაზე. ვფიქრობთ, რომ სწორი იქნებოდა თუ პიესების მიღების საკითხს გადაწყვეტდა საკაბრეთლოს კულტურის სამინისტროს სარედაქციო-სარეპერტუარო კოლეგია. ეს, რასაკვირველია, არ გამოირცხავს ცხოვრებით გამართლებულ შესანიშნავ ტრადიციას — თეატრისა და დრამატურგის ურთიერთთანამშრომლობას, მაგრამ იმდ-

და თვალდასწინა სუსტი პიკების მოზღვავება, რომ იძულებული ვართ, ეს ხერხიც ვისინჯოთ.

დრამატურგია ყოველთვის უნორველს ლიტერატურულ დარგად ითვლებოდა, მაგრამ თუ იმ დრამატურგთა ნაწარმოებების მიხედვით ვისჯებოდით, რომლებიც დღეს ჩვენს თეატრს უტყვენ, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით. განა ყველა მხატვარია, ვინც ხატავს; ან ვინც ლექსებს წერს, ყველა პოეტია? უბედურება ისაა, რომ ჩვენმა დრამატურგებმა ვერ გაიგეს, ანდა არ შეუძლიათ, რომ გაიგონ, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი დრამატურგია. პიქსის ხარისხს დრამატურგის საცხოვრებელი ადგილი კი არ განასაზღვრავს, არამედ — ნაწარმოების იდეურ-მხატვრული დონე. თუ პიქსა ვარჯა, ის ყველგან გამოდგება, თვითონ თეატრები მოსძებნება მას და არა მარტო ჩვენი თეატრი, თბილისის თეატრებიც სიამოვნებით დასდგამენ.

ძალზე მოუვარებელია მსახიობთა შრომის ორგანიზაციის საკითხი. ხშირია შემთხვევა, როცა ისინი დაკავებულ არ არიან როლებში, რასაც ხელი შეუწყო დუბლიორთა სისტემის გაუქმებამ. არც ერთ რეჟისორს არა აქვს დუბლიორებთან მუშაობის სურვილი.

პიქსის მომზადების დრო მცირეა, ნამდვილად კი მეტი მუშაობა საჭირო... კიდევ მეტი უნდა ვიწროვოთ მსახიობებზე და, მით უმეტეს, მაყურებლებზე, რომლებსაც ყოველთვის აინტერესებთ მეორე შემადგენლობის ნახვაც. საქართველოს კულტურის სამინისტრომაც სათანადო შეფასება უნდა მისცეს დუბლიორების უარყოფის არასწორ ტენდენციას.

თეატრში მსახიობის პროფესიული დონის ასამაღლებლად არავითარი მუშაობა არ წარმოებს. რეჟისორები ცოტა დროს ახმარენ შემოქმედებითი კოლექტივის აღზრდას, ცოტას მოითხოვენ მისგან. ეს კი მსახიობების ინერტულობას იწვევს. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია თითქმის ყველა დარგში პროფესიული კადრების გადაშალადების მიწვეობრი სისტემა, რატომ არ შეიძლება შემოქმედებითი მუშაკების გადაშალდაც რომ ხდებოდეს?

დასაშალი როდია, რომ ბათუმის თეატრი აბონემენტების იძულებითი გავრცელებით ცხოვრობს მაყურებელთა უმრავლესობა აბონემენტს იძენს, მაგრამ თეატრში არ დადის. შემოსული თანხის მიხედვით იგი უკვე მაყურებლად ითვლება, თეატრის დარბაზი კი ზოგჯერ ნახევრად ცარიელია.

ამბობენ: იყო კარგი მაყურებელი — ესეც ხელოვნებააო. დღეს მაყურებლის აღზრდა ძალზე აქტუალური პრობლემაა. ამის მრავალი საშუალება არსებობს, მაგრამ თეატრმა და მისმა დამხმარე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დაიკვიწყეს ისეთი საუკეთესო საშუალებანი, როგორცაა მაყურებელთა კონფერენციები, სპექტაკლების განხილვები, შეხვედრები და სხვ.

სპექტაკლის პირველი მაყურებელი პარტიული და სამეურნეო აქტივე უნდა იყოს. მაგრამ ყოველთვის ასე როდია. ჩვენს თეატრში წარმოების უფროსებსაც კი ნაკლებად ნახავთ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი პოპულარული სპექტაკლი, როგორცაა „ნუ გემინია, დედა“ ბათუმის საზოგადოებრივი აქტივის დამაწარმოებელი მხოლოდ ტელევიზიით ნახა და ემიგრაციულ გარემოშია — კარგი დასი გვეყოლია.

შეიძლება ითქვას, რომ ბათუმში თეატრალური კრიტიკა საერთოდ არ არსებობს. უკანასკნელი დამიწის წლის განმავლობაში ჩვენი თეატრის სცენაზე დაიდაგ ოცი ასახლი სპექტაკლი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათზე თითო-ორთა რეცენზია თუ დაიბეჭდა. იშვიათად თუ ნახავთ ისეთ მაყურებელს, რომელსაც ამაგვარი რეცენზიების სჯეროდეს. იმიტომ, რომ ისინი უშთავრესად არაბიბლიოტეკრია. ამასთანავე სრულიად მოკლებული ვართ დედაქალაქის პრესის ყურადღებას.

არადამაკმაყოფილებელია პარტიული ორგანიზაციის გავლენა თეატრის შემოქმედებით საქმიანობაზე. იგი უხსტად ანხორციელებს ადმინისტრაციის საქმიანობაზე წესდებით მინიჭებულ კონტროლის უფლებას. იშვიათად ნახავთ მსახიობს, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე სადმე, რომელმაც დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდეს.

დღეს საქართველოში ყველა საღად მოაზროვნე, შეგნებულ ადამიანს გულწრფელად ახარებს რეაპუბლიკის ცხოვრებაში მომხდარი პროგრესული ძვრები.

თეატრი გვერდში უნდა ამოუდგეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და თ-

სცენა ბათუმის დრამატული თეატრის სპექტაკლიდან „დარისანის გასაქირა“. დარისან ქარსიძე — ი. ცანავა, კაროენა — ლ. ლომთათიძე.



ვისი სიტყვა თქვას ჩვენს ცხოვრებაში არსებულ მახინჯ მოვლენებზე, რომელთა საბოლოო აღმოფხვრას ერთი წელი რიდი ყოფა.

სხვა დიდ მოვლენებთან ერთად, დღეს ჩვენ დაგვიბრუნდა ყველაზე მთავარი და აუცილებე-

ლი რწმენა — შემოქმედებითი საქმიანობის მნიშვნელობისა. ეს კი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ განვაცხადოთ — ჩვენი თეატრის მუშაობის მიზანობაა დასახლება და განათლება იმის მიზნით, რომელიც მათ დასწრეა.

სულ უფრო ნათელი ხდება, თუ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობა რა დიდ უფრადლებას უთმობს მხატვრული შემოქმედების სფეროში მიმდინარე პროცესებსაც. გარკვეული და პრინციპიალურად ისახება ის აქტუალური ამოცანები, რომლებში თანამედროვე ეტაპზე დგას ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის წინაშე.

იმის მტკიცება, რომ შრომელთა კულტურულ და იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში მეთად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრს, ახლა ზედმეტად მიმართა.

თავის შემოქმედებითი გზაზე თეატრის მართლაც რომ ბევრი სირთულე ხვდება. ამის შესახებ უკვე მრავალჯერს ითქვა და კვლავაც ითქმება, მაგრამ არც ის იქნებოდა სწორი, არ შეგვეჩინია, რომ უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად ამაღლდა სპექტაკლების იდეურ-მხატვრული დონე და მსახიობთა საშემსრულებლო ოსტატობა. დიდად თანამედროვეობის და ისტორიულ-რეალისტური წარსულის ამსახველი პიესები, მსოფლიო, რუსული და ქართული კლასიკური დრამატურგიული ნაწარმოებები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გასული წლის დამლევსათვის ბათუმის სახელმწიფო თეატრის გასტროლებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, რაც თეატრისთვის თანამედროვე ეტაპზე საკუთარი შემოქმედებითი ძალების ერთგვარ შემოწმებას წარმოადგენდა. ფაქტია, რომ ბულ-

გარელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო ბათუმის თეატრის სპექტაკლები, ხოლო თვით ეს გასტროლები ქართველი და ბულგარელი ხალხის მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციადა იქცა.

მაგრამ აღნიშნულ წარმატებებთან ერთად, თეატრის მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს თეატრში მაყურებლის მოზიდვის მწვავე პრობლემა. მიუხედავად რამდენიმე სპექტაკლის იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებისა, ვერ იქნა და ვერ დამყარდა მკვიდრი კონტაქტი მაყურებელთან. სწორია შემთხვევა, როცა სპექტაკლს ნახევრად ცარიელ დარბაზში უჩვენებენ. ამასთან დაკავშირებით საფრთხის წინაშე დგას სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული საშემოსავლო მაჩვენებლების შესრულებაც. ცხადია, ამას უფრო ღრმა და სერიოზული მიზეზები გააჩნია, რომელიც თავის მხრივ მეცნიერულ-სოციოლოგიურ შესწავლას მოითხოვს, მაგრამ არის ისეთი მიზეზები, რომლებიც უკვე ადვილად შეიზინება და დამლევაც შესაძლებელია. ჭერ კიდევ ცოტა რომ კეთდება მაყურებლის „დასასრულებლად“. დიხს, იყო კარგი მაყურებელი — ესეც ხელაოვინება, მაგრამ ამას თავისი გარკვეული მოწადადებაც სჭირდება. ამაში თეატრისა და კულტურის სამინისტროს მუშაობის დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. სისტემატური ხასიათი უნდა მიეცეს სპექტაკლუბის განხილვებს, მაყურებელთან გასაუბრებებს, შე-

გენადი ლლონტი

აქარის ასრ
კულტურის მინისტრის
მოადგილე.

სცენა ბათუმის თეატრის სპექტაკლიდან „უბედურება“.



ვიდრება, ლექციებს და სხვ. ამ საქმეში გარკვეული დამხარების გარეშე შეუძლია საქართველოს კულტურის სამინისტროს, რომელსაც საუკეთესო შესაძლებლობები გააჩნია ზნორად მოაღწიონ ჩვენთან კონსულტაციების, ლექციების, თუ ვასპორებების ჩასატარებლად ნიჭური და კვალიფიკაციური ხელშეწყობამცოდნეები, რევიზორები, მასხიობები.

ბათუმის სახელმწიფო თეატრმა მიიღიარე სეზონში მიიღო ახალი შეგება — თბილისის თეატრალური ინსტიტუტის ათი ურსადამთავრებელი, მაგრამ ჭერ კიდევ არაა მოთიანად გადწვეტილი მათი საშუალო შეწყობის საკითხი. საქირთა თეატრისათვის ნაუღბად გამოსადეგ მსახიობთა გარეშე, სხვა საქმით დაჯავება და მათ ადგილზე ახალი სტიკაოლისტების მიღება, ეს კი ბევრ სინდულსთანა დაჯავშირებული.

ამასთან, თეატრში ჭერ კიდევ იდგება იდურად და მხატვრულად სუსტი პიესები, არ ექცევა ურადლება პრემიერის შემდეგ, კომუნისში მსუნეული საბჭოთა მის შენარჩუნებას.

მიუხედავად რეპერტუარის მრავალფეროვნებისა, მასში მინც წავლებადაა შეტანილი ისეთი პიესები, რომლებშიც სრულყოფილად აისხება ჩვენი გმირული თანამედროვეობა, კომუნისში მსუნეული საბჭოთა ხალხის ცხოვრება, ამაში ბრალი მწერლებსა და დრამატურგებსაც მოიძლეოთ.

აქირის ასრ კულტურის სამინისტრომ შემოქმევა თეატრის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების პერსპექტიული გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია მისახალოების კულტურული მომსახურების აქტუალური საკითხები.



მურად ხინიკაძე თეატრის დირექტორი

გეპკიბთხიბინა: რა გავრუებთ, რა მოწინადასახლებულა გავქოვ და ა. შ. რა არ გავრუებთ, — სათინავე უფრო ესაა. ჩვენ ეველაფერი გავრუებთ. აი, თუნდაც ის, რომ ცენტრალური პრესა ნავლებად გვაცეცეს ურადლება, ნავლებად ვრევა ჩვენს საქმეში. ხანდახან „თეატრალური მოამბე“ და ადგილობრივი გაზეთი თუ გამოგვეხმარებენ, თორემ დედაქალაქის პერიოდული ურნად-გაზეთებისათვის თითქმის არც კი ვარსებობთ.

ყველა ის მწევე მობოლუმა, რომელიც დღეს წამოჭრილია ჩვენი თეატრის წინაშე, სწორედ რომ პრესის ფურცლებზე გაუქუბით თუ მიავრეცეს სასურველ შედეგს, თორემ ზეირის კამათით, დისპუტებით ვერავითარ შედეგს ვერ ვაღწევთ. ამს ჩემი ხანგრძლივი, მწერ გამოცდილება მაღაპარაკებს. ბათუმის თეატრის ბევრი მსახიობი ისე დაბერდა, ისე წავიდა თეატრიდან, რომ დედაქალაქის ურნად-გაზეთებშია დე ერთი პატარა ადამიანური სიბოძი, ურნადლება არ უჭრქვია. ეს უბრალო წუწუნი არ გახლავთ. ურნადლება ხელგაინის ზრდის ერთ-ერთი მოვარა სტიმულია.

ახალი სეზონის განსანათად დავაგვირებიოთ ჩვენი თეატრის ყოფილიმა დირექტორმა შოთა დავითიძემ თავის ერთ-ერთ ინტერვიუში სწორად აღნიშნა, რომ თეატრის სახეს, მის თვითმოყოფადობას, ეკონომიკასა და რენტაბელობას მოწინადასახლი რეპერტუარი განსაზღვრავსო. დიახ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ რეპერტუარი უნდა პასუხობდეს იმ მოვლენებს, რომლებზეც უყარანყნელი პერიოდის რადეკატორმა ჭერებმა და მოვლენებმა წამოქრეს. ამიტომაც შემთხვევითი არაა ის, რომ ჩვენი თეატრის წამყვანი თემა თანამედროვეობაა. რეპერტურაში კვლავ დარჩა ნ. დუმეჰისი და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილიარიონი“, გ. ფანქარიძის „მეშვიდე ცა“, ო. იოსელიანის „ექვსი ზინაბრა და ერთი მამაკაცი“, რ. სტოიანოვის „ოსტატები“ და სხვ. მაგრამ, აქამდე, თანამედროვეობის თემტეკაცე დიდი მოთხოვნილებობაა — ჩვენი თეატრის სარეპერტუარი პირთფელი, გარეშე თუ ადგილობრივი დრამატურგების მხატვრულად და იდეურად არასრულყოფილმა პიესებმა ვაკუსეს.

ჩვენი უმთავრესი ამოცანა, სარეპერტუარი პირთფელი გავწმინდოთ სუსტი პიესებისაგან. გარდა ამისა, იმავდევ ვიზრწონოთ, რომ ჩვენი მავურებლობის ახლობელი და თანამედროვე გავხადოთ კლასიკური დრამატურგის ნიმუშები. ბულგარეთში ჩვენმა ამასწინანდელმა მოგზაურობამ ერთხელ კიდევ ნათელივო ის ფაქტი, თუ რა დიდ ინტერესს იწვევს კლასიკა, რაცა იგი თანამედროვეობათვის ახლობელი და

განსაკვირვებელია განხორციელებული. ბულგარულმა მავურებელმა ადვრთოვანებოთ მიიღო „პირთფელი კლასიკის“ სახელით გავრთოვანებული ჩვენი სექტაკლები: ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაქირი“. და სავრთოდ, ბულგარულმა მავურებელმა ჩვენი თეატრის მთელ შემოქმედებით კოლექტივზე წარუშლელი შთაბეჭდილება ატავოთ თავისი პირთფენელი და გულთბობი შეგვედრით. დადებითად გამოცემურა ჩვენს საგასტროლო დადგმებს ბულგარული პრესა. ყოველივე ის შირთოდ საამაუცო და დაუვიწყარი, მაგრამ ისიც კარგად ვიციოთ, თუ რას ნიშნავს მასპინძელთა თავაზიანობა და არავიფად მნიშვნელოვანია უცხო თვალისათვის შემოწმნეული საყუაროი გასაქირის თუ ნაკლის შეტონის ურწარი. ჩვენ ჭერ არავითარი ხეფუქველი არ გავგანთა იმისათვის, რომ თვითმყოფილებს მივეციოთ. ისიც არ იყოს, ჭეშმარიტ შემოქმედისათვის თვითმყოფილებმა ყოველგვარ წარმატების შემთხვევაშიც უმეგრებულთა, რამდენადც იგი ხელს უწყობს მის პასურობას. ჩვენ კი განა ჭერ ეველადფერი რიგზე ვაკავს, განა უწევს დაუვაქტორი ჩვენს მავურებელთან ურთიერთობის საკითხებო? განა ჭერ სრულად დანთავისუფლები პერიოდულიმის იმ იფფასიანი რეციდენტისაგან, უგვემოცო და ესტეტურად დაუხევეწავ მავურებლის ემოსიებთან რომა დაჯავშირებულთ? დიახ, მავურებელთა ისევე უნდა აღწრდა, როგორც იმ ახლავარდა შემოქმედებითი კადრები, ჩვენი თეატრის სცენისათვის თეატრალური ინსტიტუტში რომ ზრდიან. მაგრამ სიტყვამ მოიტანა და ისიც უნდა ითქვას, რომ ინსტიტუტში აღწრებლობის მიმართ ყოველთვის როდი გვექმის მაღლობა.

რევიზორებმა და მსახიობების აზრად ინსტიტუტში რომ არ მოვადგება და იგი უშუალოდ თეატრშიც უნდა გავრცელებდეს. ეს ყველასათვის განსაკუთრებით მაგრამ როცა ზოგიერთი „აღწრდილი“ უნებრად გამოქმენიებს: „მართკ აღწრდა რას უშველის, თუ მუნებამაც არ უშველია“ — გაოცებული ფიქრობ, — როგორ მოაწესა ასეთმა „აღწრდილმა“ თეატრალური.

ერთი მწევეც საკითხი კიდევ ისაა, რომ თეატრში დიდხანს ვერ სძლებენ ზოლდენ ნიჭიერი და საიმედო ახლავარდები. აქ ბევრი რამაა დაჯავშირებული იმ ეკონომიურ და მატერიალურ პირობებთან, რომელსაც ძველი კადრები როგორცდ უშეწვეულ ჭირად სთვლიან, ახლები კი ვერავრები ვერ ეწეობიან. თეატრ არა აქვს ახლი კადრების ბინებით დაქმყოფილების საშუალება. დედაქალაქის ყოველ ნიჭირ მსახიობს, თუ რევიზორს შეუძლია თავისი ეკონომიური პირობები გათუმკობების ტელადდეგმებში, ფილმების

განმარტავს მონარქალიზმს და ა. შ. ჩვენთან კი არაფერია ამდგვარი საშუალება არ არსებობს. ყოველთვის ეს, ცხადია, დასა აჩვენეს შემოქმედებით დონეს.

ამოცანები და გეგმები დიდი ვაჭებს; გასასაჩუქრებელი პრობლემაც ბევრია, მაგრამ მათ გადაწყვეტის მართლ თვარტი ვერ შესწავლეს, თუ მისმა დახმარებულ შემთხვევებმა მორგებონება არ უშველეს.

პარლამენტი

თეატრის მთავარი რეჟისორი

მაჟორანტისა და თეატრის ურთიერთობის პრობლემა დღეს მწვავედ დგას მიუღწეველ მსოფლიოში. ეს, რა თქმა უნდა, არაერთიან შედეგს არ აძლევს ჩვენს თეატრს ნაკლებად იზრუნოს საკუთარი გზების საძიებლად მასწავლებლთან მჭიდრო კავშირის დამყარებისათვის. ყოველ თეატრს თავისი ე. წ. „ადგილობრივი კლიმატი“ გააჩნია, რომლის გაუთვალისწინებლობა მეტად საზიანოა. თავისი საკუთარი „ადგილობრივი კლიმატი“ გააჩნია მათუბის თეატრსაც და ადგილი შესაძლებელია, ის, რაც ამ თეატრის სცენისათვის მიზანშეწონილი და შესაფერისი აღმოჩნდება, სხვა ქალაქის თეატრისათვის მიუღებელი გახდეს. მაგრამ არც ეს უნდა გავივით იხი, თითქმის ყველაფერი — თემა, სიუჟეტი, ისე, მხატვრული ხერხები და სხვ. მხოლოდ „ადგილობრივს“ უნდა ემორჩილებოდეს. მე მხედველობაში მაქვს უმთავრესად თეატრის მოთხოვნები. მაგალითად, არაფერი არ უნდა იყოს გასაკვირი იმაში, თუ მეტალურგთა ქალაქში მცხოვრებ მასწავლებელს კომპიუტერითა ცნობიერების ამახვილებს პიესა ნაკლებად დაინტერესებს, ან პირიქით... ამას უკავშირდება თეატრის სარეჟისურო პოლიტიკაც, მაგრამ უდიდესი განსაზღვრულობა არაფერში არ ვარცა და მით უმეტეს, რეჟისურის შედეგანაში. კომპიუტერი ხელშეწყობს ყველასათვის და ყველა დროისათვის გასაგებია. შემოსავლით გავიყვანო, რომ ახლახან კუბიშიშეის დრამატულ თეატრში იდი წარმატებით დადასტურდა ცეკარლის „ხანუშია“. კუბიშიშეი დიდი საწარმოო ქალაქია, ამ ქალაქში მცხოვრები მასწავლებელი თითქმის არაფერში არ უნდა დაინტერესდეს, „ხანუშის“ დროგადასულ სოციალურ მოტივს, მაგრამ როგორც რეჟისურები აღნიშნავს, სპექტაკლი, ყოველგვარი ტაქიმახსრული ილითობის გარეშე, ისე იქნა განხორციელებული, რომ თანამედროვე ქვეყნად მითითება და თავისი ჭეშმარიტი, სასწიმიო განწყობილებით იქარა მაყარებელსაც სხვაბული მოჰპარა. რათა შორს მიიღივარ, როცა იკავებ შეიძლება ითქვას ჩვენი თეატრის მაგალითსაც, როგორც იცით, ამას წინათ ჩვენი თეატრის კოლექტივი ათი დღის განმავლობაში სტუმრად იმყოფებოდა ბულოვარში. ჩვენ ვიკითხეთ, რომ ეს გასტროლიტი ჩართული იყო საბჭოთა კულტურის დოქტრინაში. მაგრამ არ მოულოდინეთ, რომ ჩვენი სამშობლოს ხელშეწყობის წარმოადგინდით ისეთ სახელგანთქმულ კოლექტივთან ერთად, როგორცაა მოსკოვის სახმატეო თეატრი, თბარასკოვის თოჯინების თეატრი, ლენინგრადის თეატრისა და ბალეტის თეატრი. ადვილი წარმოსადგინე უნდა იყოს, თუ როგორ ვივლადით, მაგრამ იმ გულთბილმა ატმოსფერომ, რომელშიც ჩატარდა ჩვენი გასტროლიტი, გვიშველა თავი არ შეგვეწყვიანა.

გასტროლიტი დაიწყო ბლაგოვერადის თეატრში სპექტაკლით „ქართული კლასიკისის სადამიო“. მიღვევარება და შიში გავიკეთა, როცა დავეწუხნდით, რომ ჩვენი კარგად ესმოდათ. სპექტაკლი ჩატარდა დიდი წარმატებით.

მეორე ჩვენი სპექტაკლი „მე, ბებია, ილიკო და ლარიონი“ ჯერ ბლაგოვერადის ოლქის ქარალოში ვუჩვენეთ, შემდეგ ბლაგოვერადში და ბოლოს ბულოვარის დედქალაქ — სოფელში. ყველგან გვხილავდა ბულგარული მასწავლებლის გულთბილი დამოკიდებულება. იყო ჩვენს შეხვედრებში, როცა თავი ვხედავს მხარს კი არა, ჩვენს სამშობლოში გვეყვანა. ყოველდღე ეს, ერთხელ კიდევ გვახსენებს იმას, რომ ნაშედეგი ხელოვნება ყველასათვის გასაგებია, მაგრამ გავქვს თუ არა უფლება, ამ წარმატებით განვიხილოდებოდა, პატივცემული მურადის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, — თვითმყოფილებს მივიყვით? რა თქმა უნდა, არა. სამაყარებლო სპექტაკლი ეს ჯერ კიდევ როდია განმსაზღვრელი ჩვენი თეატრის საერთო მდგომარეობისა. ყველა სპექტაკლი როდია თანაბრად ძლიერი. სამაგებო სოციალიკური შესწავლას მოითხოვს თეატრთან მასწავლებლის დამოკიდებულების საკითხიც. ზოგჯერ საშუალოზე დაბალი დონის სპექტაკლს გაიკლებით მეტი მასწავლებელი ესწრება, ვიდრე მასზე უფრო მაღალმხატვრულ დადგმას, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი სანახაობითად უფრო გასართობია, ხოლო მეორე სერთოული და დამაფიქრებელი... მაგრამ კარგ მასწავლებელს კარგი აღზრდაც სჭირდება, ხოლო კარგი აღზრდილისათვის უფრო მეტი კარგი სპექტაკლები დადგმა, მასწავლებელთა კონფერენციების, შესხვედრების, საჯარო განხილვების მოწყობაა საჭირო. აი, ამ უკვე საქმე თეატრის შიდა, რთულ შემოქმედებით აპარატურას ეხება. საკმაოდ იტყვას უკვე თეატრის შემოქმედებით კადრების დამკვიდრების, გაუმყინდისა თუ გადახალისების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ვერც ეს გამოიღვს შედეგს თუ მსახიობებს არ გაუუმჯობესებთ მატერიალურ-ეკონომიურ მდგომარეობას. არსებულ ვითარებაში კი ზოგი მსახიობი პროფესიული დაოსტატებისათვის ვერაფერს ვერ აკეთებს და სცენაზეც ხშირად უშუქოდ გამოიყურება. სწორედ აქ კლინდება პროფინციალიზმის ნიშნებიც.

ჩვენი ამოცანაა ვადაწყვეტი ბრძოლა გამოცესხალთ ყოველგვარ პროფინციალიზმს, შევექმნათ მაღალიდურერი, მაღალმხატვრული სპექტაკლები, გავაძლიეროთ რეჟისურარი კლასიკური, თანამედროვე, სასულვარგარეთული თუ მოძვერესპულეიკების საუკეთესო ნიჟიებით, ვიზრუნოთ სარეჟისორო და სამსახიობო პროფესიული დაოსტატებისათვის. ამ მიზნით თითქმის მიუღ შემოქმედებით დასთან ერთად დიდის გატაკებით ვეშობ მ. დადიანის „გუმბადილდისს“ სცენარ განხორციელ ვაზე, რეჟისორი ენერ ჩაიძე ვაგას გ. ფაჯიკიძის პიესას „თვალ პატიოსანი“ და სხვა. ვისწრაფვით, რომ ყოველ ახალ დადგამაზე მუშაობის პროცესს, ერთგვარი სტუდიურ-აღმზრდელიობით ხასიათებ ჭქონდეს, რაც უთუთად თავისი ნაყოფიერი შედეგით ხელს შეუწყობს როგორც მსახიობის, ასევე მასწავლებლის სათანადო აღზრდასაც.

**ვლადიმერ
შარაშიძე**
ხელოვნებათ-
მცოდნე

მართალი თეატრალური ხელოვნების განვითარების დღევანდელ ვითარებაში, როცა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თეატრისა და მაცურებლის ურთიერთობის განმტკიცებისათვის ბრძოლას, ბუნებრივია, ყოველმა თეატრმა, დღევანდელი იქნება იგი, თუ სარაიონო, თავისი საკუთარი სპეციფიკური შემოქმედებითა თავისებურებების გათვალისწინებით, უნდა დაისახოს სამოქმედო ამოცანები. ამ თვალსაზრისით, მართლაც ბევრ საგულისხმო მაგალითს იძლევა ლატვიის ვალმიერის თეატრი. ვასაბეია, რომ თურნალ „საპუთა ხელოვნების“ რედაქციამ ამ თეატრთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების ფართო განხილვას შემთხვევით არ მიაპყრო სერიოზული ყურადღება. ამიტომ, თითოეული ჩვენგანის ვალთა ერთხელ კიდევ ზიჯელი, კრიტიკული თვალთ შევხედოთ ჩვენი თეატრის მდგომარეობას და ვეძებთ უკეთესი საშუალებები საქმის გასაუმჯობესებლად.

მე ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრის მომხრე ვარ. რაც თავი მახსოვს, თეატრს ყოველთვის რაღაც უყირდა, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად, ვიდრე ახლა, მაგრამ რატომღაც მისი დარბაზი ადრე უფრო მეტად

იყო შევსებული მაცურებლებით. სულაც არ მინდა კონსერვატორის როლში გამოვიდე, მაგრამ უფიქტია და ამის მოვარე მიზნად მტკიცებითა რომ თითქმის მინდელი ძველი ფანტატიური სეპარელი თეატრალური ხელოვნებისათვის, სადაც გვიკარა ცნაულობაში, ეროვნული კულტურის ქვეშაობის მასზე რად რომ აგულვებინებდა თავს თეატრის ყოველ უნგარო მოღვაწეს. ვამოტიერეთოა დღევანდელი ენოუ ზიაში და ერთსულღვნება ჩვენი თეატრალური წარსულია. ამ ერთსულღვნების დეკარგვით კი ბევრი რამ დაეკვალდა. არა მგონია, მით უმეტეს დღეს, არსებობდეს ისეთი დაბრკოლებები, რომლის გადალახვაზე თეატრს არ შეეძლოს. აქ უკვე ჩვენი წარსლისათვის და ვალმიერეთა დღევანდელი თეატრისათვის დამახასიათებელი გმირული ამტკიცებლობა საქმრო. ბაუმიის თეატრის შემოქმედებთმა კოლექტივმა არაერთგზის დამატარა, რომ ძირითადად იგი საუკეთესო ნიჭიერი ძალისაგან შედგება და თუ ამას თავის ძველ გმირულ შემართებასაც დაუმატებს — მიზანმიღწეული იქნება.



სვენა ბაუმის თეატრის სპექტაკლდან ალბონისანის გასაქობით. მარცხნიდან: ნეტლია — ც. აპოლინიკი, მართა — თ. სულსანაშვილი.

ახალი ღონისძიებების დასასვა, ახალი ფორმის ძიებას გულისხმობს ყოველთვის და, ბუნებრივია, ჩვენი თეატრიც ამგვარი ძიებების პროცესშია ამჟამად. მაგრამ ვუძებთ ეს ახალ ფორმებს, ახალ საშუალებებს, არ უნდა დაგვაიწყდეს, თუ რა არის საერთოდ ეს ახალი და რაში უნდა გამოიხატებოდეს იგი. ამზობენ, ახალი — ეს ძველი მიღწევების აღდგენააო. ერთი შესვლვით ეს პარადოქსალურ თქმაშიც არის უდავო ქვეშარტტება. რაც დღეს ქართულ თეატრში სხება, ბევრი რამის დამადასტურებელია. ის, რაც მარჯანიშვილისა და ამბეტელის დროს უკვე მოძველებულად ითვლებოდა, ზოგჯერ ახლა სრული სიახლის პრეტენზიებით საღდება, როგორც დღევანდის, ასევე მსატრული გაფორმების თვალსაზრისითაც. მაყურებელთან კონტაქტის მოძველებული ხერხებიც იშვიათი როდია ახლა. ესა თუ ის მსახიობი პერსონაჟი ხან პარტერიდან ადის სცენაზე, ხან კი სცენიდან უერთდება მაცურებელთა დარბაზს, არის ცდებიც — მაყურებელი უშუალო მონაწილე გახდეს სპექტაკლისა და სხუ. მაგრამ სწორად ვერც ამგვარი „სიახლენი“ ვერ შევლის საქმეს, რადგან ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს „საუკეთესო

**მეხიარ
ჩანიძე**
რეჟისორი

ძველის“ გახსენებას. „საუკეთესო ძველს“ უფრო მეტი პატივისცემა სჭირდება, ვიდრე ეს ჩვენ მიგვანინია ხოლმე ზოგჯერ. საუკეთესო ტრადიციებს შემოქმედებითი გახსენება-განვითარება სჭირდება და არა ზედამართული გამოთრება. ჩვენ ეს კარგად ვიცით, მაგრამ არის კი ამის შესაძლებლობა დაადასტურა. რაც შეეხება პირობებს, აი ამასუ მართლაც მართებთ განსაკუთრებული ზრუნვა მათ, ვის ხელშიცაა ჩვენი თეატრის ბედი. უპირველესად, მატერიალურ-ტექნიკური პირობების შესახებ მოგახსენებთ. რთ თქმა უნდა, ვალმიერის თეატრის კოლექტივის ერთსულღვნება ჩვენთვის ყველასთვის სამაგალითოა, მაგრამ მაინც არსებობს რაღაც ნიუანსები, რომლებიც თეატრების შემოქმედებასა და მსახიობთა ცხოვრების წესს განსაზღვავებს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ სწორედ ეს ნიუანსები უნდა შევისწავლოთ, რომ მხოლოდო კამში ზერეულ ლაპარაკი არ გამოვივიედ.

სამსოველთაშორე გავრცელებული აზრია: ქართულ თეატრს მაყურებელი აკლია. ეს ერთდროულად მართალიც არის და ტყუილიც. მართალია იმიტომ, რომ „ანტიკონესტ“, „გუმინდელს“, „სამანიშვილის დედინაცვალს“ და სხვა ამდაგვარ სპექტაკლებს მართლაც ნაკლებად ჰყავს მაყურებელი. ტყუილია იმიტომ, რომ „ხანუმასა“ და „საბრალდებო დასკვნას“ ხალხი აწყდებდა. განურჩევლად გ ნათლებისა, სქესისა, სოციალური მდგომარეობისა, ასაკისა, ეროვნებისა, მოდის და მოდის მაყურებელი „ხანუმაზე“ და „საბრალდებო დასკვნაზე“. ყოველდღე, დილით და საღამოთი „საბრალდებო დასკვნა“ და „ხანუმა“ რომ ვაჩვენოთ, მაინც ვერ დავატყაყოფილებთ ნახვის მსურველებს.

ერთხელ კომკავშირის ერთ-ერთ რაიკომში დავიჩივილე: ასაღაპრდობა თეატრით უფრო [ქ]და უნდა დაინტერესდეს და საქმეს კომკავშირის მეთაურებმა უნდა უუქმდებოდნენო მითქმე. ირონიულად ჩაიღიმეს და თავაზიანად მითხრეს: ალბათ ფულადი შემოსავლის გვემებს ვერ ასრულებთ და ბილეთების გასაღებაში გინდათ დაგესმართოთ.

სავალალო გაუგებრობაა. ფულადი შემოსავლისთვის ბრძოლად თუ რაფთოვით მაყურებელთა მოზიდვას, მაშინ არავისი დახმარება არ გვეჭირდება. რაც შეიძლება ხშირად ვაჩვენებთ „ხანუმასა“ და „საბრალდებო დასკვნას“ და შემოსავლის საკითხი იოლად მოგვარდება. ყოველდღე ზღვა ხალხი იქნება თეატრში. ამ ორ სპექტაკლს რ. გაბრიანიძის პიესას — „ხანუმა პარიზში“ დავამატებთ და მთელი რუსთაველის თეატრი არ ხეინად იცხოვრებს. შემოსავალიც უზვად გვექნება და გვემეზბივ გადაჭარბებით შესრულდება.

მამასადამე, მაყურებლის შოშიდისთვის ბრძოლა ფულადი შემოსავლისთვის ბრძოლა არ ყოფილა. მაყურებლისთვის ბრძოლა თეატრალური ხელოვნებისთვის ბრძოლაა, ხოლო თეატრალური ხელოვნებისთვის ბრძოლა ერის სულიერი ამაღლებისთვის ბრძოლას ნიშნავს. ტყუილად ხომ არ ამბობდვდევიტო გარისა ლორკა — „თეატრი ერთ-ერთი ყველაზე ბასრი და ქმედითი იარაღია ქვეყნის მშენებლობაში. იგი ბარომეტრია — ერის აღმავლობისა თუ დაცემის მაწუყველი. ჭეშმარიტ თეატრს, მართალ გზას რომ მიავცო ყველა ჩანრში — ტრაგედიიდან ვოდევილამდე, — შეუძლია მოკლე დროში აამაღლოს ხალხის სული, ხოლო ზერელე, გამოფიტულ თეატრს, ღორის ჩლიქები რომ ამჯობინა ფრთებს, შეუძლია დააჩლუნგოს მთელი ერის მსატკაველი გემოვნება, მოვლემარე გულგრილობაში ჩასძიროს იგი. თუ ხალხი არ ზრუნავს თავის თეატრზე, არ ასაზრდოებს მას — ეს ხალხი კვდება ან უკვე მკვდარია“.

სამწუხაროდ, თეატრის არსში ჩაუხედავი ადამიანებისთვის მაყურებლის პრობლემა ასე დგას: დადის ხალხი თეატრში, მამასადამე, ფინანსური გვემა სრულდება, ე. ი. თეატრი კარგად მუშაობს. არ დადის ხალხი, მამასადამე, ფინანსური გვემა არ სრულდება, ე. ი. თეატრი ცუდად მუშაობს. თუ ამ ელემენტარულ არითმეტიკას დროებით დავიწყებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მაყურებლის პრობლემა უპირველესად სწორედ შემოქმედებას უკავშირდება.

ერთხელ რუსთაველის სახელობის თეატრში ასეთი რამ მოხდა: სპექტაკლისთვის „ბერნარდა ალბას სახლი“ ყველა ბილეთი ექიმთა ერთმა ჯგუფმა შეიძინა. თეატრში სისარულით ცას ვევიტო: მთელი დარბაზი ინტელიგენციით იქნება სასუდე და უკეთეს მაყურებელს საღდა ვნახავთ. თქვენს მტერს, რაც ჩვენ დღე დაგვადგა მაშინ. იჯდა ეს ხალხი და

მ ე ტ ი

პრინციპულობა

აკაკი ბაქრაძე

ყველა თავისთვის ლაპარაკობდა, იყო გადაძახილი ერთი რიგიდან მეორეში, სიცელი და კისკისი. სპექტაკლი არსებობდა თავისთვის, მაყურებელთა საზოგადოება — თავისთვის. არასოდეს მსახიობებს ასე არ გასჭირვებიათ თამაში. ქვისმკობდავის არ ადგას ისეთი ჯაფა, რაც იმ დღეს მსახიობებმა გადაიტანეს. სპექტაკლის შემდეგ გაკვირვებული კვითხულობდი: რატომ მოვიდა ეს ხალხი თეატრში? მაღლობა ღმერთის, ძალა არავის დაუტანებია. ბილეთები საკუთარი ნება-სურვილით შეიძინეს. მაშ, რა მოხდა? მკაფილდ გამოვლინდა თეატრისადმი დღეს გავრცელებული პრიმიტიული დამოკიდებულება: თეატრი გასართობია და რა მნიშვნელობა აქვს, როგორ გაერთობო! ხან სპექტაკლი გაგართობს, ხან თავად იმზიარულე, როგორც მოგესურვება, ე. ი. ნებისთ თუ უნებლოთ, თეატრი და რესტორანი გაიცივდა.

უცბად გამასხენდა და იქნებ ამ ქვეყნენულად დაბადებულ აზრის პრატეკული გამოვლენა ის, რომ უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე თბალისში არ აწეხებულა არც ერთი თეატრი, რესტორნები კი მრავლად აიკო.

მკითხველმა შეიძლება გაიკვიროს: ეს საით გადაუხვია ატორიანო? მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველი მოვლენა სისხლითა და ხორციით არის ერთმანეთთან დაკავშირებული ერთმანეთზე გავლენას ახდენს და ამ გავლენის შედეგს ადამიანთა უსაქმიანობის ყოველ დარგში თანაზრად ვიძღვს.

ყველაზე მკაფილდ ს ა ს ო გ ა ო ე ბ ი ს ა ზ რ ო ვ ე ე

ბის გაკარიმიტიკულზეა მაყურებლისა თუ თეატრის პოთენციური დამოკიდებულებაში ჩანს. ამის საილუსტრაციოდ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, ნამდვილად კი ღრმა მინარხის მატერიალად რამდენიმე ფაქტს გაიმბობთ.

როგორც მოგახსენებთ, საღამოს სპექტაკლებზე 16 წლამდე მოსარდებს არ უშვებენ. გადაწყვეტილი ეს წესი რუსთაველის თეატრშიც დავგვეცა.

ერთხელ ერთი 30-35 წლის ქალი ბავშვით მოვიდა საღამოს სპექტაკლზე. კონტროლიორმა არ შემოუშვა თეატრში. მან კი ჩხუბი და აურსაური ატება: გინდათ თუ არა, სპექტაკლს ბავშვთან ერთად უნდა დავსწროთ. ვუთხარი — ხომ იცით, რომ საღამოს სპექტაკლებზე ბავშვებს არ უშვებენ და რატომ წამოიყვანეთ? გვიპასუხა: სპექტაკლზე ბავშვისათვის მოვედი, თორემ რაღა დრის ჩემი თეატრში სიარულიაო.

და ამას ამბობს 30-35 წლის ქალი!

ერთხელაც ჩემსა და ერთ მოქალაქეს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

მე: რატომ იფეკავთ ბავშვები, ხომ იცით, რომ 16 წლამდე მოსარდებს საღამოს სპექტაკლებზე არ უშვებთ?

ის: არა, არ ვიცი.

მე: როგორ არ იცოდათ, როცა ეს წერია აფიშაზე, ბილეთების უკანა მხარეს, გამოჩენილი განცხადება საღაროსთან და შემოსავლელ კარებთან?

ის: ეს წინათაც ასე ეწერა, მაგრამ არავინ იცავდა ამ წესებს.

მე: ასლა გადაწყვიტეთ დავიცავთ ეს წესი, ოდესმე ხომ უნდა დაიწყოთ წესების დაცვა.

ის: რაღა ჩემგან იწყებთ. თქვენც ადევით და ხვალღინ დაიწყეთ.

მერე აღმოჩნდა, რომ ეს კაცი საერთოდ წესების წინააღმდეგი არ ყოფილა, ოღონდ ეს წესი მას არ უნდა ეხებოდა.

საერთოდ, ჩვენში საოცრად დიდი კანონის ზევით დღომის სურვილი.

კიდევ ერთ შემთხვევას გაიმბობთ. ამ ცოტა ხნის წინათ ერთი ახალგაზრდა კაცი შემოგარდა ჩემთან დაფეთებული და მითხრა: N-შვილის ცოლია ბავშვით მოსული და არ უშვებენო. მერე რა მოხდა—ვუთხარი,—წესი წესია და იგი ყველას თანაბრად ეხება—მეტი. გაოგნებული მომაშტერდა და გამოვირა: — N-შვილის ცოლია, ბატონო! ამ ყმაწვილი კაცისთვის სასულიადა გაუგებარი დარჩა უძველესი და ურყევი კანონი: პატრიარქის ცემა უნდა წესი იცის და არა თანამედროვეთა. რამდენად მაღალი თანამდებობის პირია კაცი, იმდენად მეტად უნდა სცემდეს პატრეს წესრიგს.

ჩვენ უკვე გარკვეული მიჩვეულებით ვართ, რომ ყველა მოვლენას ერთი რეაქციით შევხვდეთ — მერე რა მოხდა! ალბათ ახლაც ამასვე იტყვის მკითხველი, მერე რა მოხდა, რამდენიმე ანექლოტური შემთხვევა რატომ უნდა გადავაციოთ პრობლემად? თუნდაც იმიტომ, რომ ამ ანექლოტური შემთხვევების უკან დრმა ტკივლები იმალება. კერძოდ:

პირველი: არ ვასწავლით ბავშვებს წესრიგისადმი პატივისცემას. ამქვეყნად ყველაზე დიდი გაკეთილი საქციელია. დაწერილს არავინ აფასებს, თუ იგი კონკრეტული საქციელით არ დასტურდება. როგორ უნდა ისწავლოს ბავშვმა წესის პატივისცემა, თუ იგი უსურებს გააკასებულ წმობელს, რომელიც კბილებითა და ფრჩხილებით იბრძვის წესის დარღვევებისთვის. ბავშვის შეგებებაში ერთადერთი აზრი იმუდებს: შეიძლება არსებობდეს წესი, მაგრამ თუ იჩხუბებ და იყვი-

რებ, შემინდებთ და წესს დაარღვევენ. ე. ი. არასწავლით გზით კანონზე გამარჯვება შეიძლება. ასეთი შეგება, კერძოდ, დაპირი და უშუალო საფუძველია დანაშაულისა.

მეორე: რამდენიმე პატიოსანმა მოქალაქემ მინ გააბრუნა შვილები, როცა შეიტკა — ბავშვებს საღამოს სპექტაკლებზე არ უშვებენო. ეს კანონის პატივისცემელი ბავშვები უსურებთ გათავისებულ მოქალაქეებს და უსამართლობის გერბობა მსტყავთ. მაშასადამე, — ფიქრობენ ისინი, — ფასდება არა მოქმადლება, არა პატიოსნება, არამედ თავმჯდობა და ურცხვობა, რაკი პატიოსანი მინ გაბრუნდა და უპატიოსნო კი არჩენილად უსურებდა სპექტაკლს.

მესამე: ადამიანს უმტკიცებმა რწმენა: წესრიგი არასოდეს დამყარდება, რაკი ასეთი უბრალო საქმეც კი ვერ მოგვარებულა, როგორც არის 16 წლამდე მოსარდების საღამოს სპექტაკლზე შეშვება-არშვებების საკითხი.

მეოთხე: კანონის პატივისცემა სასოგადოების ძლიერების საფუძველია. თანამდებობის პატივისცემა კი — სასოგადოების უსურების პირდაპირი დასტური. ამიტომაც არ არსებობს სასოგადოებრივი ცხოვრებაში უფრო საზომადი დანაშაულებრივი მოვლენა, ვიდრე თანამდებობის პატივისცემით კანონის, წესის დარღვევა. წინდას არ უნდა მოგრდვას თავი, თორემ მერე დამალს ველარაფერი შეაჩერებს. პატარა წესების დარღვევით სწავლობენ დიდი კანონების ფუქტემ გათელვას.

აი, რამდენი საჭირობოტო საკითხი წამოჭრა, ერთი შეხედვით, სრულიად უბრალო ამბავისა.

